

1966/4

საქართველო



1966

11

ბიბლიოთეკა

10.336

11

ნომერი

1966

ლიტერატურულ-
მხატვრული და
საზოგადოებრივ-
პოლიტიკური
ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა
და მწერალთა კავშირის ორგანო

თბილისი



◆

მთავარი რედაქტორი **სუბა გერულავა**

სარედაქციო კოლეგია: აბაკი ბაძრაძე, გურამ გვერდსითელი, მერაბ
ელიოზიშვილი, კარლო ქალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, როინ მეტ-
რეველი, გურამ ფანჯიკიძე (პ/მგ. მღივანი), გიორგი ციციშვილი, ვახტანგ
პელიძე, სერგი ზილანია, თამაზ ზილაძე, ლაშა ჯანაშია.

◆

ლენინის დროშით, ლენინის სახელით

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 49 წლისთავის წინა-
 დღეებში საქართველოში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის
 ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.
 იგი ჩამოვიდა, რათა საქართველოს სს რესპუბლიკისათვის გადაეცა სამშობლოს
 უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.

პირველ ნოემბერს ამ სასიხარულო ამბავმა შეკრიბა თბილისის სპორტის
 სასახლეში საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენლები. ძვირფას სტუმარს
 მიესალმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის
 პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური
 კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მეჟანაძე: „საქართველოს კომპარტიის
 ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
 და მინისტრთა საბჭო ქართველი ხალხის სახელით, ჩვენი რესპუბლიკის ყველა
 მშრომელის სახელით მხურვალედ მიესალმებიან საბჭოთა კავშირის კომუნის-
 ტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ
 ილიას ძე ბრეჟნევს“.

სიტყვა ეძლევა ამხანაგ ბრეჟნევს, რომელმაც დამსწრეთა ტაშის გრიალში
 განაცხადა: „დღეს საბატიო ჯილდოს — ლენინის ორდენს იღებს საბჭოთა სა-
 ქართველო. ეს არის დამსახურებული აღიარება დიდი წვლილისა, რომელიც
 ქართველ ხალხს შეაქვს ჩვენს საერთო დიად საქმეში — დედამიწაზე პირველი
 კომუნისტური საზოგადოების შექმნაში“.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მაღალი
 შეფასება მისცა საქართველოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და
 სახალხო ინტელიგენციის თავდადებულ შრომას და რესპუბლიკის ყველა მშრო-
 მელს უსურვა ახალი წარმატებანი მუშაობასა და შემოქმედებაში, ბედნიერება
 ცხოვრებაში.

ამხანაგმა ბრეჟნევმა აღნიშნა: „საქართველო უძველესი კულტურის ქვეყა-
 ნაა. ამას კვლავ მოგვაგონებს დიდი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთავე-
 ლის დაბადების 800 წლისთავის დღესასწაული. რუსთაველი ქართველია, მაგრამ
 იგი მარტო საქართველოს როდი ეკუთვნის. რუსთაველი ეკუთვნის ჩვენი მრავალ-
 ეროვნოვანი სამშობლოს ყველა ხალხს. ამაზე აღფრთოვანებით და გულთბილად
 ილაპარაკეს სსრ კავშირის დიდ თეატრში გამართულ საზეიმო სხდომაზე. ამას
 ერთხელ კიდევ მოწმობს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ძეგლის გახსნა მოსკოვში.
 საქართველოსთან ერთად მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი პროგრესული კაცობ-
 რიობა აღნიშნავს პოეტის სახელოვან იუბილეს“.

თავისი ვრცელი და მკაფიო სიტყვის დასასრულს ამხანაგმა ბრეჟნევმა/ თქვა: „ჩვენ ერთმანეთს ვხვდებით დიდი დღესასწაულის — საბჭოთა ხელისუფლების 49-ე წლისთავის წინ. ნება მიბოძეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით მივულოცო საქართველოს მშრომელებს დღესასწაული და ვუსურვო კეთილდღეობა და ბედნიერება თვითეულ სახლს, თვითეულ ოჯახს“.

როდესაც ამხანაგმა ბრეჟნევმა სიტყვა დაამთავრა, დარბაზში შემოიტანეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დროშა. ლ. ი. ბრეჟნევმა საქართველოს სსრ დროშაზე მიაბნია ლენინის ორდენი.

გ. პ. მკვათაძემ მხურვალე მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას ამ მაღალი ჯილდოსათვის: „იღებენ რა ლენინის ორდენს, საქართველოს კომუნისტები საქვეყნოდ დებენ ფიცს, რომ მუდამ მაღლა ეჭირებათ უკვდავი ლენინის დროშა, ბრძოლისა და გამარჯვებების დროშა, დიდი ოქტომბრის დიდებით მოსილი დროშა!“

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. გ. ეგორიჩევმა.

საზეიმო შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ: სოციალისტური შრომის გმირი გ. ბოგვერაძე, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. წითლიძე, აკადემიკოსი ე. ხარაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე პოეტი ი. აბაშიძე, სტუდენტი თ. კაკუშაძე.

საზეიმო კრება გადაიქცა პარტიისა და ხალხის ურდვევი ერთობის, საბჭოთა ხალხების დიდი მეგობრობის ჭეშმარიტ დემონსტრაციად.

ეს სასიხარულო დღე საქართველოს მშრომელებს არასოდეს დაავიწყდებათ!





რეპუბლიკური

ახალი ლექსები

1941 წლის 22 ივნისი

იმდროინდელმა ფიქრმა შემბურა
და ძველ განსაცდელს თრთოლვით შევები.
მოგონებათა ცეცხლს ძველებურად
კვლავ მივუფიცხე კრძალვით ხელები.

და რასაც ახლა ვწერ სასოებით,
შენთვის ძნელია წარმოსადგენად,
რომ თმის ცეცხლში ნაწრთობ ასოებს
ისევ მოუნდათ მწყობრში აღდგენა

რადგან გათენდა მწველი ივნისი
და სულს ძლივს ითქვამს ცხელი ზაფხული,
ისევ ერთად ვართ მე და თბილისი
და ძველი დარდით ვარ დაზაფრული.

რადგან ივნისის დილა მოვიდა
და მძიმე გახდა ჩემთვის ჰაერი,
ისევ მოფრინდა ელვად შორიდან
ძველი სიმღერა სევდანარევი.

და ძველი დილა დარდად ქცეული
გაცოცხლდა დედის ცრემლით ნანამი,
ქარცეცხლზე წერას გადაჩვეული
კვლავ აწრიალდა ჩემი კალამი...

იმდროინდელმა ფიქრმა შემბურა
და ძველ განსაცდელს თრთოლვით შევები,
მოგონებათა ცეცხლს ძველებურად
კვლავ მივუფიცხე კრძალვით ხელები.

მითხარი, რატომ...

სძინავს ხეობებს,
სძინავს გზისპირებს,
ძილს არვინ უფრთხობს ჭალას მთვლემარეს
და მკრთალი მთვარე თავს დაგვიციმციმებს
შენ და მდინარეს,
მე და მწვერვალებს.

სძინავს გორაკებს,
ფშანებს, ახოებს
და ვარსკვლავები ცაზე კრთებიან.
საოცარია: საბალახოებს
და ნაკადულებს ჩასძინებიათ.

ჩასძინებიათ თურმე ქარებსაც,
ძილი ისურვეს თურმე წვიმებმაც.
მე და შენ ძილი არ გვეკარება,
მითხარი, რატომ არ გვეძინება?!

გარეთ თოვლია...

გარეთ თოვლია,
მეფობს ზამთარი
და ვიცი, თოვლი მალე გაქრება.
გულში კი, გულში მზეა ჩამდგარი,
დუღს და გადმოდუღს პაპანაქება.

გარეთ თოვლია,
შენ გეცინება
და შორით მესმის შენი კისკისი,
გულში აპრილის მზე იკბინება
და ჩემს ლოყაზე გააჭვს გიზვიზი.

გარეთ თოვლია,
ბარდნის ქალაქში.
და მთაწმინდაზე უფრო თოვდება,
სულში ტრიალებს მზე და ბადახში,
აღმოდებული ხეატი გროვდება.

მიკვირს, არ ვიცი ასე რად არი.
ვერ მივხვდი, ვფიქრობ, ვწვალობ დადლილი.
გარეთ როცა თოვს — მეფობს ზამთარი,
ჩემს სულში რატომ ჰყვავის აპრილი?

ბინდდება. მუქი ზეცა ჩამქრალა.
 ვუცქერ ხეებზე დამფრთხალ ბედურებს.
 გაჩერებასთან ღვივის მაყალი
 და გვიწვევს სუსხით შეციებულებს.

არც ჩხუბი, დავა, აყალმაყალი.
 ძალაში არის აქაც ზამთარი,
 შუა ქუჩაში ელავს მაყალი,
 ნაკვერცხლიანი, ლოყა გამთბარი.

შემოსხდომიან მაყალს ბიჭები,
 იგრიჭებიან თეთრი კბილებით,
 ცეცხლისკენ სწრაფად მოაბიჯებენ
 მგზავრები სუსხით გათოშილები.

შუა ქუჩაში ცეცხლი იცინის,
 თვალს აბრიალებს, იწვის მაყალი...
 არ გვეშინია ახლა სიცივის,
 ვიპოვეთ მყუდრო თავშესაფარი.




ქართული საბჭოთა პოეზიის გამოჩენილ ოსტატს, ქართველი ხალხის საყვარელ პოეტს რევაზ მარგიანს დაბადების 50 წელი შეუსრულდა.

1934 წლის 30 დეკემბერს „ლიტერატურულ გაზეთში“ დაიბეჭდა მეთექვსმეტე რეზოლუცია მარგიანის პირველი ლექსი „მირანგულა“, რომელიც არა მარტო მისი ავტორის შემოქმედების, არამედ თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. ექვსი წლის შემდეგ გამოვიდა პოეტის პირველი წიგნი „ლექსები“, რომელმაც მკითხველისა და სალიტერატურო კრიტიკის მაღალი შეფასება დაიმსახურა. ამის შემდეგ დაიწყო რევაზ მარგიანის დაუცხრომელი შემოქმედებითი მუშაობა. ქართველი ხალხისათვის კარგად არის ცნობილი მისი ლექსების წიგნები: „მუმილი მუხასა“, „აქა მშვიდობა“, „მთანი მაღალნი“, „მხოლოდ ახალი“, „ისევ ახალი“, „ლილე“ და მრავალი სხვა. ამ დღეებში მკითხველმა მიიღო იუბილარის ახალი წიგნი „გამოღვიძება“, რომელიც უკანასკნელი წლების შთაგონებული შემოქმედებითი შრომის ნაყოფია.

ჟურნალ „ცისკრის“ სარედაქციო კოლეგია, რედაქციის მთელი კოლექტივი, ჟურნალის მრავალათასიანი მკითხველების სახელით მხურვალედ ულოცავს რევაზ მარგიანს დაბადების 50 წლისთავს და უსურვებს მას ახალ-ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს.

დარწმუნებული ვართ, ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე პოეტი კვლავაც მრავალჯერ გაახარებს მშობელ ხალხს, მათ შორის „ცისკრის“ მკითხველებსაც.



მოთხრობა

მეჩეთი დიდიხანია დაუნგრევიათ, მაგრამ ახლა მოლა თავისი სახლის ბანზე გადმოდგება ხოლმე და მღერის; დილის ხუთ საათზე, შუადღისას — ზუსტად თორმეტზე და საღამოს ისევ ხუთზე; ერთ წამსაც არ აგვიანებს. ამბობენ: „სპიდოლა“ უყიდია და მოსკოვის დროით მუშაობსო. არავინ არ აქცევს ყურადღებას მოლას სიმღერას. ვინც ალაპს „ემუსაიფებოდა“, ყველა თან წაუყვანია უზენაესს; როგორც მოხუცები ამბობენ, აული „ახალგაზრდებმა ჩაიგდეს ხელში:“ სოფსაბჭოს თავმჯდომარეც ახალგაზრდაა, კოლმეურნეობის თავმჯდომარეც, სკოლის დირექტორიცა და საავადმყოფოს მთავარი ექიმიც.

ჩენი ბანაკიდან ეს აული ხელისგულივით მოჩანს. რომელიღაც სპექტაკლის მაკეტს მაგონებს აქაურობა. სულ ასე მგონია, დაიწყებს თუ არა მოლა სიმღერას, დაბალჭერიანი ბანიანი სახლებიდან შეფიხიანი ტანწერწეტა ჭაბუკები გამოცვივდებიან, ნაბდებს ააფრიალებენ და გრძელ, მოზარნიშულ სატეგრებს დააძრობენ. თეთრი სატეგრები მზის სხივებზე თვალისმოშორებულად ალაპლაპდებიან. მერე ყველანი ერთად მიწაში ჩაარტობენ წკრიალა ფოლადს

და თვალისდახამხამებაში გაქრებიან: პრიალა სატეგრები კი უძრავად დარჩება სცენაზე.

საინტერესოა, რას მოაგონებს აქაურობა დალის. ლიანას აღბათ არაფერს აგონებს, თორემ რა გააჩერებდა! თუმცა მე რომ გავუმხილო, რასაც მაგონებს, ზუსტად ეგ აზრი დიდიხანია რაც მაწვალეხსო, მეტყვის; ან საჩქაროდ მოიგონებს შესაფერ ტყუილს. საერთოდ, რაც არ უნდა მოუყვე — ვერაფრით გააკვირვებ რადგან ან მის ბიძაშვილს, ან მეგობარს, ან მეზობელს, ან თვითონ მასაც კი „ნამდვილად შემთხვევია“ ასეთივე ამბავი. ერთხელ რაღაც საშინელი ტყუილი მოვეყვი; ისეთი ტყუილი, რომ ყურები მიწითლდებოდა. „ეგ რა არის, — თქვა ლიანამ დინჯად, — აი, ბაბუაჩემს...“ და მოჰყვა და მოჰყვა. რას ვიზამ, სანამ ერთად ვმუშაობთ, უნდა მოვეუთმინო. მგონი მხოლოდ ეს ერთი გასართობილა შერჩა და ამასაც ვერ წავართმეე!

დალის ტყუილი არ ეხერხება. მას ყოველთვის ეტყობა, როცა ცრუობს და მაშინვე ეცინება. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა აპატიო.

დალი ხვალ ჩამოვა. ხვალ ათი აგვის-

ტოა. ჩვენ შევთანხმდით: ათ აგვისტოს აულ კუბაჩში შევხვედროდით ერთმანეთს.

— აუცილებლად უნდა ვნახო იქაურობა. მე მგონი, ხუთდღიან შევებულე-ბაზე უარს არ მეტყვის უფროსი. — მი-თხრა დალიმ.

— მეც ასე მგონია. — ვუბასუხე.

დალი ჟურნალისტი, ამიტომ გეოლოგობა რაღაც არაჩვეულებრივად გასართობი სპეციალობა ჰგონია და ყოველთვის შურს ჩემი.

— ჯერ მარტო ის რად ღირს, ასეთ აღგილებს რომ ათვალეიერებთ! — მეტყვის ხოლმე სახეგაბრწყინებული და დაამატებს, — მეც მინდა ოქვენთან ერთად.

— წამოდი. — მშვიდად ეპატიუება ლიანა.

დალი ლიანაზე არ ექვიანობს. იცის თვეების განმავლობაში ერთად ვართ, მაგრამ მაინც არ ექვიანობს იმიტომ, რომ ექსპედიციაში ჩემს გარდა ორი მამაკაცია და კიდევ იმიტომ, რომ ახალგაზრდობის მიუხედავად, ლიანა „უკვე შინაბერაა“, თუმცა გათხოვების წინააღმდეგი არ არის.

— მარშრუტებზე მარტონი დადიან, — აბრაზებენ დალის ბიჭები, — ძალიანაც რომ სთხოვო, არ წაგიყვანენ.

— მერე რა!

— ხანდახან კარავშიც ერთად ცხოვრობენ, ერთ ორსაწოლიან კარავში!

— მერე რა. — იცინის დალი და მიყურებს, მერე დიდ თაფლისფერ თვალებს ხუჭავს, რაღაცას ფიქრობს და იმეორებს, — მერე რა.

— არაფერი, — კვლავ ეოხუნჯებიან ბიჭები და ილიმებიან.

სამი თვეა დალი არ მინახავს. ავტობუსი ხვალ საღამოს ჩამოვა. მე დავხვდები დალის კუბაჩში. მერე ნელ-ნელა ამოვყვებით დახვეულ ბილიკს ბანაკისკენ და ახლადგაშლილ კარავს ვუჩვენებ. კარავზე აბრა გავკარო წარწერით: Hotel Dali. კარავში თივა დავყარე. თივაზე საძილე ტომარა დავაფინე.

— ჩემს კარავში არ დაეტეოდნენ მეკითხება ლიანა.

— შენი შეწუხება არ მინდა!

— ვიცი მე, რაც არ გინდა! — მითხრა ლიანამ და გაწითლდა.

„მე და დალი ერთად ვიქნებით ხუთი დღე, ასოცი საათი, 7200 წუთი, წუთებს ნუ ეხუმრები. წუთი დიდი დროა!“ — ვაფრთხილებ ჩემს თავს.

ძლივს გათენდა. საძილე ტომრიდან თავი ამოვყავი და გავისუსე. სამარისებური სიჩუმე სუფევდა ბანაკში. საათს დავხედე: ზუსტად შვიდის ნახევარია. ბიჭები ამ დროს უკვე ვარჯიშობენ ხოლმე და მეც მათთან ერთად ვარ. რა მოხდა, ნეტავ?

— რა მოხდა? — ვყვირი.

პასუხი არ ისმის.

— რა დაგემართათ, რა მოხდა? —

კვლავ ვკითხულობ გოცებულნი და საძილე ტომრიდან ვძვრები. პასუხი კვლავ არ ისმის. მე ჩექმებში ფეხს ვყოფ და ტრუსის ამბრა გამოვდივარ კარვიდან. დალის კარავი და განსაკუთრებით შესასვლელი მინდვრის ყვავილებით არის მორთული. კარავზე წარწერაა: „ეკთილი იყოს თქვენი მობრძანება“, იქვე პატარა ბარათია: „რამაზ! აუცილებლად მოაგროვე შეშა. ჩვენ ხორცს მოვიტანთ. დალის მწვადები შევუწვათ. ლიანა ნახად გააღვიძე, არ შეაშინო. გოცნით, ბიჭები“. ვინც მთიან დაღესტანში ყოფილა, მიხედება, რომ ყველაზე ძნელი დავალება მე მხვდა წილად. მაგრამ მაინც გმადლობთ, ბიჭებო, ისედაც ხომ უნდა გამეყვანა დრო ავტობუსის ჩამოსვლამდე! მდინარეზე ჩავიბრინე, ვივარჯიშე, ტანი დავიზილე. მერე სპილენძის უზარმაზარი თუნგი წყაროს შევუდგი, ავაგსე და ნელი ნაბიჯით ავედი ბანაკში. ლიანას კარავიდან კრუსუნნი მომესმა:

— ვითომ რას დაგვიშლის წვიმა... —

და კიდევ რაღაც წაიბურტყუნა. ლიანა ძილში ხანდახან ლაპარაკობს. მე შეშის მოსატანად წავედი.

— არ წავიდეთ? — მკითხა ლიანამ.
— შენც მოდიხარ? რატომ სწუხხდება?

— დალის ეწყინება... — ლიანა ჩემს კარავთან მოვიდა, — რომ არ დავხვდე!

— თუ ეწყინება, წამოდი.
— ჩქარა, თორემ დაგვაგვიანდება.
— რომელი საათია?
— ჩქარა, ჩქარა, უკვე ხუთია.

კარვიდან გამოძვეერი და კიდევ ერთხელ გადავავლე თვალი ჩვენს ადგილსამყოფელს. ყველაფერი რიგზეა. აქაურობა, ალბათ, ძალიან მოეწონება დალის.

— წავედით.
როცა მარშრუტზე ვართ, მე წინ მივდივარ, ლიანა კი უკან მომყვება. ამას ისე მივეჩვიე, რომ ახლაც მე დავიწყე პირველმა ბილიკზე დაშვება.

— მომიცადე. მომიცადე... რა მოგივიდა? — მომძახის ლიანა და ჩქარობს.

სოფლამდე, ზუსტად შუაგზაზე, უზარმაზარი ფრიალო კლდის ძირში უნდა გავიაროთ. კლდე შუაზეა გახლეჩილი და ბილიკს თავზე ეხურება. თუ კლდისკენ შებრუნდები და ზევით აიხედავ, ნაპრალიდან ცის პატარა ლურჯ ნაგლეჯს დაინახავ. არასოდეს არ მინახავს აქ ღრუბელი, ყოველთვის მუქი ლურჯი ცა ახურავს კლდეს ქუდად.

— ეჭვი! — შესძახებ და ექოც გიპასუხებს.

— ეჭვი, ეჭვი!
რამდენიც არ უნდა იყვიროს ლიანამ — ექო ხმას არ იღებს. ეტყობა ლიანას ხმის სიძლიერე და ტემბრი არ აკმაყოფილებს ექოს კანონს. ლიანას ეს ისე სწყინს, რომ ტირის. აი, ახლაც ვუახლოვდებით ამ ადგილს და...

— ე! — ყვირის ლიანა.
პასუხი არ არის.
ე! — ისევ ყვირის ლიანა.
პასუხი არ ისმის.
ე! — კვლავ ყვირის ლიანა და გაოცებული ორივე ხელს მუხლებზე ირტყამს.
პასუხი არ არის.

— კლდეო — ვლრიალებ მე.
— ეო..! — მიპასუხებს ექო.
— დალი ჩამოდის!
— დალი ჩამოდის! ჩამოდის!
— ჩემი დალი!
— ჩემი დალი! ალი! ალი!
მერე მე ლიანას მხარზე ხელს ვადებ, რომ დავამშვიდო. ლიანა ჩემს ხელს უხეშად იშორებს და წინ მირბის.

— ავტობუსი ჯერ არ გამოსულა! — მითხრა დისპეტჩერმა.
— რა ექნათ? — მეკითხება ლიანა.

— აი, იმ გორაკზე ავიდეთ. ავტობუსი იქიდან ჩანს ხოლმე, როგორც კი ხეობაში შემოუხვდება.

— არ გეზარება? — მეკითხება ისევ ლიანა.
— არა.

— იცი, ასე მგონია...
— არ მაინტერესებს, ჩემო ლიანა; წამოხვალ?

— არა, დავრჩები... — ვამებუტა.
— კარგი. — მიხარია და წინადადების დებოლოებას არ ვაცდი, ისე მივრბივარ გორაკისკენ.

ლიანა, როგორც კი დროს იხელთებს, სოფლის მაღაზიაში მიდის. ახლაც იქით გაუხვია.

გორაკიდან ხეობა დიდ მანძილზე მოჩანს. შორს მხოლოდ ფერი-და ჩანს, მუქი მწვანე; ალაგ-ალაგ ცისფერს შეირევს ხოლმე. ცისფრად ნაძვები ჩანს შორიდან. გზა, რომელიც მდინარესთან ერთად იკლაკნება და კუბაჩისკენ მოემართება, ხეობას ყვითელ ზოლად მიჰყვება გასწვრივ. ჯერ ძრავის ბუბუნს გაიგებ, მერე პატარა ლურჯი ავტობუსიც გამოჩნდება. მანქანა ისე ნელა მოგორავს, რომ თავისუფლად შეგიძლია ადევნო თვალყურით; მოლოდავს, მობობდავს, მაგრამ ისე ხმაურობს — გეგონება ქვეყანა იქვევარო. როგორც იქნება აათავეებს ავტობუსი აღმართს და სადგურისაკენ დაეშვება. შოფერი კარს გააღებს და თვითონ პირველი ჩამოდის ავტობუსიდან; პირდაპირ სასადილოსა-

კენ მიეშურება. მიმტან ქალს უკვე მზადა აქვს სასმელი და მწვადი. იცის — სტუმარი დიდი ხნით არ დარჩება, ისადილებს და უკანვე გაბრუნდება. კუბაჩიდან ქალაქს მიმავალი მგზავრები თვითონ ინაწილებენ სავარძლებს. თუ შოფრის მოსვლამდე ადგილზე არ ხარ, მეტი მიდი და სდიე ავტობუსს. ამიტომ ხალხი ავტობუსის კართან ირევა. დალი საფეხურზე ჩამოაბიჯებს, გაიხედ-გამოიხედავს, მერე დამინახავს და ჩემკენ წამოვა.

— გამარჯობა, რამაზ!

— გამარჯობა, დალი! როგორ იმგზავრე?

— მომკლა ამ ზურგჩანთამ. გამომართვი, თუ შეიძლება.

მახსოვს, როგორ დამცინეს აქაურმა ბერიკაცებმა, როცა საკმაოდ დატვირთულს, ხელცარიელი ლიანა მომყვებოდა გვერდით. ოდითგანვე ასე იყო, მთიან დაღესტანში მამაკაცს ტვირთის ზიდვას აბა ვინ აკადრებდა წინათ! იგი თოფით ხელში იცავდა ქალს. ახლა სხვა დროა. ჰოდა, მეც თამამად გამოვართვი დალის ზურგჩანთა.

— საით? — მკითხა დალიმ.

— ბანაკში, — ვუპასუხე.

სოფელს გავცდით და გავმართოვდით თუ არა, დალი შეჩერდა, ორივე ხელი კისერზე შემომხვია და ჩამეხუტა. მერე მითხრა:

— რამაზ, ძალიან, ძალიან მიყვარხარ!

მე ვაკოცე, აბა რა უნდა მექნა!

ყვავილებით მორთული კარავი რომ დაინახა, დალის ნიკაბი აუკანკალდა და თვალები ცრემლით ავესო. ბიჭები შემოგვეხვივნენ. გავაბით საუბარი მონატრებულ თბილისზე, რუსთაველის გამზირზე, ნაცნობებზე. მერე მწვადებიც ამიშხინდა და არყის ბოთლებიც გაიხსნა. ვიქეიფეთ.

დაბნელდა. მხოლოდ ნაკვერჩხალი ბრღღვიანებდა წითლად და ოღნავ გვიანათებდა სახეს. დალი მგზავრობას ისე მოექანცა, თვალები ეხუჭებოდა. ბიჭებმა კარავთან მიაცილეს.

— გმადლობთ, ბიჭებო. ყველაფრი-

სათვის გმადლობთ! — ლულულულულა უზომოდ კმაყოფილი დალი.

— თუ რამე დაგჭირდეს, დაგვეწვი, არ მოგერიდოს. — ურჩიეს ბიჭებმა.

დალი კარავში შეძვრა.

ჩვენ სმა გავაგრძელებთ. ვილაცამ ბედნიერების სადღეგრძელო დალია. არ ვიცი არყის ბრალი იყო თუ დალის ჩამოსვლის, მაგრამ ძალიან, ძალიან ბედნიერად ვიგრძენი თავი. მერე კარვებში დანაწილდით. რა დამაძინებს! ჩემს გვერდით, ახლო, სულ ახლოს სუნთქავს დალი, რომლის გარეშე წარმოუდგენელია მზე, ვარსკვლავები, დედამიწა და ჩემი თავიც. სამი თვეა, ზუსტად სამი თვე, რაც ერთმანეთი არ გვინახავს.

— რამაზ!

სუნთქვა შემეკრა და დავიძაბე.

— რამაზ! — „დალი, ჩემი დალი მეძახის“.

— რა გინდა? — წამომცდა სულელურად.

— ...წყალი.

მე წამოვვარდი, ძლივს ვიპოვე კარვიდან გამოსასვლელი, თუნგს ხელი დავვლე და დალის კარავთან შევჩერდი. დალიმ კარი გახსნა, მერე თუნგი მშვიდად გამომართვა, მიწაზე დადგა, ხელი ჩამკიდა და მიმიზიდა... ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა, ძალიან, ძალიან, და ორივენი ვგრძნობდით იმ ბედნიერებას, რომელსაც ანიჭებს ადამიანს ნამდვილი სიყვარული.

დილით კუბაჩში ჩავედით. კარგი დარი იღვა. ამიტომ ჩვენი ექსპედიციის წევრები დილიდან დაღამებამდე მუშაობდნენ; დილიდან დაღამებამდე ერთად ვიყავით მე და დალი, სულ ერთად.

კუბაჩში ნაცნობ ოქრომჭედელს ვესტუმრეთ. მოხუცმა შინ შეგვიპატიყა. კედელზე გამოფენილი ყელსაკიდები, მძივები, საყურეები და სამაჯურები გვიჩვენა. დალი გადამერია.

— უთხარი რომელიმე მომყიდოს, თუნდაც რომელიც არ მოსწონს, თორემ ვიკივლებ.

— ბაბუა, ახლა მითხარი რომელი მოუნდება ჩემ დალის და მომყიდე.

უარის ნიშნად მოხუცმა თავი გააქნია. მერე ხელები მხრების სიმაღლემდე ასწია და გაშლილ თითებს დააცქერდა.

— თითები მიკანკალებს, ბაბუა. ასეთ ნივთებს ხომ ვეღარ გავაკეთებ, ესენი ჩემი შვილები არიან. აი აქ, ამ კედლის ძირში მძინავს — ხალიჩაზე.

— კი მაგრამ ხომ შევთანხმდით, — გავცხარდი მე, — ეს ხომ ჩემი დალია! — არა, შვილებო, არა. მაპატიეთ. დალის თვალზე ცრემლი მოადგა. — არა, არა.

— გაგიყდებოდნენ თბილისში... — არა. — გაიმეორა ოქრომჭედელმა.

მე და დალი ოთახიდან გამოვედით. მოხუცი მარტო დარჩა — „შვილებთან“.

— რა ვქნა? — მკითხა დალიმ. მას ძალიან უნდოდა დაღესტნური ფულებიანი ჭინჯილა ყელსაბამი, გულსაკიდი, სამაჯური, ბეჭედი ან თავსამკაული.

— წამო, მუზეუმს გაჩვენებ. — არ მინდა! იქ ალბათ ამაზე უკეთესი სამკაულებია — გული დამწყდება.

— იქ უნიკალური ნივთებია. ისინი კი, ძალიან ლამაზი ქალის არ იყოს, არ შეიძლება კერძო პირს ეკუთვნოდეს, — ვცადე ხუმრობა.

— რას ამბობ, რას, გესმის? — ახლა მთლად გადაირია დალი. „მართლაც და რას ვამბობ. ჩემს დალიზე ლამაზი გოგო ამ ქვეყნად არ არის. აბა სცადოს ვინმემ და შემეცილოს. ან ჩემი დალიყო ჩემს პეტს ვის მიიკარებს“.

— წამოდი, აგერ მუზეუმის დირექტორიც იქ არის.

დალიმ აულს გახედა. მუზეუმის შენობასთან მართლაც იდგა თეთრკიტელიანი კაცი. თეთრი ტანსაცმელი აქ მხოლოდ მუზეუმის დირექტორს ეცვა, დანარჩენები რატომღაც თალხ ფერს ირჩევდნენ.

— გამარჯობათ? — გვითხრა დირექტორმა, — სტუმარი გყოლია, ალბათ მუზეუმი გინდათ, არა? — ხმის ამოღება აღარ გვაცალა, — მობრძანდით, მობრძანდით, — თან ვასაღებები ააჩხარუნა, — აქ ექსპონირებული ინვენტარი... — დაიწყო დირექტორმა.

მე ზეპირად ვიცოდი რასაც იტყვოდა. მუზეუმი ამ შენობის მხოლოდ ერთი ნაწილია მოთავსებული. დანარჩენ ოთახებში ისევ ოქრომჭედლობენ მსოფლიოში განთქმული კუბაჩელები. ყველა კაცს — დიდიან პატარიანად, ხელში მახვილწვეტიანი იარაღი უჭირავს და ულამაზეს ჩუქურთმებს ჭრის ლითონზე. მუზეუმში გამოფენილია ოქროს ბეჭდები, ოქროს ბეჭდის გემმა, სატევრის ტარი, მინის საწინასაღებლე, ვერცხლის დიდი ლანგარი და აზარფეშა; საღვინე სურები, ოქროს საკიდები, ავგაროზები და საავგაროზე კოლოფები, სამოსზე დასაკერებელი ვარდულები, კილიტები, მოწყარუნე საკიდები, ღილაკები და მათივე მოსაქარავი ოქრომკედი; ვერცხლის აბზინდები, ლავამები, ბრინჯაოს დეზები.

— ოქროს სამკაულებსა და განსაკუთრებით დიადემაში ნაირფერადი ქვების ჩასმა — მორგებისა და შეხამების ოსტატობა მაღალ დონეზეა. ძვირფას და ნახევრადძვირფას ფერად მინერალთაგან გვხვდება წითელი გრანატი ანუ ალმანდინი, ფირუზი, ამეთვისტო, სარდიონი, ნეფრიტი, ზურმუხტი, საფირონი, ალმასი, აქატი, ქალცედონი და ოპალი. — საიდანღაც მოფრინავს დირექტორის სიტყვები, მაგრამ ახლა არაფრის გაგება არ მინდა. მე „ჩემ“ ოქროს გულსაკიდთან ვდგავარ. შემეძლია დაუსრულებლად ვუცქირო. ათასფერად ეღვარებს დიდ თვალბუდეში ჩამჯდარი მალაქიტი. მის აქეთ-იქით განლაგებული ნუსხისებური ბუდეების ზომა თანდათან კლებულობს; მათში ღვინისფერი ალმანდინები კიაფობენ.

— რა ხელი ჰქონდა იმ ოქრომჭედელს, ვინც ეს გააკეთა?! — უკვირს დალის.

— ამას ნამდვილად არ გაჩუქებენ და არც მოგყიდიან, წამოდი, შენ ხომ კარგი გოგო ხარ, წავიდეთ აქედან.

ვიცი, დალი რომ არ გავიყვანო ან იტირებს, ან გული წაუფა. ამიტომ თავს უნდა ვუშველოთ. ამას დალიც გრძობს და სიტყვის შეუბრუნებლად მემორჩილება.

— საით მივდივართ?

— ახლა ბანაკში. ხვალ დილით კი — დარუბანდში. გინდა?

ზღვის ნაპირიდან დარუბანდის ციხესიმაგრე სათამაშო კუბებით აშენებულ კოშკს ჰგავს. სანაპირო წვერილ-წვერილი ნიჟარებით არის მოფენილი. დატეხილი ნიჟარები ფქვილივით რბილია და სასიამოვნოდ ცხელი.

— „ვინ შახსნა და რკინის კარები“, — ვმღერი და ტანზე ვიხდი.

— ვინ შახსნა და დავით აღმაშენებელმა, — მშვიდად მეუბნება დალი და ისიც იხდის ტანსაცმელს.

— ვინ მოგახსენა?

— არ ვიცი; ახლა ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ სადღაც წამიკითხავს... მგონი „ქართლის ცხოვრებაში“.

— იქ ვერ წაიკითხავდი. იმიტომ, რომ იქ ასე სწერია: დავითი „მარტო გადავიდა ქართლად და აღიღო ქალაქი დმანისი“... — ციტატას მე განგებ ვკითხულობ ნელა და გამოთქმით, — „და აპრილსა დაეხსნეს შაბურანს დარუბანდელსა...“

— და ალბათ კარებიც წაიღო.

— არა, გეთაყვა. კარები განძას მოხსნა დავითის ძემ, რომელსაც „ეპყრა სამეფო ტახტი და საჯდომი მკლავითა ლომებრივითა“, რომელმან „ჰქმნა ომნი საკვირველნი“ და რომელიც „აღივსო ალაფითა და ტყუითა ურიცხვითა“.

— მართლა?

— „დემეტრე მეფეს ქ. განძის (განჯის) წინააღმდეგ გაულაშქრია და იქიდან საქართველოში ძლევამოსილი დაბრუნებული. მეფეს თან ქ. განძის კარები წამოუღია. ეს კარი ახლაც გელათის მონასტერში ინახება და ზედ ამბის დამამტკიცებელი დაზიანებული ქართული წარწერა აქვს“. იხ. ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 223.

— აბა მე რატომ მახსოვდა, რომ დავითმა შეხსნა კარები და სწორედ დარუბანდს?

— რა ვიცი...

— შენ ყველაფერი უნდა იცოდე. შენ ძალიან ჰქვიანი ხარ, — მეუბნება დალი და თან ილიმება.

მე დალის შევცქერი.

„სიყვარული ბრმაო“, — უთქვამს ხალხს, მაგრამ იგივე ხალხი არ ამბობს: „უნაკლო აღამიანი არ არსებობსო?“

— რას მიყურებ? — მეკითხება დალი და ინახება.

— არაფერს. — ვეუბნები და მიკვირს: დალი თეთრია და უნაკლო.

ჩვენ მივცურავთ შორს. დალი ზურგზე წეება და ხელებს თავქვეში იდებს. მე ზურგზე წოლა არ შემიძლია, ამიტომ გარშემო ვუვლი და თანდათან ვუახლოვდები.

— არ მომეკარო, ხომ იცი წყალში მეშინია...

სათქმელს არ ვამთავრებინებ და ვკოცნი. წამსვე ვიძირებით ორივე. მე ხელს არ ვუშვებ. დალის შიშისაგან თვალები უდიდდება. კვლავ ფსკერისაკენ მივდივართ. მერე დალი ტუჩებს მაიცილებს, ოქროს თევზით ლამაზად გაიზინქება და ზევითკენ ისწრაფვის. მე კიდევ რამდენიმე წამს ვძლებ, თუმც პირი მლაშე წყლითა მაქვს სავსე. მალე ფეხქვეშ ივ ფსკერსა ვვრძნობ. რაც ძალი და ღონე მაქვს ვურტყამ ტერფებს და ისარივით სწრაფად და პირდაპირ ვუახლოვდები წყლის ზედაპირს. დალი ციბრუტავით ტრიალებს, მეძებს, მეძახის. მე ვამშვიდებ. ისე უხარია ჩემი დანახვა, საყვედურს აღარ მეუბნება; პირიქით, ზელს მხარზე მადებს და ნაპირისაკენ მივცურავთ.

— „ვინ შახსნა და რკინის კარები“. — მღერის დალი.

— გეტყობათ ძალიან დაღლილხართ! — ვეცოდებით სართულის მორიგეს და გასაღებებს გვაწვდის.

— მეძინება... — ამბობს დალი.

— მიგაცილებ... — ვეუბნები.

— დიდხანს არ დარჩეთ ნომერში, თორემ... — გვაფრთხილებს მორიგე.

ოთახში ხალიჩა აგია და დახუთული პერიო. ფანჯარას ვალებ, მერე ჩამრთველისკენ მივდივარ, რომ სინათლე ავანთო.

— არ აანთო. — მეუბნება დაღლილი გოგონა.

დალისაყენ ვბრუნდები. მას უკვე გაუხნია კაბა, ფეხსაცმელებიც და ხალიჩაზე ისე დააბიჯებს, თითქოს ზღვის სანაპიროზე ვიყვით. დალი ოთახშიც თეთრი და უნაკლოა. მე ვუხალვოდები.

— არ მომეკარო. მზემ დამწვა. კანი მიხურს. — მიჯავრდება დალი, თან ხელებს ჩემკენ იშვერს და მეხვევა. მე წონასწორობას ვკარგავ.

— აღეჭი, აღეჭი... არ გესმის, რომ გეუბნები... ავტობუსი დღეს არ იქნება, — მალევიძებს ლიანა და მხარზე ხელს მირტყამს.

ისე არ მოველოდი ნომერში ლიანას შემოსვლას, რომ არ დავიჯერე მისი არსებობა.

— რა გაკვირვებული მიყურებ? თუ არა გჯერა, შეგიძლია დისპეტჩერს ჰკითხო.

— რა გინდა?

— ავტობუსი დღეს არ ჩამოვაო? რა მოგივიდა, დაყრუვდი?

— ვინ გითხრა?

— დისპეტჩერმა-მეთქი ხომ გითხარი! ვიცოდი, გეწყინებოდა, მაგრამ დილაზე ხომ არ დაგტოვებდი აქ. აღეჭი, წავიდეთ, დაღამებამდე ვერც ავალთ ბანაკში.

ბანაკს მივუახლოვდით და მწვადის სუნე გვეცა.

— დალი რა იქნა? — მკითხეს ბიჭებმა.

— ავტობუსი არ ჩამოსულა. — უბასუხა ლიანამ და კარავში შეძვრა.

— შენ არ გშია? — კვითხე ლიანას.

— არა.

— მე მგელივითა ვარ.

ჩვენს ლოდინში ბიჭებსაც მაგრა მოშინოდათ. მე კარვიდან არაყი მოვიტანე.

— არ გახსნა. ხვალ დავლოთ — მთხოვეს ბიჭებმა.

— ხვალ სხვას ვიყიდით.

— შენ კი იყიდი, ჩვენ ვიყითხოთ — ეს ხორციც ძლივს ვიშოვებ.

— არა უშავს. უხორცოდაც ვიჭეფებთ.

ბიჭებმა შემბატყეს, რომ ხასიათზე არ ვიყავი. ათასი იაზუნჯეს, ფეხბურთზედაც ილაპარაკეს, მაგრამ ხმა არ ამომიღია. არაყი გადავკარი, ერთი-ორი ლუკმა დავაყოლე და კარავს მივაშურე. ცოტა ხნის შემდეგ ლიანა შემოძვრა კარავში.

— რა გინდა?

— ბიჭებმა საჭმელი გამომატანეს.

უხმოდ გამოვართვი ჩემი ულუფა და გემრიელად შევეჭეცი.

— შიმშილობას აცხადებ?

— კარგი ერთი...

— რა მოგივიდა?

— ხომ იცი ჩემი ხასიათი, არა? ახლა საშინელი აზრების ვარდა არაფერი არ მომდის გოგრაში.

— რამე უბედურება რომ შემთხვეოდა, — შეგატყობინებდნენ. დაწყნარდი.

— გმადლობთ. — ეუთხარი ლიანას და თეფში მივაჩეჩე, რომ წასულიყო. შენც არ მომიკვდე!

— ერთხელ ჩემი დეიდაშვილი უნდა ჩამოსულიყო ჩემთან მთა-თუშეთში...

გააბა და გააბა ლიანამ. იმდენს და ისე მონოტონურად ლაპარაკობდა, რომ ვერც კი ვავიგე, როდის ჩამეძინა.

— დღესაც დახვდი, სირცხვილია! — მირჩიეს ბიჭებმა.

„თქვენი ჭირიმი, ბიჭებო! თქვენ რომ არ მყავდეთ, რა მეშველებოდა!“

— არა, დღეს წამოვალ, მოგეხმარებით, — ძლივს მოვატრიალე ენა.

— რას ამბობ? დღეს აუცილებლად ჩამოვა, დახვდი!

— ის გუშინაც ჩამოვიდოდა, ავტობუსი რომ ყოფილიყო.

— კარგი! აბა წავედით.

ბიჭები წავიდნენ. მე და ლიანამ ბა-

ნაკს მივხედეთ, მივალაგ-მოვალაგეთ, სადილიც მოვხარშეთ. მერე წიგნებს ჩავუჭექით. ალბათ ხუთ საათამდე არც კი გავიძრეოდით, ლიანას აულისაკენ რომ არ გავხედა..

— ავტობუსი! — იყვირა ლიანამ.

ავტობუსი მართლაც მოედანზე იდგა და მგზავრები ჭიანჭველებივით ეხვეოდნენ.

— აბა, წავიდეთ! — ერთი კი ვუთხარი ლიანას და მოვუსვი.

— მოიცა, ბიჭო, რამ გადაგრიო! — მომძახრა და უკან მომდევდა ლიანა.

მთელი აული მოვირბინე. დალი ვერსად ვერ ვნახე.

— მე ხომ არავის ვუკითხავარ? — ვკითხე სოფსაბჭოს თავმჯდომარეს.

— გამარჯობა, გეოლოგო! ვის უნდა ვკითხე?

— ვინმეს.

— არა. — ცივად მიპასუხა თავმჯდომარემ. იგი ჩემი ტოლი იყო და რატომღაც სწყინდა, როცა მეც ისეთივე მორიდებით არ ვეპყრობოდი, როგორც სოფლელები.

სოფსაბჭოს შენობიდან სასადილოსაკენ გავქანდი.

ხალხით გაჭედილ პატარა დარბაზში, ძლივს ვიპოვე ავტობუსის მძღოლი.

— ბეიბუთ, გამარჯობა.

— გაგიმარჯოს!

— ბევრი მგზავრი გყავდა?

— არა, გუშინაც იმიტომ არ ამოვედი, რომ არავინ იყო აქ წამოსაყვანი.

— სულ არავინ?

— ერთი კოჭლი ქალის გარდა.

— ღღეს?

— რვა კაცი იყო.

— მხოლოდ კაცები?

— არა, ქალებიც ერიო.

— ჩემთან ხომ არავინ...

— არა, გურჯი ქალი არ ყოფილა... — გაიცინა ბეიბუთამ და დაატანა, — ლამაზები არიან გურჯი ქალები. შეიძლება კაცი შეცდეს და ძველი დრო გაიხსენოს. არა, სულ ჩვენიანები იყვნენ.

— რა ვქნა ახლა მე?

— მე მითხარი რამე? — გულგრილად მკითხა მძღოლმა და ქამა გააგრძელა.

სასადილოში ლიანამ მოირბინა.

— არ არის, არა?

— არა...

— კარგი, ცხვირი ნუ ჩამოუშვი... რამოხდა...

— რა ვქნა ახლა მე? — სულელურად ვიმეორებ.

— იცი, რა? მოდი თბილისში დავრეკოთ, დალის სამსახურში.

— წავიდეთ! — ფოსტისკენ გავიქეციით.

აულში თუ რაიმე მნიშვნელოვანი (გინდაც უმნიშვნელო) მოხდება, ყველაზე პირველად ფოსტის გამეგ ზინა გაიგებს. ზინა ტელეფონისტიც არის, დეპეშის მიმღებიცა და ფოსტალიონიც. „მოკითხვამდე“ წერილებსაც ზინა არიგებს. ამიტომ მას ყველა პატივისცემით ეპყრობა. აი, ფოსტაში ნამდვილად უნდა გამოვცადო ჩემი ნებისყოფა.

— გამარჯობა, ზინა!

— გეოლოგს გაუმარჯოს!

— გამარჯობა, ზინაიდა. — ახლა ლიანა უღიმის.

— ლიანას გაუმარჯოს! — უპასუხებს ზინა და ავტობუსით ახლადჩამოტანილ კორესპონდენციას ახარისხებს.

— თბილისი შეიძლება? — ვეკითხები და ლამის გული გამისკდეს.

— ამ დროს?! — ზინა განცვიფრებულა.

— შენი ჭირიმე, სასწრაფო თუ შეიძლება.

— რაიმე მოხდა?

— იცი როგორაა საქმე... — დაიწყო ლიანამ.

— ლიანა, თუ ძმა ხარ გაჩერდი, აქ ეს არავის ეხება...

— მაინც, მაინც... — დაინტერესდა ზინა.

— ზინა, ძალიან გთხოვ. — მუდარამ სახე ისე მომიქცია, რომ ზინამ ჯერ გაკვირვებით შემხედა, მერე კი ყურმილს მისწვდა.

— თუ იზებერბაში შეგკავრთებს... — დაიეჭვა ფოსტის გამეგემ.

— იზბერბაშიც აერთებს თბილის-
თან? — ჰკითხა ლიანამ.

— ამ დროს არც ერთი ქალაქი არ
აერთებს, მაგრამ ვცადოთ.

— კი მაგრამ არც სასწრაფოს? — ეს
კი ძალიან გამიკვირდა.

— ვნახოთ, იზბერბაში... იზბერბაში... —
დაიწყო ზინამ, — მისამართი?

მე დავუსახელე დალის სამსახურის
მისამართი.

რამდენ სოფელში ვყოფილვარ, რამ-
დენ ფოსტაში შევესულვარ — ვინ მოს-
თვლის! ამას იმიტომ ვამბობ, რომ არ-
სად ტელეფონისტი კაცი არ მინახავს
და, რაც მთავარია, ყველას, გეოგრაფი-
ული გარემოს მიუხედავად, ერთნაირი
ტონი და რკინის ნერვები აქვს. ქალაქის
თუ აბონენტის გამოძახებაზე არაფერს
ვამბობ იმიტომ, რომ ალბათ სწავლების
მეთოდია ასეთი. მაგრამ სად იპოვნეს
ამდენი რკინის ნერვებიანი ქალი! თუმ-
ცა ამ თანამდებობაზე კაცები იმიტომ
არ არიან, რომ მხოლოდ ქალებს შეუძ-
ლიათ ამდენის მოთმენა. თუ არ გჯერათ,
ზინას მოუსმინეთ. უბრალოდ კი არ და-
უგდოთ ყური, არამედ მასთან ერთად
განიცადეთ ყველაფერი და ვნახოთ —
რამდენ ხანს გაუძლებთ.

— იზბერბაში... იზბერბაში. — განაგრ-
ძობს ზინა და თან წერილებს ახარის-
ხებს, — იზბერბაში ხარ? იზბერ, იზბერ!
იზბერი მინდა. ლევამ! რა გინდა, ქალო,
რას ჩამეჩხირე, იზბერბაშითან მინდა...
როცა გეჩქარება, მაშინ ჩაგერთვებიან
მაინცდამაინც. იზბერ! იზბერბაში!

ფოსტაში დაბამბულქულაჯიანი მალა-
ლი კაცი შემოვიდა.

— გამარჯობა, ზინკა!

— გამარჯობა! იზბერბაში ხარ?

— ჩემ სახელზე ხომ...

— იზბერბაში, თბილისი მინდა, ძვირ-
ფასო, სასწრაფო! ჰო, ზინა ვარ!

კარგად, გამდლობთ! თქვენ როგორ
ბრძანდებით, დეიდა ანა! ბავშვები? დი-
ახ, დიახ, რას იზამ, ასეა. რომელი? რა
დაემართა? უყურე იმ ყაჩაღს?

— ჩემ სახელზე ხომ... — ისევ წამო-
იწყო ქულაჯიანმა.

— სიცხე? რამდენი? — ზინამ ქულა-
ჯიანს მოხედა და ისე, რომ ლაპარაკი არ
შეუწყვეტია, სასამართლო უწყვეტად
ჩეჩა. — ნუ გეშინიათ, გაცივდებოდა.
დიახ, კარგად... თბილისი მინდოდა. ვის?
მახაჩა-ყალას? მე არ შემძლია, გუშინ
ვეჩხუბე. დეიდა ანა, ძალიან გთხოვთ,
იქნებ თქვენ გააგებინოთ...

— მაინც რა გვინდაო? — შეეკითხა
ქულაჯიანი და უწყება აჩვენა.

— მე რა ვიცი... ძალიან გთხოვ, დეი-
და ანა, აქ ისეთი ამბავია, რომ... — ზი-
ნამ მისამართი გადასცა.

— როდის მოვიდესო? — არ ცხრე-
ბოდა ქულაჯიანი.

ფოსტის გამგესთან შავთვალა გოგო-
ნამ მოიბრინა.

— ღაზო, თუ იცეკვებ, წერილსაც მი-
იღებ, — შეპირდა ზინა, მერე ყურმილ-
ში ჩასძახა. — გიცდით, დეიდა ანა. ახ-
ლავეო! — ახლა მე მომიბრუნდა ზინა.
მე სისხლი მიშრებოდა და ალბათ ძალი-
ან ვიყავი გათვრტბული.

— მართლა! — სიხარულით შეხტა
ღაზო.

— მაინც რა გვინდაო? — არ გაჩუმდა
ქულაჯიანი.

— იქ მიხვალ და გაიგებ, მე რა ვი-
ცი! — ზინამ ქულაჯიანთან ლაპარაკი
დაამთავრა და ღაზოს მიუბრუნდა: —
წავიკითხო?

ღაზომ ამაყად შეგვათვალეირა და
თანხმობის ნიშნად თავი დააქნია. ზინამ
წერილი გახსნა და დაიწყო: „ჩემო მე-
გობარო! ისევ მე გწერ — რიგითი ჯა-
რისკაცი მითია სედოვი. ჩვენს ოცე-
ულში ყველას სწერენ ბარათებს. რა-
ტომ თქვენ არაფერს იწერებით. მე ხომ
თქვენთვის არაფერი დამიშავებია? თუ
ალარც კი გახსოვართ? ჩვენ ხომ...“ ტე-
ლეფონი ახმაურდა. ფოსტის ერთ-ერთ
კუთხეში ობლად მიშენებულ ჯიხურს
მივაცქერდი და ლამის დაუკითხავად
შევევარდი. ზინას ხმამ შემაჩერა.

— არა, თავმჯდომარე მეცხვარეებთან
წავიდა? დიახ, დიახ! დილით. ცხენით.

ზინამ ყველაფერი იცოდა.

„ჩვენ ხომ, — განაგრძო ზინამ, — და-

რუმანდში გავიცანით ერთმანეთი. თქვენ ბახრობაზე იყავით ჩამოსული, ჩვენ კი ტელეფონის ხაზი გავგყავდა. ვახსოვთ...“

ზინამ რატომღაც ხმას დაუწია, დაზო გაწითლდა და მოაჯირს მიაწვა.

„ჩემი ბედის ამბავი რომ ვიცი, თბილისთან კავშირი დარღვეული იქნება“.

— მითომ რა გვინდაო? — ეს ისევ ქულაჯიანი იყო.

— შენ კიდევ აქ ხარ? — ახლა კი ვაცეცხლდა ზინა, — გასწი, დაიკარგე აქედან, შე ლოთო, შენა!

— ვე ზინას ყოფილი ქმარია! — განმიმარტა ლიანამ.

ლიანამაც ყველაფერი იცოდა.

ქულაჯიანი აიღეწა, დირეზე შედგა, ცოლყოფილს მტრული თვალით შეხედდა და ვაგიდა.

ტელეფონი კვლავ აწკრიალდა. ზინა ყურმილს მისწვდა.

— კუბაჩი ვარ, კუბაჩი. მახაჩ-ყალა ხარ? დიახ, დიახ!

— გმადლობთ, დეიდა ზინა! — უთხრა დაზომ, წერილი გამოართვა და კარი-საკენ გაემართა.

— მაშ მისწერ, არა? — დაადევნა ზინამ, — ვისმენ, მახაჩ-ყალა, ვისმენ! წერილს მე ვაგისწორებ! რა ბრძანეთ?

— გმადლობთ! — დაზო წავიდა.

ლიანა გრძელ მერხზე იჯდა და ნამდვილად სულ ერთი იყო მისთვის ყველაფერი. მისი სიმშვიდის დანახვა გულ-ზე ცეცხლს მიკიდებდა.

ზინამ ყურმილი დაკიდა და თქვა:

— თხუთმეტ წუთში თბილისი იქნება.

ახლა კი გადავირიე. თხუთმეტ წუთში დამალაპარაკებენ დალის და მე ვუჩვენებ...“

— ახლა შენებურად ჩხუბი არ დაიწყო, — საიდანლაც მესმოდა ლიანას დარიგება.

„კარგი, ვთქვით მე მატყუებს? ეს ხალხი რომ გადამარევიან (ჩვენ ივლისში გვინდოდა კუბაჩში ჩამოსვლა). ამაზე რაღას იტყვის?“

— ხომ იცი, ათასი გასამართლებელი იქნება ქალიშვილ ქალს!

„ვთქვით, აღარ გინდა! კი ბატონო! მაგრამ რატომ არ იწერები?! ერთი დეპეშის — ვერ მოვახერხებ, გეცხვინებ მოგზავნას რა უნდა?!“

— შეიძლება დედამაც არ გამოუშვას! „მაგრამ ასეთი უგულო ხარ. საერთოდ უგულო ხარ და იმიტომაც გემართება ასეთი რამეები. შენთვის ეს არაფერს არ ნიშნავს: არ წამოხვედი და მორჩა. აბა, მე მკითხე?!“

— შეიძლება უფროსმა უთხრა უარი შევებულეზაზე. აგვისტო ხომ იცი რა თვეა, ყველას ზღვაზე უნდა წასვლა.

„მე ყოველთვის გეუბნებოდი, რომ სიყვარული (ამ სიტყვისთვის შენ ხომ ვიძღები, არა?), ეს არის წარმოუდგენლად დიდი ყურადღება. შენ კი საერთოდ არ გააჩინია ყურადღების ნატამალი“.

— შეიძლება ავადაც შეიქნა.

„არ გიყვარვარ, არა! ეს არის სიყვარული? რომ გიყვარდე, ყველაფერს თავს დაანებებდი და ათში, დიახ, დიახ. ათ აგვისტოს აქ იქნებოდი, ჩემს გვერდით; თუ უკვე დაგავიწყდა ეს რა დღეა! მე შენი გულისათვის და იმისათვის, რომ ამ დღეს აქ ვყოფილიყავი, ექსპედიციას მარშრუტი შევუცვალე...“

— ახლა შენი ვაცეცხლებს ამბავი რომ ვიცი, იმასაც ეტყვი, ჩემზე გული აიცრუეო.

— კარგი ერთი, შენი ჭირიმე, შენ მაინც გაჩერდი, რა მოგივიდა!

ყველაფერზე უფრო ლიანას ხმამალალი სიტყვა სწყინს.

კვლავ აწკარუნდა ტელეფონი. ზინამ, სანამ ყურმილს აიღებდა, თქვა:

— თბილისია...“

მე ჰიხურში შევევარდი, კარი მაგრად მოვიჯახუნე, ჩემი ყვირილი რომ არ გავგოთ, და ყურმილს ხელი ვსტაცე.

— ალიმენტს მიჩივი? ვერ მოგართვი! — მომესმა უკვე დამთვრალი ქულაჯიანის ხმა.

— ჩახეთქე?! სასამართლოში თუ არ წაბრძანდები, მილიცია მიგათრევს.

— ჩემს ფეხებს მიმათრევს.

— ნახავ! — არ ცხრებოდა ზინა, —
ნახავ, რაც დაგემართება, ლოთო!

ზინამ ყურმილი დაახეთქა. მე ჯიხუ-
რიდან გამოვედი.

— ბოდიში... — თქვა ზინამ.

— მე კი ჩემი დამემართა და...

— ბოდიში, — გაიმეორა ზინამ და...

მიანც რა ხმა აქვს ამ ტელეფონს! ლა-
მის გული გამისკდეს.

— თბილისია, — თქვა კვლავ ზინამ,
მაგრამ ამჯერად ყურმილის აღება დავა-
ცადე; ზინამ ჯიხურისკენ მიმიითითა, მე
ტელეფონს ვეცე.

ზინა: თბილისი... თბილისი...

ყურმილიდან: რა თბილისი, რის თბი-
ლისი...

ზინა: დეიდა ანა, თქვენ ბრძანდე-
ბით?! გავგიჟდები ახლა.

მე: მე მგონი უკვე გავგიჟდი.

ზინა: გაჩუმდი, გეოლოგო!

თბილისი: მახაჩ-ყალა... მახაჩ-ყალა...

ზინა: კუბაჩი ვარ... თბილისი, მე უნ-
და გელაპარაკო!

თბილისი: მახაჩ-ყალა, ხმა ამოიღე.

მახაჩ-ყალა: გისმენ, თბილისი... (ყურ-
მილში ჩაბერა) ალო, თბილისი...

თბილისი: შემაერთე აბონენტი.

მახაჩ-ყალა: ახლავე.

ზინა: აბონენტი ხაზზეა.

მე: ალო, თბილისია? თბილისია? ზი-
ნა! არაფერი არ ისმის.

ზინა: ნუ ლელავ!

თბილისი: ილაპარაკეთ.

მე: ალო! თბილისია? რედაქციაა?

რედაქციაში ვილაც გოგონამ აიღო
ყურმილი.

— დიან, რედაქცია გახლავთ!

— დალი ხარ?

— არა, რომელი დალი გნებავთ?

მე გვარი დავუსახელე.

ახლავე. — მითხრა ნაზად გოგონამ
წარმოვიდგენიათ ასეთი რამ?! დადის
თავისთვის სამსახურში და მუშაობს. აქ
მე რა მემართება, სრულიადაც არ აღე-
ლეებს! ოხ, ერთი ჩქარა მოვიდეს ტე-

ლეფონთან. ყურმილში რაღაცამ ისე და-
შინლად დაიტკაცუნა, რომ ყური მეტყე-
ნა. მერე მომესმა შორეული ხმით
კოლომბინა, “თითქოს ექოს გამოძახი-
ლიაო, ისე ზუსტად და სწრაფად მეორ-
დებოდა ეს ფრაზა: „ო, კოლომბინა“, „ო.
კოლომბინა“. სიმღერა თანდათან ძლი-
ერდებოდა, ბოლოს მკაფიოდ გავარჩიე
არლექინის არიოზო. ნეტა მოასწრებდეს
და სანამ გული გამისკდება, მოვილოდეს
დალი ყურმილთან.

— ალო! — მომესმა დალის ნაზი ხმა.

„რა ვქნა ახლა მე? ყველაფერი დამა-
ვიწყდა, რაც უნდა მეთქვა“.

— დალი ხარ?

— არა!

— რა ბრძანეთ!?

— დალიმ სამი დღეა ხუთდღიანი შვე-
ბულგა აიღო.

მე გავშრი...

— ალო, ალო... ხომ არაფერი გა-
დავცე?

— არა, გმადლობთ...

— უკვე დაამთავრეთ? — შემეკითხა
ზინა.

— დიან...

— რა მოხდა? — მომიახლოვდა ლი-
ანა, — ცუდი ხომ არაფერია?

— არა...

ლიანამ შემატყო, რომ ლაპარაკი ზედ-
მეტე იყო. ჩვენ ფოსტიდან გამოვედი.

„ახლა ბანაკში მხოლოდ იმიტომაც
ღირს ასვლა, რომ დალის ადგილ-სამყო-
ველი მივანგრ-მოვანგრიო“.

ლიანას ზუსტად შუაგზაზე, გახლეჩილ
ფრიალო კლდესთან წამოვეწეე.

— ე! — ყვირის ლიანა.

პასუხი არ არის.

— ე! — ისევ ყვირის ლიანა.

პასუხი არ არის.

— ე! — კვლავ ყვირის ლიანა და გა-
ოცებული ორივე ხელს მუხლებზე ირ-
ტყამს.

ეტყობა ლიანას ხმის სიძლიერე და
ტემბრი არ აკმაყოფილებს ექოს კანონს.



აკლი თაყაიზვილი

ცრემლი მიხაკზე

მამუკას ხსოვნას

ახლა თბილისში დგას სექტემბერი
და ოქროსფერი ეტანება თმებსა და ფოთლებს,
პაერში იძვრის შემოდგომის სურნელი მსუყვე,
მშობლიურ გამზირს უბრუნდება გუნდი ჩიტების
და გოგონების, გულში ჩიტი რომ უფრთხიალებთ,
მამები დიდი რუსთაველის უკლიან სახელს,
პატარები კი, პელეს ეშხით დამწვრები ზღვაზე,
დასდევენ ბურთს და მერე ლექსებს იზეპირებენ.
ახლა თბილისში სიცოცხლე ხარობს,
შენ კი აღარ ხარ, მისი ერთი ციდა ნაწილი...

* * *

შენ ახლა უნდა ეზოში ხტოდე
და ღია ფანჯრებს ასკდებოდეს შენი სიცილი,
ჯიბეში თბილი მზესუმზირა გკონდეს უღევად,
ბიჭებს სანაცვლოდ მშვილდისარის გასროლას თხოვდე,
დააქროლებდე ველოსიპედს ზევით და ქვევით,
გტკიოდეს გული ყაფარჯნიან მგზავრის ნახვაზე,
მერე დაღლილი შინ სატაედე გოლიათ კაცებს,
კაცებს, რომლებსაც სამ-სამი აქვთ ხელიც და ფეხიც...
შენ ახლა უნდა გეძინოს ტკბილად,
მაგრამ ვაი რომ ვეღარ ცურავ ფერად სიზმრებში...

* * *

მახსოვს, ფანჯრის წინ, ზამთარ თუ ზაფხულ,
საბრალოები და გულმშინებები,
დაასხდებოდნენ ჩიტები მავთულს,
როგორც სანოტო შავი ნიშნები.
მათი უმწვეო მხრების შემყურე
შენ თრთოდი, როგორც ფოთოლი ვერხვის,

და თან შიშობდი, ციცქნა ბელურებს
რომ არ დაწვოდათ უეცრად ფესი.
ვინ იფიქრებდა, თვალეზნადვლიანს
სიკეთისათვის დაგსჯიდა ბედი
და აგიკვეთდა ასე ადრიან
ჩიტებზე ფიქრის ტარებას მკერდით.
...დღე იდგა ისე საოცრად მშვიდი,
კაცს უკვდავების იმედს რომ აძლევს,
შენ თბილ სილაში ნიჭარებს თვლიდი
და აშენებდი ოცნების ტაძრებს.
უცებ ჩამოწყდა რაღაცა შური
და ვერც იგრძენი ფიქრით გართულმა,
როგორ ჩაგიქრო პატარა გული —
შენი ლამაზი სულის ნათურა.
შენ როცა გნახეს, იწვევ პირადმა
და დანგრეული იყო ტაძრები...
ზეცას ტკივილით აუწყე, ალბათ,
რომ არ იყავი ამის გამძლები.
გარშემო ფრთების იძვროდა ჩრდილი —
ეს ჩიტებს ედგათ გლოვა ნამდვილი,
თითქოს შენ ბარტყი იყავი ჩვილი,
მათი ბუდიდან გადმოვარდნილი.

* * *

„ — გაიგეთ, წყნეთში ბავშვი მომკვდარა!
ელექტრომავთულს მოუკლავს ბავშვი!“
ეს ხმა, ზგავივით მთიდან მომსკდარი,
შეიჭრა სახლში, მეტროში, ბაღში,
და მტკივნეულად დაესო მკერდებს,
და ჩამოუსხსნა წუხილს კარები,
ესიტყვებოდნენ დედები დედებს,
გულში ირტყამდნენ მუშტებს მამები,
ველარ აღწევდნენ მერე სახლამდე,
აგარაკებზე გარბოდნენ უმაღ
და მშვიდდებოდნენ, როცა ნახავდნენ
სიზმრებით გამთბარ მომცრო სასთუმალს...
მათ ნაშიერებს სწერია ჯვარი,
ბედმა შენ გტყორცნა ელამი მხერა
და სიცოცხლეში ჩუმი და წყნარი
უღვთო სიკვდილით გაგიცნო ყველამ.
ო, რომ გცოდნოდა, რამდენი ცრემლი
გიწვავდა თითებს, ვით წმინდა სანთლებს,
მწიამს, შენებურად დაიმორცხვებდი,
გაქეცოდნი სიკვდილსაც სადმე.
მაგრამ იგი შენს თვალეზნაში იწვა...
ჰგავდი ატმის ტოტს, მოტეხილს ქარში,
და ჩაგიხუტა მშობელმა მიწამ
აწ და მარადის თავისი ბავშვი.

* * *

მე შენს საფლავთან მოვდივარ მზისით
და მიმწუხრამდე მდუმარედ ვრჩები,
აქ წვეხარ ჩემი ხორცი და სისხლი,
მისხალი-მისხლით აქ წვეხარ ჩემი.
მიხაკზე წვეთი ცვარივით ბრწყინავს —
ეს დედაშენის ცრემლია, ვატყობ,
ჩვენ აქ ცალ-ცალკე დავდივართ სშირად,
რომ არ დაგტოვოთ დიდი ხნით მარტო.
ძირს ფარდასავით ეშვება ბინდი
და ყრუ დუმილის მოაქვს სიმძიმე.
მე დავემხოები შენს საფლავს რიდით,
მთლად ვცაცცახებ და უხმოდ ვქვითინებ.
ვქვითინებ ძუნწად დაწერილ ბედზე
და ჭრილობების მესხნება ქსელი,
ვეგრძნობ, ჩემ მარჯვენას ფათურით ეძებს
ვიღაცის თბილი, მზრუნველი ხელი.
მე ამოვხედავ: მამხნევებს კაცი,
სამი შვილი რომ დამარსა ერთად,
ვფიქრობ, ვინა დგას ახლა ჩემ თვალწინ,
კაცი თუ იქნებ მე ვდგავარ ღმერთთან?
მოგყვები უხმოდ მგზავრს ტანჯვით დაღლილს.
ვინც უმძიმესი დაძლია მარცხი,
მამუკა, ამ გულს, აგებულს ნადვლით,
შენ მაპატიე და სხვა დროს დავცლი.

* * *

მე მეგობრებმა დამწყვიტეს გული,
მარიდეს თვალი და მიმატოვეს,
შენ კი გამიგებ ახლა ამ წყურვილს,
თუ რა ძნელია მთლად სიმარტოვე.
ვერ ვიტყვი, თითქოს არ გცეს პატივი,
თავზე გადაგყვინენ, გითიეს ღამე,
წინ შენი სახე ედგათ ხატივით
და შენზე ფიქრით გადაიღალენენ.
მერე პეშვებით გაგიტბეს მიწა...
მოურწყეს ძირი შენს ტოლ ჩინარებს,
და როცა მორჩნენ ყველაფერს, იმ წამს
დაკრეს ფეხი და გაუჩინარდნენ.
მე სწორედ მაშინ მინდოდა დიდხანს
მათი ფუსფუსი და ლაღი სუნთქვა,
მათ კი პასუხიც ვერ გაცეცხ კითხვას:
რით გაგამხნევოთ? რა უნდა ვუთხრათ?
რა და წუხილი ბანზე აეგდოთ,
სახლამდე ძმურად გამაცილებდნენ,
მომიყვებოდნენ ახალ ანეკდოტს,
გულდამძიმებულს გამაცილებდნენ,
ცისა და მიწის მეტყოდნენ ამბავს,
გადამიხსნიდნენ ოცნების სარკეს.

ნაღველს გამყრდინენ და ასე, ალბათ,
მომაბრუნებდნენ ცხოვრებისაკენ.
მაგრამ დამტოვეს გზაზე, ვით მწირი
და მომანატრეს სიტყვის საუნჯე,
მათ ჩემთან მუდამ ასსოვდათ ლხინი
და ჩემ დარდს, ალბათ, ველარ გაუძღეს.

* * *

მე ვზივარ სახლში, ვით დაცლილ ჭურში
და მოურჩენელს ვებრძვი იარებს,
აქ ყოველ გულში, ყოველ კუნჭულში,
შენი ნათელი სული რიალებს.
ვერ ვუზიერ მე შენს სევდიან სურათს
და ნივთებს ვმაღავ, რაც მხვდება თვალში,
მაგრამ ხსოვნას კი ვერ ვმაღავ სულაც —
რაც გულში რჩება, იმას რა წაშლის.
...იმ დღეს ბიჭები გეწვივნენ დილით,
თვალს არიდებდნენ ლოგინს ცარიელს,
გაგუმასპინძლით ათასგვარ ხილით,
ლიმონათებიც ბევრი დალიეს.
ძლივს იფარავდნენ დაბერილ მუცლებს,
შენი ბურთებით გაერთვნენ მერე,
ერთხანს იცვლქეს. გავარდნენ უცებ
და დარჩა ისევ სიცარიელე...
ისინი მოვლენ ყოველ ექვს აპრილს,
მაგრამ თვალები ექნებათ სველი,
და მათ შენს ნაცვლად უთქმელი ზღაპრით
დიდი სურათი შეხვდება შენი.

* * *

სულ ხუთი წელი იხარე ქვეყნად,
რა არის ეს დრო — სიზმრების ტოლი,
ბელურასთვისაც არა ღირს კვეხნად,
შენ კი ოცნების გერქვა პატრონი.
შენ სხვა იყავი — ადამის ძირი,
კაცური კაცი ადრე თუ გვიან,
და გასავლელი გქონდა მანძილი,
რომელსაც დიდი სიცოცხლე ჰქვია.
ძალა არ გედგა ფალავნის, იქნებ,
მჯერა, დიდებულს შექმნიდი ნახატს,
ანდა, ჭკვიანურს დაწერდი წიგნებს,
შთამომავლობა სულ რომ ინახავს.
მაგრამ ეს გული, ჩანს, ზედმეტს ითხოვს,
შენ ჰგავდი წამით მოსულ ანგელოზს,

და ისე ბრძნულად იცოცხლე, თითქოს
ერთი ცხოვრება უკვე გაგველოს.

* * *

ჰე, ჩემო ბედო, მწარე იმედო,
ასე უწყალოდ რად გამწირე მოყვასი შენი,
თუკი მიბოძე, რად წამართვი საუნჯე იგი,
რომლის დაკარგვას თვით ღმერთებიც ძნელად იტანენ.
ალბათ ფიქრობდი, ფრთამოტეხილს მნახავდი ტანჯვით,
მაგრამ შენ შეცდი. მე არა ვარ ჩიტი ჩიორა,
ყოველ თხოვნაზე კანკალით რომ გიგდებდე ბარტყებს.
მე ძე ვარ კაცის, ამა ქვეყნის ერთგული მკვიდრი,
ვით იაკობი, გავმრავლდები, გავდიადდები,
ვუხმოზ იმედებს და ცხოვრების ფერხულში ჩაბმულს
გზას გამინათებს ჩემი ბიჭის ნათელი სული.



ქვეყნის ინჟინერი

მოთხრობა

სერგომ ქოშინით აირბინა საერთო საცხოვრებლის კიბე, მეხუთე სართულზე ავიდა და კუთხის ოთახის კარზე დააკაჟნა.

— ვინ არის? — მოისმა შიგნიდან ქალის ხმა. მალე კარიც გაიღო:

— გამოჩნდა ახალი მთვარე, — თქვა კარში გამოსულმა გოგომ.

— გამარჯობა, გვანცა... — მიესალმა ბიჭი.

— გამარჯობა... — ნაწყენი კილოთი უპასუხა გვანცამ. მერე სტუმარი ოთახში შეიბატოდა, პალტო ჩამოართვა, სკამი მიუწია. თვითონაც ჩამოჯდა. გოგოს სიფრთხანა ქსოვილისაგან შეკერილი ხალათი ეცვა. ძალიან უხდებოდა. სერგო უყურებდა და ისეთი გრძობა ეუფლებოდა, თითქოს შუა გაზაფხული იყო.

— დავითმა მითხრა, გამოიარეო... — დაარღვია დუმილი ბიჭმა. რამდენიმე კვირა არ ენახა გოგო და თვალს არ აშორებდა, — სად არის დავითი?

დავითი გვანცას უფროსი ძმა იყო, — მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტი, ოღონდ დაბალი, შავკვრემანი ბიჭი. შარშან სვანეთში ჭუბერის მიდამოებში გათხრებს აწარმოებდა.

— მივლინებით გაგზავნეს. მგონი, ქარელის რაიონში; დილით წავიდა...

სერგოს ეწყინა დავითის წასვლა. მე-

სამე ადამიანთან უფრო თავშეკავებულა კაცი. არ იცოდა, ეყოფოდა თუ არა დღეს ნებისყოფა; ეშინოდა, არაფერი წამომცდესო. ორი წელია დადის გვანცასთან და ჯერ არაფერი შემჩნევია.

„მაგრამ როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?“ — ეკითხებოდა ხოლმე თავს. პასუხი კი ვერა და ვერ გაეცა. იმ დღეს კი იგრძნო, რომ დაავიანა. ბევრი რაღაც იგრძნო იმ წუთში...

— იცი, სერგო, გვანცა რომ თხოვდებოდა? — უთხრა ერთხელ დათომ.

ისინი ფეხით მოუყვებოდნენ შინისკენ. მოღრუბლული დღე იყო. ოღონდ სცრიდა კიდეც. სერგოს რაღაცამ დაუწყო ტანში ჩხვლეტა და წვალემა, თითქოს წვიმის წვეთები ფოლადის ნემსებად იქცნენ და ისინი ჩხვლესდნენ. დათომ ვერაფერი გაიგო. არც უნდა გაეგო, ალბათ. სერგოს არასოდეს ჰქონია მსახიობის ნიჭი, მაგრამ ახლა რომ არაფერი გამოამქლავნა, თვითონვე გაუჯვირდა.

— ჰო... მოსალოცია... — გაიღიმა სერგომ.

— იმ ბიჭზე ვერასოდეს ვიფიქრებდი... — წყნარად თქვა დათომ.

— ეს მართალია, მეც ვერ წარმოვიდგენდი, — მხრები აჩეჩა სერგომ.

დათომ ისიც თქვა, სერგომ ვერ ივარ-

ხა გვანცამ. მას ლექსების თხელყდინი წიგნი ეჭირა და ფურცლავდა.

სერგო ფაროსმანის ნახატებს ათვალეირებდა. ირგვლივ მიმოიხედა, ვერაფერი შენიშნა ისეთი. მერე გვანცას შეხედა და აათვალეირა:

— მშვიდობაში ახალი ხალათი, — ზედმეტი იქნებოდა დაეყოლებინა, გათხოვებაშიცო და ამიტომ, არც უთქვამს. გოგოს ლურჯი, ახალი ხალათი ეცვა.

— ვერ მიხვდი! — ოდნავ ნაწყენი ხმით თქვა გოგომ, — მე ნახატზე ვამბობდი... შენ რომ თქვი, ტანში მზარავსო. ჩამოვხსენი, რომ წახვედი, იმ დღესვე ჩამოვხსენი... მერე ვიცდიდი, როდის მოხვიდოდი... არა და არ გამოჩნდი...

იმ ნახატს „ბალერინები“ ერქვა. ბიჭის პირდაპირ კედელზე ეკიდა. ახალგაზრდა გოგოები შიშველ-ტიტველნი ისხდნენ გასახდელში და საუბრობდნენ. სწორედ ამიტომ ვერ იტანდა, მეძავ ქალებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ბალერინებს... სურათს ვერცხლისფერი საღებავი ცივ ელფერს აძლევდა და უსიამოვნო გრძობას იწვევდა. ასეც უთხრა იმ დღეს გვანცას.

— მე რატომღაც მეგონა... მართლაც გრძობას ბადებდა... — კიდევ უფრო გაიბუტა გოგო.

— ასეც იყო. ერთ დროს ასე იყო... მერე შევეჩვიე, არ ვაქცევდი ყურადღებას.

ჩამოხსენდა. გვანცამ სინათლე აანთო. ფანჯრიდან ხელსართულიანი საერთო საცხოვრებლის კორპუსი მოჩანდა. იქაც ანთებდნენ სინათლეებს. მოჩანდა, აგრეთვე, ფუნჯიკულიორი და მაღალი ტელეკომპი. მალე კომპზე წითელი ნათურები აკიაფდა. ახლა აღარ წააგავდა იგი ზღაპრული ადამიანის ჩონჩხს, — წითელმა ნათურებმა ჩვეულებრივი სატელევიზიო კომპი გახადეს.

გვანცა ისევ წიგნს ფურცლავდა.

სერგო ამ წუთში „მძინარე მზეთუნახავს“ უყურებდა და უცბად გვანცა წარმოიდგინა მის ადგილას. სძინავს. ხელეები თავქვეშ ამოუდგია. თუმცა ხომ შეიძლება, თავქვეშ არ ამოიდოს ხელი. იქ-

ნებ არ უყვარს ასე? ყველას აქვს გულ-ლება, როგორც სიამოვნებს, ისე დაწვეს. ზოგი პირადმა წვება, ზოგი გვერდით, სერგოს კი პირდაღმა სჩვეოდა წოლა.

ბიჭმა გვანცას გადახედა და რატომღაც იფიქრა, რომ ისიც პირდაღმა წვებოდა, რატომღაც ასე იფიქრა. წვეს გვანცა და ფიქრობს რაღაცაზე, ვიღაცაზე, რაღა ვიღაცაზე...

— მოდი, რა გაჩვენო, — უთხრა გვანცამ. — თუმცა, ალბათ, არც ის მოგეწონება...

მეორე ოთახში გაიყვანა. თეთრი ფარდა ამ ოთახს შუაზე ყოფდა. გოგომ გადასწია ფარდა და შიგნით შევიდა. სერგო ამ ფარდის უკან არასოდეს ყოფილა, ის ადგილი მთლიანად გვანცას ეკუთვნოდა. ახლაც მოერიდა და არ შეპყროლია.

გვანცა მოუბრუნდა, ხელი ჩაჰკიდა: — მოდი, რა იყო... — მერე კედელზე ჩამოკიდებულ ნახატს ზედ ჩამოფარებული გაზეთი ჩამოხსნა. ლურსმანზე ეშხით აღსავსე ქალის სურათი ეკიდა.

რენუარის „მობანავე დედაკაცი“!.. იცნო სერგომ. მართლაც შესანიშნავი იყო.

— დათომ მოიტანა, ჩამოჰკიდა და გაზეთი ჩამოაფარა...

— ასეთ სურათებს გამოფენაზე ვეღარ ნახავ, იქ უფრო სოლიდურ ნამუშევრებს აჩვენებენ ხოლმე...

— მოგწონს?

— მშვენიერია.

— „ბალერინები“ რომ არ მოგეწონა?

— „ბალერინები“ სხვა იყო. იქ ისინი სხვა რამეს მაგონებდნენ. აქ კი ქალი ნამდვილი ქალია და ნამდვილად ბანაობს. მერე ისეთი ცოცხალია...

გვანცამ ისევ ჩამოაფარა გაზეთი.

ბიჭი აფორიაქებული იყო: გვანცას მთელი საუბრის მანძილზე ხელი ჩაეკიდა მისთვის, თანაც ის ქალი და გვანცა რაღაცით გააივივა; თუმცა, რა საერთო ჰქონდათ ერთმანეთთან.

აივანზე გამოვიდა. კედელთან მურაბითა და მყავე კომპოსტოთი საგსე ქილები ელაგა. ნათურის სინათლეზე ჩან-

და პირგახსნილი, ხახვითა და კარტოფი-
ლით სავსე ჩანთა. აივნის მარჯვენა კუთ-
ხეში, რკინის ცხატრთან, ხელადა მიედ-
ვათ. სერგომ აიღო და შეანჯღრია; ცო-
ტა ღვინო დარჩენილიყო.

— სოფლიდან ჩამოგვიტანეს... რამ-
დენი ხანია, გელოდება...

— დიდი მადლობა, გვანცა...

— ნახავ როგორ მოგეწონება, საგან-
გებოდ დაყენებულია... უბრალო არ გე-
ვონოს... — გაწითლდა რატომღაც აი-
ვანზე გამოსული გვანცა.

ბიჭი ვერ მიხვდა, რატომ გაწითლდა.
რა არ იფიქრა, მაგრამ ვერ მიხვდა.

მართლაც კარგი ღვინო იყო. რომ ამ-
ბობენ ხოლმე, „საქალო ღვინო“, სწო-
რად ისეთი. სერგო სმაში ერთობ მოი-
სუსტებდა და უფრო ამ „საქალებოსა-
კენ“ მიუღიოდა გული. ეს ამწანაგებმაღ
იცოდნენ და სუფრაზე არასოდეს აძა-
ლებდნენ სასმელს.

გვანცამ ისევ დაუსხა...

— შენც დაისხი...

— ჩემთვის კი არ შემინახავს...

— მერე რა?

— ნამეტანი მომივა...

— როგორც დიდ მსმელს შემინახე,
არა?

დაისხა.

ამინდის, სითბოსა და ცის ფერის სად-
ღეგრძელო წარმოთქვა:

— ჩრდილოეთში ახლა ოც გრადუსა-
მდე ყინავს, რადიოთი მოვისმინე... ჩვენ-
თან კი... — სერგოს ძალიან უხაროდა
რადაცა, ალბათ ასეთი კარგი რომ იყო
გოგო, ის უხაროდა. მას არ ეკუთვნოდა
მისი სიკარგე და მომხიბლაობა, მაგრამ
შინც უხაროდა.

— ახლა შენი ჯერია, თქვი რამე,
ოღონდ უნდა მომეწონოს...

— რომ ვერ ვთქვა?

— აბა, რისი ქურნალისტი ხარ. ყური
წაილო შენმა რეპორტაჟებმა; — წამოდ-
ვა, ოთახში შევიდა და რადიო ჩართო:

„...საპრობილედან გამოსვლის რამ-
დენიმე დღის შემდეგ, საბოლოოდ უმ-
ტყუნა დაძაბუნებულმა სხეულმა და ვაჟ-
კაცურად შეეწირა თავის იდეალებს.

1947 წელს კი გამოვიდა დაუდგენი-
მებრძოლის — ანტონინო გრამშის „კა-
ხის რვეულები“, მთელმა კაცობრივმა
გაიგო, რომ იგი ისევ ცოცხლობს, სამუ-
დამოდ ცოცხლობს...“

გვანცამ გამოართო. სახემოღუშული
გამოვიდა აივანზე:

— საწყალი გრამში...

სერგომ უსიტყვოდ გადაკრა სასმელი:

— იტალიელი მარქსისტი! მუსოლინს
თერთმეტ წელიწადს ჰყავდა დილეგში.
რომ მოენანიებინა, გაანთავისუფლებ-
დნენ. მაგრამ არა ქნა... ნამდვილი რაინ-
დი იყო...

გვანცამ ისევ დაუსხა.

— რა, არ თავდება შენი საგანგებოდ
დაყენებული ღვინო?

აივნიდან მთელი ეზო მოჩანდა; სერ-
გოს სასმელი მოეკიდა, ძალიან უნდოდა
გვანცასთან დაენახა ხალხს — გამვლელ-
სა და გამომვლელს, ნაცნობსა და უც-
ნობს; ოღონდ დაენახა ვინმეს. სიცივი-
თაც არ ციოდა მაინცდამაინც. რა ეცი-
ვებოდა, დღისით ოც გრადუსამდე სით-
ბო იყო.

— სანამ სადღეგრძელოს არ იტყვი,
არ გათავდება, — გაიცინა გვანცამ.

სერგოს გვანცასთვის აღარ დაუძაღე-
ბია მეტი. ჭიქა კი კარგი მსმელივით ეჭი-
რა. წელანდელივით კარგ ხასიათზე ვერ
იყო. გრამშის სიკვდილმა იმოქმედა.

„ვისაც ლექსების კითხვა უყვარს,
მგრძნობიარე და სათუთები არიან“, —
ფიქრობდა სერგო.

მერე კავკასიონის სადღეგრძელო
თქვა:

— ცივი ქარებისაგან რომ გვიცავს...

გვანცამ გაიცინა და გამხიარულდა.
ძალიან მოეწონა ბიჭის სადღეგრძელო.
მერე ხმამაღლა წაიკითხა ანა კალანდა-
ძის ლექსი:

და... როდესაც მზეს შევხედე გვირგვინოსანს,
ჩემო კარგო, ქვეყანაზე გავჩნდი ოდეს...

— მე ინგლისურად ვთარგმნე ეს ლექ-
სი, ისე, ჩემთვის ვცადე უბრალოდ.

გვანცა „ინგლისელი“ იყო და ძალიან
ამაყობდა ამით: ახლა თარგმანის კითხ-

ვა მოინდომა, რვეული გამოიტანა და წაიკითხა...

სერგომ ვერაფერი გაიგო:

— სხვა უკეთესი ლექსებიც აქვს...

— კი აქვს, რა თქმა უნდა...

ბავშვივით ლაპარაკობდა. ისედაც ბავშვივით იყო, ისეთი სუსტი და სათუთო, რომ ვინმე თუ შეეხებო, ეგრევე დადნებოდა, — ფიქრობდა სერგო. მთელი ორი წელი ასე ფიქრობდა. აქაც გამოიჭირა თავი. გადაჭარბებული გულუბრყვილობით მოსდიოდა თუ რა, ვერ გაეგო. სხვა სხვაგვარად ფიქრობდა, ალბათ. აი, ზუზუბი... არც აცია, არც აცხელა: ერთ კვირაში კიდეც გაიცნო და კიდეც მოაგვარა საქმე.

სერგო აივანზე გადაეყრდნო და ქვევით გადაიხედა. დუმდა.

გოგომაც მას მიბაძა. ისიც დუმდა.

მერე სერგომ ვიღაც ნაცნობს თუ ახლობელს მოჰკრა თვალი, მაგრამ ვერ მიხვდა, ვინ იქნებოდა. არც უფიქრია გამოეცხო. იგი ვიღაც მაღალ ბიჭთან მიდიოდა. ხელკავი გაეყარა და ტვირთივით ეკიდა მკლავზე. სინათლეზე რომ გავიდნენ, მაშინლა იცნო — მანანა იყო. მესამე კურსამდე მათ ეზოში, ნაჭირავე ბინაში ცხოვრობდა სერგო. რაც იქიდან წამოვიდა, იშვიათად ხედავდა, ის სხვაგან სწავლობდა, თვითონ სხვაგან. აქ რომ დაინახა, გაუკვირდა. ქალაქელი გოგოები იშვიათად მოდიოდნენ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში.

— ვის უყურებ? — ჰკითხა გვანცამ.

— ის გოგო ჩემი ნაცნობია. რა უნდა...

— იმ ბიჭს ხშირად მოჰყვებიან გოგოები. დიდი კვაჭია, ეტყობა... მესამე სართულზე ცხოვრობს, ჩვენს პირდაპირ. აქედან ყველაფერი ჩანდა:

ოთახის კარი გაიღო. იმ მაღალმა ბიჭმა პალტო გაიძრო და საწოლზე მოისროლა. მერე მანანასაც ჩამოართვა პალტო...

— შევიდეთ, რა?! — ბიჭს აღარ უნდოდა გარეთ ყოფნა.

— შევიდეთ, ცოტა შემცივდა.

ოთახში ცხელოდა. ბიჭი თვალმოუჭრებლად მისჩერებოდა გოგოს. უნდოდა რაღაცა ეთქვა, მაგრამ...

თვალი მოპირდაპირე შენობისაკენ გააპარა, — სინათლე ისევ ენთო...
მაგრამ რა უთხრას?

„სულ ერთია, — უპასუხებდა ვიღაც, — მაინც არაფერი შეიცვლება, რაც არ უნდა უთხრა, მაინც არაფერი შეიცვლება... ამიტომ სულ ერთია, რასაც ეტყვი:“

„ახლა ლამაზი სიტყვებია საჭირო; ლამაზი სიტყვები უნდა მოუძებნოს.“

მაგრამ სიტყვებმა დაკარგეს აზრი, ცნება, სახე; გამოიფიტნენ. სიტყვები აღარ არსებობდნენ. მიხვდა, არაფერი გამოუვიდოდა, ადგა და პალტო ჩაიცვა:

— წავალ, ისე სჯობია... — თქვა სერგომ.

გვანცა უთოს რთავდა, გაოცებულმა გადმოხედა:

— დარჩი ცოტა ხანს, რა მოგივიდა...

— წავალ ბარემ... ალბათ თავიც მოგაწყინე.

— არა გრცხვენია?

ბიჭმა კვლავ გაიხადა პალტო და ჩამოჯდა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

მერე გოგომ დაიწყო:

— არაფერი მახსოვს, ვინ იყო... რა იყო... გესმის? არაფერი მახსოვს! რატომ არ მახსოვს? — ხშირად ვეკითხები ხოლმე თავს. იქნებ იმიტომ, რომ ასე უცბად მოხდა ყველაფერი, — რაღაც ერთ კვირაში! მაგრამ მესხიერებისათვის ხომ წამიც საკმარისია, თუ კია რაიმე დასამახსოვრებელი?!.. ჯარში რომ წაიყვანეს, მივხვდი, არჩევანში შევცდი. მივხვდი და ავწრიალდი. საბედნიეროდ, არც ისე გვიანი იყო... ახლა ისეთი გრძნობა დამრჩა, თითქოს არც არსებობს, თითქოს არაფერიც არ მომხდარა ოღონდ თავისთვის ვერ მიპატიებია.

კარზე დააკაკუნეს.

სერგოს ეგონა, გვანცა გავიდოდა და გაუღებდა, მაგრამ რ გასულა; ტუჩებზე ხელისგული მიიღო — გავჩუმდეთო. საშინლად გაწითლებულიყო. ალბათ, რცხვენოდა. მერე კაკუნი შეწყდა.

— ახლა არ შემიძლია სხვასთან ლაპარაკი...

დაწყებული საუბარი განაგრძო:

— როგორ მოხდა, ასე უცბად რომ გავიცანით? აზრზე ვერ მოვსულვარ.

სერგოსაც გადაედო აღელვება, მაგრამ თავს იკავებდა.

— აბა, მე რა უნდა ვთქვა... კარგი ბიჭია, ისე, ახლოს არ ვიცნობ.

— არ ვიცი, რა იქნება. მეშინია... უფრო და უფრო მეშინია.

— ჯერ არ მჯეროდა, ვერ წარმომიდგინა, ასე იოლი თუ იყო შენი გულის მოგება. მერე კი ვირწმუნე... ყველაფერი ვირწმუნე.

— წერილები დღე-დღეზე მოდის... მე კი არ ვიცი, როგორ მოვიქცე...

— ერთი წლით წაიყვანეს, არა?

— კი... ერთი წლით.

— რამდენიმე თვეში დაბრუნდება და ყველაფერი კალაპოტში ჩადგება. იქნებ, მოგენატრა და იმიტომ ხარ ასე...

გვანცა ატირდა.

ბიჭმა იხანა, ასე არ უნდა ეთქვა.

— შენ... შენ არ გინდოდა ვეთქვა რამე?

სერგო ანერვიულდა.

ხელი აუკანკალდა. მამამისს ყველაზე უფრო ამაში ჰგავდა, — ნერვიულობისას ხელი უკანკალდება ზოლმე. იდაყვით მაგიდას დაებჯინა და შუბლი ხელისგულზე ჩამოსდო:

„ისე, კაცმა რომ თქვას, რა აზრი აქვს იმის თქმას, რაც არაფერს ემსახურება... რაც ზედმეტია და უღროო?“

— მოსახდენი მოხდა... ალბათ, ასეც უნდა მომხდარიყო, — დაიწყო სერგომ, — რა საჭიროა წარსულში გადავარდნა...

— ჰო, თქვი, ბოლომდე თქვი...

— დავაგვიანე... აი, სიმართლე თუ გინდა. დავაგვიანე და წყალში ჩაცვივდა ყველაფერი... ეშმაკმა უწყის, ვინაა დამნაშავე. მე არასოდეს მეგონა, თუ რაიმე გამომივიდოდა... არც მითქვამს არაფერი. მეგონა: ვინმე რომ შეგხებოდა, — დადნებოდი... მე კი არ მინდოდა ეს... მე არა ვარ ისეთი, გესმის? როგორც ჩანს, ვცდებოდი... — ბიჭს ხმა აუკანკალდა. ოთახში ისედაც ბნელადა და სულ აერია თვალწინ ყველაფერი.

— თქვი, ყველაფერი თქვი...
ბიჭს, თითქოს ძალა წაერთვა, ალბათ შეეძლო ლაპარაკი. დღემდა.

— მე ხშირად მეგონა, რომ შენი დამოკიდებულება ჩემდამი, ჩვეულებრივი არ იყო. მიხაროდა კიდევ... მერე კი ეჭვები შემეპყრობდა — ალბათ მეჩვენებდა, თორემ რატომ არაფერს მეუბნებამეთქი. მთელი ორი წელი ქვასავით დღემდი... მერე მე გაგვბრაზდი. გაგვბრაზდი და ვისულელე. ალბათ, არის ასეთი გრძნობა ადამიანში, თითქოს შურს იძიებ... — მწარედ გაეღიმა გვანცას.

— მეორედ თუ შესამედ ვიყავი თქვენთან, კარგად არც ვიცნობდით მაშინ ერთმანეთს. კარგ ხასიათზე ვიყავი, ბევრს ვლაპარაკობდი: მინდოდა, თავი მომეწონებინა. როგორ მინდოდა და, უცბად, შენ მკითხე:

— მგონი, კურნალისტი ხართ, არა?

მეგონა იცოდი, რაც ვიყავი და განგებ შემეკითხე, რომ ნაკლები მექაქანა. პირველი დარტყმა გადავიტანე, მაგრამ ამას მოჰყვა მეორე, უფრო ძლიერი. და შენც შეამჩნიე, ალბათ, მერე და მერე როგორი ჩუმი და მოკრძალებული გავხდი. სულ წამერთვა ლაპარაკის სურვილი. ასე იყო... მერე მგონი კუნჩხვებზე ვსაუბრობდით. მე ლენინგრადის შთაბეჭდილებებზე ვიყუებოდი და თვალბეჭდით მოგშტერებოდი. შენ ისევ შემაწყვეტიხე, რატომღაც ერთი ისტორიის მოყოლა მოიწადინე.

ქალმა ცრემლიანი თვალებით შეხედა.

— გახსოვს? ერთ შენ სოფელ ბიჭზე ჰყვებოდი, გოგო რომ შეპყვარებოდა: ის გოგო ულამაზესი არსებობდა მთელს ინსტიტუტში. მანქანებით მოჰყავთ და მიჰყავთ თაყვანისმცემლებს. ეს ბიჭი კი დასდევს და ერთ ამბავშია. ყველამ იცის, როგორც უყვარს და სამინლად ეცოდებათო:

„— რა ცუდია, არა, ვილაცას რომ ეცოდები? სიყვარულის ნაცვლად, ეცოდები! ის გოგო არასოდეს არ გაივლის მასთან. მგონი სასაცილოდაც არ ჰყოფნის. ზედმეტი მოუვიდა!“ — თქვი შენ.

გვანცა თავდახრილი უსმენდა.

— არაფერი მითქვამს. ისე გამოდიო-
და, იმ ბიჭმა მართლაც ზედმეტი მოინ-
დომა. მე ერთი რამე ვერ გამეგო მხო-
ლოდ: რად დასჭირდა ამისი თხრობა, ხომ
არ მაფრთხილებს? თანაც მეექვსეობდა,
ნუთუ ამდენ წინდახედულებას იჩენს-
მეთქი.

გვანცა ტიროდა. სერგოს სიბნელი-
სათვის შეეჩვია თვალები, ხედავდა, რო-
გორ უცახცახებდა სხეული.

მერე გოგომ თქვა:

— არა გრცხვენია?

ბიჭს მართლაც რცხვენოდა. თავი ხე-
ლებში ჩაერგო და განუშებულიყო. თი-
თები საფეთქელზე მოეჭირა, სისხლი
ავარდნოდა და ლამის თავი უნდა გასკ-
დომოდა.

ერთხანს ასე იყო და ყველაფერს ნა-
ნობდა. რცხვენოდა — „როგორ გაიფიქ-
რა გვანცაზე ასეთი რალაცა...“

მერე თავზე ხელის შეხება იგრძნო,
პატარა და ნაზი თითები ეალერსებოდ-
ნენ. ტუჩები კი ჩურჩულებდნენ, რალა-
ცას ჩურჩულებდნენ, მაგრამ ბიჭი ვერ
არჩევდა — რას.

იგი ნამდვილად ეალერსებოდა. გვერ-
დით ჩამოუჯდა, ისევ ეალერსებოდა...

— არა გრცხვენია?... როგორ არა
გრცხვენია?! — კვლავ ჩურჩულებდა.

მერე მხარზე გადასდო ხელი და ზურგ-
ზე მიეყარნო.

ეს იყო სიზმარი, ყველაზე ლამაზი
სიზმარი. უნდოდა, დიდხანს გაგრძელე-
ბულაყო იგი. ცდილობდა, არ განძრეუ-
ლიყო. სუნთქვაც კი შეწყვიტა, ოღონდ
არ დაეფრთხო გოგო... გვანცას სხეუ-
ლის სითბო თანდათან გადმოდიოდა მას-
ში და ქრუანტელი უვლიდა. მერე მიხვ-
და, რომ მეტი აღარ შეეძლო და წა-
მოიწია. ფრთხილად წამოიწია, — ოღ-
ონდ არ დააფრთხოს, ოღონდ არ დაა-
ფრთხოს... გოგოს მკერდი ცხელი იყო,
თვალები კი ნაზად მიეღულა.

ბიჭმა დახუჭა თვალები და ასე ერთ-
მანეთს ჩანუტებულნი იყვნენ დიდხანს.
მერე სერგო წამოდგა და წასასვლელად
მოემზადა. გოგომ რალაცნაირად შემოკ-
ხედა ბიჭს, თითქოს უნდოდა ეთქვა, ნუ

მიდისარო, მაგრამ ენა ვერ დაძრა.
მხოლოდ თვალებით ემუდარებოდა.

მერე ბიჭი აღგა და გარეთ გადმოვიდა.
სივრილემ გამოაფხიზლა. დერეფანში
კაცის ჭაჭანება არ იყო. ყველას ეძინა.
ხმაურით დაეშვა კიბეზე. სახლში სულ
ეუბნებოდნენ ზოლმე, ფეხებს მაგრა
აღგამო. ვერა და ვერ გადაეჩვია.

სიარულისას ხელების რალაცნაირი
უშნო ქნევაც იცოდა. პატარაობისას ჯა-
რისკაცებს რომ ბაძავდა, იქიდან დაჰყვა.
იმხეც ეუბნებოდა დედა, მოიშალეო.
ამხანაგებიც ეუბნებოდნენ და გადაეჩ-
ვია, როგორც იქნა. ამ ფეხების ბაკუნს
კი ვერა და ვერ შეეშვა.

კორპუსის კარი ჩაეკეტათ. დარაჯს და-
უბრაახუნა.

დარაჯი ცალთვალა იყო. სერგო რომ
დაინახა, ისეთი შეუბღვრა, კარი ღია-
რომ ყოფილიყო, ეგრევე გავარდებოდა
გარეთ. ისე ძალიან კი შეეცოდა. ნაცვა-
ვილარი სახე ჰქონდა და ყველაფერი
უბედურება მისთვის დაეტება გამჩენს-
თუ რალაცას. ბუზღუნებდა და იგინებო-
და, — მაგათი ჯიში და ჭილაგი გაწყდა,
არ მოგასვენებენო.

სერგოს თავში გაუელვა, რომ შეიძ-
ლება ამ დარაჯივით იშვიათად თუ ვინ-
მეს სძულებოდა ქალები, ყოველნაირად
სძულებოდა. მოკლე, მუხლებამდე კა-
ბებესა და პალტოებში გამოწყებილი გო-
გონები, მაღალ და ლამაზ ბიჭებთან
ხელგაყრილნი, მის თვალწინ გადი-გა-
მოდინდნენ... ასე იყო მუდამ, ყოველ-
დღე, გადიოდნენ და შემოდინდნენ.

ამის გაფიქრებაზე კიდევ უფრო შე-
ეცოდა დარაჯი, და ფიქრობდა, რომ მი-
სთვის უფრო კარგი იქნებოდა, სოფე-
ლში დარჩენილიყო, იქაურ სიმყუდრო-
ვესა და პირველყოფილებაში...

— ყოველდამე ახლები მოჰყვებიან...
სულ უცხო ბიჭები. მოჰყვებიან და მო-
ჰყვებიან...

ეს ქალების კორპუსი იყო და ამ და-
რაჯს ნათესავი და ამხანაგი, როგორც
ჩანს, საყვარელში ჰყავდა არეული.

— შენ არ დადიხარ ამხანაგებში ან
ნათესავებში? — შეეკითხა სერგო.

— მიდი, მიდი, შუალამემდე არასოდეს ვრჩები... აი... — ნიშნისმოგებით უპასუხა დარაჯმა.

პასუხი არ გაუცია, გარეთ გამოვიდა. მთაწმინდიდან წითლად აბრწყვალებული ტელეკოშკი მოჩანდა. კოშკის ნათურები თვალებს აპაჭუნებდნენ და თავის ენაზე ესაუბრებოდნენ დიდი ქალაქის ლამპიონებს.

მეხუთე კორპუსიდან კარების კრიბალი მოესმა. გოგო გამოვიდა. ვილაცამ კარები მოუჭახუნა. ისე მაგრად მოუხურა, ლამის დაამტვრია.

სერგოს მოეჩვენა, თითქოს გოგო მთვრალი იყო და ბარბაცებდა.

კორპუსებზე გაახსენდა: რალაც საბოლოდ წლის წინათ მათი ხსენებაც კი არ იყო. ახლა კი იდგნენ და რამდენადამიანს ათევიანებდნენ ღამეს.

უცბად ვილაცის ნაბიჯების ხმა მისას აეწყო. თავი ასწია, ის გოგო იყო პირდაპირ გადმოუხვია და კინალამ ერთმანეთს დაეჯახნენ.

— შენ, მანანა! — აღმოხდა სერგოს, — გადავიწყებოდა, წელან რომ მოჰყვებოდა ვილაც ბიჭს, თანაც ამდენ ხანს თუ დარჩებოდა, რას წარმოიდგენდა.

— ჰო, ამხანაგთან ვმეცადინეობდით და შევერჩით... — თქვა მანანამ.

სხვა დროს, ალბათ, გოგოს მაგიერ გაწითლდებოდა.

— ახლა რითი უნდა წახვიდე? ტრანსპორტი არ მოძრაობს...

— მეც არ ვიცი, გარეთ რომ გამოვედი, მაშინლა მივხვდი, გვიანი რომ იყო. კიდეც კარგი, შენ განახე...

რამდენს სტყუოდა. მაგრამ ბიჭმა შეაჩვია ყური და სულ არ სწყინდა. ეს იყო, ვერ მოეაზრებინა, როგორ მოჭყეულიყო. მხრები აიჩეჩა...

— შენ სად ცხოვრობ? სად იყავი?.. — შეეკითხა მანანა.

— ამ კორპუსში, მეხუთე სართულზე, — შენობაზე მიუთითა სერგომ.

გასასვლელისკენ გაუყვნენ. უხმოდ მიდიოდნენ.

რკინის უზარმაზარი ჭიშკარი დაკეტილი დაუხვდათ. დარაჯს თავის ჯი-

ხურში სინათლე ჩაექრო და ეძინა. მას გაღვიძებას მესერზე გადაძრომების უს.

„წინათ უნივერსიტეტსაც ჰქონდა მესერი შემოვლებული, მაგრამ რატომღაც მოხსნეს.“

ჯერ სერგო გადავიდა, მერე მანანაც გადაიყვანა.

იქით, გასტრონომთან ვილაცა იჯდა და თვლემდა. ალბათ, დარაჯი იქნებოდა. ქუჩაში არავის ჩანდა.

— ღამით დარაჯებისაა მთელი ქვეყანა. — თქვა სერგომ.

ხანდახან მანქანა გაიქროლებდა და მოსახვევში გაუჩინარდებოდა.

ქალაქს ეძინა. მშვიდი ძილით ეძინათ დიდი ქალაქის ირგვლივ შემოჯარულ მთებსა და მუქი-ლილისფერი ბრეზენტივით გადმომხობილ ცას. მანქანების ბლაგილს არ შეეძლო მათი ძილის დაფრთხობა. ეს იყო ბუნების კანონი და ვერავითარი ძალა ვერ დაარღვევდა მას.

— რა სიწყნარეა, არა? — თქვა ბიჭმა.

— ვერ ვიტან რატომღაც... გული მეწურება...

გოგოს ახალ მოდაზე შეეკრა თავსაფარი. სიბნელეში დიდი და მრგვალი თავი მოუჩანდა. ბიჭს უკვირდა, რა აძულდებდა, — მაინცდამაინც, ასე დაეხურა თავსაფარი?

ისევ მანანას გადახედა.

„რომ უხდებოდეს, სულ სხვაა, სულ არ უხდება...“

თქმით არაფერი უთქვამს. ისე, ბიჭების უმრავლესობა ალმაცერად უცქეროდა ამ ულტრა მოდის მიმდევრებს. ზოგიერთმა გოგომ მშვენივრად იცოდა ეს, მაგრამ იხტიბარს არ იტეხს.

— ამალამ, თუ საერთოდ? — ჰკითხა სერგომ.

— ამალამ, რა თქმა უნდა...

— შენ ხასიათზე არ უნდა იყო. ზომ მართალია? ალბათ გადაიღალე...

არაფერი უპასუხა. კიდეც კარგი, არ დაუბოწმა, თორემ სულ გაუქრებოდა წარმოდგენა.

— წელს ამთავრებ, არა?

მანანა მასზე ერთი წლით გვიან მო-



ეწყო, მაგრამ სამაგიეროდ მისი ფა-
კულტეტი ოთხწლიანი იყო.

გუნება გოგოზე უფრო ჰქონდა წამხ-
დარი. თითქოს საგანგებოდ მოეწყო ეს
შეხვედრა. ლაყბობის ხასიათზე არ იყო.
მაგრამ რა უნდა ექნა, ხომ არ დამუნჯ-
დებოდა. რალაცა უნდა ეთქვა, თანაც არ
უნდოდა ეგრძნობინებინა, რომ ასე ეზა-
რებოდა მისი გაცილება.

— ერთი წელი დამრჩა...

— ოთხწლიანი არ იყო?

— კი, იყო... — ხმა აუთრთოლდა და
სლუკუნნი აუვარდა. სერგოს მარჯვენა
ხელი ჩაჰკიდა და სლუკუნებდა.

სერგოს ნათელა გაახსენდა. ნათელაც
იმ ეზოში ცხოვრობდა. მაშინ ის და მანანა
მეთათე კლასში სწავლობდნენ. ერთ
საღამოს მათ კამათს შეესწრო სერგო.
ეზოში დიდი თუთის ხე იდგა. იმ უბნის
ბინადარნი საღამოობით იმ თუთის ქვეშ
იკრიბებოდნენ ხოლმე. იქ დახვდნენ მანანა
და ნათელა. გაცხარებული კამათობდნენ.
ნათელა არა და არ უთმობდა, რალაცას
უმტკიცებდა. მანანამ ვე-
ლარ აიტანა და ტირილით შევარდა შინ,
სერგომ ვერც მერე გაიგო, რაზე კამათობდნენ.

— გახსოვს, მანანა, შენ და ნათელა
რომ კამათობდით?

მანანა ისევ ტიროდა.

ბიჭს ვერაფერი გაეგო: „რა ატი-
რებს?...“ თითქოს ინანიებდა რალაცას
მის წინაშე. მაგრამ — რას? რატომ?

გვერდით მილიციის მოტოციკლი გა-
ჩერდა.

— თქვენ რა, სახლი არა გაქვთ? —
არ გადმომხტარა, ისე ჰკითხა ლეიტენანტის
სამხრეებიანმა კაცმა.

მეორემ, უკან რომ იჯდა, მანანა შეა-
თვალეირა. მერე ბიჭს მიუბრუნდა:

— რატომ ტირის? — სინამდვილე-
ში, შენ ხომ არ აატირეო, უნდოდა ეკითხა,
მაგრამ ზრდილობიანად მიმართა.

— ვინ ტირის? — გაიკვირვა სერგომ —
ჰო, მანანა? ბებია მოუყვდა, ახალადა
დაურეკეს, იქ მივიღივართ სწორედ,
ჭონჭაძის ქუჩაზე...

— რომელ ნომერში?

— თხუთმეტში...

— თქვენი საბუთები, თუ...
ბა...

ბასპორტი თან არ ჰქონდა. ჟურნალისტის
წიგნაკი გაუწოდა.

მან დაკვირვებით გასინჯა. მერე მეორეს
ვადასცა, იმანაც გასინჯა და ნაცნობივით
შემოჰხედა სერგოს. ყველაფრიდან ჩანდა,
კეთილისმყოფლად იმოქმედა წიგნაკმა.

— რა ხნის იყო ბებიათქვენი? — თანაგრძნობით
შეეკითხა ლეიტენანტი.

მანანამ თვალეზი შეიმშრალა:

— რა ხნის იყო? — დაიბნა გოგო. მერე
ძალა მოიკრიბა და ვაეპასუხა, — ოთხმოცდაათის...

— ჰო, მაშინ არა უშავს, — ანუგეშა
უკან რომ იჯდა.

— ვერ ჩავეტევიო, თორემ ვაგაცი-
ლებდით.

— ო, რატომ წუხდებით... დიდი მადლობა...

— ქარგად იყავით.

მოტოციკლი დაიძრა და ელვის სისწრაფით
გაუყვდა ქუჩას.

— რანაირი ხარ! — თქვა მანანამ.

— რა იყო?

— არ უნდა მოგვეტყუებია.

— აბა, რა შეთქვა, თვითონ არ ვიცო,
რაზე ტირი...

— არ იცი, აბა... არ იცი!

ისევ დუმილი ჩამოვარდა.

მანანა რალაცაზე ჩაფიქრდა. მერე სიჩუმე
დაარღვია და თქვა:

— არაფერი სამეცადინოდ არ ვყოფილვარ.

— ვიცი.

— გივისთან ვიყავი, იმ კინოში რომ
თამაშობს! — უთხრა, რომელ კინოშიც
თამაშობდა.

— დავინახე, მაღალ ბიჭს მოჰყვებო-
დი.

— იცი, როგორია? უხეშზე უხეშში, მავას
ვილაცა ვეგონე...

— ძალიან გამიკვირდა.

— ჯერ არ მიშვებდა, მერე არც გამო-
მაცია. უგულო...

— უნდა გავცილებინე, გაცილება რა დიდი საქმეა.

„რამხელა თავგასული უნდა იყო, შუალამისას მარტო გაუშვა გოგო... — ფიქრობდა სერგო. — რომ გავცილებინა, ახლა საწოლში ვიქნებოდი“...

— ერთ დროს ვუყვარდი. ეს ორი წლის წინ იყო. ამხანაგები მეუბნებოდნენ — ისეთი გამოხედვა აქვს, მაგისი როგორ არ გეშინიაო. მე ეს მწყინდა და ვჩხუბობდი, ვებუტებოდი — არაფერიც, გეჩვენებათ-მეთქი. იშვიათად ვხვდებოდით. ერთ თავის ამხანაგთან დღეობაზეც კი დამბატიყა.

„რატომ მიყვება? — ფიქრობდა სერგო და ვერაფერი გაეგო, — მე ხომ არ მიმიცია რაიმე საბაბი?!“

ვითომ მანანას სიყვარულის ისტორია რაზე უნდა სცოდნოდა, რომელი მისი გულის მესაიდუმლე იყო?!

მანანა დაწყებულ საუბარს წყნარი და სევდიანი ხმით განაგრძობდა:

— დაჯერებული ვიყავი მის სიყვარულში. ერთ დღეს გაზეთში წავიკითხე, გივი ამა და ამ ფილმში მთავარი როლის შემსრულებლად კინოსტუდიაში მიიწვიესო. მალე რადიო და ტელევიზიაც ამაზე ალაპარაკდა. მთელს ქალაქს მოედო ეს ამბავი. იმდენს ლაპარაკობდნენ, თითქოს ქვეყნის აშენებას აპირებდა. მერე ხომ იცი, როგორ ჩაუფლავდათ ყველაფერი.

სერგოს ერთი თანაკლასელი გაახსენდა — ლეო ჭაბუკიანი. საოცრად კარგი ხმა ჰქონდა და ტელედიქტორობაზე ოცნებობდა. ერთხელ მართლაც გამოაცხადა ტელესტუდიამ კონკურსი საუკეთესო დიქტორზე. ეს ამბავი იანვარში მოხდა და გამოცდების პერიოდს დაემთხვა.

ერთი ძნელი საგანი ჰქონდათ ჩასაბარებელი — „ქართული ენის ისტორია“, ლექტორი საკმაოდ მკაცრი იყო. ეს ყველაფერი იცოდა ლეომ, მაგრამ მაინც საკონკურსოდ მზადება არჩია. ცნობილი პოეტების ლექსებს იხეპირებდა და ხმამაღლა უკითხავდა ამხანაგებს — როგორ მოგწონთო.

ამხანაგებმა ხუმრობით დემოსტენე უწოდეს. სერგო სვანეთში რომ მოვიღებოდა, ცერცვის კაკლებიც კი ჩამოუტანა, ლექსის კითხვისას პირში რომ ჩაედო. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ჭუმრობა იყო. ისე, გულით თანაუგრძნობდნენ ყველანი.

ლეო ამბობდა: როგორ გაუხარდება დედაჩემს, ტელევიზორში რომ დამინახავსო...

ამას რომ ამბობდა, უფრო იმისათვის თანაუგრძნობდნენ.

— გივისაც არ დააღა კარგი დღე... მაგრამ გოგოები ხომ იცი, რა ხალხია, არაფერს დაგიდევენ: დაესივნენ, რაღაც ახალი მხარეები აღმოუჩინეს, საზღვარგარეთელ მსახიობებს დაამსგავსეს...

„ლეოს ბედმა არ გაუღიმა. გამოცდაც ვერ ჩააბარა. სტიპენდიაც მოუხსნეს და შინიდან გამოგზავნილი რაღაც ოციოდე მანეთის ამარა დარჩა. სულ წყალში ჩაეყარა ყველაფერი. მეოთხე კურსი რომ დახურეს, აკადემიური აიღო — სოფელში სახლი უნდა ავაშენოო, და წავიდა. მერე დაუსწრებელზე გადაწყვიტა გადასვლა. ამხანაგები უშლიდნენ, მაგრამ არავის დაუჭერა.

ვიღაცამ თქვა: ალბათ, შეყვარებული ჰყავს სოფელშიო...

მაგრამ არავინ ჰყოლია. შარშან შემოდგომაზე მთელი ჯგუფი ესტუმრა. გელათში იყვნენ ექსკურსიაზე და იქიდან შეუხვიეს ლეოს სოფელში.

ძალიან გაუხარდა ამხანაგების მისვლა. ნათესავებს დაუძახა და სუფრა გაშალა, მერე გაიგეს: თურმე ადგილობრივ რადიოგადაცემათა რედაქტორი და დიქტორი ყოფილა...“.

— თანდათან გადავაფიწყდი. ამაღამ ისე, შემთხვევით შემხვდა. ნებისყოფა არ მეყო, თორემ არ უნდა წამოგყოლოდი. კარგი მომენტი კი დავკარგე. ხომ იცი, რაღაცის იმედი ყოველთვის რჩება ადამიანში, იმედი კი არა... ჰმ... გამომავლო. გამომავლო აბა რა იყო.

ერთხანს გაჩუმდა.

— ისე ახია ჩემზე. სულელი ვარ, სულელი. რა მჭირდა, ამ დღეში რომ

ჩავეარდი! — ისევ აუვარდა ტირილი, —
სულელი ვარ... სულელი, ყველაფე-
რი ახია ჩემზე. სულ ვფიქრობდი, რომ
შემხვედეს, ზმას არ გავცემ-მეთქი.

— ნამაშენი ვნახე, ბაზრიდან მოდი-
ოდა... — გააწყვეტინა სერგომ. — აღ-
რეც შემხვედრია...

— ვიცი... ვიცი.. მაგრამ აწ ყველა-
ფერი შეიცვლება. ერთი თუ ვაღაფ-
წყვიტე, ყველაფერი შეიცვლება.

სერგომ ვერ გაიგო, რას გულისხმობ-
და ამ „ყველაფერში“.

„იქნებ, უიღბლო რომანს აზვიადებს
ასე?..“

ჭიშკარს მიაღდგენ. ნათურის სინათ-
ლეზე ბიჭი კარგად ხედავდა მანანას
სველ თვალებს.

— შეგაწუხე... — თქვა მანანამ.

— კარგი, ეს რა შეწუხებაა! — ბიჭი
ამ წუთში კმაყოფილიც კი იყო, რომ
გამოაცილა.

„ასეა ხოლმე: რაღაცა რომ გაქვს
გასაკეთებელი, ჯერ გეზარება, მერე რომ
გაკეთებ, კმაყოფილიც ხარ“.

— ყველა რომ ასეთი იყოს...

— რა თქვი? — სერგომ კარგად ვერ
გაიგო მისი ნათქვამი.

— ყველა რომ ასეთი იყოს.

სერგომ ხელი გაუწოდა:

— კარგად იყავი, მანანა.

— კარგად იყავი. — ჩამოართვა მა-
ნანამაც და წავიდა.

სერგო ზურგიდან ხედავდა მის ტან-
სა და ფეხებს.

მას რატომღაც ეგონა, რომ გოგოს
სხეული ცივი და გაყინული იყო. მერე
მალალი ბიჭი გაახსენდა, თითქოს იმან
წაართვა მთელი სითბო, გამოფიტა და
არასოდეს არ დაუბრუნდებოდა ის სი-
ხალისე და ეშხი... არასოდეს.

უცბად, თავში გაჰკრა რაღაცამ. მიბ-
რუნდა:

— მანანა, მამაშენი მომიკითხე, გეს-
მის? აუცილებლად მომიკითხე!

კარგი კაცი იყო მანანას მამა, განათ-
ლებული და კეთილი. ოღონდ იმ ბიჭზე
ისევ მოსდიოდა ბრაზი. დარაჯის სიტ-

ყვებით აგინებდა. ირგვლივ არაფის იყო
და ხმამალა აგინებდა.

მთავარ ქუჩაზე გავიდა, მეორე მხა-
რეს ვიღაც კაცი მოყვებოდა ტროტუ-
არს. სერგოს თბილი საწოლი გაახსენ-
და და ნაბიჯს აუჩქარა. იმ კაცმაც აუჩ-
ქარა, თითქოს იმასაც ახლა გაახსენდა
რაღაც.

სერგოს ცალი თვალი იქითკენ ეჭირა
და გულში ეჯიბრებოდა კიდევ. მაგრამ
კაცი უფრო სწრაფად წავიდა. სერგოს
დაეზარა სირბილი და შეეშვა. სირბი-
ლის თავი არ ჰქონდა ახლა.

„რა სჯობია ახლა თბილ საწოლს.
პაპიროსს გააბოლებ, — წოლელა ეწე-
ოდა ხოლმე, — და იფიქრებ, რამდენიც
გინდა, იმდენს იფიქრებ, გვანცაზე იფიქ-
რებ...“



ბიონერთა სასახლიდან დაღლილი
დაბრუნდა. საწოლზე მიეგდო. რაც იქ
დღე გადაიბანა, ისეთი მტერს.

კომკავშირული მოძრაობის ვეტერან-
თა შეხვედრა იყო. პირველად მოხვდა
ასეთ ხნიერთა საზოგადოებაში. თავის-
თვის იჯდა, შეუმჩნევლად, ჩუმად ინიშ-
ნავდა რაღაც-რაღაცეებს ბლოკნოტში.

— ამხანაგებო, ამხანაგებო!... კი მაგ-
რამ. სად არიან დაბრებული კორეს-
პონდენტები?! — გაახსენდა უცებ ერთს.

ჯერ არაფინ მიაქცია ყურადღება, მაგ-
რამ იმ ერთმა ისევ გაიმეორა ნათქვამი:

— შეხვედრა საცაა დამთავრდება
და ეს როგორ, პრესის წარმომადგენელ-
თა გარეშე?!

საკრებებიან დარბაზში თვალების ცე-
ცება ატყდა.

ერთმა ჩხირივით გამხდარმა ქალმა
ცუდად დაადგა სერგოს თვალი. სერ-
გომ ის ხელი, ავტოკალამი რომ ეჭირა.
ზურგს უკან გადამალა, მაგრამ უკვე
კვიან იყო,

— ეს არის, ეს!.. — ისეთი ალტაცებით
დაიძახა ქალმა, თითქოს მეორე ამერი-
კა აღმოეჩინოს, მერე სერგოს მიმართა:

— წედან სარკეში დაგინახეთ, რაღაცას იწერდით.

ყველა სერგოსაკენ მობრუნდა. კრება დამთავრდა და შემოეხვიენენ, ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს.

იმ გამხდარ ქალს თვალში არ მოუვიდა ვიღაცა და მკვახედ მიახალა:

— შენ არ იყავი, მე და რაიმონდა ფურენცოვი რომ მოვედით ბინის საკითხზე, ცარიელი ოთახი გქონდა, მაგრამ დაგვიმალე, ქალაქგარეთ მოგვიხდა კრების ჩატარება. ახლა კი რამდენს ლაპარაკობ...

სხვები ისევ ქაქანებდნენ სერგოს აჩეჩებდნენ თავიანთ ჩანაწერებს, მანქანაზე გადაბეჭდილ მოგონებებს, ნარკვევებს. ვისაც ხელნაწერი არ ჰქონდა, საინტერესო ამბის მოყოლას სთავაზობდა. ვიღაც მაღალმა, გაწიწკინებულულვაშებიანმა მოხუცმა ხმამაღლა მოაძახა:

— ბიჭი, სერაპიონი არ გამოგრიხს... სერაპიონი... ერთ დროს მე და მამაშენი კარგი ამხანაგები ვიყავით, ღმერთმანი, შენთვის არაფერი უბზინია?!

როგორც იქნა გააპო ხალხის ტალღა. ვასასვლელთან რამდენიმე მოხუცი შეხიზნა: ისხდნენ სკამებზე და მშვიდად შესცქეროდნენ ამ ორომტრიალს. მისკენ არც მოუხედავთ. სერგო მივიდა და სათითაოდ გამოჰკითხა სახელები. კომკავნირელები ვიყავითო, მეტი არაფერი უთქვამთ. სერგოს ახლაც ახსოვდა მათი გვარები: ლომიძე, არაბული, ფიფია, მაჭავარიანი.

ახლა ის ქალღლები მაგიდაზე ეწყო...

„რა უნდა ქნა, რომ ყველა ნასიამოვნები დაგრიხს?“ — უბრალოდ, სახელები რომ ჩამოეთვალა, ერთობ უინტერესო და სქემატური ნარკვევი გამოვიდოდა.

„წავიკითხავ და შევარჩევ. აბა რა უნდა ვქნა?..."

კარგა გვარიანად წაიძუშავა. უნდა შეესვენა და კარზეც დააკაკუნეს...

მანანა იყო.

— საიდან? — გაუკვირდა სერგოს.

— ხომ მოგაგენი, — თქვა მანანამ და შიგნით შემოჰყვია ბიჭს.

— არეული ვარ... — სკამზე ^{არეული} მიუჯდა ბული დაჭმუჭნილი ხალათი აიღო და ტახტზე გადადო. — დაბრძანდით!

— არც ისე მაინცდამაინც, — ოთახი მოათვალეირა, მერე მაგიდაზე საბეჭდ მანქანას გადაუსვა ხელი და ხმამაღლა წაიკითხა: — „კონტინენტალ“.

— კარგი სახელია — „კონტინენტალ“.

— დიდებული.

— მე მომწონს.

— ჩამოჯექი, როგორა ხარ?

— გმადლობთ.

— შენ რას შვრები?

— აი შეხედე, — წერილებზე მიუთითა სერგომ, — როგორ ვიქნები ამითი გადამკიდე.

— ის კი არა, მეც ამისათვის მოვედი... — მანანამ ორად დაკეცილი ქალღლი გაუწოდა, — მამაჩემმა დაწერა, რედაქციიდან სთხოვეს. მემანქანესთან გამატანა გადასაბეჭდად. მე შენი მანქანა გამახსენდა. სალამოობით რომ აჩხაკუნებდი და არ აძინებდი ხალხს. — გაიციხა მანანამ.

— ახლა არ ვბეჭდავ სალამოობით, თავს მტყენს.

— ხომ კარგად გამახსენდა?

— ყოჩალი გოგო ხარ.

სერგომ ნაწერს დახედა. არ იყო მაინცდამაინც დიდი.

— ახლავე გადავბეჭდავ.

— მოგაციდინე.

— ერთი წუთის საქმეა. ამას რა უნდა!

სერგო „კონტინენტალს“ მიუჯდა.

— შენ ხომ არ მოიწყენ?

— არა, რა მომაწყენს.

„თხილამურებით წრთობა“ — ასეთი სათაური ჰქონდა წერილს.

მანანას მამა ექიმი იყო და ხშირად ბეჭდავდა რჩევა-დარიგებებს გაზეთებში.

„დადგა სათხილამურო სეზონი. თხილამურებით სეირნობა კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ადამიანის ჯან-

მრთელობაზე, ფსიქიკაზე. ამშვიდებს ნერვულ სისტემას, აჩვევს სხეულის რიტმულ, სწრაფ მოძრაობას...“

მანანა წამოდგა და ტახტიდან დაჰმუჭუნოლი ხალათი აიღო. მერე სერგოს შეხედა. ბიჭი მიუხვდა, გაეღიმა. კარადაც გამოაღეო, — თავით ანიშნა და ბეჭდვა განაგრძო.

გოგომ კარადიდან პერანგები გადმოიღო. ტუალეტიდან ტაშტი შემოიტანა და საპონი მოითხოვა. სერგოს თავი არ აუღია, ისე მიასწავლა, სადაც იყო.

ამ წერილმა ბავშვობა გაახსენა: მათთან, მესტიაში მშვენიერი ზამთარი იცოდა. ბიჭები შეიკრიბებოდნენ და ამოჩემებულ ადგილებში გვიან საღამომდე რჩებოდნენ, სრიალებდნენ.

სერგო თვითნაკეთი თხილამურებით დადიოდა. აქაურ ბიჭებში მხოლოდ სერგოს ეკეთა თვითნაკეთი თხილამურები. ხშირად დასწყდომია გული, მაგრამ რას იზამდა.

რას არ პირდებოდნენ სერგოს ტოლბიჭებს მშობლები, ოღონდაც ესწავლათ. მას არც სწავლას აძალებდა ვინმე, არც ველოსიპედისა და თხილამურების ყიდვას პირდებოდნენ, მაგრამ ხუთოსანი მაინც იყო და იყო. ბოლომდე შეინარჩუნა კარგი ნიშნები.

სწრაფდღშვებასა და ტრამპლინიდან ხტომაშიც ბევრს სჯობნიდა. ახსოვს, უფროსების ტრასაზე თანატოლებიდან მის გარდა ვერავინ ბედავდა დაშვებას. ყველაფერს თავისივე გამოთლილი თხილამურებით აკეთებდა. მართალია, ერთხელ კინაღამ დაიმტვრა, მაგრამ ყველას მოსდიოდა ასეთი რამ.

მერე, რომ წარმოიზარდა, სულ შეეშვა ყველაფერს: დედას ეხმარებოდა საშინაო საქმეებში და საციგურაოდ ან გრძელი ვირის სათამაშოდ სადღა ეცალა. ერთადერთი მამაკაცი იყო ოჯახში, მთელი პასუხისმგებლობა თანდათან მასზე გადმოდიოდა...

ახლა კი მისი ბავშვებისდროინდელი ამხანაგები ზოგი საქართველოს ნაკრებშია ცნობილი. სერგოს რომ შეხვდებიან, სწყინთ, ასე რომ შეეშვა

თხილამურებს. მასაც გული ხწყდება, მაგრამ რა ქნას, — რამდენხელსადაც შეეძლება, იმდენზე მოიხურეო...

ახლა იმ ბიჭებზე და ზამთრის სეზონზე წერდა შეუძლია, შეჯიბრებებზე მათგან რომელი როლში გამოდის. აი, ეს წუთებია ყველაზე მძიმე: სხეული ქვეშეცნულად იხსენებს ბავშვობის დღეებს, თრთის და ცახცახებს. მას კი არ შეუძლია აპყვეს, გასაქანი მისცეს. კალამომარჯვებული, სულ სხვა რამეზე ფანტავს ფიქრებს. დროც რომ გამოინახოს, ახლა მაინც აღარაფერი ეშველება, გვიანაა.

„მოთხილამურეთა შორის გვხვდება იოგოვანი აპარატის დაზიანება, ზოგჯერ ამოვარდნილობა და მოტეხილობაც. ასეთ შემთხვევაში საჭიროა, პირველი დახმარების წესების ცოდნა. უძრავი ნახვევის დადება, ხელოვნური სუნთქვა და სხვა...“ — დაამთავრა სერგომ ბეჭდვა.

— ესეც ასე... — თქვა ხმამალა.

მანანას არ გაუგონია. სკამზე შემოდგმულ ტაშტზე დახრილიყო და რეცხავდა. თან გატაცებით ფიქრობდა რაღაცაზე. მშვიდი და ჭკვიანური გამომეტყველება მიეღო.

ახლა, ამ წუთში ის თბილად და ვნებიანად გამოიყურებოდა. ფეხები, ასე გაცივებული რომ მოეჩვენა სერგოს იმ დამეს, ზორციანი და ჯანსაღი ჰქონდა. საერთოდ ლამაზი გოგო იყო და ბიჭს წუთითაც არ გახსენებია ის მსახიობი.

მანანა, მშვენიერი და მიმზიდველი გოგო, თავდახრილი რეცხავდა...



გვანცასთან ცილა დაუხვდა.

ცილა დათოს საცოლე იყო. მის სახეზე ხელოვნურს ვერაფერს შენიშნავდი, მოდებს გადაყოლილ გოგოებს არა ჰგავდა. სერგოს ასეთი მკვირცხლი ქალიშვილი იშვიათად ენახა. უკვირდა, როგორ ეწყობოდნენ ერთმანეთს ის და დავითი. დავითი სულ არ ჰგავდა მას, ერთობ დონდლო და მოუქნელი იყო. ხასიათითაც განსხვავდებოდნენ.

— დავითი არ ჩამოვიდა? — ჰკითხა სერგომ გვანცას.

გვანცა კარგ გუნებაზე იყო. თვალები მზარულად უციმციმებდა. ისევე ის ცისფერი ხალათი ჩაეცვა. ადგილზე ვერ ისვენებდა, წრიალებდა.

— ჯერ არ ჩამოსულა, შეიძლება ამ საღამოს ჩამოვიდეს...

— ერთი წერილი არ მოიწერა... — შესჩივლა ორთავეს ცილამ.

— კი უნდა მოეწერა, — დაეთანხმა გვანცა.

— ალბათ ველზე მუშაობენ, დაკავებული იქნებოდა, — თქვა სერგომ.

— ველზე მუშაობენ... დაკავებულია... — თქვა განაწყენებული კილოთი ცილამ და ოდნავ წამოწითლდა.

„როგორ უყვარს. აი, ნამდვილი სიყვარული...“ — გაუელვა თავში სერგოს. ამ წუთში შეშურდა დავითის, ნამდვილად შეშურდა.

ცილამ საათს დახედა:

— რა დრო გასულა! — გაოცებით წამოიძახა, — დას უნდა დაგზვედროდი შინ! — ბალტო ჩაიცივა და ორივეს ღიმილით გამოეშვიდობა.

— ზარმაცია, უსინდისო და მეტი არაფერი, როგორ არ მოსწერა წერილი, — თქვა ცილას წასვლის შემდეგ გვანცამ.

— ისე ამბობ, თითქოს ერთი წელი არ მოეწეროს.

— ვერ ვიტან, ასე უდიერად რომ გვექცევიან.

— შენ რომ დღე-დღეზე მოგდის წერილები?

გოგოს სახე მოედრებოდა.

— იმას ნუ გამახსენებ, ის სულ სხვაა!

ერთხანს თავი ჩაჰკიდა და ჩაფიქრდა, მერე თქვა:

— მართლა, როგორაა ეს ცხოვრება მოწყობილი: ერთნი ზედმეტ ლოლიავს ვერ იტანენ, მეორენი — გულგრილობას.

სერგო გვანცასთან მივიდა. ხელები მხრებში ჩაჰკიდა და ანაზღეულად თვალებში ჩაჰხედა.

ყინულოვან ნაპრალებით ღრმა და გამჟვირვალე თვალები ჰქონდა. ისეთი გრძობა დაეუფლა, თითქოს მთელი მსოფლიო ჩავარდნილიყო და ვერც ვერასოდეს ამოვიდოდა. მერე გულსპირზე ჩააყოლა მხერა.

გვანცა უმწეოდ, დაჭრილი ფრინველივით შემოსცქეროდა, თითქოს ემუდარებოდა, რას მემართლები, ბარემ ერთიც მესროლე და ბოლო მომიღო.

ბიჭს ესმოდა მისი მუდარა. ხელი შეუშვა, სინათლე გამორთო.

— რატომ გამორთე, რატომ... — თქვა გოგომ.

მეტი არაფერი უთქვამს, ეგ იყო. კანკალებდა, თითქოს ციოდა, ისე კანკალებდა...

უეცრად კარებზე დააკაკუნეს, გაოგნებულ სერგოს ეგონა, გვანცა არ გააღებდა კარს, მაგრამ გააღო. ალბათ იფიქრა, დავითი ჩამოვიდაო, — ჯერ სინათლე აანთო.

ვიდაც ქალი იყო. დაწნული კალათი და ღოჭი ედგა ფეხებთან. გვანცა გადაკოცნა:

— როგორ ხარ, შვილო?

— გმადლობთ, არა გვიშავს, თქვენ როგორ გიკითხობთ? — ოდნავ დაბნეულად უპასუხა გვანცამ.

ქალი, მოკითხვას რომ მორჩა, ბარგიანად შიგნით შევიდა.

— გამარჯობათ. — მიესალმა სერგოს.

— გამარჯობათ...

თმაში ჭაღარა გარეოდა. დანაოჭებული შუბლი და დაკოყრილი ხელები ჰქონდა. გვანცამ სერგო გააცნო, ჩემი ამხანაგიაო.

— კეთილი. — თქვა სტუმარმა.

სერგოს დედამისი გაახსენდა:

„ყველა დედა ერთმანეთს ჰგავს რადციით: თვალებით, ჭაღარით, ლაპარაკით თუ დაკოყრილი თითებით“.

ეს ქალი დაკოყრილი თითებით ჰგავდა დედამისს.

„მივალ თუ არა, წერილს დავწერ“ — გაიფიქრა და ესიამოვნა.

— რატომ წუხდებოდით ამ სიშორეზე... — თქვა გვანცამ.

— რას ამბობ, შვილო. ნეტაი შემეძლოს რამე და... წუხელის ზურაბის წერილი მივიღეთ, — გვანცასაგან პასუხი არ მიმიღიაო, — შეშფოთებული იწერებოდა. მეც ავდექი და წამოვედი, გულმა ველარ მომითმინა...

„დედამთილი!“ — გაკრა ბიჭს გუნებაში.

— არა, ისეთი რა უნდა ყოფილიყო... გამოცდებია ახლა და... — თქვა გვანცამ. იგი გაწითლებულიყო და ძლივს ლაპარაკობდა.

ერთხანს რაღაცნაირი უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— შვილო. ცოტა ხილია კალათში... ღვინოც გასინჯე ამხანაგებს...

გვანცამ ვაშლები ამოალაგა. ჭიქა გამოიტანა და ღვინო ჩამოასხა.

— საგანგებოდ დაყენებულია, შვილო. არ გაწყენს! — თქვა ქალმა.

„საგანგებოდ დაყენებული ღვინო... ის ღვინო, გვანცამ რომ დააღვინა იმ დღეს, ალბათ საქორწილოა.“ სერგოს ისე დაეზარა ჭიქის გამოცლა, თითქოს ტიფის ბაქტერიების ექსტაზს სვამდა. მაინც ბოლომდე დაცალა. მერე მაშინვე წამოხტა და კარისაკენ წავიდა.

— მგონი, არ გესიამოვნა, შვილო, — შეწუხდა ქალი.

— არა, დედი, ისე... უნდა წავიდე, — კარში წაილაპარაკა და კბეებზე ციებიანივით დაეშვა.

საერთო საცხოვრებლის ვესტიბიულში ამხანაგმა გააჩერა, ვილაც მოხუცი გელოდაო.

— თავი დამანებე, თუ კაცი ხარ!

— რა მოგივიდა. ხუთშაბათის „ახკომი“ წაეკითხა! მაინცდამაინც მე გამოვუტოვებია ვარო. — იღრიჯებოდა ამხანაგი.

სერგოს ცოტათი მოუბრუნდა გუნება:

„თურმე რაზე მოსულა!“

ოთახში შევიდა, საწოლზე მიეგდო.

საშინელ გუნებაზე იყო. წერილი არ დაუწერია, გაუხდელად მიწვა და, როგორც იქნა, ჩაეძინა.

სერგო რომ დარბაზში შევიდა, კრმისის თავმჯდომარე ოპონენტები შეხვედნენ, აზრი გამოეთქვათ. ოპონენტები რეცენზიებს კითხულობდნენ, ვისაც თვალს აკლდა, სათვალეს იკეთებდა და ისე კითხულობდა.

ყველამ იცოდა პროფესორის დამოკიდებულება დათოსთან და ფაქტებში ღრმად ჩარგავს, შეძლებისდაგვარად, ყველა გაუბრბოდა.

დავითი თამამად იდგა კათედრაზე. ეტყობოდა, არ ეშინოდა. მის წინ, მაგიდაზე ელაგა სხვადასხვა ზომისა და ფერის სარდიონის ქვის მძივები, მინისა და ბაზალტის ყელსაბამები, ღოქის ნამტვრევები, დაქანგული მონეტები და სამაჯურები. ყველა დანომრილი იყო და რომელიმე მათგანზე რომ ლაპარაკობდა, ხელში იღებდა და დაწვრილებით აღწერდა...

სერგო ხანდახან ციალას გადახედავდა.

ციალა, გვანცა და დედამთილი წინა რიგში ისხდნენ და თვალბში შესციცინებდნენ დავითს. იგი თითქოს წმინდა გიორგის ხატი იყო და მის წინაშე ჩუმად და ხელაღუპრობლად ლოცულობდნენ.

ბოლოს პროფესორმა წარმოთქვა სიტყვა, ღირსებითა და არაჩვეულებრივი დინჯი ხმით ლაპარაკობდა. თმა გათეთრებოდა. ოთხმოც წელს თავისი გაეტანა. ოდესღაც დახვეწილი და კარგად მოვლილი კანი, თითქოს წვერის პარსვისაგან გასცვეთოდაო, ძვლებზე მიკრობოდა. მისი თვლები კი დარბოდნენ დარბაზში. ვერცხლისწყალივით დახტოდნენ და ინაცვლებდნენ კაციდან კაცზე, თითქოს ვილაცას დაეძებნო.

ბოლოს მზერა დავითზე შეაჩერა. კეთილად გაუღიმა და ვანაგრძო:

— დისერტანტმა მეცნიერულად დავვისაბუთა, რომ საქარავნო-სავაჭრო ვზა ეგვიპტესა და რუსეთს შორის საქართველოს ტერიტორიაზე გადიოდა... კერძოდ, სამეგრელოსა და სვანეთის გავლით, სოფელ ჭუბერის მიდამოებში...

ამ ფაქტმა ბევრ საიდუმლოებას ახადა ფარდა...

საერთოდ, ყველაფრიდან ჩანდა, რომ პროფესორი კმაყოფილი და ბედნიერი იყო, — მასაც ხომ მიუძღოდა გარკვეული წვლილი ამ აღმოჩენაში...

ახლა მისკენ მივბრუნდებით სამეულს თავები. მათი თვალებიდან ისევ ძველი აღტყინება და ღვთისმოსავის იღვამლებითა და პატივისცემით აღვსილი მზერა გამოკრთოდა: პროფესორი იესო ქრისტე იყო, ქრისტე ლაპარაკობდა. მარცხნივ, კათედრასთან, წმინდა გიორგი იდგა. ირგვლივ სხვადასხვა ჩინისა და თანამდებობის ანგელოზები ისხდნენ...

სერგოს მარიამობის დღესასწაული გაახსენდა.

იმ დღეს მამამისმა წაიყვანა წმინდა ფუსდის საყდარში. ეს საყდარი რაღაც თეთრი, ფორფვანი ქვით იყო აშენებული. სერგო მაშინ მეხუთე თუ მეექვსე კლასში სწავლობდა. კლასში მწერებს გადიოდნენ. ერთ-ერთ ფორში ზუსტად ისეთი ტარაკანა შემძვრალიყო, წიგნში რომ ეხატა, დიდი, შავი ტარაკანა. პატარა ჯოხი მონახა და ჩხრეკა დაუწყო. ტარაკანა არაფრით არ გამოდიოდა გარეთ. სერგომ კიდევ უფრო წაწვეტილებული ჯოხი მონახა. ის იყო ტარაკანა უნდა გამოეთრია, რომ ვიღაცამ ხმამაღლა დასწყვილა:

— რას სჩადიხარ... დმერთი ხომ არ გაგწყრომი... — მერე ხალხს ვადასძახა: — შეხეთ ერთი, როგორ უკირკიტებს წმინდა ფუსდის კედლებს. შეხეთ, ხალხო!..

ის ვიღაც სერგოს გამოუდგა, მაგრამ ვერ დაეწია. ბუჩქებში გაძვრა და სირბილით დაეშვა სახლამდე.

იმ წელს იყო სწორედ, მამა რომ მოუკვდა. ზოგიერთი ცრუმორწმუნე იმ კედლების კირკიტს უკავშირებდა უბედურებას. სერგომ აღარ იცოდა, რა ექნა. საშინლად ვერ იტანდა ჭორიკანა და მორწმუნე ქალების ქაჩანს, ყველას, ვინც მათ სერიოზულად უსმენდა და უჩერებდა.

მერე ქრისტე გაჩუმდა.

ყველანი გაჩუმდნენ და სერგოც დამთავრებულად გამოაცხადეს.

წმინდა გიორგი სიხარულისაგან ცქმუტავდა, ხელებს იფშვნეტდა და იციოდა. ანგელოზებიც კარგ ხასიათზე იყვნენ. წარმოდგენით გაშლილ სუფრას უსხდნენ და ნაირ-ნაირ საჭმელებს შეექცეოდნენ...

მლოცველთა სამეულმა ჯერ ერთმანეთი გადაკოცნეს. მერე წმინდა გიორგისაკენ გაიწიეს. წინ გვანცას დედამთილი მიდიოდა, მერე — ციალა, ბოლოს — გვანცა. სკამებზეც ასეთი თანამიმდევრობით ისხდნენ.

სერგო სულ ბოლოს იდგა. გრძელი რიგი გაჭიმულიყო დათომდე. ახალწლის დღეები მოაგონა რიგმა: ბავშვებს სიგრძეზე ჩაამწკრივებდნენ ხოლმე საჩუქრების მისაღებად. ზოგჯერ, პიონერხელმძღვანელები საჩუქრების დარიგებისას ზედმეტ გულუხვობას იჩენდნენ და ბოლო რიგში მდგომთ აღარ ხვდებოდნენ კამფეტები. ამიტომ ბავშვები ფრთხილობდნენ და ყველას წინ უნდოდა დამდგარიყო.

მიულოცა.

— არსად წახვიდე, იცოდე! — უთხრა დათომ.

— კარგი, — თავი დაუქრა სერგომ.

მერე ქალებსაც ჩამოართვა ხელი.

ციალა სიხარულისაგან ტიროდა. მალე დავითიც მათ შემოუერთდა, ციალას ხელი მოჰხვია და აკოცა.

სცენაზე ისინილა იდგნენ, თითქოს სპექტაკლს თამაშობდნენ, — მუსიკალა აკლდათ.

— ახლაც ემდური? — ჰკითხა სერგომ ციალას.

ციალამ არაფერი თქვა.

— შვილო, იმ დამეს ცუდად ხომ არ იყავი? — მიმართა გვანცას დედამთილმა სერგოს.

— არა, დედი... მალე გამიარა, — რატომღაც კვლავ დედა დაუძახა, და, უცხად, ისევ გაუფუჭდა გუნება. ამ საზეიმო განწყობილებაში ძნელი იყო ამისი დეფარვა და გარეთ გავიდა.

გვანცამ თვალი გააყოლა.
ღრმად ამოისუნთქა.
ეზოში უკვე ავტობუსში ისხდნენ
ბანკეტზე წამსვლელები. ავტობუსს შე-
მოუარა და ქუჩას გაუყვა. ქარი ფოთ-
ლებს დააფრიალებდა ტროტუარზე, ფე-
ხებში აყრიდა.

ფოთლები უხილავი ბრჭყალებით
ქვაფენილს ებლაუჭებოდნენ. ალბათ,
ქართან გამკლავება უნდოდათ, მაგრამ
ქარი უფრო ძლიერი იყო და თავისი
გზით მიერეკებოდა ფოთლებს, მიერე-
კებოდა, რომ მიეგდო სადმე, მდინარი-
სათვის მიეცა და მოესპო მათი სახსე-
ნებელი...

არსებობდნენ, მაგრამ აღარ არსებო-
ბენ! — აი, რისი დამტკიცება უნდოდა
ქარს. თითქოს ისიც დისერტაციას იცავ-
და, რომ მერე ამინდის ღმერთებს ხა-
რისხი მოემატებინათ და ქარიშხლის
უფლებები მიენიჭებინათ.

თავჩაქინდრული მიდიოდა.
ფიქრობდა, რომ სადღაც ადამიანიც
ამ ფოთლებს ჰგავს. რაღაცას ებლაუჭე-
ბა, მაგრამ ზოგჯერ ცხოვრების უხილავი
ძალები წინ ეღობებიან და საწინააღ-
მდეგო გზით მიჰყავთ იგი; ამ ქარივით
მიაქროლებს მიკიბ-მოკიბულ გზებით.

უხილავმა ძალებმა ერთ სახლთან გაა-
ჩერა... ეზოში შეიყვანა, დიდი თუთის
ქვეშ დასვა. არ ახსოვს, რამდენ ხანს იჯ-
და, რაზე ფიქრობდა...

მგონი იმ ქალზე ფიქრობდა. იმ ქალ-
ზე და მის მიერ ჩამოტანილ საგანგე-
ბოდ დაყენებულ ღვინოზე. მათ სიამოვნე-
ბით მიირთვეს საგანგებოდ დაყენე-
ბული ღვინო...

მეტი აღარ შეეძლო. ყველაფერი
აერია თვალწინ. მეტი აღარ შეეძლო,
ადგილიდან წამოხტა და დაიღრიალა:

— მა... ნა... ნა!
მთელი ეზო გამოეფინა.
მანანამაც გამოიხედა. გაოცებულნი
მიაჩერდა სერგოს.

— რას აკეთებ? — ჰკითხა სერგომ.
— რა იყო, რა მოგივიდა?!
მანანამ გადაიცივა და ძირს ჩამოვი-
და. პარკისკენ გაუყვინენ.

ბიჭის ღუმილი გოგოსაც გადაედო.
ხმა არ ამოუღია. ეგ იყო, ხელკავი გაუ-
ყარა, თითქოს ეშინოდა, ფრთხილად
გაუყარა.

პარკში კაციშვილი არ იყო. მათ სიგ-
რძივ გადაჭრეს პარკი და გზა განაგრ-
ძეს. მავთულის ბადის ქვეშ გაძვრნენ,
სტადიონზე გავიდნენ.

სკამები ცისფერად შეეღებათ. მინ-
დორი კარგად იყო მოვლილი, შუა
ზამთარი იყო, მაგრამ მწვანედ ხასხა-
სებდა. სულ ზევით, მესამე იარუსზე
ავიდნენ. არაფერი უთქვამთ. გოგომ თა-
ვი მიადო ბიჭს მხარზე და ისე იჯდა.

მალე წვიმა წამოვიდა.

ისინი მაინც ისხდნენ და ღუმდნენ.
ბიჭს ვერაფერი გაეგო. საერთოდ.
ფიქრის თავი არ ჰქონდა. მანანასი არ
იცოდა და, თვითონ საშინლად ცუდად
იყო. მერე თითქოს ლიბრი გადაეკრა
თვალეზზე, ბურუსმა მოიცივა ყველაფე-
რი — წვიმაც, ტრიბუნებიც და მწვა-
ნედ ახასხასებული მინდორიც...

იღუმალებამ შთანთქა სივრცე და მას
მოუნდა პირჯვრის გადაწერა, მამამისის
სისხლმა თუ გაიდვიდა მასში. მაგრამ
მარჯვენა მხარზე წვიმაში გაწუწული
გოგო მოყრდნობოდა, ხოლო მარცხენა
ხელით არასოდეს იწერდა მამამისი
პირჯვარს...

და არც მას გადაუწერია...






მთიელ ხვარამზეს კაცი უყვარდა...

გამიგონია,
 მთიელ ხვარამზეს კაცი უყვარდა...
 ის იყო, ალბათ, გუთნისდედა და მონადირე
 და ერთხელ, დილას,
 მის ეზოზე ჩამოიარა...
 არ უთხოვია წყალი და ჩრდილი,
 არ შიებია მსუყე ხინკალი,
 არ უძებნია ლამაზი და ჯანსაღი ცოლი,
 ისე, უბრალოდ,
 მის ეზოზე ჩამოიარა...
 არც დაუნახავს ეზოში ქალი,
 რადგან ეს ქალი
 არ აგონებდა შველს ან პირიმზეს.
 ის იდგა ჩუმი და უჯიათი,
 არ შეაგედრა ოჩოპინტრეს მისი იღბალი,
 არც გადუხლართავს ცხენის ძუა
 ვერცხლის მძივებით,
 რომ ამოეგოს წმინდა ჩხრიალით მისი ჭენება...
 არც უთხოვია, არაფერი არ უთხოვია,
 ის გავდა მინდორს,
 რომელზედაც დადიან,
 მაგრამ არასდროს არ აგონდებათ...
 ის არც წასულა, არ ასვეტილა
 ყველაზე თეთრ და ამღერებულ ეკლესიაში,
 ვით ხე დარდისა, ბერწი და ყვითელი...
 მან შემოავლო თავის სევდას
 მაღალი ღობე
 და მამაკაცის ნაფეხურები
 იდგა მიწაზე,

როგორც პურის ან ღვინის მცენარე...
და არ იცოდა მონადირემ,
რას ნიშნავს, როცა
დედაკაცები გამოვლენ მზეზე,
ლაპარაკობენ მოგუდული ხმით
და როგორც ძველი ყვირთელი თოვლი
მათ სხეულებზე წვეთავს შუადღე...
მან არ იცოდა,
რადგან ის გავდა მეძებარ ძაღლებს,
რომლებიც სდევნენ ნადირს კი არა,
საკუთარ შიშს,
ამ ნადირივით დაუძლეველს და გაუგებარს
მთელი სიცოცხლე...
და არ იციან,
რომ არის სადღაც ასეთი ქალი,
ერთადერთი —
მას შეუძლია ააფაროს
თავისი თმების სავთავები
მარადიულ და კაცურ სევდას
და მისცეს პური შიშის მაგივრად
და გავდეს მინდორს
მთელი სიცოცხლე...





პაპლო აკსენაშვილი

შენე უნო

მოთხრობა

ვაჟა ჩაფიქრებული მისდევდა ქუჩებს. თბილისელები აგვისტოს მზეს დაეშინებინა. გამვლელნი ჩრდილში სიარულს ცდილობდნენ. ვაჟა თითქოს ვერავის ამჩნევდა. ვერც სიტყვებს გრძნობდა. ყურში ლამარას სიტყვები უწიოდა, გამომშვიდობებისას რომ უთხრა: „რატომ შეგეცვალა ფერი, რა გეწყინა?“

ვაჟას თვითონაც ვერ გაეგო. რა ეწყინა: ლამარას მეუღლე არ მოეწონა თუ, ის, — ლამარამ უგულოდ რომ მოიხსენია ძია ალექსანდრე. პატარძალმა ისიც კი თქვა: — ასე რად განვიცდიდი მოხუცის გარდაცვალებასაო? როგორ იცვლებიან ადამიანები?

ამ მოულოდნელმა შეხვედრამ ვაჟას მოგონებები აუშალა. მესხიერებაში ამოტივტივდა წარსული და ის წაშლილი ფერები, ბავშვობას თან რომ წაედო; განცდებსღა შერჩენოდა ძველებური სიღრმე.

ვიწრო და ოკრო-ბოკრო ქუჩებით სავსე ჩუღურეთში ვაჟას სახლი არაფრით გამოირჩეოდა სხვა ფუძემოკრებული შენობებისაგან. მხოლოდ ეგ იყო: ჭიშკრის თავზე მათ სახლს ლითონის მრგვალი, წარწერიანი ფირფიტა ჰქონ-

და: „Московское страховое от огня общество“.

ფირფიტა ძველისძველი იყო, იმდროინდელი, როცა ასეთი სადაზღვევო საზოგადოება არსებობდა. ქამთა სვლას მთლიანად ჩაეყანვა ფირფიტა, მაგრამ ამოტვიფრული ასოები მაინც მკაფიოდ მოჩანდა და ეს იღუმალ მიმზიდველობას აძლევდა უფერულ შენობას.

სკოლიდან დაბრუნებული ვაჟა შედიოდა ეზოში, უკან რჩებოდა ზამბარიანი კარის ხმაური და მზით განათებული აღმართი. აღმართზე ნიაღვარს ალაგ-ალაგ ქვაფენილი აეყარა.

ეზო უგემოვნოდ აშენებულ სახლებს შუა იყო მოქცეული და ერთ კუთხეში ძლივს სწვდებოდა მზის სხივი.

ზევით მოჩანდა ელექტროსადენებითა და ანტენებით დაქსელილი ცის ნაგლევი. ქანგისაგან დაცხავებული კიბე ბოლო. მესამე სართულის აივანთან წყდებოდა. იქ ცხოვრობდა ვაჟა და მისი დედ-მამა, აქეთ-იქით—მეზობლები.

ერთხელ ვაჟას ოთახი უცნაურად განათებული დახვდა. ოთახში ყველაფერი შეცვლილი მოეჩვენა, სუფთა ჰაერი უცხო სურნელით იყო გაჟღენთილი. მერე

ვეებერთელა ფანჯარა შეამჩნია, რომელიც მის ოთახში გამოეჭრა. იგი ფანჯარას მივირდა, აცოცდა რაფაზე, ვაღაიხედა და უზარმაზარი ეზო დაინახა. ეს ეზო ხეებით იყო სავსე.

აპრილი იდგა. ყველა ხე სხვადასხვა ფერის ყვავილით ჰყვავოდა. ქათქათებუა ტყემალი და ნუში. ხეების ძირში მიმოფანტულ ბუჩქებს შორის მანძილი მწვანედ მოხასხასე ბალახს დაეფარა. ჩუღურეთში ასეთ ეზოს იშვიათად ნახავდით და ვაჟაც მიჰკვროდა სავანეებოდ ვაკეთებულ რკინის ვისოსს—დიდი, ბებერი ცაცხვის უკან ორსართულიანი ცისფერი სახლი იდგა; სახლს გრძელი, რიკულეზიანი აივანი ჩასდევდა. აივნის სვეტებს მსხვილი, სავსემტყენებანი იასამანი ჩამოჰკიდებოდა. სახლის წინ ბავშვები ირეოდნენ, ბურთს დასდევდნენ.

აღტაცებამ რომ გაუარა, ვაჟა რაფიდან ჩამოხტა და მეზობლის გოგონას — ლამარას დაუძახა, აქ მოდიო. ახლა ორივენი გაეკრნენ რკინის ვისოსს და სიყვარულით გადაჰყურებდნენ მწვანე ეზოს, საღამომდე ზეპირად იცოდნენ ეზოში მოთამაშე ბავშვების სახელი. ყველაზე მსუქანსა და მაღალს ლადო ერქვა. იგი სხვაზე სწრაფი და უხეში იყო. ფეხსაც ადვილად უღებდა სხვებს და თუ ვინმე უკმაყოფილებას გამოთქვამდა, ადვილადაც წაუთაქებდა. ბურთს ცალ კარში თამაშობდნენ. კარში ყველაზე პატარა ბიჭი იდგა და წარამარა ხელის ზურგით იწმენდა ცხვირს. მას თამაზი ერქვა. იმ ბიჭს კი, რომელსაც შარვალი ყოველთვის მარცხენა ხელით ეჭირა და ბურთს მოუხერხებლად დასდევდა, ოთარს ეძახდნენ; შავგვრემან ქურთის ბიჭს — ვასოს.

ვაჟა და ლამარა ნატრობდნენ — ნეტავი ჩვენცა გვეკონდეს ასეთი ეზოო. მათ მარტო ბურთის თამაშს კი არა, დამალობანასაც უშლიდნენ—ისეთი პაწაწკინტელა ეზო ჰქონდათ. თუ ეზოში მაინც ატყდებოდა გოგო-ბიჭების ყრიაშული, მაშინ მათი მხიარულება აუცილებლად უფროსების გნიახით მთავრდებოდა.

მაშინ ორივენი პატარები იყვნენ. მხოლოდ იმას თანაუგრძობდნენ, ვისი ხასიათი. ვარეგობა ანდა მსაქციელი მოსწონდათ. ლამარა და ვაჟა უყურებდნენ ეზოში გამოფენილ ბავშვებს და მათი ვაცნობის სურვილი, ახალი, უცნობი საიდუმლოების ამოხსნის სურვილი ჰკლავდათ.

როგორც ყველას ვაჟასაც ჰქონდა თავისებური ალლო, რომლის მიხედვითაც გრძობდა ადამიანის ავ-კარგიანობას. შემდეგში, როცა წამოიზარდა, ადამიანების გამოცნობა-შეფასებაში ხშირად ცდებოდა და ეგონა, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი ალლოს ბრალი იყო. მან არ იცოდა, რომ ამ ბავშვური, შეურყვენელი ალლოს მახვილ პირს ერთგული იარაღით თანდათანობით აბლაგვებდა, როცა თავის გარშემო არსებულ მრავალ ნაკლსა თუ პირობითობას ეგუებოდა. ასეა თუ ისე. მაშინ ამაზე თავს არ იმტვრევდა. და მათ შორის, ეზოში ვინც შემოვიდა, ვაჟას ყველაზე მეტად მოეწონა ჩაფსკენილი, შუა ტანის მოხუცი.

მოხუცი ის იყო ეზოში შემოვიდა, რომ მაშინვე დაეჯახა ლადო. მოხუცი კი არ გაუჯავრდა ბიჭს, პირიქით, თავზე გადაუსვა ხელი და გაიცინა.

მერე კიბესთან მივიდა. დიდხანს იწმენდა ჩვარზე ფეხსაცმელს, თან მოთამაშეებს უყურებდა; უეცრად თითქოს იგრძნო, ფანჯრიდან ვიღაც უყურებდა და ზევით აიხედა.

ვაჟა და ლამარა შეკრთნენ და გაოცებულეებმა ერთმანეთს გადახედეს.

მოხუცი მეორე სართულზე ადიოდა და ქუდმოხდილი ესალმებოდა მოაჯირზე გადმოყუდებულ მეზობლებს. რამდენიმე წუთის შემდეგ ორ ფანჯარაში სინათლე ანთო და... ორივემ უცნაურ რამეს მოჰკრეს თვალი. ერთ ოთახში რალაცეები ეწყო მინის ყუთებში და ბრჭყვიანობდა. შემდეგ ჩაქრა სინათლე, მოხუცი გარეთ გამოვიდა და ვაჟა და ლამარა თითით იხმო. მათ ერთმანეთს გადახედეს, შემდეგ ისევ მოხუცს მიუბრუნდნენ. მოხუცი ახლა მოაჯირს მოადგა, ბავშვებს უღიმოდა და ორივეს

ხელს უქნევდა. საიდუმლოების შეცნობის დაუოკებელმა სურვილმა ორივე მოსწყვიტა ფანჯრის გისოსს, ხვეული კიბის ქანაღიანი საფეხურები ჩაირბინეს და უფერულ სახლებს შორს მომწყვდევულ ამწვანებულ ეზოში შევიდნენ.

მოხუცი არაჩვეულებრივი კაცი იყო — სულ არა ჰგავდა ვაჟას სხვა ნაცნობებს. ბავშვებს თანატოლივით შეეგება, რაც ასე მოულოდნელი იყო მათთვის.

— გავიცნოთ ერთმანეთი, — ვაჟას მარჯვენა გაუწოდა, — მე ალექსანდრე მქვია, თქვენ?

— ლამარა. ამას ვაჟა, — დაასწრო ლამარამ და ვაჟასკენ გაწვილ ხელს თავისი ცაცი შეაგება.

— ვაჟა? — მოხუცს თვალები დაუნაღვლიანდა. — ჩემს ბიჭსაც ვაჟა ერქვა, — მერე კვლავ დაუბრუნდა ძველი ღიმილი, — რა გაჩვენოთ ახლა მე? რით გაგიმასპინძლდეთ? შევიდეთ ოთახში, და ორივე მოხუცს გაჰყვა.

ეს სულ სხვა სამყარო იყო, სხვა გარემო; ვაჟას ასეთი რამ არასოდეს ენახა.

ახლა, ამ წუთში, როდესაც სადგურიდან ჩულტურეთისკენ მიდიოდა, მას არ ახსოვდა, თხუთმეტი წლის წინ რას ფიქრობდა, რას განიცდიდა, როცა იმ უცნობ სამყაროში შედიოდა. ეს იყო ძალზე უცნაური გრძნობა, უცნაური გაბრუება, უცნაური ძახილი. მათ ერთი ოთახი გაიარეს და მეორეში შევიდნენ. იმ უცნაურ გრძნობაში, გაბრუებაში, შორიდან მოსმენილ ძახილში, ეტყობა, მაშინ ვერ გაერკვა ვაჟა. ეს კი ბუნდოვანად იგრძნო: აქ, ამ ოთახში ყველაფერი ერთს, მთავარს ექვემდებარებოდა და ეს მთავარი მისთვის გაუგებარი იყო; ის მხოლოდ ერთს არჩევდა: ამ მთავარს ჰქონდა უცნობი მიმზიდველობა; ეს ალბათ ალღო იყო. მხოლოდ ალღო. შემდეგში, როცა წამოიზარდა, როცა ანალიზის უნარმა ყველაფერი თავის ადვილზე დააღაგა, ვაჟას მკვეთრად და ნათლად წარმოუდგა: ეს იყო ის გავლენა, რასაც აღძრავს შრომისმოყვარე ადამიანთან სიახლოვე. აქ, ამ ორ ოთახში იგრძნობოდა შრომის დიდი სიყვა-

რული და ეს სიყვარული მთელი სრულყოფით იჩენდა თავს. ჩვეულებრივნი ფიქრები: სკამებს, საწოლებს, მაგიდას თითქოს რცხვენოდნენ და გაუჩინარებას ცდილობდნენ. ისინი არც ხვდებოდნენ ადამიანს თვალში; ორივე ოთახში მეფური ბრწყინვალეობით წინ გამოდიოდა სხვადასხვა კუთხიდან მოკრეფილი საგანძური — მინერალების იშვიათი კოლექცია.

იღუმალეობით მოცული ნივთი ადამიანივით მიმზიდველია. ვაჟა ამ ოთახებს შეეჩვიდა. თითოეული ქვა, თითოეული კენჭი საიდუმლოსა და ამოუცნობს ჰპირდებოდა და მას უნებურად გადაედო მოწიწება, რასაც კოლექცია იმსახურებდა. ძია ალექსანდრესთან ხშირად მოდიოდნენ სტუმრები და ვაჟა ატყობდა, რომ ეს გადამდები მოწიწება მთავე თავისებურად იმორჩილებდა. მან გაიგო, რომ ძია ალექსანდრე ცნობილი პროფესორი გახლდათ, რომ მან ერთადერთი ვაჟიშვილი სამამულო ომში დაკარგა.

— ... აი, ამ ქარვის კენჭს გახედვ მზეზე; ხედავ, შიგ ბუზია, — ბუზუნებდა ძია ალექსანდრე, — ამას ინკლუზუსს ეძახიან. მუმიებს განა მარტო ეგვიპტელები ინახავდნენ, ბუნებაც ინახავდა. თქვენ რომ იცოდეთ რამდენი ძალა იბრძვის ასეთი ლამაზი კენჭების შესაქმნელად, ეჰე-ჰე, რამდენ რამეს გაიგებდით!

საერთოდ, ვაჟას არ შეეძლო გაციების შეკავება: გახევებული შესცქეროდა მინის ქვეშ მოთავსებულ ფერად-ფერად ქვეებს. ვანგებას თითქოს დაეპატარავებინა ზღაპრული კოსმეები და მათ შორის დაკლავნილი უამრავი ლაბირინთი. ქვეები ერთი მეორეზე ლამაზი და მიმზიდველი იყო; მინერალთა სახელწოდებებიც უჩვეულო ბგერებისაგან შესდგებოდა.

აქამდე ვაჟას ასეთი რამ არც გაეგონა და არც წაეკითხა: კინოვარი. ბორნიტი, ამაზონიტი, აქვამარინი, ალაიტი... მაგრამ ვაჟას და ლამარას ყველაზე ძლიერ კინოვარი მოსწონდათ, თვით სიტყვაც

სხვებზე კეთილმოვანად ჟღერდა, თუმცა ეს ყოველთვის ასეა, როცა საგანი მოგვწონს.

დილაობით ძია ალექსანდრე ყვავილებს რწყავდა. მოშრიალე ცაცხვს ფუტკრები დაჰზუზუნებდნენ. ქალაქელმა ბიჭმა ამ ეზოდან პირველად დაინახა, მზე როგორ ამოცოცდა მახათას ქელზე.

გავიდა ორი წელი. ძია ალექსანდრე გარდაიცვალა და ვაჟა პირველად მიხვდა, რომ არსებობს გარდუვალი და ჩვენგან დამოუკიდებელი დღე. ძია ალექსანდრეს ეზოში უამრავი ხალხი მოგროვდა. ხალხით გაქედილი ეზო დუმილს მოეცვა. ასეთი შემხარავი დუმილიც პირველად ნახა ვაჟამ. დედამ ფანჯრის გაღება აუკრძალა და დარაბაც მიხურა. ბიჭი კვლავ გაურკვეველობამ შეიპყრო. საღამოობით სამელოვიარო ჰანგები ღამოდა. ვაჟა დარაბის ფიცრებს შორის ჯარჩენილ ღრიჭოში იჭვრიტებოდა. ლამარაც ღრიჭოდან უცქერდა ეზოს და ტიროდა. ბიჭსაც მოერია ცრემლი, მაგრამ თავი შეიკავა. საერთოდ, მას მწუხარების დაფარვა უყვარდა. ეს თვისება მისთვის არავის ჩაუნერგავს და ახლა როცა ვაჟა იმ თავის პირველ ცრემლს იხსენებდა, ამ თვისებას თანდაყოლილად თვლიდა.

მაღე ლამარას მშობლებმა ახალი ბინა მიიღეს და საცხოვრებლად საბურთალოზე გადავიდნენ...

ერთხელ, როცა საულვაშეზე ღინდლი გაუჩნდა და ხმაც დაუბოხდა, ვაჟას მწვანე ეზო შეცვლილი მოეჩვენა. იგი დიდხანს იდგა ფანჯარასთან და მხოლოდ ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ აღმოაჩინა, რომ ცაცხვის ძირში ვილაცას ძველი ნივთების შესანახი ხუხულა წამოეჭიმა... ამის შემდეგ სულ ორიოდე კვირა გავიდა, ეზოდან რამდენიმე ხე გაქრა და მათი ადგილიც ხუხულებმა დაიკავა. ეს ხუხულები თუნუქისაგან, ფიცრებისა და ტოლის ნაჭრებისაგან იყო აწყობილი და ერთმანეთს უშნო-

ობაში ეჯიბრებოდნენ... შემდეგ ახალი რამდენიმე ადგილას გადატანეს ხუხუქურთმებიანი რიკულებიც ვილაცას მზის შუქზე უკვე შუშაბანდი აელვარდა. შუშაბანდის ანარეკლი ვაჟას თვალებს სჭრიდა: იგი თითქოს ცდილობდა, მხოლოდ თვითონ გამოჩენილიყო და ამით მიეჩქმალა ის უმსგავსოება, რაც ეზოში ხდებოდა... ერთ მშვენიერ დღეს ცაცხვიც მოჭრეს და ვაჟა მიხვდა, რომ არსებობს მოვლენების უხილავი და უსასრულო ჯაჭვი, რაც სამუდამოდ არაფერს სტოვებს. ამის შემდეგ უფრო გაფერმკრთალდა ეზო, გაქრა ყველა ხე, ბუჩქი. გაქრა პატარა აუზიც და ის ნაკვეთიც, სადაც ბავშვები თამაშობდნენ. მერე შავად შეღებილი გარაჟები გაჩნდა.

საღამოობით აღარ ისმოდა ცაცხვის შრიალი, აღარც ბურთს ადევნებულ ბიჭების ყიყინა. ონკანთან რამდენიმე ფიცარი გაედოთ. ამ ფიცრებზე ზაფხულობით ნარდს დებდნენ და კამათები ჩხრიალებდა. ხუხულებს შორის კი პერანგამოჩაჩული ან თეთრ მაისურში გამოწყობილი მამაკაცები დაბორიალობდნენ. ათას რამეზე საუბრობდნენ, ხანდახან ვერ რიგდებოდნენ და ერთმანეთზე მუშტით იწევდნენ. უსაქმობით გაფაშვანებული ან სიანჩხლისაგან ჩამომხმარი ქალები თეთრეულს ფენდნენ. ეზოში კი წუმპით სავსე გუბეები ჩანდა.

ვაჟას უეცრად მანქანის დამუხრუქების ხმა შემოესმა. ფიქრიდან გამოერკვა. საკმაო გზა გამოეცვლო სადგურიდან ჩუღურეთამდე.

— ე! ვაჟა, მოდი შინ მიგიყვან! — ეს ვლადიმერი იყო.

— მივედი კიდეც. ათ წუთში მივალ.

— ვა! ათი წუთი დრო არ არის?!

ვაჟამ კარგად იცოდა, რომ ეს მიწვევა დაკავშირებული იყო რალაც სათხოვართან. მაინც ჩაჯდა მანქანაში. მას მტკიცედ სწამდა, რომ ვლადიმერისთანა კაცისაგან სსსიამოვნოს ან მნიშვნელოვანს ვერასოდეს გაიგებდა; არ იყო მოსალოდნელი რაიმე იმედგაცრუება

და ამიტომ არც რაიმე ეწყინებოდა. ლადო—ამჟამად ვლადიმერი, ვაჟას გაცნობის დღიდანვე არ მოსწონდა. მერე თავის თავს გამოუტყდა ვაჟა, რომ არც ლამარას მეუღლე მოეწონა, მაგრამ მისი უგუნებობის მიზეზი ეს არ გახლდათ. მთავარი ის იყო, რომ ლამარა გულწრფელობას დასცინოდა. საკუთარ გულწრფელობას...

მანქანა აღმართზე აღიოდა.

— საიდან ბრუნდები ახლა? — ჰკითხა ვლადიმერმა.

— მთა-თუშეთიდან.

— ბედნიერები ხართ ეთნოგრაფები — დღეს აქა ხართ, ხვალ იქა... დასეირნობთ რა! თქვენ უნდა უაიკვეხოთ. დროს ვატარებთო... კაცო, რაღაცა მინდა გითხრა.

— ვისმენ.

— ძალიან ცხელა აი.

— ჰო, — უპასუხა ვაჟამ და გაუღიმა.

მანქანა ახლა თავდაღმართზე დეშვავა.

— აი ჩვენი სახლები ნგრევის გეგმაშია, ახლები უნდა ავაშენოთ, — ოდნავ შეტრიალდა ვლადიმერი.

— ჰო, მალე დაანგრევენ, — თქვა ვაჟამ — ახალ ბინას რა სჯობია?

— აი, ისა... თქვენ რომ ფანჯარა გააკეთეთ, მაგის ნებართვა გქონდათ? ხომ იცი, ჩვენი ეზოს თანხმობა თუ არ არის, თანაც სახლმმართველის ნებართვა...

— გვქონდა, ორივე გვქონდა, — შეაწყვეტინა ვაჟამ.

— ჰო! — ვზავარედინზე ვლადიმერმა სვლა შეანელა, სწრაფად დახვერა იქა-ურობა, — პირდაპირ გეტყვი რაღა, თქვენი ფანჯარიდან ყველაფერი ჩანს: ვინ პირს იბანს, ვინ იცინის, ვინ ტირის, ვინ კიდევ რაღაცა... მერე ეს კარგია? ჩვენი ეზოს ამბავი სხვამ რატომ უნდა იცოდეს. სახლების დანგრევას რომ ვუცადოთ, სად წავაღოთ.

„ფანჯარას ამოვაშენებ“ — ვაჟამ თავში ვაჟას და თვითონაც მოეწონა ეს აზრი, თითქოს იპოვა პასუხი იმ კითხვაზე, ამდენი წელი, რომ აწვალებდა. სიხარული ვერ დამალა და პირველად თავის სიტყვებში ვლადიმერს თითქმის აღერხით დაარტყა ხელი მხარზე.

— მოდის!

— რა მოდის?

— რაც შენ გინდა...

— ვა, ამდენს რას მაღაპარაკებდი, დალოცვილო? აი, შენი სახლიც...

ვაჟა ჩამოხტა მანქანიდან და თავის დახუთულ ეზოში გაუჩინარდა. სარდაფში ნესტიანი აგურები მონახა, ისევე ის ძველი აგურები, რომლებსაც ოდესღაც ფანჯარის ადგილი ეკავათ. მოგვიანებით ცემენტი და გაჯიც გამოჩხრიკა, მუშაობას შეუდგა.

სალამოს დედა უაბრუნდა შინ. შვილის მომლოდინეს ახალი ყურძენი და გორული ატამი ეყიდა.


— კარგია, ფანჯარა რომ ამოვიშენებია, აყალმყალის გარდა არაფერი ისმოდა, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა დედამ.

ვაჟას ესამოვნა კედლის შეხედვა. ამოქოლილი ფანჯარა ჯერ არ გამშრალიყო და ოთხკუთხედის ნაწიბურები მკვეთრად მოჩანდა...

და ახლა, ამ წუთში, როცა ვაჟა ჯერ კიდევ ზველ ცემენტს უყურებდა, მას უცებ თვალწინ წარმოუდგა აყვავებული ეზო. ეზოში მაღალი ცაცხვის ხე იდგა. ცაცხვის მოშრიალე ფოთლებს შორის ბრჭყვიალა მინერალები მოჩანდა, აივანზე კი მოხუცი იდგა და სიყვარულით ათვალეირებდა მთის ბროლის ნაჭერს.

ვაჟამ კიდევ ერთი სასიამოვნო რამ აღმოაჩინა — სილამაზე არასოდეს არა ქრება და ამ აზრით შეპყრობილმა ზურგჩანთა თავის სამუშაო მაგიდაზე წამოაპირქვავა.





მოთხრობა

ზღვა ახლოს იყო, მაგრამ ახლა მას ფიჭვის ხეები და ხვიარა მცენარეებით დაბურული ღობეები ფარავდა. ღობეებისა და ფიჭვის ხეების იქით ხედავდა მაღალი ევკალიპტების კენწეროებს. მერე ავტობუსმა სიჩქარეს უმატა და სარკმელთან შავ ხაზებად და ნაკაწრებად მიჰქროდნენ უეტრად მოვარდნილი საგზაო ნიშნები, ტელეგრაფის გაფისული ბოძები, მოლრეცილი, გაწეწილი ხეები.

ხანდახან ზღვის ვიწრო სილუეტზე ვეება ტალღასავით გაიეღვებდა ღობეების, ფოთლების, დაბალი ოდა-სახლების მიღმა და მას დიდი და ლურჯი საპარადო ბურთები აგონდებოდა. ბურთები ერთმანეთში ირეოდნენ, მზეზე ელავდნენ და ერთიმეორის მიყოლებით იმალებოდნენ თხელ, გამჟვირვალე სიმწვანეში.

გოგონასაკენ მიხედვა არ უნდოდა და ფერების თავაწყვეტილ უთვალავ ხაზად შეერთებულ ქროლვას თვალს აყოლებდა.

გოგონა გვერდით ეჯდა.

ავტობუსი ინჯლრეოდა და ისინი მხრებით ეხებოდნენ ერთმანეთს.

გოგონა ზღვის დანახვას ცდილობდა, — ყავარჩენებს ვერ ხედავდა.

ზღვაც არ ჩანდა, მაგრამ ძალიან ახ-

ლოს იყო, — უღონო ზღვაურს მოჰქონდა გახურებულ სილაზე შემშრალი ქაფის, ნაპირზე გამოთრეული ძველი ნავეების, თევზის დასამარილებელი კასრების სუნი.

მერე ჩანდა რკინიგზის ვაკისი და მზეზე ოხშივარადენილი მაზუთიანი განძელების სუნიც იგრძნობოდა.

„ზამთარში უფროა განძელების სუნი, — ფიქრობდა ხეიბარი, — როცა ლიანდაგზე მიდიხარ და დილაა... ისე, სიცხეში უფრო უნდა იგრძნობოდეს.“

მერე გზისპირას ყვითელ ბილიკზე მიმავალ ბიჭებს უცქერდა. ბიჭები შორს იყვნენ — ბილიკთან ერთად მოჰქროდნენ ავტობუსისაკენ; ბამბუკის გრძელი, საანკესო ჯოხები ეჭირათ და შიშველი, ღონიერი ფეხები ჰქონდათ. ავტობუსი ბიჭებს წამოეწია და სარკმელთან ყავისფერ ჩრდილებად ჩაიქროლეს ღონიერმა, ყვითელ მტვერში კოჭებამდე ჩაფლულმა ფეხებმა.

მერე სიმწვანე მოირღვა და ზღვა უცებ მოვარდა სარკმელთან. ზღვა მშვიდი იყო. თხელი ტალღების ჩქამი წყლიდან ამომხტარი თევზის სუსტი ჩქაფანით ისმოდა. ჰორიზონტი შორს იყო, მაგრამ მკვეთრად ჩანდა; მერე ყვითელ მტვერში ისევ მიდიოდნენ შიშველი,

ლონიერი ფეხები... მტკერი კოჭებამდე
ფარავდა ფეხებს და ათბობდა...

ზღვა ახლა ნისლიან ჰაერს ჰგავდა,
ზედ თვალბზე მომდგარსა და აბოლე-
ბულს; ზღვის მიღმა, შორს და, როგორ-
ღაც, ძალიან ქვევით, ფარფატებდა ნაც-
ნობი დელე, — ანწლით, ჯუჯა თხმელე-
ბითა და მაღალი გვიმრებით დახუთუ-
ლი; მაგრამ ავტობუსი გაჩერდა და
წყალში ორივე ფეხით ჩამდგარი, ქვებ-
ზე სახელაოდ დახრილი ბიჭის ლანდი
გამკრთალდა.

ავტობუსი შლაგბაუმთან იდგა.

შუადღის სიცხე ახლა უფრო იგრძ-
ნობოდა და მგზავრებს ლოდინი აღი-
ზიანებდა.

„ეს გოგო მაინც იტყოდეს რამეს —
ფიქრობდა ხეიბარი, — როგორი ხმა
ექნება. მიცქერის და მიცქერის. ვითომ
ბუნებაზე გიყვება. რა იცის, ცალფეხა
თუ ვარ. რომ იცოდეს, სულაც არ შე-
მომხედავდა“.

— ფეხით ჯობდა, — თქვა წინ ვილა-
ცამ, — უცებ ჩავიბრუნდი და მორჩა.
ახლა ელოდე.

ხეიბარს გაელიმა. უცნაური ღიმილი
ჰქონდა, კანი უბეებამდე ეჭიმებოდა:

„ჩავიდეს, ირბინოს. ვინ იჭერს“.

ავტობუსი კი იდგა. ხეიბარი ლიან-
დაგს უცქერდა. შორს, მოსახვევში,
რელსები მზეზე ელავდნენ; ელმავლის
სტვენანარევი ზუზუნნი და ბორბლების
შორეული ხმაური ისმოდა:

„გამოჩნდა. სატვირთოა, — ცისტერ-
ნები. ჯერ სადაა, ურემივით მოზოზი-
ნობს. მოასწრებს, — ჩავიდეს და ირბი-
ნოს... მაინც უცებ ჩაიბრუნს... რა სუნი
აქვს ავტობუსს, სიცხეა და, ალბათ, იმის
ბრალი“.

დამწვარი ბენზინის, თუნუქის საღე-
ბავისა და ლიდერინის ერთმანეთში შე-
ზავებული სუნი მოსწონდა. თემშარაზე
იშვიათად ჩავლილი მანქანები ტოვებდ-
ნენ ასეთ სუნს, — ეს იყო ადრე, როცა
მანქანის კვალზე აფორიაქებულ, მღოგ-
ვისფერ მტკერში გულისამოვარდნამდე
შეექლო სირბილი.

სევდანარევი კმაყოფილებით ფიქ-

რობდა და შლაგბაუმთან მდგარ ყვირულ
ალმიან მეჯიხურეს უცქეროდა: სარკ-
მელში თავგაყოფილი მძღოლი მეჯიხურე-
რეს ნიშანს აძლევდა და რაღაცას უყ-
ვიროდა.

„ყავარჯნები რომ დაინახოს, გაუკ-
ვირდება: კოჭლი ყოფილაო. ასეთი ბი-
ჭი და... კოჭლიო. არა, ძალიან გაუკვირ-
დება; იფიქრებს...“ — ცდილობდა წარ-
მოედგინა, რას იფიქრებდა გოგონა, რო-
ცა ყავარჯნებს დაინახავდა, დაქინებით
უცქერდა წინა სავარძლის საშურგებზე
ამოკაწრულ ისარგაყრილ გულს.

მოულოდნელად რაღაც გაბოროტება
წამოეძალა: „იფიქრებს კი არა... დაი-
ნახოს, უცქიროს. ეგლა მაკლია, გაუკ-
ვირდება თუ არ გაუკვირდება! რასა
ჰგავს, — კასრივითაა. თანაც, რა ფე-
ხები აქვს, ნამდვილი მუთაქები... აი,
მატარებელიც... ეშველა იმ დებილს, —
ფეხით მოუხდებოდა სირბილი, ცოდვა
იყო“...

ელმავალი გამაყრუებელი ხმაურით
შემოიჭრა გადასასვლელზე. მიწაყრილს
ქრუოლამ და გრილომა გადაუარა. ლიან-
დაგი გაიხნიქა. რელსებს თითქოს მძი-
მე, ტლანქი ნაჯახები დაუშინეს, —
რიტმულად, წყვილ-წყვილად, გაუთა-
ველად.

ავტობუსის საბურავებქვეშაც იგრძ-
ნობოდა მიწის თრთოლვა და კანკალი.
ხეიბარმა ცალი ფეხი შეატოკა, თითქოს
მძიმე ნაჯახებს აარიდა. ორივე ფეხით
(არარსებული ფეხითაც) იგრძნო ლიან-
დაგის ქრიალი და მძიმე ნაჯახების შიში.
სწრაფად დახედა მუხლზე გადაფენილ
კვამლისფერ ლაბადას, მუხლსზემოთ
წაკვეთილ ფეხს რომ უფარავდა; მარჯ-
ვენა ფეხიც უნებურად მოაფათურა სა-
ვარძელქვეშ, ყავარჯნის უხეშ ბოლოებს
შეეხა.

უკვე არ უცქეროდა ერთმანეთში
არეულ, თავბრუდამხვევი სისწრაფით
გატყორცნილ ბორბლებს. ეჩვენებოდა,
თითქოს მატარებელი სადღაც შიგნით,
ყურებში ჩატეულ უზარმაზარ სიცა-
რიელეში მიექანებოდა და გუგუნებდა.
ბოლოს უკანასკნელმა ცისტერნამაც

ჩაიგრილა და თან გაიყოლა ხმაურის კორიანტელი. ავტობუსის საბურავებქვეშ აცახცახებული მიწა ისევ დამშვიდდა. შლაგბაუმის ჭრელი ჭოკი ზევით ავარდა და შეტოკდა. გადასასვლელზე ავტობუსი შეინჯღრა და გოგონა ისევ მიეხალა ხეიბარს. ხეიბარმა უფრო მიიწია სარკმლისაკენ:

„როგორ გადამიფარებია მინც ეს ლაბადა, — არც ფეხი ჩანს, არც ყავარჯნები. აი, ვუცქერი და სულ არ ჩანს. თვითონ მას უჩანს მუხლები, განა დაიფარავს. იქით სულ არ ვიხედები, — მინც უჩანს. ზის, თითქოს არაფერი, კაბა კი...“

გოგონა ცდილობდა, სავარძელზე უფრო მოხერხებულად დამჯდარიყო, ზამბარა ჭრიალებდა. ხეიბარი ისევ თავის ლაბადას დაჰყურებდა, მაგრამ მინც ხედავდა: კალთაში გოგონას პატარა, თეთრი ხელჩანთა ედო; ხელჩანთაზე ეწყო გალაქულფრჩხილებიანი თითები; ქვევით, იატაკზე, თეთრი, ვიწროცხვირიანი ფეხსაცმელები ცოცავდნენ.

უცებ ფეხსაცმლის წვერებმა ბრმად მოძებნეს და შეაჩერეს ერთმანეთი.

გალაქულფრჩხილებიანი თითები გულისპირზე აცოცდნენ. იმავე წამს მეორე ხელმა კაბის ურჩი კალთა დასწია. შიშველი მუხლები დაფარა.

„მიხვდა, ხეიბარს სირცხვილი სულაც არ უგრძენია; უცნაური, მოზღვავებული სიხარულით აუთრთოლდა გული, — სულ არ შემიხედავს და მინც მიხვდა“.

უცებ მუხლებზე გადაფენილი ლაბადის ალება მოუნდა. ყოყმანობდა:

„აი, ავიღებ და მორჩა. გამოდის, თითქოს შეგნებულად დავიფარე. ისე ავიღებ, ბუნებრივად გამომივიდეს. ჩუმ-ჩუმად გადავაცოცებ, თითქოს გარეთ ვიხედები. ნახოს“.

ლაბადა კვამლისფერი იყო.

სწრაფად მისწია მუხლი, ლაბადასა და კედელს შუა ღრიჭოში გამოძკრთა. ყავარჯნის ნაწილი ისევ დაფარა.

„ხომ არ დაუნახავს“. — გარეთ იყურებოდა და თანდათან მშვიდდებოდა: გზატკეცილსა და ლიანდაგს სიმინდის

ფართო ყანები მიჯნავდა: ავტობუსი წელიანდელ ცისტერნებს წამოსწოდა. ბირაბირებზე უკვე უხმაუროდ გადაიარდნენ ბორბლები და არც უჩინარი ნაჯახების ხმა ისმოდა. ხეიბარს აღარ ეშინოდა, ცდილობდა ცისტერნების დათვლას. დათვლა კი ადვილი იყო, — ცისტერნები სხვადასხვა ფერისანი იყვნენ: რუხი, მაშუთისფერი, ქანგისფერი... ბოლოდან ითვლიდა, მაგრამ ყანების გაღმა, გზატკეცილსა და რკინიგზას შორის, წამდა-უწუმ ჩნდებოდნენ ბალახით დაფარული ბორცვაკები და სათვალავი ერეოდა...

„ნეტავი თუ დაინახა... ავიღებ ლაბადას და დაინახოს, მალე ავიღებ. ან სულ არ ვიფიქრებ. ჩემთვის ვარ, ვისი რასაქმა; ვუცქერი ცისტერნებს და ვარ ჩემთვის. არავიზე არ ვფიქრობ. აი, თუნდაც წეღან რომ შეეშინდი, — ამაზე ვიფიქრებ; ხომ საინტერესოა: თითქოს მატარებლისაგან მქონდეს გადაჭრილი... მეყვსეულად გადაჭრილი ფეხის ძვალსაც ვხედავ... შორს, ბნელ განძელებზე... ბუნდოვნად ვხედავ, მაგრამ, ხომ ვიცი, — ჩემია... ყოველთვის ასეა, როცა მატარებელს ახლოდან ვუცქერი, ნეტავი, რატომაა ასე! ჩაიგრილა იმეებს ახლოს და მეშინია, თითქოს მატარებელი იყოს მიზეზი. კი არ მეშინია, — შიში ჩემს გარეთაა, როგორღაც, თავისთავადაა“.

„სულ არ მაინტერესებს, ვინ მიზის გვერდით და მოგწონვარ, თუ არ მოგწონვარ, სულ არ შევიწუხებ თავს... ვინ მითხრა... ჰო, გიომ, — ბიოგრაფია გაქვსო. გულს მიკეთებს. იცის ჩემი ამბავი. ამან კი — არაფერიც არ იცის, ზის თავისთვის. იქნებ სულაც არ მიცქერის, იქნებ მატარებელს აკვირდება“.

მატარებელი უკვე აღარ ჩანდა. არც ლიანდაგი ჩანდა. ავტობუსი ცოცხალი ლობეების იქით ჩარიგებული შუშაბანდიანი სახლების გასწვრივ მიჰქროდა. მერე სკოლა გამოჩნდა, — ვარდისფერი, ორსართულიანი შენობა. ავტობუსი სკოლასთან გაჩერდა. გოგონა არ განძრეულა და ხეიბარს უხაროდა: სხვები ჩადიოდნენ, ამოდოდნენ; ცისფერი

მესერის იქით ბავშვები დარბოდნენ, პატარა მოედანზე კალათბურთს თამაშობდნენ უფროსკლასელი ბიჭები. ბიჭები საოცრად კარგად თამაშობდნენ. ხეიბარი ბიჭებს უცქეროდა. ზოგიერთი დიდი, სწრაფი ნახტომებით შემოდის და ფარქვეშ, თავს ვერ იკავებდა და პირითი ხაზის უკან გავლებულ მესერს აწყდებოდა. მერე მესერი ამოძრავდა, აჩქარდა, გაერთფერდა და უცებ ჩათავდა.

უკან დარჩენილ სკოლის ეზოში ზარი დარეკეს. ზარის ხმა თანდათან სუსტდებოდა, კანკალებდა, მიდიოდა შორს, ძალიან შორს და სივრცეში უთვალავ წვრილ ბგერებად ნაწილდებოდა. იქ, შორეთის სიმშვიდესა და სიწმინდეში, თითქოს ნელ-ნელა თენდებოდა და თბილი სინათლე გროვდებოდა.

ხეიბარი იღიმებოდა. მერე ნაცნობი ლექსის გახსენება სცადა, ვერ გაიხსენა: „ნათელო, ნათელო ჩემო... ნეტავი, როგორაა შემდეგ... ნათელო, ნათელო ჩემო, ცით გამოშვებულ ნათელო...“

ზარის ხმა მიწყდა, თანდათან გაქრა ნაცნობი ღელის ნაპირებამდე ჩამოსული ლურჯი გორაკები, თემზარის რუხ ძაფზე ასხმული მწვანე ეზოები, ოდასახლები. ხეიბარს ისევ ეღიმებოდა:

„გამეჭვა, დამალა ჩემი სოფელი“.

„რამდენი ხანია არ ჩავსულვარ. ბავშვობის მერე არ ჩავსულვარ. ვიოსთან კი — უკვე მეორედ მივდივარ, გაგიყვება, თანაც მოულოდნელად რომ გამოვეცხადები... ჩემი სოფელიც კარგია, ასე შორს რომ არ იყოს. ათასჯერ უნდა გადაჯდე მანქანიდან მანქანაში; ფეხითაც ბევრია სავალი. რომ დავამთავრებ, მერეც მეყოფა. რაღა დარჩა, ერთი წელი. ვასწავლი ბავშვებს და ვიქნები ჩემთვის, — ზედვეა სკოლა. ის ლექსი როგორ დამავიწყდა! გზის ბრაღია, — მოვლავლავებ მთელი დღე... „ნათელო, ნათელო ჩემო“...“

გარეთ, ვიწრო მოსახვევში, ჩექმებიან ბიჭუნას ველოსიპედიდან ცალი ფეხი ჩამოედგა და ავტობუსის გავლას უცდიდა. საჭე ხელით ეჭირა, მეორეში პური ჰქონდა. ავტობუსმა გაუსწრო

ბიჭს. ხეიბარი მობრუნდა და უყურებდა. ხედავდა, როგორ ეჯაჯურებოდა ბიჭი პედალებს, — საჭეს ცალი მხლით ვერ ერეოდა და ველოსიპედი ზიგზაგებით მოჰყავდა. პური გულზე ჰქონდა მიხუტებული.

— დედა... — უსიტყვოდ თქვა უცებ ხეიბარმა. — დედა...

დედა უცებ გაჩნდა და მოდიოდა, — უსახო, უსხეულო... დედა კი არა, — უცნაური, გაურკვეველი გრძნობა, რომელიც ჰგავდა ყელში მოწოლილ, ჩუმ ტირილს, სიტყვა „ამპუტაციის“ მიღმა მოღარაჯე თეთრ, ყინვიან სიმშვიდეს, იმ სუნსაც, გარდერობში წლობით დაკიდებულ შინმოუსვლელი მამის ხაკისფერ ტანსაცმელს რომ ასდიოდა; ეჭთან გოგონას სულისშემხუთველ მკერდსაც, რომელსაც ოპერაციის დროს ვეებერთელა და სიზმრებიან სამყაროდ გრძნობდა ცრემლიან ლოყებზე, შუბლზე, ტუჩებზე.

— ბატონო, მე აქ ისე... ვიდგები...“

დედა ახლოს იყო საოპერაციო მაგიდასთან, მაგრამ მისი ხმა ზემოდან, ჰერიდან მოისმოდა. იქ, ჰერში, ყვითელი ჩიტებივით დაფრინავდნენ ელნათურები, ერთიანდებოდნენ, ისევ იშლებოდნენ. დედა კი ახლოს იყო მასთან; გახუნებულ, თალხ კაბაზე თეთრი ხალათი ეცვა და, ამიტომ, თითებზე მკვეთრად აჩნდა ჩაის კრეფის მუქი ნაკვალევი.

— ბატონო, შენი ჰირიმიე...“

— დედა, წადი! — საკუთარი ხმაც ზევიდან მოისმოდა და უცხო იყო, გაბოროტებული, ბოღმიანი:

— გავიდეს, არ გავიკეთებ... გავიდეს...“

ფეხებთან რაღაც ფუფუნებოდა, დიდდებოდა. საკუთარი კანიც თითქოს სხეულს სცილდებოდა და იყო სადღაც გარეთ და ირგვლივ — ხმების, ჩურჩულის, თეთრხალათიანი აღამიანების, შიშისა და მოლოდინის გარშემო.

მერე, უცებ, ამოსკდნენ გესლიანი, ცეცხლისფერფრთიანი კრაზანები. ისინი ფეხს ეხვეოდნენ, ფუთფუთებდნენ, ბზუოდნენ ხან შორს, ხან ახლოს.

გარეთ კი, კარს უკან, იდგა დედა, — უბრალოდ ჩაცმული, ხეშეშითებითიანი.

ქვევით, ფერხთით, შრიალებდნენ, გულუნებდნენ და ხტოდნენ საბურავები. შეცთომებულ ასფალტზე მოყრილი ხვინჭა ავტობუსის ძარაზე წიკწიკებდა. ხეიბარს ფეხი დაუბუჟდა.

— დედა... — ისევ უხმოდ თქვა ხეიბარმა. ყელში უგროვდებოდა რაღაც მძიმე და თბილი, უგროვდებოდა და წვეთავდა საღლაც ქვევით... მერე თითქოს ისევ მოვარდა რელსებზე ნაჯახნის ცემის ხმა, აღიღდა, აზვავდა, აფეთქდა.

ხეიბარმა ლაბადას ხელი დაავლო, ორივე ხელით დაკმუქნა, მაგრად, მაგრად მოუჭირა თითები. მერე წინა სავარძლის საზურგეზე ატივტივდა კეფაშეთეთრებული, ყვითელყურებიანი თავი და უძრავად დაჯდა წვრილ, გამხდარ კისერზე. გაურკვეველი ზუზუნი დანაწვევრდა მამაკაცის ხმებად, ქალის ხმებად, ჩურჩულად, სიცილად, ფანჯრის ჩარჩოების ზრიალად. ყველაფერი ჩვეულებრივი გახდა, უბრალო და ნამდვილი. გოგონაც, ალბათ, უკვე ხედავდა ყავარჩნებს. ხეიბარი გრძნობდა, გოგონა არ იცქირებოდა სარკმელში; ხელჩანთაზეც აღარ ცოცავდნენ გალაქულფრჩხილებიანი თითები.

„არა უშვავს... — ფიქრობდა ხეიბარი, ისევ გარეთ იყურებოდა და გრძნობდა, როგორ ევსებოდა გული ყოვლისმომცველი და ყოვლისშემცნობი რაღაც არაბუნებრივი სიმშვიდით, — როგორ გავთავისუფლდი, მოვიშორე ლაბადა... თითქოს საკუთარი გმირობა შევიცანი და განვიცადე“.

სარკმელში თანდათან იღვოდა და და წყდებოდა სიმინდის ყანის ვიწრო ზოლი, წყდებოდა და ისევ იწყებოდა. კიკნა ბიჭი ავტობუსს ნიშნისმოგებით უღიმოდა და ხელს უქნევდა; თოხისტარზე ჩამოსვენებული მუშაკაცი პირისოფლს იშვენდა და ავტობუსისკენ არც იყურებოდა. მერე ჩაის პლანტაციების მუქმწვანე ოთხკუთხედები რიგრიგობით თავიანთი ოთხივე წვეროს გარშემო ტრიალებდნენ, რკინიგზის

აჩონჩხილი ბოძები ნაბიჯ-ნაბიჯ რჩებოდნენ უკან. შორს, დაბა, წითელკრამიტნიანი სახურავები და მალაღობნიერი გამოჩნდა. გზატკეცილი რკინიგზასა და ზღვას დაუახლოვდა და ზღვაც უკვე ხშირად ჩნდებოდა: გაირღვეოდა უეცრად სიმწვანე და ზედ სარკმელზე მოვარდებოდა, ჩაუქროლებდა ავტობუსს და ისევ მიეფარებოდა.

მაინც ყველაფერს ხედავდა და ყველაფერი ესმოდა. ესმოდა გლეხების საუბარი ამინდზე, პოლიტიკაზე, პურზე, რაკეტაზე. მერე ესმოდა ქალის სიცილი. მერე ავტობუსი გაჩერდა. გაჩერებასთან, ავტოსადგურში, მგზავრები ირეოდნენ და ავტობუსის ფანჯრებიდან გაოფლილი, დაღლილი სახეები მოჩანდნენ.

გოგონა არც ახლა განძრეულა და ხეიბარს ისევ უხაროდა. წყალი წყუროდა, მაგრამ ჩასვლა ბევრ დროს წაიღებდა. გზისპირა ფარდულეებში ყიდნენ სასმელებს, ფერადშუშოიან სათვალეებს, საბანაო კოსტიუმებს, სიგარეტებს.

ხეიბარმა სიგარეტს მოუკიდა, ცალ ფეხზე წამოდგა, თავი სარკმელში გაჭყო და გააბოლა, უყურებდა ზღვისკენ მიმავალ გარუჯულ ბიჭებსა და ქალიშვილებს, — ჩამოსულები იყვნენ, მოაგარაკენი. რატომღაც ეგონა, ვინმე ნაცონობს დაინახავდა, — თანაკურსელს. მერე გზისპირას, ქვიშიან ბილიკზე შექმეხებულ ყვითელ და მტვრიან ბატებს უცქეროდა. ისინი ზანტად წიწკნიდნენ უხეშ, გადატრუსულ ბალახს. ასფალტზე ჩანდა გატეხილი ბოთლი, ლედვის ნაფცქვენები, სიმინდის ნაგულეები. ტრიფოლიატის ღობეები შუამდე მტვრისფერი იყო, ზევით თანდათან მწვანდებოდა.

გზა ზღვისპირს სცილდებოდა, სულ ზევით და ზევით ადიოდა; შორს, მწვანე გორაკზე ტეხილი, ყვითელი ხაზივით მოჩანდა — „უკვე არც ისე შორსა... კარგი, ძმაო ჩემო, მოვდივარ, — ხეიბარს უცებ გაეღიმა, გული გაუნათდა და გაუთბა... აჰა, გზა შენი და აჰა, მე—

მხედარი... მომშვიდა, — ამხელა გზაზე მოვდივარ... მოვედ, ძმაო ჩემო, რამეთუ მნებავს მე პური და თაფლი. ჩამოდო. ვიო სხვაა. ერთი ბოთლი ღვინით რომ მომადგებოდა ოთახში... განმამტკიცეთ ღვინით და განმაგრილეთ ვაშლებით, რამეთუ დავშვერ შიმშილისაგან... ასეთია... პირველი სექტემბერიც მალე დადგება და ისევ ჩვენი ციკქნა ოთახი, სტუდენტური. ხუმრობა იქით, და მართლა მომშვიდა, — გზაა.“

ხეიბარმა გზას გახედა. წინ შლაგბაუმი ჩანდა. აქედან იწყებოდა აღმართები, — ასსოვდა.

გადასასვლელის შემდეგ ავტობუსმა მკვეთრად აუხვია აღმართზე და ხეიბარს მკლავზე შეეხო გოგონას იდაყვი. ცხლოდა, მაგრამ იდაყვი გრილი იყო. ფრთხილად, შეუმჩნეველად შეეხო, მოსცილდა და მოუშორებელი სიგრილე დაუტოვა მკლავზე.

ხეიბარი გრძნობდა შეხების ადგილს, თითქოს აშლილი ბუსუსები გათელილი ბალახივით ნელ-ნელა იშმუშნებოდნენ და სწორდებოდნენ. ავტობუსი გაბმული წივილით აღიოდა აღმართზე, აივაკებდა, საქმენს ააქშუტუნებდა და ისევ ახალ აღმართს შეუდგებოდა. ახლა მოპირდაპირე სარკმლიდან შემოდრიოდა ნიავი და სიცხეს ოდნავ ანელებდა. ჰაერი მძიმე იყო, დახუთული. ვილაცამ თქვა, იწვიმებსო. კიდევ რამდენიმე თქვა... თითქოს ერთმანეთის სიტყვებს ბუზებივით იგერიებდნენ. მგზავრები დაიღალნენ, არ ლაპარაკობდნენ. ავტობუსი გამაღიზიანებლად წიოდა, გამუდმებით ლაყლაყებდა და გოგონას იდაყვი ახლა უფრო ხშირად ეხებოდა ხეიბარს მკლავზე, იმავე ადგილას, წედან რომ მოუშორებელი სიგრილე დაუტოვა. მერე კვლავ ჭრიალებდა ზამბარა, — გოგონა მარაოსავით აქნევდა თავის ციკქნა ხელჩანთას, სახეს და მკერდს იგრილებდა. თავისებური სურნელი მისწვდა ხეიბარის ყნოსვას, მხოლოდ გოგონებს რომ აქეთ — სიმწიფისა და სიწმინდის უცნაური სურნელება! ხეიბარი საკუთარ მუხლს დაჰყურებდა და იცო-

და: კაბის ურჩი კალთა ისევ აჩნდა მის მუხლებს, ახლა აღმართი იყო და უფრო აჩნდა. მაგრამ გოგონას კენჭისგან დვას ვერ ბედავდა. იჯდა დაძაბული, დაჭიმული. „ახლავე დაიფარავს... — იცოდა, რომ გოგონა, საცაა, გაისწორებდა კაბას და ელოდა... წედან ხომ იგრძნო; ოდნავ, სულ ოდნავ გააპარა მისი მუხლებისაკენ თვალი და მაინც მაშინვე იგრძნო გოგონამ კაცის მზერა. — ახლაც ასე იქნება, ახლავე ადგება და კაბას გაისწორებს. უბრალო ამბავია, ქალური ინსტინქტი. გაისწორებს.“

მაგრამ გოგონა უძრავად იჯდა, წინ, იცქირებოდა. ხეიბარს გაოცებანარევი მოუთმენლობა დაეუფლა. გაბედა, გოგონას მუხლებისაკენ თვალი გააპარა:

„ვითომც არაფერი. ზის. ვითომც არაფერი.“

ახლა ჯიქურ, უტიფრად უცქერდა. თვითონაც არ იცოდა, რატომ უცქერდა ასე. ზევითაც, მკერდისკენაც ასრიალა მზერა, ლავიწთან გამოიმკრთალი ცისფერი სამხრე მოლანდა.

გოგონა იჯდა. უცებ, მოიხედა, ხეიბარს უხერხულად, დამნაშავის ღიმილით გაუღიმა და მაშინვე პირი იბრუნა.

ხეიბარმაც პირი იბრუნა, წინა სავარძლის საზურგეზე ამოჩხანნილ ისარგაყრილ გულს მიაჭედა თვალები... დიდხანს, დაქინებით უცქეროდა...

მოულოდნელად საწვიმარი მხარზე გადაიგდო. სივარეტი მოძებნა. აჩქარებით გაჰკრა ასანთი. ჩაუქრა, ისევ გაჰკრა. მოუკიდა. გააბოლა.

გოგონამ მოიხედა. ისევ გაუღიმა. ისევ უხერხული, დამნაშავის ღიმილით. ხეიბარი წამოიმართა, სავარძლის საზურგეს ჩამოეყრდნო.

ყავარჯნებს იმარჯვებდა. ქანობდა, ფეხს ვერ იმაგრებდა. გოგონამ ხელი მიაშველა.

— ხელი! — გაბოროტებით შეჰყვირა ხეიბარმა. — ხელი-მეთქი! გამატარი!

— გაჩერეთ, კაცი ჩადის!

— შოფერ, სტოპ!

— უფროსო...

ავტობუსმა მკვეთრად დაამუხრუჭა.

...მოგოხილი ენერგიულობით მიდიო-
და მწვანედ შეღებული ჭიშკრისაკენ,
ცალი თვალთ აღმართში ამაველ ავტო-
ბუსს უცქეროდა. ავტობუსი მოსახვევს
მიეფარა და ხეიბარი შეჩერდა, ისევ
უკან გამობრუნდა, გზაზე გამოვიდა.
გზისპირას დადგა, ცალ ყავარჯენს დაეყ-
რდნო, შემსუბუქებული ხელით მხრი-
დან ჩამოცურებული ლაბადა დაითრია,
გაკეცა და ისევ მხარზე გადაიდგო. დაღ-
ლილი იყო, — ჩამოსაჯდომს დაუწყო
ძებნა. ვერაფერი ნახა. ისევ გზისპირას
გაყოლებულ სადრენაეო თხრილში ჩაპ-
ყო ყავარჯენები, ჩასრიალდა და ცალი
ფეხით მიეყრდნო ფსკერს. ჩამოჯდა, ყა-
ვარჯენები გვერდზე მიაწყო, სიგარეტი
ამოიღო:

„მეორეს გავყვები. მაინც აუარებელი
მანქანა დადის. ახლოსაა“.

გზას გაჰყურებდა. გზა აღმართზე
აღიოდა, იმალებოდა და ისევ ჩნდებო-
და, — უფრო ზევით, სხვა აღმართზე.

„როგორი თვალეები ჰქონდა, — რო-
ცა დაეუყვირე: ხანძარსაწინააღმდეგო
პლაკატზე რომ ბავშვის თვალებს ხატა-
ვენ, — ისეთი, გაფართოებული, შეში-
ნებული თვალეები!“

მერე მსუბუქი ავტომობილი გამოჩნ-
და. ხეიბარმა ყავარჯენს წამოავლო ხე-
ლი, უნდოდა აეწია, მაგრამ გადაიფიქ-
რა, ჯერ არ უნდოდა წასვლა, თვალი
გააყოლა: მანქანამ აღმართი აიარა და
მოსახვევს მიეფარა. მერე მთებს გაჰხე-
და: პორიზონტის ხაზთან გრძელი, გა-
წეილი ღრუბელი მიცოცავდა და თან-
დათან ეფარებოდა მწვერვალს. ხეი-
ბარს ისევ ეჭირა ყავარჯენი, პრიალა
ხეს ნელა, ჩაფიქრებით უსვამდა თი-
თებს.

— ნათელო, ნათელო ჩემო... —
სიტყვები თვითნებურად, მოულოდნე-
ლად გაჩნდნენ, — ცით გამომჰვირვალე
ნათელო...

ხეიბარს ეღიმებოდა. შორს, პორი-
ზონტის მიღმა გროვდებოდა თბილი,

კრიალა სინათლე. სინათლეში ისევ
აფარფატდა ბუჩქნარში მიკარგული დე-
ლე, თანდათან მოახლოვდა. წყლის
რას ვიღაც ფეხსაცმელებს იხდიდა; სა-
ხე არ უჩანდა. წყალში შევიდა, ქვის
ქვეშ ტრელი, გამჰვირვალეფარფლები-
ანი ღორჯო მოიხელთა და სახე მაინც არ
უჩანდა. ჰქონდა თეთრი, ღონიერი ფე-
ხები; ფეხები ცივ შლამში იდგნენ და
მიწის სუსხიან, ჯანსაღ წვეწვს ქრიალით
იწოვდნენ...

ხეიბარმა ფეხი მოაფათურა თხრილის
ფსკერზე, ჩვილ, თავჩახვეულ გვიმრას
მიწვდა და გასრისა; მაგრად, მაგრად
დააპირა ტერფი. გაეღიმა, ფეხი მოაცი-
ლა, ფეხისწვერით ფრთხილად მოსინჯა
მიწაგარეული, ღორწოვანი ნაფლეთები:
„მომსპო ამ პაპიროსმა. ვეწევი და
ვეწევი ცარიელ კუჭზე“.

სიგარეტი თხრილში ჩაავლო. მანქა-
ნის გუგუნე შემოესმა. გზას გახედა,
თვითმცლელი იყო, ხრეშით დატვირ-
თული:

„არა და გზაში რა უნდა ჰქამო, — ბა-
ზარივითაა. წელან რომ პური და თაფ-
ლი მოვინდომე... ჰმ, პური და თაფლი...
კარგი, ერთი, თუ ძმა ხარ, — პური და
თაფლი. საქმე გააპირა ამ ჯაბახანამ.
ყური წაიღო, ისე მიჯახირობს“.


თხრილიდან ფეხი ამოჰყო, მოიკეცა,
ყავარჯენს ჩამოეკიდა, ნელა, ფორხი-
ლით წამოდგა. სწორზე ადვილი იყო
სიარული. გზაზე გამოვიდა. იდგა და ავ-
ტომანქანას ელოდა:

„ავტობუსზე იკითხე ასვლა... სოფ-
ლის ავტობუსებს მაღალზე აქვთ საფე-
ხური. გინდა თუ არ გინდა, მაინც უნდა
ახვიდე“.

აქედან გზას ალბათ მეტი აღმართ-
ვალმართი და მოსახვევ-მოსახვევი ჰქონ-
და, რადგან წელანჩავლილ თვითმცლელს
ეტყობოდა, უჭირდა: მისი გუგუნე ხან
ძლიერდებოდა, ხან სუსტდებოდა და
სულ წყდებოდა.



კაინიგუს დუდეა ქევიკა



მოთხრობა

წვიმამ ერთბაშად გადაიღო. ღრუბ-
ლების ბურუსში აქა-იქ მკრთალმა ვარ-
სკვლავებმა გამოანათეს; მერე თანდა-
თან მოემატათ სიკაშკაშე: გაძლიერდ-
ნენ, გამრავლდნენ და უზარმაზარი ხე-
ობის თავზე, ქედების შავ, უსწორმას-
წორო ჩარჩოში ჩასმული ცა მოციმცი-
მე წერტილებით მოხატეს.

ვარსკვლავების შუქზე ოდნავ შესამ-
ჩნევად გამოიხზა მდინარის გასწვ-
რივ გაწოლილი რკინიგზის ზოლი და
ჯიხურის სილუეტი, რომლის ფანჯრი-
დან ელექტრონის თბილი სინათლე
ეცემა ლიანდაგს და ბნელში გაწოლი-
ლი გზიდან პატარა, დაშტრიხულ მო-
ნაკვეთს გამოყოფს ჰორიზონტზე. გა-
ნათებული ადგილი ძლივს მოჩანს შო-
რიდან, დარაჯი კი უკვე კარგად ხე-
დავს. დარაჯი ნელა მიიბიჯებს, მიაქა-
ნავებს ნავთის ფარანს და თავზე წა-
მოხურული საწვიმრიდან დაჰყურებს
ლიანდაგს. მის წინ შეუშინევლად ახ-
ლოვდება მთის ციცაბო ფერდობის ძი-
რიდან გამოზრდილი ჯიხურის მუქი
ლანდი.

დარაჯი გრძნობს: ახლოვდება მატა-
რებლის გავლის დრო. ახლა ამაზე ფიქ-
რობს, წელან წვიმაზე ფიქრობდა, მა-
ნამდე კი არაფერზე უფიქრია, სანამ
ზაფხულის თქემმა საწვიმარში არ გა-

ატანა და ბებერმა ძვლებმა გრილი
სისველე არ შეიგრძნეს. მერე თანდა-
თან გაქრა ეს შეგრძნება და ერთხანს
საკუთარი ნაბიჯის ხმას უსმენდა... არ
გაუგია, როდის გადაიღო წვიმამ, რო-
გორ გაიკრიფნენ ღრუბლები, ხოლო
როცა გარკვევით გააჩნია ჯიხურის
სწორკუთხა კონტური, გაიფიქრა: „სა-
დაცაა გამოივლის“... მერე ლიანდაგი-
დან გადავიდა და დაელოდა, მაგრამ
მატარებელი ჯერ არ ჩანდა, არც ხმა
ისმოდა. ხანგამოშვებით ფოთლების
სუსტი შრიალი ჩამოჰქონდა ნიავს მთის
ფერდობზე შეფენილი ტყიდან და სად-
ღაც, ქვევით, მდინარის მონოტონურ
ხმაურში კარგავდა.

დარაჯი მიჩვეული იყო ლოდინს და
ლამის სიბნელის მიუკარებლობაც ისე-
თივე ჩვეულებრივი, შინაური და შეუშ-
ჩნეველი გამხდარიყო მისთვის, რო-
გორც ჯიხურში ჩავუშვებული ყვითელი
შუქი, ფანჯრიდან წყნარად რომ იღვ-
რებოდა ლიანდაგზე, ოდნავ ბზინავდა
ნაწვიმარ რელსებზე და იქვე ახლოს
უერთდებოდა ღამეს.

ის ერთხანს მშვიდად გაჰყურებდა
სიბნელეს, საიდანაც მატარებელს მო-
ელოდა. მაგრამ რაკი მუხლები დალი-
ლობას გრძნობდნენ, ხოლო მხრები
სველი საწვიმრის სიძიმეს — პატარა,

განათებული ფანჯარა კედლებს შორის ჩამდგარ სიმყუდროვეზე ალაპარაკდა. დარაჯი შემობრუნდა, ნელა აიარა ქვის რამდენიმე საფეხური. კარი რომ შეაღო ფარანი იქვე, იატაკზე დადგა, საწვიმარი მოიხსნა, კარის ჩარჩოში ჩაქედებულ ლურსმანზე ჩამოჰკიდა და ტახტზე ჩამოჯდა.

კარგახანს იჯდა გაუნძრევლად მუხლებზე იდაყვდაყრდნობილი და იატაკის ქუუქისაგან გადაშვევებულ ფიცარს დაშტერებოდა. იყო ასე გარინდებული, ასვენებდა მოთენთილ სხეულს, დრო გაჰყავდა, ხოლო როცა ბეჭებმა წელანდელი წვიმა შეახსენეს, შეაერქოლა. თავი ასწია: სახურავიდან ჩამოჟონილ წყალს შავ-ყვითელი ლაქა დაემჩნია ლილაგარეულ კირის საღებავზე. ეს აღრეც ჰქონდა შენიშნული, მაგრამ მაშინ სიცივე არ უგრძენია. ახლა თითქოს ჰაერში ტრიალებდა ეს სისველე, მძიმე ჰაერი ჟღენთავდა ტანსაცმელს და რაღაც უცნაური, უსიამოვნო სინესტით ევსებოდა მთელი სხეული.

წამოდგა, დაბამული ქურთუკი მოძებნა, მოიხურა, მერე ფანჯარასთან შეჩერდა, სიჩუმეს მიაყურადა. მდინარის ხმაური და აქვე, კედლის ბზარში მიმალული ჭრიჭინას კრუალი სიჩუმეს ნიშნავდა. სხვა ხმა არ ისმოდა — იგვიანებდა მატარებელი.

წამოწოლა დააპირა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა: მოშვევებული, დაუძლურებული კუნთები მტკივნეულად გრძნობდნენ ძელების სიმძიმეს და მოხუცი წვებოდა მხოლოდ მაშინ, როცა ძილს ვერ უმკლავდებოდა. ძილს კი თითქმის გადაეჩვიოდა. ეს მოხდა თანდათან და ახლა შეეძლო, მთელი ღამე თვალის მოუხუჭავად გაეთია მოლოდინში. ლოდინი აღარ იყო ძნელი და დროც თავისთავად, უსაათოდ იზომებოდა გონებაში. ვინ იცის, რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ის თავის პირველ მატარებელს დახვდა. მაშინ აუცილებელი იყო ძალდატანებული სიფხიზლე და საათი, რომელიც მორიგე მატარებლის გამოვლის დროს ანიშნებდა. მატარებლები ემორჩილებოდნენ საათის წესს; მახუთიან,

შავ ცისტრნებს ცარცით დაჯდობილი საბარგო ვაგონების შემადგენლობა ცვლიდა, საბარგოს — სახალხეთა დასახლება. გადიოდა დრო და დარაჯმა ისწავლა დროის შეუცდომლად გაზომვა მატარებლიდან მატარებლამდე. ჩითის ნახევრში სათუთად გახვეული ძველი საათი ახლა თავისთვის წიკწიკებდა უბის ჯიბეში.

გადიოდა დრო...

ფანჯარაში შავი, უკაცრიელი ღამე ჩანდა. დარაჯი ისევ ტახტზე ჩამოჯდა. ელექტრონის შიშველი ნათურა ახლა სახეში ანათებდა. სინათლით გამოწვეული ნაზი ტკივილი პირველად ესიამოვნა თვლებს, მაგრამ, როცა ნათურას მზერა მოარიდა, ოთახი ბნელმა მოიცვა. მერე ბინდიდან ნელა გამოკრთნენ მოწყენილი საგნები: ოდესღაც სახელდახელოდ გარანდული ფიცრის მაგიდა, ლიანდაგის შესაკეთებელი იარაღების შესანახი კარადა, რამდენიმე ტაბურეტი და თუნუქის ძველი ღუმელი.

მტვერი დადებოდა ყველაფერს, მიტოვებულს ჰგავდა იქაურობა.

ცეცხლის სითბო მონატრა დარაჯს; ზამთრის გრძელ ღამეებზე დაიწყო ფიქრი, როცა ქარი გაბმით ზუზუნებს მავთულეებში, შინ კი ღუმელი გუგუნებს. ცეცხლს დავანთებო, გაიფიქრა. ძლივს მოერია დამძიმებულ სხეულს; ხმელი შეშა შემოიტანა, შეუკეთა და იქვე ჩამოჯდა. „შპალების“ ბრტყელმა ნაფოტებმა ადვილად აიტაცეს ასანთის ალი. კარი არ მიუხურავს, უმზერდა, როგორ ივსებოდა ღუმელი ცეცხლით. ტანში ისევე სიცივე ედგა, კანკალმა აიტანა.

მაღე გახურდა ღუმელი. გავარვარებული თუნუქი უკვე სწავდა მიფიცხებულ ხელებს, მაგრამ სხეულს მაინც ვერ გაუჯდა სითბო. ტკაცუნით იწვოდა შეშა, ნაპერწკლები ხტებოდნენ ღუმელიდან და იატაკზე იფერფლებოდნენ. ბუხარი გაახსენდა, ფიქრებს გაჰყვა; წამით რაღაც ხალისის-მაგვარი შეიპარა სულში.

წარსულში მუდამ მოიძებნება რაიმე ისეთი, რის გახსენებაც მომავალზე

ოცნებას უდრის, როცა მომავალი აღარაა, როცა თვითღინება იპყრობს სიცოცხლეს და ადამიანი მოგონებებში იწყებს ცხოვრებას.

მოგონებები ბუნდოვანი იყო: ამაოდ ცდილობდა თავი მოეყარა დაწყვეტილი ფიქრებისათვის. ლანდებივით ისახებოდნენ ფერმკრთალი სურათები და უმაღლე ქრებოდნენ. მეხსიერებას ის შეენახა უკეთესად, რაც გულს ტკივილად გამოჰყოლოდა დღემდე. ეს ტკივილი ომით დაიწყო. მაშინ ერთბაშად შეტრიალდა და შეიცვალა ყველაფერი: ცხოვრება გახდა მძიმე და უხეში, სიცოცხლე — ნერვიული და დაძაბული. ერთადერთი ბიჭი მალე გაიწვიეს ჯარში. თვითონ კი დღედაღამ რკინიგზაზე მუშაობდა. მეტი მომვლელი, მეტი მუშახელი ესაჭიროებოდა გზას, გზა იყო მაშინ მთავარი. და ადამიანის ძალ-ღონის მაქსიმალური დაძაბვა იქცა ჩვეულებრივ და აუცილებელ შრომად. იშვიათად თუ ავიდოდა შინ. იქ დახვდებოდა ცოლი და... შვილის წერილი. წაიკითხავდა უხმოდ, ცოტას დაისვენებდა, დანაყრდებოდა და უკან ბრუნდებოდა ისევ. „ღმერთო, მშვიდობით დამბრუნუნე ბიჭი“, — ღმერთს შეთხოვდა გულში, როცა წერილი იგვიანებდა.

მაგრამ შორს იყო ღმერთი.

ერთ საღამოს წერილის ნაცვლად შავი ქაღალდი მოიტანა ფოსტალიონმა. სწორედ იმავე ზამთარს ცოლიც გამოასვენა სახლიდან.

ციოდა იმ დღეს. დილიდანვე სუსხსა და ყინვას დააქროლებდა ქარი. გარეთ კაცის ჭაჭანება არ იყო. ისედაც განახევრებული სოფელი მთლად სახლებში შეყუჟულიყო. თავისი დარდი, თავისი სატივარი აწუხებდა ყველას.

შუადღისას ოღნავ მოღბა ამინდი. საკვამურებიდან სვეტებად წავიდა კვამლი დაბურული ცისკენ, ჰაერი დაგუბდა, გაინახა ბუნება და თოვლის პირველი ფანტელები წამოეპარნენ მოყინულ მიწას.

თოვდა.

ის დამე მეზობელთან გაათია. ძნელი

დამე იყო, ძნელი და დაუსრულებელი აღარ დაადგა გათენებას საშველი. ინტა თუ არა, ფრთხილად გაიხურა ცარიელი აღმართს აუყვა სასაფლაოსკენ. ჭირდა გაუქვალავ თოვლში სიარული. მაინც მიდიოდა, მიდიოდა გაბრუებული, ვერ გრძნობდა სხეულის ვერც ერთ ნაკვთს, მხოლოდ გული იყო მძიმე და დარღიანი. სტიკოდა გული.

სასაფლაოს შესასვლელში შეჩერდა. უკვე მთლად გათენებულ იყო, თოვლს დაეფარა ყველაფერი და გადაეთვრებინა. მსუბუქი, ქათქათა ქულების ქვეშ საფლავის ჯვრების ვიწრო ზოლები შავად მოჩანდნენ. საოცრად მშვიდი იყო იქაურობა, მშვიდი, ლამაზი და შიშისმომგვრელი. შეუცნობელმა ძალამ შებოჭა, თითქმის ზეციერს საგულდაგულოდ გადაეხურა სასაფლაო თოვლის უცოდველი საბნით და ახლა ყოველად ძლიერი კრძალავდა ზედ დახედვას. ფეხი ვერა გადადგა წინ. იდგა გაოგნებული. იდგა და ეძებდა... მოთენთილი თვალზე არ ტოვებდნენ ნაკვალევს თოვლზე; ფრთხილად მოიარეს ის არემარე და, როცა სოფელს გადმოხედეს, შენიშნეს, როგორ ბოლავდნენ საკვამურები. ეღვიდა სოფელს. სულ ქვევით კი რკინიგზა ჩანდა...

რკინიგზას ეღვიდა დღედაღამ.

დღეები თითქმის აღარ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. ისინი ჯარისკაცებით, ტანკებითა და ქვემეხებით დამძიმებულ ეშელონებს ჰგავდნენ, სევდიან წყებად რომ მისდევდნენ ერთიმეორეს. დროდადრო გულში იღვიძებდა იმედი და ჰყვებოდა შინმოუსვლელი ჯარისკაცის სიცოცხლის ამბავს, მაგრამ, როცა თვალს მიეფარნენ დაბრუნებული ეშელონები, როცა მწვანე სახალხო მატარებლებმა შეავსეს მშვიდობიანი გრაფიკი, როცა მომსვლელი მოვიდა და ცხოვრება თავის გზას დაადგა, ეს პატარა იმედიც გაქრა.

დარაჯი მატარებლებს ელოდა. მატარებლები აღამებდნენ და მატარებლები ათენებდნენ ისევ; გაცვეთილ რელსებს ახლით ცვლიდნენ გზის მუშები.

ისევ მოდიოდნენ მატარებლები, ისევ მიდიოდნენ. შუალედებს გზის შემოვლა და დათვალიერება ავსებდა. შეუმჩნევლად გადიოდა დრო და ასევე შეუმჩნევლად მოვიდა სიბერეც.

ახლა იჯდა ჯიბურში, მიმქრალ ცეცხლთან; შორს იყო მისგან სიხარული, მწუხარებაც, — დროს თან წაეღო ყველაფერი, წაეღო და გადაემალა. წამით აღძრული მოგონებები მიფერფლილიყვნენ ცეცხლთან ერთად. ღუმელის ღიად დაგდებულ კარზე შერჩენოდა უმიზნოდ გაშტერებული თვალი.

ღუმელში სევდისმომგვრელად ბჭუტავდნენ ნაცარში ჩაფლული ნაკვერჩხლები.

ზანტად წამოდგა, ოთახში გაიარგამოიარა. მერე ფარანი აიღო, გახსნა, ნავთის ლამაზა გამოიღო და მომწვარი პატრუქი გაუსწორა.

ნელა გადიოდა დრო. გაძნელდა ლოდინი.

დარაჯმა ჯიბე მოისინჯა, საათი ამოიღო, ფრთხილად შემოხსნა ჩითის სახვევი და დახედა. ვერ გაარჩია, ელექტრონის შუქზე შუშის თვალვივით ბრწყინავდა ცივი ციფერბლატი. ახლოს მივიდა სინათლესთან, დააცქერდა: ისრები თორმეტს უჩვენებდნენ. არა, ახლა მეტი იყო ნამდვილად! და, როცა ყურზე მიიღო, დარწმუნდა: გაჩერებულიყო საათი...

ცუდად ენიშნა, სიმარტოვის კაეშანმა ერთბაშად შეიპყრო, თვალი მოავლო იქაურობას; მთლად ცარიელი მოეჩვენა ოთახი. ყვითელ შუქზე მკვდრის ფერი დასდებოდა მოლურჯო კედლებს. ფანჯარაში ძაძებში გამოეფინა ღამეს და ამ ძაძებს იქით მდინარე გოდებდა.

ისევ შეაცივნა. ხველა აუტყდა, ვეღარ შეიჩერა, დაბარბაცდა, მთლად ჩაუსისხლიანდა თვალები... კედელს მიეყრდნო ცალი ხელით, ახველებდა და მთელი სხეულით ძაგძაგებდა.

თანდათან მოეშვა გულზე. ახლა ყელი ეწვოდა მხოლოდ და გრძნობდა, როგორ ითხოვდნენ დასვენებას დასუს-

ტებული სახსრები. მოსვენება უნდა სხეულს.

მატარებელზე გადაიტანა ფიქრი, ფანჯარაზე მომდგარ ღამეს გახედა ანაზღად. ფანჯრის გადღმა სიბნელიდან უღიმამოდ შემოპყურებდა საკუთარი ორეული.

ოთახში თანდათან ჩამოცხა, ჭირდა სუნთქვა; მომწარო გემო დაჰკრავდა თბილ ჰაერს. დოქი აიღო, მიიყუდა. პირველმა ყლუშმა უსიამოვნოდ დაიბრა გახურებული ყელი. უგემური იყო წყალი.

ლოდინი კი სულ უფრო და უფრო ქანცავდა სხეულს. დარაჯი ტანგაუხდელად მიწვა ტახტზე.

იგი გრძნობდა, როგორ ეხვეოდა თავბრუ. ხალათის საყელოც უჭერდა თითქოს. შექანებული ჰერი დაბლა იწევდა, სულ დაბლა და სადაცაა გათავდებოდა ჰაერი. სუნთქავდა ხამუშხამუშ, გაძნელებულად. თავში ათასი აზრი ტრიალებდა. ერთმანეთში არეულიყო გუშინდელი, გუშინწინდელი თუ ოცდაათი წლის წინანდელი განცდილი თუ დანახული და მძიმე ბურუსად დასწოლოდა გონებას.

თანდათან ბინდი იპყრობდა ოთახს. უცებ სასურველი ხმაური მოესმა ყურებს, — გონება განათდა. სმენად იქცა დარაჯი, მაგრამ მაშინვე მდინარის ხმამ იძლავრა და ერთხანს ვერ გაარჩია — მოეჩვენა თუ მართლა მოესმა? მერე კვლავ განმეორდა დაგუდული ექო. ეს უკვე აღარ იყო მოჩვენება: მთებმა მატარებლის ამბავი მოიტანეს შორიდან.

დარაჯმა წამოდგომა სცადა, ძლივს აითრია ტანი, კედელს მიეყრდნო ზურვით.

უკვე გარკვევით ისმოდა ლითონის ბორბლების ყრუ გუგუნი. ეს ხმა თანდათან იპყრობდა სივრცეს.

გაცოცხლდა ღამე. ელმავლის შუქმა გაიელვა მთებს შორის. მძლავრმა ნაკადმა მიანათა მდინარის გაღმა აზიდულ მთას. იძალა ფერმა: განათებული ოვალი თანდათან შეიკრა, ჩამოპყვა

შუქმწვანე ფერდობს და ერთბაშად გაიშალა ლიანდაგზე ვარვარა შუქად.


დარაჯი ხედავს, როგორ სწრაფად და შემპარავად ახლოვდება მატარებელი. პროექტორი აღარ ჭრის თვალებს. ის უკვე სადღაც შორს იხედება და აურზაურით მოვარდნილი ელმავალი აზანზარებს ლიანდაგს. ხმაური აყრუებს სმენას, ბორბლების სიმძიმისგან რელსი იდრიკება. ბორბლები ნაპერწკლებს ჰყრიან და მისდევენ ერთმანეთს. ქარი სახეში სცემს დარაჯს, უბებში ღრმად მიმალული თვალები მოჭუტული ქუთუთოების მიღმა ანთებულ ფანჯრებს ერთ მთლიან ზოლად აღიქვამენ და წამით მოხუცის არსებაში ხშიანდება სიცოცხლის სიმღერა, სიმღერა წარმოშობილი მოძრაობის, სისწრაფის, სინათლის სიახლოვით.


დარაჯმა იგრძნო, როგორ დაუბრუნდა ფერი კედლებს. ნივთებმაც დაიკავეს ჩვეული ადგილები — ძველი მავიდა,

ტახტის პირდაპირ, შუა ოთახში ჩადგმული ღუმელი, კარადა და კანაღის წვივ ლურსმნებზე შეკიდული ტანსაცმელი ყოველდღიურ ცხოვრებაზე მოკყენენ საუბარს.

ახლახან ჩავლილი მატარებლის ხმაურმა საბოლოოდ დაუბრუნა ყველაფერს ჩვეული იერი.

სხეულს კვლავ ვერ იმორჩილებდა. ძარღვებში მღორედ მოძრაობდა ნელთბილი სისხლი. მაგრამ გული, ახლარომ სუსტად ფეთქავდა საგულეში, გრძნობდა—ამოვიდოდა მზე, გაანათებდა ლურჯ ცას და ვერცხლისფრად მოლაპლაპე ლიანდაგს. მზე დაწვავდა სახეს და სხეულში ჩაულვრიდა საამოსითბოს. მერე დარაჯი შემოივლიდა უბანს — იმ დიდი გზის ნაცნობ მონაკვეთს, რომელიც, ვინ იცის, სად იწყებოდა და სად თავდებოდა (ან, საერთოდ, თავდებოდა თუ არა სადმე), ვაგონის ღია ფანჯრებიდან ბავშვები დაუქნევდნენ ხელს და მწვანე სახალხო მატარებლებს არ ექნებოდა სათვალავი...





სოველა

მზე უკვე ამოსული იყო, მთაში რომ ავედი.

უბელო ცხენებზე ამხედრებული მეჯოგეები ყვიროდნენ, მათრახებს ატკატუნებდნენ, ნასუქ ცხენებს დაუზოგავად დააჭენებდნენ და საჩიხეს კართან მობორიალე რემას ერეკებოდნენ. კვიცები ჭიხვინებდნენ, ერთიმეორეს კბენდნენ და ტლინკებს ჰყრიდნენ.

მძიმე ზურგჩანთა მოვიხსენი, მიწაზე დავაგდე. შუბლიდან ოფლი მოვიწმინდე და მთის სუფთა ჰაერი ხარბად ჩავისუნთქე.

ბერდიამ შემნიშნა: შორიდან გამიღიმა და მერე აწყვეტილი ჭენებით დაუშვა ფერდობზე ცხენი.

— კარგ დროს ამოხვედი, სეირს ნახავ, — თქვა და ჭენების ეშხში შესული კვიცი ძლივს შეაჩერა. პირუტყვი, თითქოს რალაც არ მოსწონსო, თავს მოუსვენრად აქნევდა და დუქომოდგარი ლაშებით ხრაედა ლაგამს.

— რა სეირს?

— კვიცების გახედნას ვიწყებო.

— კვიცების?

— ჰო.

— მერე ვინ გახედნის?

— ჩვენ, — ისე მიბასუხა, თითქოს ამ

საქმის თავიდათავი თვითონ ყოფილიყოს.

— შენცა?!

— ჰო, რა გიკვირს. მიდი, შეჯექი ცხენზე და ჯოგის შერეკვაში გვიშველე. — ისე მითხრა, ვითომ მისთვის არაფერს ნიშნავდა ჩემი დაეკვება. სინამდვილეში კი, ძალიან სურდა დავერწმუნებინე, ამ საქმის მოთავე თუ არა, ერთი პირველთაგანი მე ვარო.

ხულასთან დაბმული იაბო ავეუშვი.

— წიგნები თუ ამომიტანე! — შორიდან მომამახა ბერდიამ.

— ზურგჩანთა სავსეა! — ვუბასუხე და ცხენს მოვახტი.

ყორანამ თავის წართმევა სცადა, მაგრამ დროზე მივუხვდი.

ყველა ცხენი ასეა: ერთი თუ თავის ნებაზე მიუშვი, მერე კაი ბიჭობა გინდა, დაიმორჩილო. ვიცი ეგრეა, ზაფხულის არდადეგებს მეჯოგეებთან ვატარებ ხოლმე და ვიცი.

— აბა, თუ გამოიცნობ, რომელი ცხენი სჯობია — უეცრად შემეკითხა ბერდიამ. მე დაკვირვებით გადავხედე საჩიხეში ხმაურით შემავალ ჯოგს. უმეტესობა წვრილ და მაღალ ფეხებზე იდგა. პატარა ყურებს მაღიმალ ცქვეტლნენ

და გასაქცევად ემზადებოდნენ. ნახამთ-
რი ბალანი გასცვენოდათ და ტანი ერ-
ბოში ნაბანივით უბზინავდათ.

— ვერ ამოარჩიე? — შემეკითხა
ბერდია.

— აქ ყველა ცხენი კარგია!

— კარგია, მაგრამ ერთნაირი მაინც
არ არის. — არ დამეთანხმა.

— აბა, შენ თვითონ მიჩვენე!

ბერდიამ თვალი გადაავლო ჯოგს და
ხელი გაიშვირა:

— აგერ, სამ ცხენს შუა სისხლისფე-
რი კვიცი მოდის, ხედავ?

— რატომაც ვერ ვხედავ, ბრმა ხომ
არა ვარ?!

— მთელ ჯოგში მაგის ფასი ცხენი არ
დადის.

— რა იცი?

— რა დიდი ცოდნა უნდა, შეხედე
და თვითონვე დარწმუნდები.

— ეგეც ისეთივე ცხენია, როგორც
ყველა დანარჩენი, — აგდებულად მი-
ვახალე.

— ცხენსა და ჯორს ერთმანეთისაგან
ვერ არჩევ, — ბრაზი ველარ შეიკავა
ბერდიამ, — შეხედე სიმივით დაჭიმულ
მის ფეხებს, ძარღვებად რომ არის
ქცეული, ბატარა თავს, გაწვდილ წელს
და ხერხემალზე მიმკვდარ მუცელს. იქ-
ნებ მაგის ბადალი მონახო აქ?

— რა ჰქვია?

— მერცხალა.

— გახედნილია?

— არა.

— რატომ?

— მაგის გახედნას კარგი ბიჭობა უნ-
და. ერთხელ საჩინედან გადაგვიხტა.
რის ვაი-ვაგლახით დავიჭირეთ და მა-
ჯის სიმსხო თოკით დავაბით. მთელ და-
მეს იშფოთა, იჭიხინა; დილაზე თოკი
გადაღრღნილი დაგვხვდა, მერე კი ერთ
თვის არ გაკარებია რემას.

— ახლა რას იზამენ, მაგასაც გახედ-
ნიან?

— რა თქმა უნდა, თუ შეიპყრეს. მე-
ჯოგეებს ყველაზე მეტად მაგის გახედ-
ნა ენატრებათ, — მიპასუხა ბერდიამ.

ცხენთან უფრო ახლოს მივედი. ის

ოდნავ განზე იდგა. არ ვიცი, სიფრთხი-
ლე იყო ეს თუ უბრალო, ცხოველური
მიუქარებლობა.

მშვიდად სიარულს ვერ ახერხებდა,
ტოკავდა. საკუთარი ჩრდილის დანახ-
ვაზე კრთებოდა.

მე მერცხალასაკენ წავიწიე. მან თით-
ქოს რაღაც საფრთხე იყნოსაო, რემას
ჩამოსცილდა.

— ახლოს ნუ მიდინარ, დაფრთხე-
ბა, — მანიშნა მეჯოგეთა ბრიგადირმა
შიოლამ და გზა უყელა ჩამორჩენილს.

მერცხალამ ცერად გადახედა შიო-
ლას. მერე თვალი გადაავლო ჯოგს, —
ვერ გადაეწყვიტა, შესულიყო საჩინეში
თუ არა.

მოულოდნელად დაიფრთხუნა, თავი
დახარა და გაენთო.

აღტაცებით გავაყოლე თვალი. მერ-
ცხალა თავის სტიქიაში იყო, — მუხლს
ისინჯავდა. ვუმზერდი და ასე მეგონა,
საცაა ფრთები გამოესხმება და აფრინ-
დება-მეთქი.

რამდენიმე მეჯოგე გამოუდგა. მე და
ბერდიაც დავედევნეთ. მერცხალა მიჰ-
ქროდა.

მთის სერზე დაუზოგველად მივაჰქე-
ნებდით ცხენებს.

სერის ორივე მხარე ციცაბო კლდეს
ეკრა, რომლის გვერდები თითქოს და-
ნით იყო ჩათლილი. გაღმა თოვლიანი
ფასის მთა მოჩანდა. უფსკრულის ძი-
რას, ლოდებ შორის, რიონი იწვა. მდი-
ნარე თოვლისაგან დაწულ თოკს მია-
გავდა.

მერცხალამ ჰენებას უმატა, ჩვენც
მათრახები გადავკარით ცხენებს.

გადაირივნენ, გახედლენ, აღარ ერი-
დებოდნენ უგზობას. თავგამეტებით
ეშვებოდნენ დამრეც ფერდობზე.

მერცხალა ზედ ქედის ბოლოს შედ-
გა. გაოცდა. არ მოელოდა, ასე მალე
თუ დამთავრდებოდა სავალი.

მთის სერს ახლა უკვე სამი მხრიდან
ესაზღვრებოდა უფსკრული.

უკან გამობრუნებას აპირებდა და
და ჩვენც ზედ მივაწყდით, გზა გადავუ-

ღობეთ. მან ყელი მოიდგრა და ბრაზ-
ჩამდგარი თვალებით დაგვაცქერდა.

შიოლა დაწინაურდა და ქამანდა ეს-
როლა. თოკის ჩრდილმა თავზე გადაუ-
რა ცხენს. დამფრთხალი ულაცი განზე
გახტა და ყულფი აიციდინა.

„უჰ, შენი ჭირიმე!“ აღმომხნდა უნე-
ბურად და აღტაცებით დავაცქერდი: მის
მაღალ ფეხებს, მოქნილ ტანს, ამაყად
მოღერილ კისერს.

ხელმოცარულ შიოლას სახე ბრაზით
აენთო და კბილების კრაჭუნით აახვიო
ქამანდის თოკი.

ცხენმა სიფრთხილეს უმატა. ერთ აღ-
გილზე არ ჩერდებოდა. ტოკავდა. თავს
მუქარით აქნევდა და ღონიერი ფლოქ-
ვებით თქერავდა ლორთქო ბალახს.

აღამიანი მარჯვე შემთხვევას ეძებდა,
ცხოველი კი ალყიდან თავის დაღწევას
ცდილობდა.

თოკმა გველივით გაისისინა და ჰაერ-
ში წრე მოხაზა. შემკრთალი მერცხალა
უკანა ფეხებზე აიწია გადასახტომად,
მაგრამ მარყუჟმა მიუსწრო.

მეჯოგეების ყიყინა ხევებს თავს გა-
დაეველო და მთებს შეასკდა.

ამან მთლად გააცოფა, ყალყზე შედ-
გა, აჭიხინდა და წინა ფეხებით ჰაერი
დატორა. თვალები ნაკვერჩხლებივით
უელავდა.

შიოლამ დასაჭერად წაიწია ცხენისა-
კენ.

მერცხალამ საშიშროება იგრძნო, შეს-
ტოები დაებერა, თვალები რისხვით
აენთო და საკბენად მიეტანა მოახლო-
ვებულ შიოლას.

ბრიგადირმა მთელი ძალით გადაუჭი-
რა თავპირში ხარის ძარღვისგან დაწ-
ნული მათრახი.

ულაცს ემწარა, უკან დაიწია და შიო-
ლა ც თან გაითრია.

— ფრთხილად, შიოლა, ხრამისკენ
იწევეს! — მიაძახეს მეჯოგეებმა. მაგრამ
მან ყურადღება არ მიაქცია ამხანაგე-
ბის ნათქვამს. ქამანდის თოკი დაიმოკ-
ლა და ერთხელ კიდევ მიეტანა თაფარ-
ში ხელის წასავლებად.

მთლად გახელდა გაველურებული
პირუტყვი. ლაშებზე დუჟი მოადგა.
ათრთოლდა, დაიძაგრა და ხრამისკენ
ისკუბა...

როცა ფეხქვეშ სიცარიელე იგრ-
ძნო, ცასა და მიწას საზარლად შესჭიხ-
ვინა.

მისი ხმა არასოდეს დამავიწყდება.

თვალებზე ხელი ავიფარე, არ მინ-
ლოდა მეცქირა, როგორ მიფრინავდა-
უფსკრულში ფეხმარდი მერცხალა.



ქეზუჩიუსა

ვოთხროზა

თენდებოდა. მზე ჯერ არ ამოსულიყო. ვეზუეს ხშირი ნისლი დასწოლოდა. ნეაპოლისაკენ მიიზღაზნებოდა და სანაპიროს პატარა ქალაქებს ბურუსში ჰხვევდა. ზღვაზე სიწყნარე იყო. სორენტოს კლდოვანი სანაპიროს ერთ-ერთ ვიწრო უბესთან მდებარე ნავსადგურში კი უკვე ფუსფუსებდნენ მეთევზეები და მათი ცოლები. მსხვილი ბაგირებით ნაპირისაკენ ეწეოდნენ ბადეებს, გუშინ საღამოს რომ ჩაედგათ. ზოგნი კარჭაპებს მართავდნენ, აფრებს ამზადებდნენ; კლდეში გამოკვეთილი თალიანი გამოქვაბულებიდან, ღამით ნაგების აღჭურვილობის შესანახად რომ არის განკუთვნილი, ნიჩბები და ანძები ვაჭმონდათ. უსაქმოდ ვერავის ნახავდით. მოხუცებიც კი საერთო ფერხულში ჩაბმულიყენენ და ბადეებს მძიმე ჭაჭვებით ეწეოდნენ. დედაბრები ბანებზე ისხდნენ და ხელში თითისტრები ეჭირათ. ზოგიც შვილიშვილებს ართობდა, ვიდრე ამ ბავშვების დედები ქმრებს ეხმარებოდნენ.

* პაულ პიზე (1830—1914) დიდი გერმანელი ნოველისტია. 1910 წელს მას ნობელის პრემია მიენიჭა. მწერალმა ნოველების მთელი ციკლი შექმნა ბტალიურ თემაზე. ვებუდავთ ერთ მათვანს.

— ხედავ, რახელა, წმინდა მამა მობრძანდა, — უთხრა დედაბერმა ათი წლის გოგონას, რომელიც მის გვერდით იჯდა და პატარა თითისტარს ატრიალებდა. — აი, ახლა ნავში ჯდება, ანტონიომ კაპრზე უნდა გადაიყვანოს. ო, ყოვლად წმინდაო მარიამ! ისევ დაღლილი სახე აქვს! ეტყობა, წუხელაც არ უძინია. — ამ სიტყვებით ქალმა ხელი გაიშვირა სათნო სახის პატარა ხუცესისაკენ, რომელმაც ფრთხილად აიკეცა ანაფორა და კარჭაპზე მოკალათდა. ყველამ თავი ანება მუშაობას, რომ თავიანთი სულეირი მამის გამგზავრება ენახათ. მღვდელი მარჯვნივ და მარცხნივ ალერსიანად თავს უკრავდა და სალამს აძლევდა.

— რატომ მიდის კაპრზე, ბებია? — იკითხა გოგონამ, — იქ არა ჰყავთ მღვდელი, რომ აქედან ჩვენი არ წაიყვანონ?

— ნუ ხარ ბრიყვი! — შეუწყრა ბებია, — მღვდლები როგორ არა ჰყავთ, ბერმონაზვნებიც, მშვენიერი ტაძრები აქვთ. ჩვენი მღვდელი სხვა რამისთვის დადის კაპრზე. იქ ერთი წარჩინებული სენიორაა, რომელიც დიდხანს აქ, სორენტოში ცხოვრობდა და მძიმე ავადმყოფი იყო. წმინდა მამა ხშირად დადიოდა მასთან საზიარებლად, — ქალის სიკვ-

დილს დღედღეზე ელოდნენ. მაგრამ წმინდა ქალწულმა არ გასწირა ქალბატონი. იგი იმდენად გამოჯანმრთელდა და განხალისდა, რომ ყოველდღიურად ზღვაშიც კი ბანაობდა. კაპრზე რომ გადასახლდა, თავისი ქონების ნაწილი ეკლესიას შესწირა, ნაწილი ღარიბებს დაუარიგა. ამბობენ წასვლა არც უნდოდნო, მაგრამ სულიერი მამა შეჰპირებია, იქაც ინახულებდა და აღსარებასაც მოუსმენდა. ჩვენთვის დიდი ღვთის წყალობაა, რომ ასეთი მღვდელი გვყავს. ჰკუთთ არქივისკოპოსს არ ჩამოუვარდება, დიდი კაცებიც კი მას ჰკითხავენ ხოლმე რჩევას. ღმერთი იყოს მისი შემწე! — დაასრულა დედაბერმა და ხელი კვლავ გაიშვირა ნავისაკენ, რომელიც ის იყო ნაპირს უნდა მოშორებოდა.

— კარგი ამინდი დაგვიდგება, შვილო? — იკითხა ჩია ტანის ხუცესმა და შეფიქრიანებულმა გაიხედა ნეაპოლისაკენ.

— მზე ჯერ კიდევ არ ამოსულა, მამაო, — მიუვო ჰბატუქმა, — ეს ერთი მუჟა ნისლია და მაგასაც გაჰფანტავს.

— მამ, დავიძრათ, ასიცხებამდე უნდა მივიდეთ.

ანტონიომ გრძელ ნიჩაბს მოჰკიდა ხელი, რომ ნავი გაშლილ ზღვაში შეეცურებია, მაგრამ უცებ შეჩერდა და ზემოთ გაიხედა... ციცაბო ბილიკზე, სორენტოდან ნავსადგურისაკენ რომ ეშვებოდა, ქალიშვილის მოხდენილი ფიგურა გამოჩნდა. იგი სწრაფად აბტებოდა ქვებს და ხელსაზოცს აქნევდა. იღლიაში პატარა ფუთა ამოედო. ტანთ საკმაოდ ღარიბულად ეცვა, მაგრამ მაინც რაღაც საპატიო, ოდნავ მედიდური შესახედლობა ჰქონდა. თავი უკან გადაეგდო, შუბლს ზემოთ შემოგრაგნილი შავი ნაწნავები ჯიღასავით ადგა თავზე.

— რაღას ველოდებით? — იკითხა მღვდელმა.

— ვიღაც მორბის, ეტყობა, კაპრზე წასვლა უნდა. თუ თქვენი ნებაც იქნება, მამაო... ბევრი არ დაგვაგვიანდება, მალე მოვა, ახალგაზრდა ქალი ჩანს; ასე, თვრამეტი წლის იქნება.

ქალიშვილი კლდოვან კედელს გამოსცდა.

— ლაურელა?! — გაიკვირვა ხუცესმა. — რა ესაქმება კაპრზე?

ანტონიომ მხრები აიჩეჩა. გოგონა ჩქარი ნაბიჯით მივიდა ნავთან, შეჩერდა და ძირს დაიხედა.

— დილა მშვიდობისა, კერპვიტა! — ერთბაშად რამდენიმე ახალგაზრდამ მიაცხა ნავებიდან. მღვდლის იქ ყოფნას რომ ხელი არ შეეშალა, ალბათ, მეტის უფლებასაც მისცემდნენ თავს, რადგან ქალიშვილმა ისეთნაირად მიიღო მათი მისალმება, რომ ონავარ ბიჭებს უფრო აეშალათ ხუმრობის საღერღელი.

— გამარჯობა, ლაურელა! — მიესალმა ხუცესიც, — რა გაგპირებია, კაპრზე გინდა წამოსვლა?

— თუკი ნებას დამრთავთ, ბატონო...

— აი, ანტონიოს ჰკითხე, ნავი ამისია. ყველა თავისი საკუთრების პატრონია, ჩვენ კი ყველანი ღმერთს ვეკუთვნით.

— აი, ნახევარი კარლინი მაქვს, — თქვა ლაურელამ ისე, რომ ახალგაზრდა მენავისათვის არ შეუხედავს, — თუ ამ ფასად შეიძლება...

— დაგპირდება! — ჩაიბურტყუნა ჰბატუქმა და ფორთოხლიანი კალათები გვერდზე გასწია, რომ ადგილი გაეთავისსუფლებია. ფორთოხალი გასაყიდად მიჰქონდა კაპრზე, კლდოვან კუნძულზე ფორთოხალს კარგი ფასი ჰქონდა.

— არა, მუქთად არ მინდა, არ წამოვალ, — შეეპასუხა გოგონა და შავი თვალები აუფლვარდა.

— მოდი, ჰო, მოდი, შვილო, — თქვა მღვდელმა, — ანტონიო მარჯვე ბიჭია და არ სურს გამდიდრდეს შენი გროშებით. აბა, ჩამოდი! — მან ხელი გაუწოდა ლაურელას, — დაჯექი ჩემს გვერდით, აი აქ. ხედავ, მან თავისი ქურთუკი დაგიფინა, რომ რბილად დაჯდე. მე როდი მომექცა ასეთი ყურადღებით. რა ვუყოთ, ასე იცის ახალგაზრდობამ, ერთი პატარა დედაკაცი ათ სულიერ მამას ურჩევნია. არა, არა, ტონიო! ბოდიშის მოხდა რა საჭიროა, თვითონ უფალმა ღმერთმა მოაწყო ასე. ტოლი ტოლს ეძებს.

ამსობაში ლაურელა ნავზე გადავიდა, სიტყვის უთქმელად განზე გასწია ქურთუკი და დაჯდა. მენავემაც თავი არ გამოიღო, რაღაც ჩაიბურტყუნა, ნაპირს მიაწვა და ნავი ყურეში შეაცურა.

ისინი უკვე გაშლილ ზღვაში იყვნენ, მზე რომ ამოიწვერა და პირველი სხივები წყლის ზედაპირზე აირეკლა.

— რა გაქვს ამ ფუთაში? — ჰკითხა ხუცესმა.

— აბრეშუმი, ნართი და პური, ბატონო. აბრეშუმი კაბრზე ერთ ქალს უნდა მიეცოდო, — ბაფთებს ჰკერავს. ნართიც გასაყიდად მიმაქვს.

— შენი დართულია?

— დიახ, ბატონო.

— რამდენადაც ვიცი, შენ ბაფთების ოსტატიც ხარ.

— დიახ, ბატონო. მაგრამ დედაჩემი სულ უფრო და უფრო ცუდად ხდება და მე შინიდან ვერ გამოვსულვარ. საკუთარი საქსოვის ყიდვის სახსარი კი არა გვაქვს.

— ოჰ, ეგ რა მითხარი! მაშ, დედაშენი ისევ ავადმყოფობს? კი მაგრამ, სააღდგომოდ რომ თქვენთან ვიყავი, მაშინ ხომ ფეხზე იყო?

— გაზაფხულზე გაუხსენებს ხოლმე. აი, იმ დიდი ქარიშხლისა და მიწისძვრის შემდეგ ისევ ტკივილები დაიწყო და ჩაწვა.

— ილოცე, შვილო ჩემო, წმინდა ღვთისმშობელს შეევედრე, მოწყალების კალთა გადმოგაფაროს. იყავი მხნე და გამრჯე, დედაღვთისა შეისმენს შენს თხოვნას.

ცოტა ხნის შემდეგ მღვდელმა ისევ ჰკითხა:

— რატომ გეძახიან კერპიუტას? ეს სახელი ხომ სულაც არ შეპფერის ქრისტიან გოგონას, რომელიც წყნარი და სათნო უნდა იყოს?!

ქალიშვილს ხორბლისფერი სახე წამოენთო, თვალებიც აუელვარდა:

— ისინი დამცინიან, რადგან მე არ ვმღერი, არ ვცეკვავ და სხვებსავით ბევრს არ ვლაპარაკობ. თავი დამანებონ, მე ხომ არაფერს ვუშავებ მათ.

— თავაზიანი და გულთბილი უნდა იყო ყველას მიმართ, შვილო ჩემო. დედაცეკვა-თამაში და სიმღერა იმისი საქმეა იყოს, ვისაც უკეთესი ცხოვრება აქვს, მაგრამ კეთილი სიტყვის თქმა დარდიან ადამიანსაც შეუძლია.

ლაურელამ თავი დახარა და წარბი შეიკრა, თითქოს თავისი შავი თვალების დაფარვა სურდა.

ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ. მზე დიდებულად ანათებდა ქედიდან, ვეზუვის მწვერვალი ღრუბლებს ზევით აზიდულიყო. სორენტოს ვაკეზე მოჩანდა ფორთოხლის ბაღების სიმწვანეში ჩაფლული თეთრი სახლები.

— ლაურელა, იმ ნეაპოლელ მხატვარს არაფერი შემოუთვლია? აი, შენი ცოლად შერთვა რომ უნდოდა? — ჰკითხა მღვდელმა.

ქალმა თავი გააქნია უარის ნიშნად.

— მაშინ ის შენი სურათის დასახატავად მოვიდა. რატომ გაისტუმრე უარით?

— რად უნდოდა ჩემი სურათი? განა ჩემზე ლამაზები ცოტანი არიან?! ეგეც არ იყოს, ვინ იცის, რა ელო გუნებაში. დედამ თქვა, იქნებ შენი მოჯადოება და სულის წაწყმედა აქვს გულშიო! ეგებ მოკვლაც კი...

— თავიდან გამოიბერტყე ასეთი ცოდვილი აზრები! — სერიოზულად თქვა ხუცესმა, — ღმერთია ყველას მფარველი; თუ მას არ უნდა, ბეწვსაც კი ვერავინ შეგირხევს და ნუთუ შენ ფიქრობ, რომ უფლის განგება ვერ გიხსნის თუნდაც იმ ადამიანისაგან, რომელსაც შენი სურათი აქვს?! თვითონვე შეგეძლო დარწმუნებულიყავი, რომ იმ კაცს სიკეთე სურდა შენთვის, თორემ განა ჯვარის დაწერას მოინდომებდა?

ლაურელას არაფერი უთქვამს.

— და რატომ უთხარი უარი? ის ძალიან კარგი კაცი ჩანდა, შენ და დედაშენს უკეთ შეგინახავდათ, ვიდრე შენი საცოდავი ნართი და აბრეშუმი.

— ჩვენ ღარიბები ვართ, — მტკიცედ თქვა ლაურელამ, — თანაც დედა ამდენი ხანია ავადაა. მხოლოდ ტვირთად დავაწვებოდით. არც ქალბატონად გამოვ-

დგებოდი. მეგობრებთან უნდა შერცხვე-
ნილიყო ჩემი გულისთვის.

— აბა, რას ამბობ! მე ხომ ვთქვი: წე-
სიერი კაცი იყო, სორენტოში უნდოდა
გადმოსახლება. აწ ვინ უწყის, როდისღა
გამოჩნდება ისეთი კაცი. თითქოს ცით
იყო მოვლენილი...

— მე არც გავთხოვდები, არასოდეს! —
ამაყად, თავისთვის ჩაილაპარაკა ლაურე-
ლამ.

— შენ რა, ალექსე გაქვს მიცემული
თუ მონასტერში გინდა აღიკვეცო?

ქალმა თავი გააქნია.

— თუმცა ეს სახელი, მაინცა და
მაინც, კარგი ვერ არის, ჩანს, მართალი
ყოფილა, ვინც შენ კერპჯიუტას გეძა-
ხის. იმაზე რატომ არ ფიქრობ, რომ მარ-
ტო არა ხარ და შენი ჯიუტობით ისედაც
ავადმყოფ დედას კიდევ უფრო უმწარებ
სიცოცხლეს! რით იმართლებ თავს, უარს
რომ ეუბნები კარზე მომდგარ ბედნიე-
რებას, თავს არიდებ პატიოსან კაცს, რო-
მელსაც თქვენი მფარველობა სურს? აბა,
მიპასუხე, ლაურელა!

— რა თქმა უნდა, მაქვს გასამართლე-
ბელი საბუთი, — გაბრაზებით ჩაილაპა-
რაკა ქალმა ხმადაბლა, — მაგრამ ამაზე
ვერაფერს ვიტყვი.

— ვერ იტყვი? მე ვერ მეტყვი? შენს
სულიერ მამას, რომელსაც მხოლოდ შე-
ნი სიკეთე სურს?! ამაში ხომ ხარ დარ-
წმუნებული?

გოგონამ თავი დახარა.

— მაშ, გამიხსენ გული, შვილო ჩემო.
თუ შენ მართალი ხარ, მე პირველი და-
გეხმარები, მდგომარეობას შეგიმსუბუ-
ქებ. ჯერ კიდევ ნორჩი ხარ, ცხოვრებას
კარგად არ იცნობ. მომავალში სანანებ-
ლად გაგიხდება, რომ შენი ბავშვური აზ-
რების გამო კარზე მომდგარ ბედნიერე-
ბას ხელი ჰკარი.

ლაურელამ ფრთხილად გააპარა მზე-
რა ნავის ბოლოში მჯდომი ჭაბუქისაკენ,
რომელსაც მატყლის ქუდი თვალეზამდე
ჩამოეფხატა და გულდაგულ უსვამდა
ნიჩაბს. იგი ზღვის სივრცეს გასცქერო-
და, კაცს ეგონებოდა, თავის საგონებელს
მისციემიაო. ხუცესმა თვალი გააყოლა

გოგონას მზერას, შემდეგ დაიხარა და
ყური ახლოს მიუტანა.

— თქვენ მამაჩემს არ იცნობდით,
ხმადაბლა დაიწყო ლაურელამ და სახე
მოედრუშა.

— მამაშენს? ჩემი აზრით, მისი სიკვ-
დილის დროს შენ ათი წლისაც ძლივს
იქნებოდი. რა შუაშია მამაშენი, ცხოვრ-
ება მის სულს, განა შენი ჯიუტობა მისი
ბრაღია?

— არა, თქვენ მას არ იცნობდით, ბა-
ტონო. თქვენ არ იცით, რომ დედაჩემის
ავადმყოფობა მხოლოდ მისი ბრაღია.

— ეს როგორ?

— მამა მკაცრად ექცეოდა, სცემდა,
ფეხით თელავდა. მე ახლაც მახსოვს და-
მეები, გაბრაზებული რომ მოდიოდა შინ.
დედა სიტყვის შეუბრუნებლად უსრუ-
ლებდა ყოველ სურვილს, მამა კი სცემ-
და. მე გული მიკვდებოდა ამის დანახ-
ვაზე: წავიხურავდი თავზე საბანს, თავს
მოვიმძინარებდი და მთელი ღამე ვტი-
როდი. მამა, ძირს დაგდებულ ცოლს რომ
ნახავდა, უცბად სულ შეიცვლებოდა, —
წამოაყენებდა და კოცნიდა. საწყალი დე-
დაჩემი ყვიროდა, ეშინოდა, არ დამხარ-
ჩოსო. ამიკრძალა, თავის ღღეში კრინტი
არ დამეძრა ამ უბედურებაზე. თვითონ
კი დაიგდო ავადმყოფობამ და ისე დარია
ხელი, რომ აი, რამდენი წელი გავიდა
მამაჩემის სიკვდილიდან და ვერ იქნა და
ვერ გამოჯანმრთელდა.

მღვდელმა თანაგრძნობით გააქნია თა-
ვი, აღარ იცოდა, რა ეთქვა, ზოლოზ ესლა
მოახერხა:

— შეუნდე, შვილო ჩემო, როგორც
დედაშენმა შეუნდო. თავიდან მოიშორე
ნაღვლიანი მოგონებები, ლაურელა! შენ-
თვისაც დადგება უკეთესი დრო და ყვე-
ლაფერს დაივიწყებ.

— არა, მე ვერასოდეს დავივიწყებ
ამას, — თქვა გოგონამ და გააფრთოლა, —
აი, ამიტომ გადავწყვიტე, გაუთხოვარი
დავრჩე. არ მინდა ვინმეს ხელქვეითი ვი-
ყო, რომ ჯერ მცემოს და მერე მეფე-
როს. ახლა თუ ვინმე ცემან ან კოცნას
მომინდომებს, შემიძლია საკადრისი პა-
სუხი გავცე. დედაჩემს კი არ შეეძლო,

იგი ვერც ცემას უწევდა წინააღმდეგობას და ვერც კოცნას, რადგანაც უყვარდა ქმარი. მე კი არავის შევიყვარებ, ან კი რისთვის შევიყვარო? სატანჯველი გავიჩინო და თავი დავისნეულო?

— ჯერ ბავშვი ხარ და ცხოვრებისა არაფერი გაგეგება. განა ყველა ქმარი ისეთია, როგორიც საბრალო მამაშენი ყოფილა? ყველა როდი უხრის ქედს ცხოვრების უკუღმართობას, რომ გამწარებულმა მერე ცოლზე ამოიყაროს გულისჯავრი. თქვენს მეზობლებშიც ხომ ბევრია წესიერი, გინდა ქალი თქვი და გინდა — კაცი; სიამტკბილობით ცხოვრობენ და გვერდში უდგანან ერთმანეთს.

— რას გაიგებ! მამაჩემის ამბავიც არავინ იცოდა. დედაჩემს ერჩივნა მომკვდარიყო, ვიდრე ვინმესთვის შეეჩივლა თავისი უბედურება. ქმრის სიყვარულით ყველაფერს მოთმინებით იტანდა. თუკი სიყვარული ისაა, რომ პირი მაგრად მოკუმო, როცა დასახმარებლად უნდა უხმობდე ვინმეს; თუკი იგი უძლურს გხდის, თავი დაიცვა გამძვინვარებული მტრის მრისხანებისაგან, მაშინ მე მირჩევნია, თავისუფალი ვიყო და ჩემი გული მამაკაცს არ დავუკავშირო.

— ხომ გითხარი, ბავშვი ხარ და არ გესმის, რას ლაპარაკობ. დრო მოვა და გული ბევრ გამოკითხვას არ დაგიწყებს. უნდა შეიყვარო თუ არა. მაშინ ვერას გომველის შენი ეგეთი ლაპარაკი.

ხუცესი ოდნავ შეჩერდა და ისევ განაგრძო:

— შენ ფიქრობ, ის მხატვარი ცუდად მოგექცეოდა?

— ხშირად მასაც ისეთი თვალეები ჰქონდა, როგორიც მამაჩემს, დედაჩემს რომ ხვევნითა და ტკბილი სიტყვით ამშვიდებდა ხოლმე. მე ვცნობ ამ თვალებს. ისინი ერთბაშად შეიცვლებიან, როცა ამ თვალების პატრონს თავისი უწყინარი ცოლის მიბეგვა მოეპრიანება. მე შიში მიპყრობდა, ისევ რომ ვხედავდი ასეთ თვალებს.

ქალი გაჩუმდა და მოიქუფრა. ხუცესიც დუმდა. იგი უფრო ხეირიან შეგონებებს ეძებდა, რომ ქალიშვილს შეკა-

მათებოდა და ჭკუა ესწავლებინა, მაგრამ ანტონიოს იქ ყოფნა უშლიდა ხელს; ქალის აღსარებამ შეაფშოთა ჭაბუკი, მისი მოუსვენრობა დაეტყო. მღვდელმა ამჯობინა არაფერი ეთქვა.

ორი საათის შემდეგ კაპრის პატარა ნავთსაყუდელში შევიდნენ. ანტონიომ ნავიდან გადმოიყვანა წმინდა მამა, თავთხელ წყალზე გადაატარა და მოწიწებით გადასვა ხმელეთზე. ლაურელამ მის დაბრუნებას არ მოუცადა, კაბა იკალთავა, ერთ ხელში ქოშები დაიჭირა, მეორეში — ფუთა, მკვირცხლად, დგაფუნით გადაიარა ფონი და ნაპირზე გადავიდა.

— ალბათ, დღეს დიდხანს დავრჩები აქ, — უთხრა ხუცესმა ანტონიოს, — ნუ დამელოდები. შეიძლება, ხვალამდეც ვერ წამოვიდე. ლაურელა, მომიკითხე დედაშენი, ამ კვირაში ისევ გინახულებო. შენ ხომ ბრუნდები ამაღამ?

— რა თქმა უნდა, თუ ნავი შემხვდა, აუცილებლად დავბრუნდები — თქვა გოგონამ და კაბა შეისწორა.

— ხომ იცი, უკან უნდა დავბრუნდე, — მისი აზრით, ვითომდა ძალიან გულგრილად თქვა ანტონიომ, — მწუხრის ზარამდე მოვიციდი. ჩემთვის სულ ერთია, თუ გინდა, ნურც მოხვალ.

— აუცილებლად მოდი, ლაურელა, — სიტყვა ჩააგდო. ხუცესმა, — დედაშენს მთელი ღამით ხომ ვერ მიატოვებ. შორს მიდიხარ?

— ანაკაპრზე, ზვარში.

— მე კი კაპრისაკენ უნდა წავიდე. მაღალი ღმერთი გფარავდეს, ჩემო გოგონი, და შენც, შვილო ჩემო!

ლაურელა ხელზე ეამბორა მღვდელს, „გზა მშვიდობისაო“, — თქვა, ეს, ალბათ, ორივეს ეკუთვნოდა — ანტონიოსაც და ხუცესსაც, თუმცა ანტონიოს თავის თავზე არც მიუღია; მან ქუდი მოუხადა მღვდელს, ლაურელასაკენ არც კი გაუხედავს.

როცა ორივემ ზურგი შეაქცია ჭაბუკს, მან წამით თვალი გააყოლა ხუცესს, გაჭირვებით რომ მიაბიჯებდა ქვიშიან ნაპირზე. მერე ლაურელასაკენაც გაიხედა. ქალი მალლობისაკენ მიდიოდა და ხე-

ლით მზეს იჩრდილავდა. სანამ კლდეებს მიეფარებოდა, გოგონა წამით, თითქოს ქარის ამოსადებად შეჩერდა და მიმოიხედა: ქვემოთ ნავსადგური მოჩანდა, ირგვლივ ციცაბო კლდეები აზიდულიყვნენ, ლაქვარდისფერი ზღვა წარმტაცად ლივლივებდა. შესანიშნავი სანახაობა იყო, ამისთვის მართლაც ღირდა შეჩერება. მოხდა ისე, რომ ქალმა ანტონიოს ნავისაკენ გაიხედა და ჭაბუკის ჯიქურ მზერას წააწყდა. ორივე დამნაშავესავით შეიმშენა, თითქოს ბოდვის უხდიდნენ ერთმანეთს უნებლიედ ჩადენილი დანაშაულისათვის. ქალმა ფიქრიანი სახე მიიღო და გზა განაგრძო.

ნაშუადღევს პირველი საათი იყო. ანტონიო ორი საათის მოსული იყო და ახლა მეთევზეთა სამიკიტნოს წინ სკამლოგინზე იჯდა. ათასგვარი ფიქრი უტრიალებდა თავში. ანაზღეულად წამოხტებოდა, მზეზე გავიდოდა და მარჯვნივ და მარცხნივ გულდაგულ ზეგრადა გზებს, კუნძულის ორი პატარა ქალაქიდან რომ მოდიოდა. სამიკიტნოს დიასახლისს ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია:

— ელოდებით ვინმეს? — ჰკითხა სხვათა შორის.

— არა, ამინდი მაფიქრებს. თუმცა ნათელი დღეა, დაცდილი მაქვს: ზღვა და ცა რომ ასე გამოიყურება, კარგს არას მრასწავებს. სწორედ ასეთი ამინდი იყო იმ უკანასკნელი დიდი ქარიშხლის წინ, ერთი ინგლისელის ოჯახი რომ დიდი გაჭირვებით გადავიყვანე ხმელეთზე. ალბათ, თქვენც გეხსომებათ ის დღე.

— არა, არ მახსოვს. — თქვა ქალმა.

— გაგახსენდებათ, თუ სადამომდე ამინდი შეიცვალა.

— იქ, გაღმა, ბევრია ტურისტი? — იკითხა სამიკიტნოს დიასახლისმა ცოტახნის ღუმილის შემდეგ.

— მხოლოდ ახლა ჩამოდიან. ჯერჯერობით ხეირი არა გვაქვს. ვინც საბანაოდ ჩამოდის ხოლმე, ჯერ კიდევ თავს იკაფებს სეირნობისაგან.

— ჰო, წელს გვიან დადგა გაზაფხული.

ისე, როგორ მიდის თქვენი საქმე, თუ შოულობთ რამეს მენავეები?

— მარტო ამ კარჭაპის იმედით ვცდილობ. ში ორჯერ მაკარონს თუ ჭამს კაცი. ხანდახან ვინმეს წერილს თუ წავუღლებ ნეაპოლში ან რომელიმე სენიორს ზღვაზე გავიყვან საანკესოდ, ეს არის და ეს. მაგრამ ხომ იცით: ბიძაჩემს ფორთოხლის დიდი ბალები აქვს და, საერთოდ, მდიდარი კაცია: სანამ ცოცხალი ვარ, არაფერს გაგიჭირებ, შენი მომავლისთვისაც ვიზრუნებო. ზამთარი, ასე, ღვთის წყალობით გავიტანე.

— შეილება ჰყავს?

— არა, ცოლი არ შეუერთავს. დიდხანს უცხოეთში ცხოვრობდა, იქ გვარიანი ქონება შეიძინა. ახლა განზრახული აქვს, დიდი თევზსარეწი მოაწყოს და მე მის ზედამხედველად დამაყენოს.

— მაშ, გაკეთებულა თქვენი საქმე, ანტონიო!

ახალგაზრდა მენავემ მხრები აიჩეჩა:

— ეჰ, ვინ იცის, საზრუნავი არასოდეს გამოელევა კაცს, — თქვა და ისევ წამოხტა, ყოველი მხრიდან გაჰხედა ცას, თითქოს ქარის მიმართულების გამოცნობა უნდაო.

— ერთ ბოთლს კიდევ მოგართმევთ, ბიძათქვენს არ გაუჭირდება ვადახდა, — თქვა დიასახლისმა.

— არა, მხოლოდ ერთი ჭიქა მოიტანეთ. შესანიშნავი ღვინო გქონიათ, უკვე თავში გამიჯდა.

— ნუ გეშინიათ, სისხლში არ მიდის. შეგიძლიათ დალიოთ, რამდენიც გნებავთ. აგერ, ჩემი კაციც მოდის. ახლა ის არ გაგიშვებთ, ერთხანს მასთანაც უნდა დაჯდეთ და იმასლაათოთ.

გორაკიდან წარმოსადეგი კაცი ჩამოვიდა, ხუჭუტა თავზე წითელი ქუდი ეხურა და მხარზე ბაღე ჰქონდა გადაკიდებული. იგი სამიკიტნოს პატრონი იყო. ქალაქიდან ბრუნდებოდა. იქ თევზი წაეღო იმ ქალბატონისათვის, სორენტოელი ჩია ტანის ხუცესი რომ ეწვია. ქალს სურდა, ღირსეულად გამასპინძლებოდა თავის სულიერ მამას.

კაცმა დაინახა ჭაბუკი, შორიდანვე ხე-

ლი დაუქნია და გულლიად მიესალმა, მე-
რე მის გვერდით ჩამოჯდა და საუბარი
გაუბა. ხან ეკითხებოდა, ხანაც თვითონ
უყვებოდა. ის იყო ცოლმა მეორე ბოთ-
ლი ღვინოც მოიტანა, რომ მარცხნივ, სა-
ნაპიროს რიყეზე, კენჭების ჩხრიალი გა-
ისმა და ანაკაპრიდან მომავალი ლაურე-
ლა გამოჩნდა; თავის დაკვრით მოკლე
სალამი თქვა და გაუბედავად გაჩერდა.

ანტონიო წამოხტა:

— უნდა წავიდე, ეს ქალიშვილი სო-
რენტოდანაა, დღეს დილით სენიორ
მღვდელთან ერთად მოვიდა. ავადმყოფი
დედა ჰყავს, საღამოს აუცილებლად შინ
უნდა იყოს.

— აბა რას ჩქარობთ, ჯერ კიდევ ბევ-
რი დროა, — შეესიტყვა მეთევზე —
ერთი ჭიქა ღვინო ამ ქალიშვილმაც დაგ-
ვილიოს. ეი, ქალო, მოგვიტანე კიდევ
ერთი სასმისი!

— გმადლობთ, მე არა ვსვამ, — თქვა
ლაურელამ და ოდნავ უკან დაიხია.

— ეგ რა თავბატიქს იღებს, დაასხი,
ქალო, დაასხი ერთი ჭიქა!

— თავი დაანებეთ, — ჩაერია ჭაბუ-
კი, — ეგ ისეთი ჯიუტია, რასაც ერთხელ
იტყვის, ღმერთიც ველარ გადაათქმევი-
ნებს.

ანტონიო საჩქაროდ გამოემშვიდობა
ცოლ-ქმარს, ნავთან მიიბრინა, თოკი
ახსნა და ქალიშვილს დაელოდა. ლაურ-
ელაც გამოემშვიდობა ცოლ-ქმარს და
ყოყმანით წავიდა ნავისაკენ. ჯერ ირგვ-
ლივ მიმოიხედა, თითქოს ელოდა, რომ
სანაპიროზე ხალხი იქნებოდა. ნავსაყუ-
დელში არავინ ჩანდა. მეთევზეთაგან
ზოგს ეძინა, ზოგი ზღვაში გასულიყო
ანკესებითა და ბადეებით. ბავშვებს ეძი-
ნათ, ქალები კი ქმრების მოლოდინში
თითისტარებს ატრიალებდნენ. დილით
მოსული უცხოელები უკან გაბრუნებას
აპირებდნენ არ აპირებდნენ.

ანტონიომ შეამჩნია, რომ ქალი ფეხს
ითრევდა. ვიდრე იგი წინააღმდეგობის
გაწევას მოასწრებდა, ჭაბუკმა ბავშვი-
ვით ხელში აიყვანა და ნავში ჩასვა, თვი-
თონაც შიგ ჩახტა და ნიჩბის რამდენიმე

მოსმის შემდეგ უკვე გაშლილ ზღვარს
იყვან.

ლაურელა ნავის კიჩოსთან ისე იჯდა,
მენავე მის სახეს მხოლოდ ნახევრად ხე-
დავდა. გოგონა ჩვეულებრივზე უფრო
მოღუშულიყო. მსუქანი ტუჩები მოეკუ-
მა. დაბალ შუბლზე კულულები გადმოშ-
ლოდა, თხელი ნესტოების ირგვლივ ნერ-
ვიულად უთრთოდა სახე.

კარგა ხანს მიცურავდნენ ჩუმად. ქა-
ლი სიცხემ შეაწუხა. საგზლად წამოღე-
ბულ პურს თავსაფარი შემოხსნა და თავ-
ზე წაიკრა. მთელი დღე არაფერი ეჭამა
და გადაწყვიტა, ახლა წაეხემსა. აიღო
პური და ჭამა დაიწყო.

ანტონიოს შეეცოდა ქალიშვილი, ცა-
რიელა პურს რომ ჭამდა. კალათიდან
ორი ფორთოხალი ამოიღო და გაუწოდა:

— ლაურელა, შეატანე პურს. არ გე-
გონოს, შენთვის განგებ შევინახე, შემ-
თხვევით კალათიდან გადმოვარდნილიყო
და ნავში ვიპოვე, ცარიელი კალათებით
რომ დავბრუნდი უკან.

— შენ თვითონ ჭამე, მე ჩემი პურიც
მეყოფა.

— სიცხეში კარგია ფორთოხალი, გა-
გაგრილებს, იმოდენა გზა გამოგივლია.

— იქ ერთი ჭიქა წყალი დამალევიწის.
იმით გავგრილდი.

— როგორც გინდა, — ჩაილაპარაკა
ანტონიომ და ფორთოხლები ისევ კა-
ლათში ჩაყარა.

ნავი თითქმის უხმაუროდ მისრიალებ-
და კამკამა წყლის ზედაპირზე. თეთრი
თოლიებიც უხმაუროდ დაფრინავდნენ.

— დედაშენს მაინც წაუღე ეს ორი
ფორთოხალი, — ისევ დაიწყო ბიჭმა.

— ჩვენც გვაქვს ფორთოხალი. როცა
გვითავდება, ვყიდულობ ხოლმე.

— მაინც წაუღე და მოიციტხე.

— კი მაგრამ, შენ ხომ არ გიცნობს?

— შეგიძლია უთხრა, ვინცა ვარ.

— არც მე გიცნობ.

ლაურელა პირველად როდი ამბობდა
ასე. ერთი წლის წინ, კვირა დღეს, ნე-
პოლელი მხატვარი რომ ახალი ჩამოსუ-
ლი იყო სორენტოში, ანტონიო ამხანა-

გებთან ბოჩას¹ თამაშობდა მთავარი ქუჩის მახლობლად, პატარა მოედანზე. მხატვარმა პირველად აქ ნახა ლაურელა: ქალმა, მხარზე კოკაშედგმულმა, ისე ჩაიარა, რომ უცხო კაცისათვის ყურადღება არ მიუქცევია. ნეპოლეონ მოხიბლა ქალის გარეგნობამ, მოედნის შუაგულში შედგა და თვალი გააყოლა გოგონას, რომელიც საცა თვალს უნდა მიფარებოდა. ახალგაზრდა კაცი ფეხებთან დავარდნილმა მძიმე ბურთულამ გამოაფხიზლა და მოაგონა, აქ ოცნების ადგილი არ არისო. მხატვარმა მიმოიხედა, თითქოს ვინმესაგან ბოდიშის მოხდას მოელოდა. ჭაბუკი მენავე, რომელმაც ბურთი ისროლა, ჩუმად იდგა ამხანაგებში და ამაყად იყურებოდა. უცნობმა ამჯობინა, არ გამოლაპარაკებოდა და გასცილდა. ამ ამბის გარშემო მითქმა-მოთქმა ატყდა ხალხში, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა მხატვარმა ამკარად ითხოვა ლაურელას ხელი.

„მე მას არ ვიცნობ“, — უხალისოდ ჩაილაპარაკა ლაურელამ, როცა მხატვარი დაექვდა და ჰკითხა, იმ უზრდელი ბიჭის გულისთვის ხომ არ მეუბნები უარსო. ქალის ეს ნათქვამიც გახმაურდა. რა თქმა უნდა, იმ დღიდან ლაურელა კარგად იცნობდა ანტონიოს.

ახლა მოსისხლე მტრებივით ისტდნენ ნავში. ორივეს გული საშინლად უცემდა. ანტონიოს სახე წამოწითლებოდა, ამაოდ ცდილობდა, გულგრილი კაცის იერი მიეღო. ნიჩაბს ისე გაბრაზებით სცემდა ტალღებს, აქაფებული წყლის შხეფები თავზე გადადიოდა. ხანდახან ტუჩები უკანკალებდა, გეგონებათ, რალაცაზე გაავეებით ლაპარაკობსო.

ლაურელამ, ვითომდა აქ არაფერიიო, გულუბრყვილო სახე მიიღო, ნავიდან გადაიხარა და თითებშუა გაატარა წყლის ჩქერები. მერე თავსაფარი მოისხნა და თმის ვარცხნა დაიწყო, თითქოს მის გარდა არც არავინ ყოფილაყო ნავში.

ქალს მაინც ემჩნეოდა მოუსვენრობა,

წარბი უთრთოდა, სველი ხელოვნებით ამაოდ ცდილობდა ანთებული ოცნების გაგრილებას.

უკვე შუა ზღვაზე იყვნენ. ერთი აფრაც არ ჩანდა სადმე. კუნძული დიდი ხანა უკან დარჩა, სანაპირო მზის ბულში გახვეულიყო. ხანდახან თოლია თუ გადაიფრენდა ღრმა მღუმარებით მოცულ სივრცეში.

ანტონიომ მიმოიხედა. ეტყობოდა, რალაც აზრი მოუვიდა თავში. სიწითლემ გადაუარა, ნიჩაბს ხელი უშვა. ლაურელამ უნებურად გაიხედა მისკენ. ქალი რალაცის მოლოდინში დაძაბულიყო, მაგრამ შიშს არ იმჩნევდა.

— ბოლოსდაბოლოს, დროა დამთავრდეს ყველაფერი, — წამოიძახა ჭაბუკმა, — ძალიან დიდხანს გაგრძელდა ეს ამბავი და მე თვითონ მიკვირს, როგორ შეგძელი ამდენის ატანა. შენ კი, თურმე, არც მიცნობ! ნუთუ არასოდეს შეგიმჩნევია, რომ ბევრი რამ მაქვს სათქმელი და შენს დანახვაზე შეშლილს ვემსგავსები ხოლმე?! შენ კი შუბლი შეგიკრავს და პასუხის ღირსადაც არა მთვლი.

— აბა, რა უნდა გითხრა, — მოკლედ მოსჭრა ლაურელამ, — კარგად ვხედავ, ჩემი ხელში ჩაგდება გინდა. მე კი არ მინდა, ხალხის ყბაში ჩავევარდე, არა და არა, არაფრის გულისთვის! არავის მივთხოვდები, არც შენ და არც სხვას.

— არც სხვას? ეგ აზრი მალე გაგიფრინდება. დიდი ამბავი, თუ მხატვარს უარი უთხარი! მაშინ ჯერ კიდევ ბავშვი იყავი. ერთხელაც იქნება, მარტოობა მოგწყინდება და მაშინ შენისთანა გიყვი პირველსავე შემხვედრს გაჰყვება.

— არავინ იცის, რა იქნება. შეიძლება ისეც მოხდეს, აზრი შევიცვალო. მერედა, შენ რა, შენთვის სულერთი არ არის?!

— ჩემთვის სულერთია?! — წამოიყვირა ანტონიომ და წამოხტა. ნავმა ტორტმანი დაიწყო, — ჩემთვის სულერთია, ხომ? და ამას მე მეუბნები! რაკი ასეა, იცოდე, კარგი დღე არ დაადგება იმას, ვისაც ჩემზე უკეთესად მიიჩნევ და შეიყვარებ.

¹ ბოჩა — იტალიურს თამაში სხვადასხვა ფერის ბურთებით.

— რა უფლება გაქვს ასე მელაპარაკო. მე ხომ შენთვის პირობა არ მომიცია! რა ჩემი ბრალია, თუ ჭკუასთან მწყრალადა ხარ?

— ოპო, — წამოიძახა ჭაბუკმა, — როგორ ვექილივით ლაპარაკობ, პირდაპირ ჩასაწერია, ყველა რომელი ორატორი ხელს მოაწერდა. ერთი მაინც გახსოვდეს: მე სიყვარული მოძღვეს უფლებას, შური ვიძიო მისთვის. უფრთხილდი, ეს შურისძიება სიცოცხლის ფასად არ დაგვადეს. არ იფიქრო, ვაშინებდე, მეყოფა გამბედაობა. როგორ გგონია, იმას მოვითმენ, შენ სხვას ვაკყვე საყდარში, მე კი ენაკვიმატი გოგოების საჭორაო გავხდე?! არა, ასე არ გავიმასხრებ თავს!

— როგორც გინდა, ისე მოიქეცი. მუქარით ვერ შემაშინებ. მეც ისე მოვიქცევი, როგორცა მსურს.

— ეგრე დიდხანს ვერ ილაპარაკებ, — თქვა ანტონიომ და მთელი ტანით აცანცანდა, — ვიმეორებ, ჩემი ნათქვამი უბრალო ქადილი არ გეგონოს. შენი სიყვარულისაგან სიცოცხლეს არ გავიმწარებ. ხომ იცი, რომ ახლა ჩემს ხელთა ხარ, სხვა გზა არა გაქვს, ვიჯობს ჭიუტობას თავი ანებო.

— მომკალი, თუ გამბედაობა გყოფნის, — წყნარად თქვა ქალმა.

— საქმის სანახევროდ ვაკეთება არ მიყვარს, — ცხარედ შეეპასუხა ვაჟი, — ორივეს გვეყოფა ადგილი ზღვაში. იქნებ გგონია, ბავშვო, რომ მარტო შენ ვაგათავისუფლებ? — როგორღაც თანაგრძნობით თქვა მან, თითქოს ოცნებაში წავიდაო, — ჩვენ ორივე ჩავეშვებით იქ, ფსკერზე, ჩავეშვებით ახლავე, ერთხელ და სამუდამოდ, — წამოიყვირა და ორივე ხელი ჩასჭიდა ქალს, მაგრამ მაშინვე უკან გასწია მარჯვენა, საიდანაც სისხლმა გადმოსჩქეფა, — ქალმა მწარედ უკბინა.

— სხვა გზა არა მაქვს? — წამოიძახა ლაურელამ, და ანტონიო ხელისკვრით მოიშორა, — აბა ნახე, თუ შენს ხელთა ვარ! — ამ სიტყვებთან ერთად თვალის დახამხამების უმაღლეს ნავის კიდეზე შეხტა და წყლის სიღრმეში გადაეშვა.

მალე ისევ ამოჰყო თავი. კაბა ტანზე შემოგლესოდა, ტალღებისაგან აწეწილი თმები მიძიმედ შემოტმასნოდა. ცხელი ღონივრად უსვამდა მკლავს, უხმოდ მისცურავდა, თანდათან შორდებოდა ნავს და ნაპირისაკენ მიიწევდა.

მოულოდნელმა საშინელებამ დააბნია ჭაბუკი და გონება გაუყინა. იგი ნავში იდგა, წინ გადახრილიყო და ქალს მისჩერებოდა, თითქოს მის თვალწინ რაღაც სასწაული ხდებოდა. ბოლოს გონს მოეგო, ტანში გააყრყოლა, ნიჩბებს ეცა, ძალ-ღონე დაძაბა და ნავმა ქალისაკენ გასცურა. ნავის ფსკერი წითლად იღებებოდა სისხლით.

ქალი სწრაფად მისცურავდა, მაგრამ ნავი მალე დაეწია.

— ყოვლად წმინდა მარიამს გაფიცებ, ნავში ამოდი, — შეეხმინა ბიჭი, — სისულელე ჩავედინე, დემრთმა იცოდეს, რაღაცამ გონება დამიბნელა, ელვასავით დამკრა თავში, გავცეცხლდი და არ ვიცოდი, რას ვამბობდი ან რას ვაკეთებდი. პატიებას არა გთხოვ, ლაურელა, შენი თავი შეიბრალებ მხოლოდ და ამოდი ნავში!

ქალს თითქოს არც ესმოდა, ცურვით გაშორდა ნავს.

— ნაპირამდე მისვლას ვერ შეძლებ, ლაურელა. იქამდე კიდეც ორი მილია. დედაშენი მაინც მოიგონე. შენ რომ უბედურება გეწიოს, მეც მოკვდები.

ლაურელამ თვალით გაზომა მანძილი ნაპირამდე. უსიტყვოდ მიცურდა ნავთან და კიდეც ჩაეჭიდა. ანტონიო მისახმარებლად წამოდგა. სიმძიმისაგან ნავი გვერდზე გადაიხარა და მენავის ქურთუკი ზღვაში ჩავარდა. ლაურელამ მარჯვედ აიქნია ტანი, ნავში ჩახტა და აღრინდელ ადგილზე დაჯდა. ჭაბუკმა ისევ ნიჩბებს მოჰკიდა ხელი, ქალმა კი გაუწუწული კაბისა და თმების გაწურვა დაიწყო. უცებ ძირს დაიხედა და მხოლოდ ახლა შეამჩნია სისხლი. მაშინვე ვაჟის ხელს გაკხედა, რომელსაც, ვითომც არაფერი, ისევ ღონივრად ეჭირა ნიჩაბი.

— აბა, — თქვა გოგონამ და თავისი

თავსაფარი გაუწოდა. ანტონიომ თავი გაიქნია და ნიჩბის მოსმა განაგრძო.

ლაურელა ადგა, ვაჟთან მივიდა და ღრმა ჭრილობას თავსაფარი მაგრად შემოახვია. მერე ვაჟის უარს არ დაჰყვა და ერთი ნიჩაბი გამოართვა. მის პირდაპირ ისე დაჯდა, სახეში არც შეუხედავს, უხმოდ უსვამდა. სისხლით შეღებულ ნიჩაბს დასჩერებოდა. ნაპირთან მეთევზეებს გადააწყდნენ, რომელთაც ღამისთვის ბადეები უნდა ჩაედგათ ზღვაში. მებაღურები ანტონიოს შეეხმინენ, რაღაც გამოაჯაგრეს ლაურელას. სულგანაბულ ქალს მათკენ არც გაუხედავს.

მზე ჯერ კიდევ მაღლა იდგა, ნავსადგურში რომ მოვიდნენ. ლაურელამ კაბა შეიფერთხა, რომელიც თითქმის მთლად გამშრალიყო, და ხმელეთზე გადახტა. დედაბერი, დილით მათ გამგზავრებას რომ უყურებდა, ახლაც ბანზე იდგა:

— ხელზე რა მოგივიდა, ტონიო? — გადმოსძახა ქალმა, — ოი, მამაზეციერო, ნავი სულ სისხლითაა საცეს!

— არაფერია, ნათლიდედ, ლურსმანი შემერჭო. ხვალამდე ყველაფერი გაივლის. სისხლმა ისე შემიღებდა ხელი, კაცს ეგონება, რაღაც მძიმე ჭრილობა მქონდეს.

— ახლავე სამკურნალო ფოთოლს დაგაფენ, ნათლი.

— ნუ სწუხდები, ნათლიდედ, ყველაფერი კარვად იქნება, ძალიან საღი კანი მაქვს, ნაჭრილობევი ადვილად მიხორცდება.

— მშვიდობით! — თქვა ლაურელამ და ზევით მიმავალი, ბილივისაკენ მიტრიალდა.

— ღამე მშვიდობისა! — ისე დაადევნა ჭაბუქმა, რომ მისკენ არ გაუხედავს, ნავიდან კალათები გადმოალაგა და პატარა ქვის კბით თავისი ქოხისაკენ შეუყვა.

შინ მის გარდა არავინ იყო. ჭაბუკი ბოლთას სცემდა ოთახში. ღია სარკმლიდან, რომელიც მხოლოდ ხის დარაბებით იხურებოდა, გამაცოცხლებელი ნიავი

უბერავდა; ისეთი, როგორიც წვეწარ ზღვაზე იცის ხოლმე.

მისთვის ახლა სწორედ მარტოობა სპირო. დიდხანს იდგა ღვთისმშობლის პატარა ხატის წინ და მოწიწებით შესცქეროდა ვერცხლისფერი ქალღმრთის ქვეშ მის ზეციურ ბრწყინვალეებას. ლოცვა ფიქრადაც არ მოსვლია. ან კი რაღა უნდა ეთხოვა, — აღარაფრის იმედი აღარ ჰქონდა.

დაღამებასაც საშველი არ დაადგა, მას კი სიბნელე უნდოდა. ძალიან დაქანცულიყო და სისხლისდენასაც უფრო მეტად დაესუსტებია, ვიდრე თვითონ ეგონა. მწვავე ტკივილს გრძნობდა. დაბალ სკამზე ჩამოჯდა და ხელზე შემოხვეული თავსაფარი მოიხსნა. შედეგებული სისხლი მოლბა და ისევ წამოვიდა. ჭრილობის ირგვლივ ხელი შესიებოდა. ფრთხილად მოიბანა, დიდხანს იგრილებდა ცივ წყალში. მერე ხელი ამოიღო წყლიდან და ნათლად გაარჩია ლაურელას კბილების ნაკვალევი. „სწორად მოიქცა, — თავისთვის ჩაილაპარაკა, — მზეცივით ვიქცეოდი და საკადრისიც მივიღე. ხვალ თავსაფარი უნდა გავუგზავნო ჯუზეპეს ხელით. მეტად აღარ უნდა მნახოს“.

გულდაგულ გარეცხა თავსაფარი და მზეზე გაფინა. ხელი ისევ შეიხვია, მერე წამოწვა და თვალები დახუჭა.

ბურანში მყოფი მთვარის სხივებმა თუ ხელის ტკივილმა გამოადვიდა. ჭრილობა უხურდა. წამოდგა, რომ მფეთქავი ჭრილობა წყლით გაეგრილებია, და კარზეც დააკაკუნეს.

— ვინ არის? — გასძახა ჭაბუქმა და კარი გამოაღო.

მის წინ ლაურელა იდგა.

ქალს არაფერი უკითხავს, ისე შემოვიდა. თავსაფარი შემოიხსნა, მაგიდაზე პატარა კალათი დადგა და ღრმად ამოისუნთქა.

— შენი თავსაფრის წასადებად მოხვედი? — თქვა ანტონიომ, — რაზე გაისარჯე, ხვალ ჯუზეპეს ხელით გამოგიგზავნიდი.

— არა, თავსაფრისთვის არ მოვსულვარ, — სწრაფად შეაწყვეტინა ქალმა, —

მაშინ ვიყავი, შენთვის ბალახები დავ-
კრიფე. აი, ეს ბალახები სისხლისდენას
აჩერებს, — ლაურელამ თავი ახადა კა-
ლათს.

— ტყუილად გიწვალა, — თანა-
გრძობით თქვა ვაჟმა, — ხელი უკვე
კარგად მაქვს. ცუდადაც რომ იყოს, ახია
ჩემზე, ღირსი ვიყავი და საკადრისი მი-
ვიღე. შენ კი ამ დროს აქ რა ვინდა. ვინ-
მემ რომ დაგინახოს? ხომ იცი, ხალხი
რას ლაყბობს, თუმცა თვითონაც არ ეს-
მით, რას ლაპარაკობენ.

— სულაც არ მედარდება, ვინ რას
იტყვის, — ცხარედ თქვა ქალმა, — ხე-
ლი კი უნდა ვნახო და ბალახები დავა-
ფინო. შენ ცალი ხელით ვერ მოახერ-
ხებ...

— ხომ გეუბნები, საჭირო არ არის-
მეთქი.

— აბა, მაჩვენე და მაშინ დავიჯე-
რებ, — ქალმა მისი ხელი აიღო და ჩერე-
ბი შემოხსნა. სიმსივნის დანახვამ საშინ-
ლად შეაქროთ.

— ოღნავ შესივებულია, მალე გაივ-
ლის, — მშვიდად თქვა ანტონიომ.

ქალმა სინანულით გააქნია თავი:

— შეიძლება, ერთ კვირასაც ვერ გახ-
ვიღე ზღვაზე.

— მე კი მგონია, ზეგ გავალ.

ლაურელამ ტაშტი მოიტანა, ჭრილო-
ბა ხელახლა მობანა და ზედ სამკურნა-
ლო ფოთლები დააფინა. ანტონიომ მა-
შინვე შეება იგრძნო, იგი ბავშვივით
დაჰყვა ქალს.

— მადლობელი ვარ შენი. ოღონდ, თუ
კიდევ ერთ სიკეთეს მიზამ, დიდად და-
მავალე: მომიტევე ყველაფერი, რაც
დღეს ჩემი სიკეთით მომივიდა. დავიწყე
ჩემი საქციელი და ჩემი ნათქვამი. მე
თვითონ არ ვიცი, როგორ მოხდა. შენ
ხომ ჩემთვის საბაბი არ მოგიცია? ნამდ-
ვილად არა! ამას იქით ჩემგან საწყენ
სიტყვას ვერ გაიგონებ. — თქვა ანტო-
ნიომ.

— პატიება მე უნდა გთხოვო, — გა-
აწყვეტინა ლაურელამ, — მე შენთვის
უკეთ უნდა გამეგო და სხვანაირად მოგ-
პყრობოდი; არ უნდა გამომეყვანე მოთ-

მინებიდან ჩემი სიკერპით. და კიდევ ეს
კბენა...

— თავს იცავდი და ის კბენაც სიკერ-
საჭირო იყო ჩემს ჭკუაზე მოსაყვანად.
მაგრამ თავი დავანებოთ ამაზე ლაპარაკს.
რა მიტევებას მთხოვ, შენ-სწორად მოი-
ქეცი და მე მადლობელი ვარ ამისთვის.
ახლა კი წადი და დაიძინე. აი, შენი თავ-
სათვარი.

ლაურელა უძრავად იდგა და, ეტყო-
ბოდა, თავს ებრძოდა. ბოლოს თქვა:

— შენ ხომ ჩემი გულისთვის ქურთუ-
კი დაქარგე. ვიცი, ფორთოხლის ნაფასუ-
რიც მის ჯიბეში გედო. ეს მხოლოდ შუა
გზაზე მომაგონდა. მე შენი ზარალის
ანაზღაურება არ შემიძლია. ჩვენ არაფე-
რი გავგაჩნია საამისოდ. კიდევ რომ
გვქონდეს რამე, ის დედაჩემს ეკუთვნის
და არა მე. აი, ეს ვერცხლის ჯვარი მაქვს,
იგი მაგიდაზე დაეტოვებია მხატვარს
ჩვენთან უკანასკნელად ყოფნისას. დღემ-
დე ხელი არ მიხლია მისთვის, ზედაც არ
დამიხედავს. არ შემიძლია კიდევ მეგდოს
იგი ზანღუკში. თუ ამას გაჰყიდი, — დე-
დამ თქვა მაშინ, რამდენიმე პიასტრი
ღირსო, — ნაწილობრივ მაინც აინაზ-
ღაურებ ზარალს. რაც დააკლდება, დამ-
ლაშობით, როცა დედას სძინავს, დავა-
რთავ და იმით შევათავებ.

— მე არაფერიც არ მინდა, — მოკ-
ლედ მოუჭრა ვაჟმა და უკან გასწია
მბრწყინავი ჯვარი.

— შენ უნდა აიღო იგი, ანტონიო. ვინ
იცის, კიდევ რამდენ ხანს გეტკიება ხე-
ლი. მუშაობა არ შეგიძლია. აი, აქ ვდებ.
არ მინდა ჩემმა თვალებმა კიდევ დაინა-
ხოს იგი.

— მაშინ აიღე და ზღვაში გადაავდე

— მე ხომ საჩუქრად არ გაძლევ, იგა
სრული უფლებით გეკუთვნის.

— სრული უფლებით? მე არავითარი
უფლება არა მაქვს შენს ნივთებზე. თუ
სხვა დროს ერთმანეთს შეგხვდებით,
ერთსა გთხოვ მხოლოდ: ნუ შემომხედავ,
რადგან შენი მზერა მაფიქრებინებს, რომ
გინდა დანაშაული მომაგონო. ახლა კი,
ლამე მშვიდობისა! დაე, ეს ჩვენი უკანას-
კნელი შეხვედრა იყოს!

ანტონიომ თავსაფარი და ჯვარი კალათში ჩასდო. როცა თავი ასწია და ქალს შეხედა, შეძრწუნდა: ლაურელას მსხვილი კურცხალი ჩამოსდიოდა დაწვებზე. მერე თავი ველარ შეიკავა და დაბალუბით წამოუვიდა ცრემლი.

— დიდება შენდა, ღმერთო! — წამოიყვირა ბიჭმა, — რა მოგდის, ავად ხომ არა ხარ? სულ კანკალებ...

— არაფერია, არაფერი, უნდა წავიდე, — ქალი კარისაკენ მიბრუნდა, მაგრამ ცრემლმა დასძლია, გული ამოუჯდა, თავით კარს მიეყრდნო და ხმამაღლა, მწარედ აქვითინდა. ანტონიოს უნდოდა მისწვოდა და შეეჩერებია. მოულოდნელად ქალიშვილი შემობრუნდა და ყელზე შემოეჭდო:

— მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, — წამოიძახა მან და ისე მაგრად მიეკრა ვაჟს, როგორც მომაკვდავი ებლაუჭება სიცოცხლეს, — არ შემიძლია იმის ატანა, რომ შენ ტუბილ სიტყვას მეუბნებო და დამძიმებული სინდისით მისტუმრებ. მცემე, ფეხით გამთელე, შემაჩვენე! მაგრამ ჩემი სიავის მერე თუ კიდევ გიყვარვარ, მაშინ დამტოვე შენთან და როგორც გინდოდეს, ისე მომექეცი, ოღონდ ნუ გამაგდებ! — ისევ ხმამაღლა აქვითინდა. გაოგნებულ ანტონიოს კარგა ხანს ჰყავდა ქალი მკლავებში:

— თუ კიდევ მიყვარხარ?! წმინდაო ღვთისმშობელო! შენა გგონია, ჩემს გულში ავიზგიზებული კოცონი ამ პატარა ჭრილობამ ჩააქრო? ნუთუ ვერა ვრძნობ, როგორ ძვერს ჩემი გული, თითქოს მკერდიდან ამოხტომას ლამობდეს?! თუ შენ ჩემი გამოცდა გინდა, ან ჩემდამი სიბრალული ვალაპარაკებს, მაშინ

წადი, მე ამასაც დავივიწყებ. არ იფიქრო, რაკი მე შენთვის ვიტანჯები, მაგრამ დამნაშავე იყო.

— არა, — მტკიცედ თქვა ლაურელამ. თავი ასწია და ცრემლიანი თვალებით შეხედა, — მიყვარხარ. ვშიშობდი, თავს ვებრძოდი. ახლა კი გეუბნები... არ შემიძლია არ შემოგხედო, როცა შეგხვდები. ახლა უნდა გაკოცო კიდევ, რომ ეჭვი აღარ დაგჩხეს და შეგეძლოს თქმა: „მან მაკოცა მე“. ლაურელა კი არავის აკოცებს, თუ იგი ქმრად არ სურს.

ქალმა აკოცა ანტონიოს, მერე თავი გაითავისუფლა:

— დამე მშვიდობისა, ჩემო კარგო! წადი, დაიძინე და ხელს მიხედე. გაცილებდა საჭირო არ არის. ლაურელას არავისი ეშინია, მხოლოდ შენს წინაშე კრთის იგი, — ამ სიტყვებზე გარეთ გავარდა და კედლის ჩრდილს მიეფარა. ანტონიო კი ფანჯრიდან დიდხანს გასცქეროდა ზღვას, რომელსაც ურციხვი ვარსკვლავი დასციმციმებდა.

როცა ჩია ტანის ხუცესი საკურთხევლიდან გამოვიდა, სადაც ლაურელა დიდხანს იყო დაჩოქილი, თავისთვის ჩაიღიმა და თქვა: „ვინ იფიქრებდა, რომ მაღალი ღმერთი ასე ჩქარა შეაერთებდა ამ საოცარ გულებს. მე კი თავს ვუსაყვედურებდი, რომ ამ კერპჯიუტას უფრო მეტად არ ავუწიე ყური. ჩვენი მოკლე ხედვა რას მიწვდება ზეცის განგებას! ეპ, ღმერთი იყოს მათი შემწე. ნეტავ მანამდე მაკოცლა, ლაურელას უფროსი ბიჭი მამამისის მაგივრად რომ ზღვაზე დადამიყვანს. ოი, ოი, ოი, კერპჯიუტავ!“

გერმანულიდან თარგმნა ვახტანგ პანიკიძე.





ლ ე ქ ს ე ბ ი

10 ოქტომბერი

ახდა ოცნება, აღსდგა ჩემი სამშობლო მხარე,
მშობელი კუბა, მისი ხალხი ქედმოუხრელი;
სამას წელიწადს დამპყრობელთა გვედგა უღელი,
სამას წელიწადს ვიტანჯეთ და ცრემლები ვღვარეთ.

შორს, ესკამბრიის ჭიუხებში ბრძოლაა ცხარე,
წყალუხვ, ჭაღარა კაუტომდე ისმის ქუხილი,
ცახცახებს მტერი, უსაზღვროა მისი წუხილი,
თავლაფდასხმული, შერცხვენილი ქვითინებს მწარედ.

ძალმომრეობის დასამარდა დიდება ძველი,
ახალ ბრძოლებში წილად ერგო სირცხვილი მწველი, —
და ჰა, მონობის საძულველი დაემხნენ ბჭენი.

მიღეწ-მოღეწა ბორკილები, გაფანტა ჯანდი,
თავისუფლების გზას დაადგა მშობელი ხალხი, —
ახდა, აღსრულდა უწმინდესი ოცნება ჩვენი!

ორი სამშობლო

ორი სამშობლო მაქვს ბოძებული:
პირველი — კუბა, მეორე — ღამე.
ან, იქნებ, ერთში ორთავეს ვხედავ,
იქნებ ერთია — ღამე და კუბა.
როგორც კი ღამე ოქროს ტახტიდან
გადმოაბრძანებს მზის ბრწყინვალეებას, —
ვითარცა ტურფა ქვრივი მწუხარე,
პირშებურვილი შავი ვუალით,
უტყვი, უთქმელი და თავდახრილი,

ამელანდება მიხაკით ხელში,—
ალიმართება ჩემ თვალწინ კუბა,
მთრთოლვარე ხელში ვცნობ უცხო ყვავილს,
მეწამულ ყვავილს — სისხლისფერ მიხაკს
და, გულის ნაცვლად, ანაზღად მკერდში
ვგრძნობ ყრუ, საოცარ სიცარიელეს.
დროა დავტოვო ქვეყნიერება!
ზედგამოჭრილი არის ეს ღამე,
სულ ერთი სიტყვა რომ თქვა — „მშვიდობით“.
ოღონდ შუქია ხელისშემშლელი,
აქა-იქ შუქი, და კაცთა ხმები...
ადამის ძეთა მოდგმაზე მეტად
მიმზიდველია სამყარო ვრცელი...
მაგრამ უეცრად თითქოს დროშაა,
და მიყიჟინებს დიდი ბრძოლისკენ, —
აბდღვილდება აისი წითლად.
ვადებ ფანჯარას, საჩქაროდ ვადებ,
ვიწროა ბინა, ვედარ ვეტევი.
და მოგლეჯ-მიგლეჯს სისხლისფერ მიხაკს,
და ვით ღრუბელი ავსებს ცისკიდურს,
ჩაივლის ჩემ წინ მდუმარე ქვრივი —
კუბა — პირველი სამშობლო ჩემი!

ჩემი კაბალერო

დილ-დილობით ჩემი ბიჭი,
მკვირცხლი ბიჭი, ფიცხი ბიჭი,
ჩემი კაბალერო,
ტკბილი კოცნით მალვიძებდა,
ლბილი კოცნით, თბილი კოცნით,
ჩემი კაბალერო!
მკერდზე დამასკუბებოდა;
აღვირივით დამწვდებოდა
თმაზე კაბალერო!
სიხარულით დათვრებოდა,
თან დეუს მცემდა, თან მღეროდა:
„აჩუ! აჩუ, ცხენო!“
დეზი ისე ლბილი ჰქონდა,
ფეხი ისე ტკბილი ჰქონდა,
ვაი, საყვარელო!
რანაირად ხარხარებდა,
რანაირად მახარებდა
ჩემი კაბალერო!
რანაირად იცინოდა,
რანაირად ვბავშვდებოდით,
ახლაც ყურში ჩამწკრიალებს

იმ სიცილის ეჭო...
ერთ მუჭაში თავსდებოდით,
ერთ კოცნაში თავსდებოდით
კაბალეროს ორო ფეხო,
ტიტლიკანა ფეხო!

მელიტინა ასაქიტინას

ო, მელიტინავ, დაო,
თვლემენ ტყეები ბნელში
და რა იქნება ქვეყნად
მიტხარ, იმაზე ტკბილი,
ვიდრე სინათლე ტვერში,
მზის ჩამოხედვა ტვერში
და დაბადება ტყეში
პირმშვენიერი დილის.

თავდაპირველად ტყე
ზურმუხტია და სძინავს,
რა გაიღვიძებს, ტყე
თრთის, სიხარულით ღელავს,
და ჰა, ამოდის მზე,
ტყე ოქროსფერად ბრწყინავს,
როგორც საყვირთა ტვერი
ცეცხლმოდებული ელავს.

მზეა გასარკულ ცაში;
მზე ადგას კუბის კორდებს,
მოგორავს ოქროს დისკო,
წითლად დაძალის ველებს;
კუბა უღრანი ტყეა,
მზე მისწი-მოსწევს ფოთლებს,
მზე მისწი-მოსწევს ტოტებს,
ჩასცქერის კუბის ტვერებს.

მაგრამ ანაზდად კრთება
დედაბუნება იჭვით
და დამფრთხალი მზეც ხვდება,
რომ სხვა რამ ჰქვია ამას,
რომ ქორწილისკენ მიდის
მისი საქმე და ნიჭი —
წყვეტს სიყვარულის ომს,
წყვეტს სახიფათო თამაშს.

მაშინ შორეულ მთაზე,
ზედ ცისკიდურთან, მაღლა.

ზედ ცის გუმბათქვეშ, მაღლა,
სიტყვა ეძლევა საყვირს;
და სჭექს მხნეობის წამლად
საყვირი იგი ახლა
და იმეორებს ტვერი
ოქროს საყვირის ძახილს.

ჩემი კუბაა — ეს ტყე,
ეს მოღუშული ტვერი,
ეს სევდიანი ტვერი,
მწუხრის ბინდი რომ მოსავს;
მაგრამ თენდება უკვე,
მოვა სინათლე ბვერი,
მზემ შეაწითლა ზეცა,
პირველი სხივი მოჩანს.

ხოლო კუბა თუ ტყეა,
მაშინ შენი ხმა წმინდა,
შენი წკრიალა ხმა,
ო, მელიტინავ ჩემო, —
ის საყვირია სწორედ,
რომ მოიჩქარის ციდან
და განთიადის მაცნედ
ტყე-ტყე წკრიალებს ქვემოთ.

ფრთოსანი თასი

ვინ, ვინ დამასწრო, ვინ ნახა თასი,
რომელმა ნახა ფრთოსანი თასი?
ვინ დამასწრო და რომელმა ნახა
გასაოცარი ფრთოსანი თასი?
მე გუშინ ვნახე ფრთოსანი თასი,
წმიდათაწმიდა რამ ჯილდოს მსგავსი;
ფრთა გაშალა და ის იყო, უნდა
აფრენილიყო ამაყად ცაში,
მე დავაკონე მას ბაგე მაშინ,
წამით შეყოვნდა ზეციურ გზაზე...
ო, შენი კოცნა იყო ის თასი,
გასაოცარი ნექტარით სავსე.

მახსოვს სადამო, გიშრის ნაწნავებს
შლიდნენ ეს ჩემი თითები ნაზად,
შენც უხვი იყავ იმ სიყვარულში
ჩემი კაცობის ჯილდოდ და ფასად.
ჰაერი იყო სუფთა და წმინდა
იმ სიყვარულის კვალად და მსგავსად.

შორს იყო ჩვენგან სამყარო ვრცელი,
მისი ხმაური ჩვენს მიღმა დარჩა,
არსად — იმისი შური და მტრობა,
მისი ველური ყიჟინა — არსად!

თასი კი... თასი ცად მიფრინავდა,
ცად მიიწევდა ფრთოსანი თასი
და მასთან, ერთად მეც ვლალდებოდი,
მეც ვმალდებოდი იისფერ ცაში.
და ვსვამდი ხარბად საამო ნექტარს,
სიცოცხლე იყო იმისი ფასი...
ო, სიყვარულო, შენ ხარ სრულყოფა,
შემოქმედების შენა ხარ არსი!

იცის, რკინეულს გასჭედავს მხოლოდ,
როცა მჭედელი რკინას ხელს ჰკიდებს,
ოქრომჭედელსაც ერთი აქვს ნიჭი —
ტვიფრავს ოქროზე ვარდებს და ჩიტებს,
ხოლო შენ სხვა ხარ, ხარ ერთადერთი,
ყოვლისმომცველი და მეტიც კიდევ:
ო, სიყვარულო, შენი ნიჭია,
რომ ერთი კოცნა სამყაროს იტევს.

მთარგმნელისაგან

პოეტმა და რევოლუციონერმა, კუბელი ხალხის დიდმა შვილმა ხოსე მარტიმ (1853—1895 წ.წ.) მთელი თავისი ცხოვრება კუბის თავისუფლებისათვის ბრძოლას მთავმარა. ხოსე მარტი განდა სულისჩამდგმელი კუბელი ხალხის 1894—1898 წლების ერთვულ-გამათავისუფლებელი ომისა, რომელიც მიმართული იყო ესპანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების კუბაში ბატონობის წინააღმდეგ.

ხოსე მარტის, როგორც პოეტისა და დემოკრატი რევოლუციონერის იდეალი, იყო სოციალური თანასწორობა და კუბელი ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობა. ამ იდეალებისათვის ხოსე მარტი რეაქციის წლებში არაერთხელ გაიქცა კუბიდან, არაერთხელ უკანვე დაუბრუნდა მას და ბოლოს მისთვის იარაღით ხელში დაიღუპა.

ხოსე მარტი კუბელი ხალხის დიდი პოეტია. მთელი მისი პოეზია ალბეჭდილია თავისუფლებისათვის ბრძოლის მშვენებებით.

მუზიანი ლეზანიძე.

სოფელი ხანი

დაწყებული კვა

ვოროტანის ხეობაში გზის პირი ერთ-
გან უზარმაზარი კლდის შვერილებით
არის დაკბილული. ერთი შვერილი მო-
გაგონებთ ძეგლადქცეულ კაცს, მეო-
რე — კალოში შებმულ ხარებს; შუაში
თავმოყრილი ქვიშნარი კი — გაღეწი-
ლი ხორბლის ზვინს.

ხალხი დაწყევლილ ქვას ეძახის ამ
შიშველ, რუხ კლდეს. ამ არემარეს
ფრინველიც არ ეჯარება... მარტო გვე-
ლები დასრიალებენ ქანგისფერ კლდე-
ბზე, იკლანებიან, მერე დაიმორგვე-
ბიან და ძილს ეძლევიან.

როცა ამ გზით ვინმე გაივლის, ძველი
ადათისამებრ, წამით შეჩერდება, ზიზ-
ლით შეხედავს კლდეებს, მერე წყევლა-
კრულვით მოიხსენიებს გაქვავებულ
კაცს და გზას განაგრძობს.

2

მდიდარი კაცი იყო სეპუპი არნაკი.
ძველად ვოროტანის მთელი ხეობა, ახ-
ლომანლო სოფლების სახნავ-სათესები
და საძოვრები იმას ეკუთვნოდა, ხოლო
დაწყევლილი ქვა კალო იყო. აქ მოჰ-
ქონდათ შვიდი სოფლის მოსავალი, ლე-

ცნობილი თანამედროვე სომეხი მწერლის
ხ. კურტიკიანის წიგნიდან „ლეგენდები“.

წავდნენ და მერე სეპუპის ბედლებში
ეზიდებოდნენ.

მკაცრი და ძუნწი ყოფილა სეპუპი არ-
ნაკი.

ერთხელ კალოს მახლობლად მგზავრს
ჩაუვლია. ერთი პეშვი ხორბალი უთხო-
ვია, — გზაში ხორბლის ჭამით შევიქ-
ცევ თავსო. მღეწავს ორი პეშვი ხორ-
ბალი ჩაუყრია და მგზავრისათვის გზა
დაულოცავს.

— ღმერთმა ბარაქა მოგცეს! — მად-
ლობა გადაუხდია უცნობს და გაშო-
რებია.

გზაში მგზავრს სოფლიდან მომავა-
ლი არნაკი შემოჰყრია, რომ დაუნახავს.
მგზავრი ხორბალსა სჭამსო, შეჰკითხ-
ვია: საიდან გაქვს ეგ ხორბალიო?

— აქვე, ახლოს, კალოზე, გლეხმა
მომცა ერთი პეშვი, — მოკრძალებით
უთქვამს მგზავრს.

სეპუპი არნაკი გაბრაზებულა, მგზავრი
უკან დაუბრუნებია, ხორბალი წაუტო-
მევია, ხოლო გლეხი, მგზავრს რომ
ხორბალი აჩუქა, დაუთხოვია.

დაღონებულა გლეხკაცი ბატონს ხლე-
ბია და შეხვეწნია:

— ამ ერთხელ მაპატიე, ბატონო არ-
ნაკ! საწყალი მგზავრი იყო, ითხოვა,

გულმა აღარ მომითმინა, შემეცოდა...
შევცდი და მაპატიე... ნება მომეცი, კა-
ლოს მივხედო...

მაგრამ არნაქი გაჯიუტებულია. კალო-
დან გაუგდია საცოდავი გლეხი და მის
ადგილზე სხვა დაუყენებია.

გლეხი თავჩაქინდრული დაბრუნებუ-
ლა შინ და დედისათვის გაუზიარებია,
რაც თავს დაატყდა. დედაბერი რის ვაი-
ვაგლახით მისულა კალოზე და ბატონს
შევედრებია: — შეიბრაღე ჩემი შვი-
ლი, კალოზე დააბრუნეო. შვიდი სული
მაგის შემყურენი ვართ, მშვიერი ბავშ-
ვები ლუკმაპურს ელოდებიან, ცოდვა-
ბრაღი დაიდე, ბატონო, აგერ ზამთა-
რიც კარზეა მომდგარი, დავიდუბე-
ბითო...

მაგრამ სეპუპ არნაქს არც დედაბ-

რის მუდარა შეუწყნარებია და ისიც
გაუგდია.

მაშინ დედაბერს, კალოს რომცნობდა
დებია, ცხარე ცრემლები ლეჩაქით შეუ-
ხოცავს, ხელები მძლავრად აღუპყრია და
ბატონი დაუწყევლია:

— სეპუპ არნაქო, ღმერთია მოწამე.
ბევრის დედა აგითირებია; გულქვა ხარ
და ამიერიდან დამიწყევლისხარ — ქვად
იქეც!

ამის თქმა იყო და დედის წყევლას
გაუჭრია. ყველაფერი — არნაქ ბატო-
ნიც, ხარებიც და გაღეწილი ხორბლის
გროვაც, — არნაქის ქვა გულივით გაქ-
ვევებულია.

დღესაც დაწყევლილ ქვას ეძახიან იმ
რუხ კლდეს, რომელსაც ფრინველიც
კი არ ეკარება.

ლურჯთვალა

სიუნეის მხარეში, ამპასარის მწვერ-
ვალზე, ერთი ტბაა. ტბის ირგვლივ ცამ-
დე აზიდულან მარადიული თოვლით
დაფარული კლდოვანი მთები. მხოლოდ
ავგისტოში დნება ტბაზე გადაკრული
ყინული და ანკარა წყლის ნაპირას ენ-
ძელა იფურჩქნება...

ეს მომაჯადოებელი ტბა ბუმბერაზი
მთების დიდრონი თვალივით შეჭყუ-
რებს ცას...

შუადღისას, როცა იისფერი სხივები
ჩააღწევენ ორწონებში და ტბის ზედა-
პირს სევდიანი ბრწყინვალეობა მოეფი-
ნება, როცა ნათელი სხივები მომაჯა-
დოებელ ფერებად ციმციმებენ წყალზე
და ნიავიც ჩურჩულით მიელამუნება,
მთვლემარე ტბა ათრთოლდება, ოქროს-
თავთავიანი პურის ყანასავით ირწყევა და
ღელავს...

2

მრავალი საუკუნის წინ მტერი შე-
მოესია ჩვენს ქვეყანას — სისხლით და
ცრემლით მოირწყო სომხეთის მთიანი
მხარე. ბევრი მამაცი ვაჟკაცი დაეცა
უთანასწორო ბრძოლებში. მათ შორის
იყო ასტილიკის შეყვარებული — გულა-

დი ვაჰანგი. უმწეო ქალიშვილიც ულ-
მობელი მტრის ტყვე გახდა.

ასტილიკის სილამაზით მოხიბლული
სარდალი ვნებით აენთო, მკლავი მოუ-
ღუნდა, სისხლიანი მახვილი აღარ ემორ-
ჩილებოდა.

— ჯანათის ყვავილო! — შეჭყვირა
მან და ქალიშვილს ზურმუხტი და ატ-
ლასი, ოქრო და ფარჩა დაუხვავა წინ, —
დედოფლის ფუფუნებით ცხოვრებას
გაზიარებ, ოღონდ შენი სიყვარულით
დამასაჩუქრე, ალერსიანად გამიღიმე...

დადგა კოშმარული ღამე. ნანადიმე-
ვი, ვნებით აღგზნებული სარდალი ას-
ტილიკს ეახლა.

— ჯანათის ფერიავ, — ამოილაპარა-
კა მან, — ამქვეყნიური სიკეთით აგავ-
სებ, შვიდ პირფარეშს დაგიყენებ, ყმე-
ბივით მოგემსახურებიან, სურნელოვან
წყალში გაგბანენ, ყველა საწადელს
ავისრულებენ. დღეს, უფლის ნება-
სურვილით, მახვილი მიჭრის. მთელი
ძალაუფლება ჩემს ხელშია...

ასტილიკმა მდუმარედ მოუსმინა მბრძა-
ნებელს, მზერა მიაპყრო მის ავზო-
რულს, სისხლით დაბინდულ თვალებს
და შეძრწუნებულმა თავი დახარა.

მოძალადემ ისარგებლა ქალიშვილის წუთიერი დუმლით, მივარდა და ტყვე გოგონას მოეხვია.

ასტილი ათრთოლდა. მოეჩვენა, თითქოს შხამიანი გველი ეხვეოდა.

ქალიშვილმა ფრთხილად გააპარა ხელი აბრეშუმის ბალიშის ქვეშ, იქიდან ფარულად გამოიღო წინასწარ გადაძალული ხანჯალი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გულში ჩასცა ტირანს...

კარავში ყრუ ხროტინი გაისმა და... სისხლით შეიღება ატლასის სარეცელი... უკუნეთ სიბნელეში ასტილმა თავი დააღწია სისხლიან ბუნავს, გადაიარა კლდე-ღრეები, აქაფებული მდინარეები, მინდორ-ველები, მთები, უფსკრულები; ქანცგამოლეულმა ირბინა, ირბინა მანამდე, ვიდრე, ბოლოს, ერთ ციცაბო კლდეს არ შეაფარა თავი.

ხალხმა შემდეგ ამ კლდეს ასტილის კლდე უწოდა.

აქ ასტილმა ბევრი, ბევრი იტირა. მწარე ცრემლებით გამოიტირა თავისი შეყვარებული, — უდროოდ დაცემული მეომარი, სამუდამოდ დაღუპული სიყვარული...

ქალიშვილის თვალთავან წვეთწვეთად ნადენი ცრემლები სევდიან ნაკადულად იქცა და მთის ანკარა ტბად დაგუბდა.

მლაშე ცრემლის დენისაგან თვალისჩინწართმეული, თავისი ქვეყნის მარადიულ განთიადს მონატრებული ასტილი ერთ დღეს კლდის მწვერვალიდან გადმოეშვა და მისივე ცრემლების ტბაში ჩაიძირა, რომ აღარც ერთი დესპოტის ხელი არ შეხებოდა მის ოქროსფერ ნაწნავებსა და უმანკო გულს...

ასტილს ლურჯი, სევდიანი, გამჭვირვალე თვალები ჰქონდა. ტბაც მისი თვალებივით ლურჯია, ისევე სევდიანი, ან-

კარა... და სახელად კაპუტაცინო (ლურჯ-თვალა) ჰქვია.

ამბობენ, წელიწადში სამჯერ, მთავარიან ღამეში, ტბის ლაქვარდოვანი სიღრმიდან ასტილი ამოდის, ოქროსფერ ნაწნავებს გაშლის მღელვარე ტბის ზედაპირზე, დასცქერის სომხეთის მთიან ქვეყანას. მერე დიდხანს, დიდხანს უმზერს ჩრდილოეთის მთელვარე ვარსკვლავს და გული სიხარულით უცემს...

ამ ბედნიერ წუთებში, ასტილის წმინდა გულის ამონამღერს. სიო თავისი ფრთებით იტაცებს და სომხეთის მთებსა და ხეობებში ჰფანტავს. მერე ასტილი თურმე ოქროს წყალში ბანაობს... ამ სურათს მხოლოდ ციური ვარსკვლავნი ხედავენ და ქალიშვილთან ერთად, კიაფობენ ტბის ტალღებში...

3

დღესაც ახსოვთ მთიან სიუნიქში ეს უძველესი ამბავი. ადათისამებრ, ყოველ წელს, აგვისტოს თვეში, ტბას ესტუმრებიან ხოლმე მთიანეთის მკვიდრნი. სამჯერ შემოუვლიან ქალწულები ტბას და სიყვარულის სიმღერებს მღერიან.

ტბიდან ჩხრილით მოედინებიან ანკარა წყლები და თვალუწვდენელი სიმალლიდან მხიარული კისკისით ჩაბრბიან ხეობაში. და ცრემლის ტბიდან იზადება სინათლე, ელვარე, თვალწარმტაცი სინათლე. ეს სინათლე სპილენძის მავთულებით მიედინება შორს, შორს და... უკუნეთ სიბნელეს დევნის სახლებიდან — ყოველ საღამოს, თითქოს, თვითონ ცეცხლოვანი ასტილი შედის ყველა სახლში, ბედნიერად უღიმის ახალგაბედნიერებულ ქალ-ვაჟთ, რომლებიც სიყვარულის სიმღერებს თხზავენ თავისუფალ მშობლიურ ქვეყანაში, საკუთარ ჰერქვეშ...

სომხური ზარი

პირისხლიანმა სულთანმა მრჩევლები იხმო:

—მორწმუნეო! ისლამის შეილნო!

ალაპის ნება-სურვილით ჩვენ დავანგრიეთ ურჯულო სომხების ქვით ნაშენი ქალაქები და სოფლები. მონასტრები-

და ეკლესიები. ჩავაქრეთ მათი კერიის ცეცხლი, ნასახლარად ვაქციეთ ყველაფერი, მახვილით ავკუწეთ ყველანი... მაგრამ შეხედეთ, ისევ აყვავებულან სომხების ბალ-ვენახები, კვლავ ამოდის კერიებიდან კვამლი, გუთნისდგა ისევ გუთანს მოჰკიდებია და მთესველიც ძველებურად თესავს... განსაჯეთ, ბრძენო, რას ნიშნავს ეს?

ჩაფიქრებული მრჩევლები მდუმარედ ისხდნენ და მთელი გულისყურით უსმენდნენ სულთანს.

— დღეგრძელობდეს სულთანი, — დაიწყო ერთმა, — საიდანღაც გამუდმებით ისმის ზარის იღუმალი ხმა. მე მგონი, სწორედ ეს ხმა ეძახის სომხებს ცხოვრებისაკენ, ეს ხმა აყვავებს მათ მინდორ-ველებსა და ვენახებს.

— ჩვენ ხომ ყველა ეკლესია დავანგრეთ, ყველა სამრევლო მოვსპეთ, ზარებისაგან ზარბაზნები ჩამოვასხით; მაშ საიდანღა მოდის მაგ ზარის ხმა?

— დღეგრძელობა ჩვენს ბატონს, მაგრამ არ ვიცი — საიდან. ვინ უწყის, ციხე და ქვეყნის რომელი სართულიდან ირეკება ეგ ზარი!..

სულთანმა შეშფოთებით მოუხმინა მრჩევლებს და ბოლოს ბრძანა:

— გასწით, მიაკვლიეთ და სამუდამოდ დაადუმეთ ზარი!

მრისხანე სულთნის ბრძანებით შეშინებული მრჩევლები სომხეთის ქვეყანას მოედგნენ, მთა იყო თუ მწვერვალი, ხევი თუ უფსკრული, კლდე-ღრე თუ ტყე — ყველგან მოითარეშეს. კუთხე-კუნძული არ დაუტოვებიათ, მაგრამ მაინც ვერ მიაკვლიეს ზარს. დილა-საღამოს კი კვლავ წინანდებურად ისმოდა უჩინარი ზარის რეკვა.

მრჩეველი დაღვრემილნი წარუდგინენ სულთანს:

— დღეგრძელობდეს სულთანი, — ხევწნა-მუდარით ამოიკენეს ერთმა მათგანმა, — სომხეთის ქვეყანაში ისევ კილით კიდემდე გაისმის ზარის რეკვა, მაგრამ თუ საიდან მოდის ხმა, ვერ მივაკვლიეთ. ზარი ან არარატის მიუვალ მწვერვალზეა, ანდა —

ჯოჯოხეთურ უფსკრულში და იქიდან ბოროტ ქარს მოაქვს მისი ხმა. დღეგრძელებს, იქნებ გებრძანებიათ რომ ქვეყნის რი ჩადგეს. მაშინ ზარის ხმაც შეწყდება და სომხეთის მიწაზეც ჩაკვდება სიცოცხლე...

სულთანი გაბრაზდა: ეს რა სისულელეს რომავენ, ვის უნდა ვუბრძანო, ქარი ჩადგესო...

— ქარი ღვთისაა და როგორ არ იცით, ქარის შეჩერება წინ აღდგომაა ალაჰის ნება-სურვილისა! — საზარლად დაიდრიალა სულთანმა, — განმეორებით მიბრძანებია, იპოვოთ სომხური ზარი და უფსკრულში გადაუძახოთ. ისლამს მხოლოდ ეს ესია მოვინება. ორმოცი დღის ვადას გაძლევთ! წადით, იპოვეთ ზარი და მტვრად აქციეთ. ქვეყანაზე სომხური ზარის რეკვა არ უნდა ისმოდეს!

სულთნის მრჩევლებმა ორმოცი დღე და დამე ეძებეს ზარი. მთელი ქვეყანა შემოიარეს და კვლავ ხელცარიელნი, კიდევ უფრო დაღვრემილნი დაბრუნდნენ.

— დღეგრძელობა და სიცოცხლე სულთანს! — მოკრძალებით დაუკრეს თავი, — სომხეთში ყველგან გაისმის იმ დაწყევლილი ზარის რეკვა, მაგრამ კვალს ახლაც ვერ მივაგენით, ალბათ, შეითანი მფარველობს...

გაშმაგდა პირისსახლიანი სულთანი, დასწყევლა ნაზირ-ვეზირები, დაიწყევლა თავებედი, მკაცრად დატუქსა ფაშები და ბეგები, ჯადოსნები და ვარსკვლავთმრიცხველები, — ყველა, ვინც უძლური აღმოჩნდა ზარის პოვნაში.

სულთანი ჯერ ისევ ბოზობდა, რომ მის სამფლობელოში ხანდაზმული მისანი გამოჩნდა. იგი ინდოეთიდან იყო, ბევრი ქვეყანა მოეწლო, მრავალ ბრძენს გასცნობოდა, მათგან ბევრი საიდუმლოება გაეგო და ახლა თვითონაც ბრძენ-ჯაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი.

სულთანმა მოხუცი სასახლეში მიიწვია და შეეკითხა:

— ყოვლისმცოდნე მისანო, ერთი მითხარი, ჩემს მიერ დანგრეულ და გა-

პარტახებულ სომხეთში ბალ-ვენახები როგორ ჰყვებიან? ანდა, ჩემმა ნაზირ-ვეზირებმა სომხურ ზარს რად ვერ მიაკვლიეს? ამისხენი ეს საიდუმლოება და მეფურ წყალობას არ მოგაკლებ, საჩუქრებით აგავსებ.

მოხუცმა წყნარად ჩამარცვლა კრი-ლოსანი. მზისაგან გარუჯული გამხდარი სახე მოედღუმა. კოპები შეიკრა. დიდ-ხანს უმზირა სულთანს და ჰკადრა:

— დღეგრძელი იყავ, სულთანო, მაგ-რამ ნუ მიწყენ თუ გეტყვი: სომხური ზარი უჩინარია. ის არც ცაზეა ჩამოკი-დებული და არც ქვესკნელშია საღმე-ეგ ზარი სომხეთის მიწა-წყალთან ერ-თად გაჩნდა. იგი თვალგებრიალა სომეხ ქალწულებსა და მკლავმაგარ და გულ-გაუტეხელ ჭაბუკებთან ერთად გაჩნდა ამ ქვეყანაზე. ამიტომ, ზარს ამაოდ დაე-ძებთ. დიდო სულთანო, სომხური მიწა-წყლისაგან სომხური ზარის განრიდება თქვენს ძალას აღემატება, თქვენ ვერ დაამსხვრევთ და იავარჰყოფთ მას.. და ვიდრე ეს ზარი ირეკება, იცოდე, სომ-ხური კერიის კვამლიც არ ჩაქრება.


გაცოფდა სულთანნი, საკუთარმა ულო-ნობამ გააშმაგა, სიბრაზისაგან უფიქრ-ში სისხლი ჩაუდგა და თავისიანებს უბ-რძანა, ეგ ჩერჩეტი მოხუცი შეიპყარით და დილეგში ჩააგდეთო. მერე ბრძანა: დაანგრეთ, მოსპეთ, მიწასთან გაასწო-რეთ სომეხთა სახლ-კარი და ბალ-ვენა-ხები; დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, უმოწყალოდ ამოხოცეთ და მათი თავე-ბის გორები დადგითო.

მყისვე შესრულდა ბოროტი, პირსის-ხლიანი სულთანის ბრძანება. მაგრამ როცა განთიადისას მზე ამოიწვერა და მისი სხივები მიწას მოეფინა, ისევ ცი-სარტყელას ფერებით დაიყვავილეს სომხეთის ბალ-ვენახებმა, ახალი სი-ცოცხლით გამოიღვიძეს სოფლებმა, კე-რიებიდან კვლავ ამოვიდა კვამლი, კვლავ გაისმა მეგუთნის გუთნური, ახლად-შობილი ბავშვების საამური ტიტინი...

და დღესაც რეკს სომხური ზარი, რომ-ლის ხმაც ბედნიერების სიმბოლოდ გაი-სმის ჩვენს თავისუფალ მიწა-წყალზე...

სომხურიდან თარგმნა არჩილ ლავიტიაშვილმა.





ლეგენდარული ბერძენი იგავთმწერალი ეზოპე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მე-6 საუკუნეში ჩვენს ერამდე (620-560 წ.წ.). იგი იგავ-არაკული ჟანრის ფუძემდებლად ითვლება. როგორც გადმოგვცემენ, ეზოპე იყო მონა და იგი არაერთხელ გამოუყვანიათ მონათა ბაზარზე გასაყიდად. საშინელმა ფიზიკურმა ნაკლმა, ცხოვრების ძნელმა გზამ, დევნამ და კარიდან კარზე ხეტიალმა ვერ წაართვა ელინელ ბერძენს ღიმილის ნიჭი. მას არასოდეს გასტეხია გული ადამიანზე და არც მრისხანე ხვედრს გაუბოროტებია. თავის იგავებში იგი ბრძნული ღიმილით დასცინის გაიძვერებს, მუქთახორებს, მისნებს, სოციალურ უსამართლობას და თვით ღმერთებსაც კი.

ეზოპეს ფაბულა მეტად პოპულარული გახდა. ეზოპესეულ თემებს ეპოქების შესაბამისად ამუშავებდნენ შემდეგი დროის მეიგავეები: ფაბრიოსი, ფედროსი, ლაფონტენი, ლევისი და კრილოვი. ეზოპეს მრავალი იგავი დაამუშავა ჩვენმა სასიქადულო სულხან-საბა ორბელიანმაც. დიდი ბერძენი მეიგავე დღესაც გვათბობს და გვამხნევებს ჭეშმარიტად ადამიანური ღიმილით.

მეტყევე და მზიშარა მონადირე

ერთი მონადირე ლომის ნაკვალევს ეძებდა. ტყის მჭრელს წააწყდა და ჰკითხა:

- ლომის კვალს თუ სადმე წასწყდომიხარ ან ბუნაგი თუ იციო?
- თვით ლომს გაჩვენებო, — მიუგო მეტყევემ.
- მონადირეს შიშით ფერ-ფერი წაუვიდა:
- მე კვალს დავეძებ, ლომს კი არაო.

არაქი წინდაუხედავ და მხდალ ადამიანებზე გვითქვამს, სიტყვით რომ არიან მამაცნი და არა საქმით.

ასტროლოგი

ერთი ასტროლოგი იყო. ღამით გამოდიოდა და ცას შესცქეროდა. ერთხელ თავადერილმა შორიასლო ჰა ვერ შენიშნა და შიგ ჩავარდა. დაბეგვილმა ტირილი და ვაი-ვაგლახი მორთო. გზად ვინმე კაცმა გაიარა და იგი ამ ყოფაში რომ ნახა, ჰკითხა:

- ძმობილო, რა მოგსვლიაო?
- ასე და ასეო, — უპასუხა.
- ეჰ, შე დალოცვილო; მიწისა ვერა გაგიგია რა და ცისა აბა რა უნდა გაიგო? — მიუგო მგზავრმა და გაშორდა.



ერთი მისანი იყო, რასაც დამალულს მიუტანდი, ხელს შეახებდა მყისვე გამოიცინობდა. ერთხელ ტანისამოსში დამალული მგლის ლეკვი მისი ნეს და ჰკითხეს:

— აბა თუ გამოიცინობ, რა არისო?

მისანმა თითებით მოსინჯა და თქვა:

— არ ვიცი ძაღლია, არ ვიცი მელაა ან ამათი ჯილაგის რამე ცხოველი. ერთი კი ვიცი; — ეგ ის ვაჟბატონი გახლავთ, რომელიც ცხვრის ფარაში არ გაიშვება.

ბოროტ ადამიანს ზურგზე აწერია სიავე.

მ ე ბ უ კ ე

ლაშქრის მებუეე მტრებმა შეიბყრეს. მებუეემ მათ შესძახა:

— ნუ მომკლავთ, გულოვანო, ბრალი არა მაქვს რა, ჩემი იარაღი მარტო ეს ბუეი და ნაღარაა, თვითონ არ ვიბრძვიო.

— სიკვდილი რაა, მეტის ღირსი ხარ, — მიუგეს მეომრებმა, — თვით არ იბრძვი და მთელ ლაშქარს კი ჩვენზე აქეზებ.

არაკი გვაუწყებს: უფრო ისინი არიან დამნაშავენი, რომელნიც სხვებს აქეზებენ დანაშაულში.

ლომი და გლეხი

ლომს გლეხის ასული შეუყვარდა და გლეხს სთხოვა, შენი ქალიშვილი მომათხოვეო. მამას რაღა ექნა, არ იცოდა. მხეცისთვის ქალიშვილის მითხოვება არ უნდოდა, მაგრამ შიშით ვერც უარის თქმას ბედავდა. ეს-ღა მოიგონა: შენს სიძობაზე თანახმა ვარ, თუ კბილებს დაიძრობ და ფრჩხილებსაც დაიგლეჯ, — პატარძალს კბილებისა და ფრჩხილების შიში აქვსო. ლომს ქალიშვილი ძალიან უყვარდა და კბილებიცა და ფრჩხილებიც ადვილად დასთმო. გლეხსაც ეს უნდოდა. დაგონებული ლომი რომ კარზე მოადგა, სახრე ურტყა და დაიფრინა.

ვინაც მტრის წინაშე ღირსების სამოსელს იხდის, მტრისავე თვალში ჰკარავს ღირსებასა და სახელს.

მ ე ბ ა დ უ რ ი

ერთხელ მებადურმა ზღვაში ბადე ისროლა. ბადეს ორი თევზი ამოჰყვა: ერთი დიდი და ერთიც პატარა. პატარა თევზი ბადეში გასხლტა და თავს უშველა, დიდი კი მებადურმა დაიხელთა.

ხშირად სასჯელი დიდთა და მაღალთა ხვედრია.

ძოსატყუილა მხედარი

ერთ უცხო მხედარს პარიკი ეკეთა და გზად მიდიოდა. ანაზღად ქარმა პარიკი მოაგლიჯა. ეს რომ ნახეს, დიდმა და პატარამ სიცილი დააყარა. მხედარი მათ მოუბრუნდა და თქვა:

— ნეტავი რა გაცინებთ? ქარს ჩემი საკუთარი წვერი კი არ აუგლეჯია. ამ წყეულ პარიკს პატრონი მიუტოვებია, ვის სახეზეც ამოსულა და მე რომ მიმოუხთლოს, რა გასაკვირია?

ბუნების ნაკლმა არ უნდა დაგვამწუხროს. რაც ბუნებას არ მოუცია, მას ბუნებრივად ვერ შევიფერებთ. ამ ქვეყანაზე შიშველნი ვმობილვართ და ამ ქვეყნიდანაც შიშველნი წავალთ.

პრომეთე და ადამიანი



ერთხელ ზევსმა პრომეთეს ადამიანთა და მხეცთა მოდგმის შექმნა უბრძანა. შემდეგ ყოველი გამოიძია და ნახა, მხეცი მეტი იყო, ვიდრე ადამიანი. პრომეთეს დაავალა მრავალი მხეცი ისევ კაცად გარდაექმნა. პრომეთემ ზევსის დავალება შეასრულა და სწორედ ამის გამო არისო, მოგვახსენებენ, რომ დღესაც მრავალი კაცთაგანი გარეგნულად ადამიანია, ბუნებით კი მხეცი. ამ არაკით გულქვა და პირუტყვი ადამიანები გაგვიკიცხავს.

ხარი და თხა

ლომისგან დამფრთხალი ხარი თხებს შეერია. დაფეთებულ ხარს ერთმა თხამ რქენა დაუწყო.

— აი, შე საწყალო, — მიაძახა მას ხარმა, — მე ლომის მეშინია, შენი კი არა. აბა გამოდი და გაჩვენებ, ვინ ხარი და ვინ კიდე თხაო.

ხშირად დიდსულოვანნი შეურაცხყოფას იტანენ მდგომარეობით გალადებულ უბირ კაცთაგან.

მგელი და ვირი

ერთხელ მგელმა — დანარჩენი მგლების წინამძღოლმა — განიზრახა მგლებისთვის თანასწორობის კანონი დაეწესებინა. დაუყოვნებლივ მიმართა მთელ ხროვას, რომ ყოველი ნადავლი მოეტანათ და ერთმანეთში თანაბრად გაენაწილებინათ. ამაზე ვირი სიცილით ატროკდა, კუდი ოინბაზურად გაიქნია და მგელს უთხრა:

— ურიგოდ არა ბრძანებ, მოწყალო ხელმწიფე, მაგრამ ბუნაგში გუშინდელი ნადავლი რომ გაქვს, იმასაც ხომ ყველას თანაბრად გაუნაწილებ?

მგელს ეს არ ეჭაშნიკა და კანონიც მყისვე გააუქმა.

ზოგჯერ თვით კანონმდებელნიც არ იცავენ წესსა და კანონს, — გვაუწყებს არაკი.

მგელი და ლომი

მგელმა ფარას ცხვარი მოსტაცა და ბუნაგში შეიტანა. ლომმა ეს დალანდა, თავს დაეცა და ცხვარი წაართვა. მგელი შორს გადგა და უსაყვედურა:

— ლუკმა უსამართლოდ წამართვი, გრცხვენოდესო.

— შენმა მზემ და მთვარემ, შენ კი სამართლიანად იშოვე, აი, — მიუგო ლომმა.


ყაჩაღნი და მეკობარნი ერთმანეთს სტაცებენ და თან დანაშაულში ამხელებენ.

პ ა ტ რ უ ქ ი

ერთი პატრუქი იკვებნიდა: მე მზეზე და ვარსკვლავებზე უკეთ ვანათებო. დაუბერა თუ არა ქარმა, პატრუქი უმაღ ჩაქრა. იგი ვილაცამ ისევ აანთო და უთხრა:

— აჰა, ანათე და ჩუმად იყავი. იცოდე, მზე და ვარსკვლავები არასოდეს ქრებიანო.

არაკად გკადრებთ: ამქვეყნიური დიდებით უზომოდ ნურავინ იამაყებს, რადგან ადრე თუ გვიან ყველას პატრუქი ქრება.



ივანე გატონიუვილი და ზუსი გველი.

შესანიშნავმა რუსმა პოეტმა და მთარგმნელმა ვ. ა. ჟუკოვსკიმ (1873-1852) რუსული ხალხური ზღაპრების საფუძველზე შექმნა ბრწყინვალე პოემები. ეს ნაწარმოებები მრავალი ხალხის ენაზეა თარგმნილი. ვაჭვეყნებთ ერთ-ერთ პოემა-ზღაპარს, რომელიც თარგმნა ხუტა ბერულავამ.

დიდი ხნის წინათ, ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა მეფე ძღვევამოსილი — დემიან, შვილი დანიელისა. ბრძნულად მეფობდა და ჰყავდა ძენი: უფროსი — კლიმი ბატონიშვილი, მომდევნო — პეტრე ბატონიშვილი, მრწემი — ივანე ბატონიშვილი. დემიანს ჰქონდა ზღაპრული ბაღი, ბაღში ხარობდა ერთი ვაშლის ხე, რომელიც ოქროს ნაყოფს ისხამდა. ერთხელ უეცრად აღმოაჩინეს, რომ ოქროს ვაშლებს აკლდა მრავალი. დემიან, შვილი დანიელისა, ისე შეწუხდა, დასევდიანდა, რომ ჭამა-სმაზე აიღო ხელი, დადნა, ჩამოხმა, დაკარგა ძილი. დაბოლოს თავის ვაჟაკებს უხმო: „ჩემო შვილებო და მეგობრებო, აწ სამსახური მჭირდება თქვენნი! ჩემს სამეფო ბაღს საუბედუროდ ვიდაც ხელმრუდი შემოეჩვია. ურიცხვი ვაშლი — ოქროს ნაყოფი დაიკარგა და ამაზე ვდარდობ. მათი დაკარგვა, იცოდეთ, ჩემთვის უფრო მძიმეა, ვიდრე სიკვდილი. დამიგდეთ ყური: თქვენს შორის იმას, ვინც შეძლებს დამის ქურდის შეპყრობას, —

ახლავ სამეფოს ნახევარს მივცემ, როცა მოგვედები, მისი იქნება სულ ყველაფერი, რაც გამაჩნია.“ სამივე შვილი შეთანხმდა მაშინ, რომ ღამლამობით იარონ ბაღში, არ დაიძინონ, შეიპყრონ ქურდი. შეღამებისას უფროსი ვაჟი ბაღში შევიდა და ხშირ ბალახში, იმ ვაშლის ხის ქვეშ, წამოწვა ჩუმად. ნახევარ საათს არც გაუვლია, მას ჩაეძინა მკვდარივით, ისე, რომ შუადღისას გამოეღვიძა. წამოდგა ზეზე, ეახლა მეფეს და მოახსენა: წუხელ ჩვენს ბაღში, მეფეო, ქურდი არა ყოფილა! მეორე დამეს მეორე ვაჟი დაჯდა გუშაგად ვაშლისხის ძირას. მთელი საათი ფხიზლობდა პეტრე. იყურებოდა ბნელში ბეჯითად, მაგრამ სიჩუმე სუფევდა ირგვლივ. ბოლოს ძილს მაინც ვერ მოერიდა, დაეგდო მოლზე, მილულა თვალი და ამოუშვა ხვრინვა მაშინვე. გაიღვიძა და, დღე იყო უკვე. მანაც აუწყა მეფეს იგივე, რაც მოახსენა კლიმმა წინაღლით: წუხელაც ქურდი ოქროს ვაშლებს

მოსაპარავად არ მოსულაო.
 მესამე დამეს სამორიგეოდ
 მესამე ვაჟი წავიდა ბაღში
 და დამალა ვაშლისხის ძირას.
 არ იძინებდა, არც ინძროდა
 და სიბნელეში იმზირებოდა
 სულგანაბული. შუაღამისას
 ბაღში იელვა, და რასა ხედავს?
 აღმოსავლეთის მხრიდან ფასკუნჯი,
 ვით ცეცსლოვანი ვარსკვლავი, მოჭქრის
 და აკაშკაშებს დამეს დღესავით.
 ხეს ჩასვეული უმცროსი ვაჟი
 ზის, ელოდება: რა უნდა მოხდეს?
 ხეზე შემოჯდა ჯადო-ფრინველი
 და ათიოდე ვაშლი მოწყვიტა.
 ამ დროს ივანე ბატონიშვილი
 მსწრაფლ მიეპარა იმ ქურდბაცაცას
 და კუდში სტაცა ხელი უშიშრად.
 ფასკუნჯმა თავი ანება ვაშლებს
 და გამოგლიჯა კუდი მაშინვე.
 გაფრინდა, მაგრამ ერთი ბუმბული
 შერჩა უფლისწულს ხელში ანაზად.
 და ეს ბუმბული ისე აბრწყინდა, —
 გააჩირადუნა ბაღი მთლიანად.
 მეფეს ეახლა ბატონიშვილი,
 მისცა ბუმბული და მოახსენა:
 „ქურდი გამოდგა უცხო ფრინველი
 და არა კაცთა შთამომავალი“.
 აკოცა მეფემ გახარებულმა.
 იმ დღიდან შეწყდა ვაშლის ქურდობა
 და დემიანი, ძე დანიელის —
 გამხიარულდა, მოლონიერდა.
 წინანდებურად მიეცა იგი
 ნადიმს, ძილსა და მოსვენებას.
 მაგრამ აღედრა სურვილი მძაფრი,
 ხელში ჩაეგდო უცხო ფრინველი.
 და უფროს შვილებს უხმო მშობელმა:
 „ჩემო შვილებო და მეგობრებო,
 დიდი ხანია დრო არის უკვე
 ნახოთ ხალხი და გააცნოთ თავი.
 ჩემი კურთხევით და ღვთის შეწყვენით
 გასწით, სახელი რომ მოიხვეჭოთ
 და მოიპოვოთ ომში დიდება.
 მე კი, თქვენს მეფეს ისლა მწადაია,
 ჩამომიყვანოთ უცხო ფრინველი.
 ვინც ჩამომიყვანს იმ უცხო ფრინველს,
 ახლავ სამეფოს ნახევარს მიცემე;
 როცა მოკვდები, მისი იქნება

სულ ყველაფერი, რაც გამაჩინა.“
 თავი დაუკრეს მამას ვაჟებმა
 და გზას გაუდგნენ დაუყოვნებლივ.
 მცირე ხნის შემდეგ მეფეს ეახლა
 უმცროსი ვაჟი და შეევედრა:
 „მშობელო ჩემო, დიდო ხელმწიფე,
 მამავ, დემიან დანიელის ძე,
 მეც მინდა გავეყე ძმათა ნაკვალევს.
 დიდი ხანია ჩემთვისაც დროა,
 ვნახო ხალხი და გავაცნო თავი.
 მინდა სახელი მეც მოვიხვეჭო.
 თანაც, მეცა მსურს, გასიამოვნო
 და მოგიყვანო უცხო ფრინველი.
 დამლოცე, მეფე, როგორც მშობელმა,
 და ნება მომეც გაუდგე გზასა“.
 მეფემ მიუგო თავის მემკვიდრეს:
 „ჯერ ყმაწვილი ხარ და მოიცადე,
 დადგება ჟამიც შენი წასვლისა.
 ჯერ ნუ დამტოვებ. დაებერდი უკვე,
 დიდი სიცოცხლე არ მიწერია!
 მარტო რომ მოკვდე, ვის ჩავაბარო
 ჩემი ხალხი და ჩემი სამეფო?!“
 მაგრამ ივანე ბატონიშვილი
 გახლდათ ისეთი შეუპოვარი, —
 გასტეხა მეფე გაუტეხელი,
 გზა დაულოცა შობილს მშობელმა.
 იარა ვაჟმა, ბევრი იარა,
 ბოლოს და ბოლოს მიადგა ადგილს,
 სადაც ერთი გზა გაიყო სამად.
 გზაჯვარედინზე იხილა ბოძი,
 ბოძზე წარწერა იყო ასეთი:

ის, ვინც პირდაპირ გაემგზავრება,
 მთელი გზა ივლის მშვიერ-მწყურვალე;
 ვინც გადაუხვევს მარჯვნივ, იცოცხლებს,
 მაგრამ მოკვდება ცხენი იმისი;
 ვინც გადაუხვევს მარცხნივ, მოკვდება,
 მაგრამ იცოცხლებს ცხენი იმისი.

დაფიქრდა მგზავრი... გასწია მარჯვნივ.
 არ გაუვლია ასი ნაბიჯი,
 რომ რუხი მგელი გამოხტა ტყიდან
 და თავს დაესხა ცხენს გააფთრებით.
 ვერც კი მოასწრო ხმლის ამოღება,
 ცხენი დახრული იყო მთლიანად.
 არც რუხი მგელი ჩანდა მინდორზე.
 თავი ჩაქინდრა ბატონიშვილმა
 და გზას გაუდგა აუჩქარებლად.
 რომ გაიარა მანძილი მცირე,

კვლავ გადაუდგა წინ რუხი მგელი და ამეტყველდა კაცური ენით:

„ვწუხვარ, ივანე ბატონიშვილო, რომ შეგიჭამე ცხენი ფრთამალი, მაგრამ შენ თვითონ არა ხელდავდი თუ რა ეწერა ბოძზე? რა მექნა! სხვა გზა არ იყო. მაინც ნუ დარდობ და შემაჯექი ზურგზე საჩქაროდ. ამიერიდან მზადა ვარ თვითონ, სულით და გულით რომ გემსახურო. საით და რისთვის გაგიწევია?“

არ დაუმალავს მგზავს არაფერი და რუხმა მგელმა მიუთხ: „ვიცი, როგორ ვიპოვოთ შენი ფასკუნჯი. ჰა, შემაჯექი ზურგზე საჩქაროდ და ღვთის შეწევნით გაგუდგეთ გზასა“. გაფრინდა ყველა ფრინველზე სწრაფად. შუალამისას მოულოდნელად ქვის გალავანთან შეჩერდა მგელი.

„აჰა, მოვედით,—თქვა რუხმა მგელმა,— გალავანს იქით ოქროს გალია დგას და შიგა ზის უცხო ფრინველი. გამოიყვანე წყნარად და ფრთხილად, ოღონდ გალიას არ ახლო ხელი, თორემ შავი დღე გაგიტუნდება.“ ქვის გალავანზე გადაძვრა მკვირცხლად ბატონიშვილი და რა იხილა:

მზე ჩახჩახებდა თითქოსდა ბაღში! როგორ ელავდა ოქროს გალიაც! გამოიყვანა ფასკუნჯი ჩქარა და გაიფიქრა ანაზღუულად:

„რამიღა უნდა ჩავსვა ფრინველი?“ გადაავიწყდა რუხი მგლის რჩევა და წაეტანა ოქროს გალიას. ოქროს გალია თურმე სიმებით იყო ზარებთან შეერთებული. ატყდა რეკვა და ზრიალ-ზრიალი. გამოიღვიძეს მყის გუშაგებმა და გამოიქცნენ ბაღისკენ, სადაც ბატონიშვილი ივანე იდგა.

შეიპყრეს იგი, თავიანთ მეფეს მიჰგვარეს უმაღლეს მთაწვერზე. მეფე დალმაცმაც კითხა მაშინვე:

„—ვინა ხარ შენა და სადაური?“

„— მე ვარ ივანე ბატონიშვილი, ძე დემიანის, რომელიც გახლავთ მეფე დიადი და მძლავრი ქვეყნის. თქვენი ფასკუნჯი შემოგვეჩვია

და ბაღში ოქროს ვაშლებსა გვპარავს. მის წასყვანად გამომისტუმრა მშობელმა ჩემმა, ხელმწიფემ დიდმა მეფე დალმაცმა მიუგო ჭაბუკს:

— „არ ვიცი, მეფის ძე ხარ თუ არა, მაგრამ თუ მართალს ამბობ, ძმობილო, არ გაპყოლიხარ მეფურ ხელობას. შენ ხომ შეგეძლო პირდაპირ გეთქვა: მომეც, მეფეო, ფასკუნჯი შენი. და ჩემი ხელით მოგცემდი, რადგან მეფე დემიან — აგრე განთქმული თავისი სიბრძნით და ვაჟკაცობით. მამა შენი. ახლა მისმინე: ფასკუნჯს ხალისით მოგართმევ, ოღონდ მომგვარე რაში ოქროსფაფარა, ძლიერი მეფის — აფრონის რაში. ცხრა მთას გადახვალ და ცხრა ზღვის იქით

დიდი აფრონის სამეფოს ნახავ. ან პატრონს თხოვე რაში ზღაპრული, ან ეშმაკობით ჩაიგდე ხელში. თუკი დაბრუნდი ხელცარიელი, ქვეყანას მოვლებ, რომ შენ ქურდი ხარ, ქურდი და არა შვილი ხელმწიფის! ცასა და მიწას ეცოდინება შენი ასეთი კაიკაცობა!“

თავი ჩაქინდრა ბატონიშვილმა და გაეშურა იქითკენ, სადაც მას რუხი მგელი ელოდებოდა. მგელმა შეჰკადრა: „ბატონიშვილო, რა იქნებოდა, დაგვედო ყური. თუმცა რაღა დროს სინანულია, აწ ჭკვიანურად მოიქეც უფრო და ღვთის შეწევნით გაგუდგეთ გზასა.“ ზურგზე შეისვა კვლავ რუხმა მგელმა, გაფრინდა ყველა ფრინველზე სწრაფად. შელამებისას ორივე გაჩნდა მეფე აფრონის სამფლობელოში, მეფე აფრონის საჯინიბოსთან.

— „აჰა, ივანე ბატონიშვილო, საჯინიბოში შედი თამამად. მეჯინიბეებს მკვდრებივით სძინავთ. გამოიყვანე ოქროსფაფარა და გაიხარე... ოღონდ გაფრთხილებ, ხელი არ ახლო მის აღვირს, თორემ ვეღარ აიცილენ უბედურებას“. შევიდა ვაჟი საჯინიბოში, გამოიყვანა ოქროსფაფარა,

მაგრამ შეხედა აღვირს თუ არა,
ისე დახარბდა, გადაავიწყდა
რუხი მგლის რჩევა ყურადსაღებები
და ჩამოიღო ლურსმინიდან იგი,
რისთვისაც ხელი არ უნდა ეხლო.
აღვირთან იყო შეერთებული
მრავალი სიმი და... ატყდა რეკვა.
იქვე შეიპყრეს ბატონიშვილი
უმაღ მიჰგვარეს ზვიად მბრძანებელს.
აფრონმა ჰკითხა მრისხანედ: — ვინ ხარ?
ბატონიშვილმა უთხრა იგივე,
რაც მეფე დალმატს. აფრონმა ბრძანა:
„— აფსუს, მეფის ძე და ამისთანა!
ასე იქცევა ბატონიშვილი?
განა მეფური საქმეა ღამით
წოწიალი და ცხენთა ქურდობა?
მე წაგაცლიდი მაგ შლეგ თავს, მაგრამ
ჯერ ყმაწვილი ხარ და მებრალეები.
ოქროსფაფარას კი მაშინ მოგცემ,
თუ სამჯერ ათი სამეფოს იქით
დაუყოვნებლივ გაემგზავრები
და ჩამომიყვან ტურფა ელენეს —
ძღვევამოსილი კასიმის ასულს.
ვერ მომიყვან და ქვეყანას მოვდებ,
რომ შენ ხარ ქურდი და მაწანწალა.“
კვლავ მოწყენილი, თავჩაქინდრული
ბატონიშვილი წავიდა იქით,
სადაც ელოდა მას რუხი მგელი.
„— ჰოი, ივანე ბატონიშვილო,
რომ არ მიყვარდე ასე ძალიან,
აქ ჩემს ნაკვალევს ვერ იპოვიდი.
რაც იყო, იყო, შემაჯექე ზურგზე
და ღვთის შეწევნით მივადგეთ კასიმს.
ახლა კი ჩემი ჯერია მხოლოდ!“
და რუხი მგელი გაფრინდა ისევ;
ბევრი იარეს, ცოტა კი არა,
და მიადწიეს კასიმის სამწყსოს.
მგელმა ჩამოსვა ბატონიშვილი,
უთხრა: „აქ ახლოს ბაღია მეფის.
იქითკენ მარტო მე წავალ, შენ კი
ამ მწვანე მუხის ქვეშ დამელოდე“.
წავიდა მგელი, ბაღის გალაგანს
გადაეგლო და ჩაჯდა ბუჩქებში.
კარგახანს იწვა სულგანაბული.
ტურფა ელენემ — მეფის ასულმა
გასეირნება იწყება ბაღში.
თან ახლდნენ მისი ძიძა-გამზრდელნი
და მშვენიერი სეფე-ქალები.

რუხი მგელიც ხომ ამ დროს ელოდა?
როცა ელენე სხვებს ჩამოშორდა,
მყისვე გადმოხტა მწვანე საფრინდან,
მივარდა ასულს მოურიდებლად,
ზურგზე მოიგდო და გააქანა.
ატყდა წვივლი გაუგონარი, —
მწარედ ჰკიოდნენ სეფე-ქალები,
მწარედ ჰკიოდნენ ძიძა-გამზრდელნი.
მთელი სასახლე აქ შეიყარა, —
ყველა მინისტრი და გენერალი.
მეფემ უბრძანა მონადირეებს,
მეძებრებიან-მწვერებიანა
გაქცეულ რუხ მგელს დასდევნებოდნენ.
მაგრამ ამოდ, ვერ მიაკვლიეს.
ვაჟს მკლავზე ეწვა ტურფა ელენე,
გაფითრებული და გულწასული
(იმგვარად შეკრთა სათნო არსება,
როცა დაესხა თავს რუხი მგელი).
აი, ნელნელა მოვიდა გონზე,
რომ გაახილა თვალი, პირველად
შეხედა იმას, ვის მკლავზეც იწვა,
თვალი მიაპყრო ივანეს ჩუმიად
და როგორც ვარდი, გაწითლდა ქალი.
ასულთან ერთად გაწითლდა ვაჟიც.
და იმ წამს ქალ-ვაჟს ისე ძლიერი
გაუჩნდათ ცეცხლი სიყვარულისა,
რომ არცერთ ზღაპარს არ შეუძლია,
რომ არცერთ კალამს არ შეუძლია
აღწეროს ძალა იმა გრძნობისა.
უსაზღვრო სევდამ შეიპყრო ვაჟი,
რადგან არ სურდა დაშორებოდა
(როგორ არ სურდა დაშორებოდა!)
მეფე კასიმის მშვენიერ ასულს.
თვითონ ასულსაც სიკვდილზე მეტად
უმიძიდა ვაჟთან გამოთხოვება.
როდესაც იგრძნო მათი წუხილი,
მგელმა შესძახა: „ბატონიშვილო,
ტყუილად დარდობ და იტანჯები,
ამ სადარდელსაც მე მოგაშორებ:
რაც გემსახურე, თამაში იყო,
მთავარი მხოლოდ ახლა იწყება!“
ჰა, სამფლობელოც მეფე აფრონის!
და რუხმა მგელმა უთხრა ივანეს:
„— ახლა ჭკვიანად უნდა მოვიქცეთ.
მე ტურფა ქალის სახეს მივიღებ,
შენ მიმიყვანე მეფე აფრონთან,
რას რომ გიბოძებს, წინ გაეშურე
მეფე კასიმის ასულთან ერთად.



დამელოდებით ფარულ ადგილას, თქვენ ამ ლოდინში არ მოგწყინდებათ.“ უცებ მიწაზე დაეცა იგი და ტურფა ქალის მიიღო სახე. მეფე აფრონიმა როცა იხილა პირმშვენიერი მზეთუნახავი, — დაუფიქრებლად უბოძა ჭაბუკს თავისი რაში ოქროსფაფარა. იმავე რაშზე ამხედრდა ვაჟი და ისარივით გამოიქანა ტყისაკენ, სადაც ელოდებოდა მისი უებრო მზეთუნახავი. ამ დროს აფრონის სასახლის კარზე ქორწილისათვის ემზადებოდნენ. მეფემ ინება იმავე დღესვე თავზე დაედგა ნუფის გვირგვინიც. როცა დასწერეს ჯვარი და მეფეს უნდა ეკოცნა დედოფლისათვის, ჯაგრიან დრუნჩის შეხება იგრძნო. ცხვირზე უკბინა რაღაც უგანომ. სად იყო ცოლი მზეთუნახავი, ხელთ შერჩა მგელი და ისიც რუხი. რა გაფაგრძელოთ, კუდი რომ გაჰკრა, გადაყირავდა მეფე საბრალო. კარს ეცა მგელი. ატყდა ყვირილი: „— ეცი! შეიპყარ! ეცი! შეიპყარ!“ მაგრამ ამოდ. მალე მეგობრებს წამოეწია მგელი ჭკვიანი. ჩამოსდა ვაჟი თავის რაშიდან და ისევ რუხ მგელს მოაჯდა ზურგზე. ისევ მიქროდნენ ქარიშხალივით. ჰა მიწა-წყალი დაღმატ-მეფისა! თქვა რუხმა მგელმა: „იცოდეთ, ასლა ოქროსფაფარა რაშად ვიქცევი, შენ კი, ივანე ბატონიშვილო, ჩემს თავს მიაართმევ მეფეს საჩუქრად. სამაგიეროდ ფასკუნჯს მიიღებ. შენს დედოფალთან ერთად წინ გასწი კვლავინდებურად. მეც დაგწვივით.“ და ისეც მოხდა, როგორც თქვა მგელმა. დაუყოვნებლივ ინება მეფემ შეკაზმვა რაშის და სანადიროდ გასეირნება მსლებლებთან ერთად. ყველას გაუსწრო თვითონ დაღმატმა, გაქცეულ კურდღელს რომ გამოუდგნენ. „როგორ ყოჩაღად მიფრინავს მეფე!“ ყვიროდნენ ერთხმად ქვეშევრდომები. მოულოდნელად მგლად იქცა რაში

და თავდაყირა დაეცა მეფე. თავით მიწაში ჩაესო იმ წამს, აფართხალებდა ჰაერში ფეხებს, ვიდრე მსლებლები არ მიეშველნენ. მერე ყვირილი მორთეს მსლებლებმა: „— ეცი! შეიპყარ! ეცი! შეიპყარ!“ მაგრამ ვის უნდა შეეპყარ იგი? მგელზე კვლავ იჯდა ბატონიშვილი, ოქროსფაფარა რაშზე — ელენე. რაში ცეკვავდა და ამაყობდა, რომ ზურგზე ესვა ტურფა ასული! აუჩქარებლად დაადგნენ დიდ გზას, ბევრი იარეს თუ ცოტა, ბოლოს მიადგნენ ადგილს, სადაც პირველად რუხი მგელი და ივანე შეხვდნენ. კიდევ ეყარა აქა-იქ ძვლები, მზინავი ძვლები მისი ცხენისა. აქ რუხმა მგელმა ამოიხორა და ასე უთხრა მხედარს თავისას: „—ახლა, ივანე ბატონიშვილო, დროა ერთმანეთს დავემშვიდობოთ. დღემდე, გულწრფელად და პატიოსნად, რაც კი შემძლო, შენ გემსახურე; შენი ალერსით, შენი მოპყრობით მეც კმაყოფილი ვარ და ვიქნები. ჩემ სიცოცხლეში არ დაგივიწყებ. ვიდრე მშვიდობის სიტყვას გეტყოდე, მე მინდა მოგცე კეთილი რჩევა: იყავი ფრთხილად, ადამიანებს დაუფიქრებლად ნუ მიენდობი: მათში ბევრია ბოროტი გულის, ძმებსაც მთლიანად ნუ მიენდობი. ღმერთს ვევედრები, მშვიდობიანად და უხიფათოდ შინ მიგიყვანოს. გთხოვ, მაპატიო, ბატონიშვილო!“ — ეს თქვა და მგელი გაქრა უცერად. თვალცრემლიანმა ბატონიშვილმა გზა გააგრძელა ზღაპრული რაშით მიჰყავდა ტურფა ასული მეფის, მიჰქონდა მხრებით ოქროს გალია და გალიაში ფასკუნჯი ეჯდა. ასე იარეს სამი-ოთხი დღე და რომ მიადგნენ საზღვარს ქვეყნისას, სადაც მეფობდა და მბრძანებლობდა დემიან, შვილი დანიელისა, — მწვანე ჭალაში ნახეს კარავი. და გამოვიდნენ კარვიდან უცებ, — ვინა გგონიათ? — კლიმი და პეტრე!

როცა ივანემ ისილა ძმები,
სიხარულს მისას არ ჰქონდა ბოლო.
ძმებს კი ანაზღად ბოროტმა შურმა
გზა აუბნია, როცა შეხედეს
უცხო ფასკუნჯს და ტურფა ელენეს.
ვერ აეტანათ იმაზე ფიქრიც,
ხელცარიელნი რომ წარსდგებოდნენ
მამის წინაშე. ეს მაშინ, როცა
უმცროს ძმას ჰყავდა ხელში ფასკუნჯი
და პატარძალი ულამაზესი,
მოჰყავდა ოქროსფაფარა რაშიც.
ეს კიდევ რაა, ჭევენის ნახევარს
მიუბოძებენ დაბრუნებისას,
ხოლო მბრძანებლის სიკვდილის შემდეგ
მთელი სამეფო გადაეცემა.
და საშინელი რამ განიზრახეს:
თავაზიანად, მხიარულ სახით,
შეიპატიჟეს ძმა უმრწემესი
და პატარძალი პირმშვენიერი.
არც გაუვლიათ გულში ეჭვები,
ისე შევიდა ორივე ერთად.
დიდხანს ნამგზავრი და მოქანცული
დაწვა ივანე და ჩაეძინა.
ამას ელოდნენ ბოროტი ძმები,
ბასრი მახვილი აძგერეს მკერდში,
ხელი დასტაცეს ლამაზ ელენეს,
ოქროსფაფარა რაშსა და ფრინველს,
და გზას გაუდგნენ მეფისწულეები,
როგორც კეთილი საქმის მოქმედნი.
ამ დროს უსულო, გაქვავებული
და ერთიანად სისხლში მცურავი,
ეგდო ივანე ტრიალ მინდორზე.
დღემ გაიარა ასეთ ყოფაში.
მზე გადიხარა დასავლეთისკენ,
ძე ხორციელი არ ჩანდა ირგვლივ.
მხოლოდ ყორანი თვალსისხლიანი
მკვდარს მოუსვენრად დასტრიალებდა.
უცებ, სად იყო ანდა სად არა,
ის რუხი მგელი გამოჩნდა ველზე.
უბედურება ეგრძნო როგორღაც
და მეგობართან წამოსულიყო.
კიდევ წუთი და ვერ უშველიდა.
ყორანს განზრახვას მიუხვდა მგელი,
ჯერ კი აცალა, მიუშვა ახლოს,
და დააფრინდა ცხედარს თუ არა, —
კუდში ჩაასო კბილები ბასრი.
მწარედ აჩხავლდა ბერი ყორანი:
„გთხოვ ჩემს ნებაზე გამიშვა, მგელო!“

მგელმა მიუგო: „არსად გაგიშვებ,
ყორანო, ვიდრე შენი ბახალა
არ ამოიტანს ახლავე ფრთებით“
წყალს სიცოცხლისას და სიკვდილისას“.
რადას იზამდა! დათანხმდა ისიც
და მყის აფრინა ბახალა წყალზე.
ამასობაში მგელმა ყორანი
კარგა დაზილა და მიაბინდა,
მერე დაუწყო თავაზიანი
და უცნაური რამ საუბარი.
რა არ ენახა იმ ბებერ ყორანს
თავისი გრძელი ცხოვრების გზაზე
ადამიანებს და ფრთოსნებს შორის!
მას გულისყურით უსმენდა მგელი
და აოცებდა გაუგონარი
სიბრძნე ყორნისა, მაგრამ ჟამიჟამ
თავის მგლურ ბრჭყალებს აგრძნობინებდა.
მზე ჩავიდა და ჩამოდგა ღამე,
დასრულდა ღამე და ირიყრაჟა,
როცა ბახალა დაბრუნდა ისევ
და მოიტანა, რაც დააბარეს.
მგელმა აიღო ორივე წყალი
და ბებერ ყორანს თავი ანება.
მერე მივიდა ბატონიშვილთან
და ჯერ სიკვდილის წყალი ასხურა.
პირი შეიკრა ვაჟის ჭრილობამ
და ამოძრავდა ძარღვებში სისხლი;
მერე ასხურა სიცოცხლის წყალი
და გაახილა თვალეები მკვდარმა.
შეირხა, სწრაფად წამოდგა ზეზე
და ეს იკითხა: — დიდხანს მეძინა?
— აქ სამუდამოდ დაიძინებდი,
რომ არ მომესწრო, ბატონიშვილო!
ეს სამსახური, კარგად გახსოვდეს,
უკანასკნელი სამსახურია.
ამიერიდან საკუთარ თავზე
თვითონ იზრუნე. ჩემგან კი მხოლოდ
ეს დარიგება მიიღე ახლა
და მოიქეცი, როგორც მე გეტყვი.
შენი ავი და ბოროტი ძმები
ამქვეყნად უკვე აღარ არიან.
მათ მოუგრიხა კისერი უკვე
იმ ჯადოქარმა დაუნდობელმა,
რომ ეძახიან კოშვი-უკვდავს.
მან გააქვავა თქვენი სამეფო;
მან დააძინა მშობელი შენი,
მისი ერთგული ქვეშევრდომებიც.
შენი ელენე, შენი ფასკუნჯი




და რაში ოქროსფაფარიანი,
 ქურდმა კოშეიმ, დაუნდობელმა,
 მიიტაცა და ჯადოსნურ კოშეში
 სამივე ერთად გამოამწყვდია.
 მაგრამ, ივანე, შენს დედოფალზე
 ნულარას ნაღვლობ, ბოროტ კოშეის
 არ შეუძლია ავნოს რაიმე:
 მძლავრი თილისმა იცავს დედოფალს,
 მხოლოდ ეს არის და შენც იცოდე,
 იგი კოშეიდან ვეღარ გამოვა,
 ვიდრე კოშეი ცოცხალი დადის.
 მე თვით არ ვიცი, ის ავაზაკი
 ვინ უნდა მოკლას ან როგორ მოკვდეს...
 მხოლოდდა ერთი კუდიანია,
 რომელსაც ძალუძს ეს გზა გიჩვენოს:
 იგი ერთ უღრან ტყეში ბინადრობს,
 ქათმის ფეხებზე დგას მისი ქოხი.
 ტყეში არავინ ყოფილა დღემდე.
 არც გარეული მხეცი შესულა,
 არცა ფრინველი რამ შეფრენილა;
 ზის რკინის ცოცხზე როკაპი ქალი
 და დაგელობს ცაში გოროზად.
 ნაკვალევს აქრობს იმავე ცოცხით.
 შენ მხოლოდ მისგან შეძლებ გაიგო,
 თუ როგორ უნდა მოკვდეს კოშეი.
 მე კი გასწავლი, როგორ იპოვო
 ცხენი, რომელიც პირდაპირი გზით
 მიგიყვანს ტყეში, კუდიან ქალთან.
 აღმოსავლეთით გასწი აქედან,
 მწვანე მინდორზე მოხვდები ბოლოს,
 შუა მინდორში დგას სამი მუხა,
 იმ მუხებს შორის თურმე მიწაში

ჩამარხულია კარი თუჯისა.
 ასწიე კარი და გრძელი კიბით
 ჩაჭყვები დაბლა მის საფეხურებს.
 თორმეტკლიტულში ჩამწყვდეულია
 რაში, რომელიც მიწისქვეშიდან
 უმაღვე შენკენ გამოქანდება.
 მოახტი იმ რაშს და გაეშურე,
 არ შეეშლება გზა და სავალი.
 ახლა კი ისევე გთხოვ მაპატიო,
 ბატონიშვილო. დმერთმა მაღალმა
 თუკი ინება შეხვედრა ჩვენი,
 შენს ქორწილამდე ვეღარ შეხვდებით“.
 და რუხი მგელი გაიქცა ტყისკენ.
 თან გააყოლა ბატონიშვილი
 მზერა მწუხარე და სევდიანი.
 ტყესთან ანაზდად მობრუნდა მგელი,
 უკანასკნელად ასწია კუდი,
 დაემშვიდობა და მიიმალა.
 ივანე გაჭყვა ნაჩვენებ გზასა,
 წინ გაეშურა შეუჩერებლივ.
 როცა მესამე დღევ მიიწურა.
 მის წინ გამოჩნდა მინდორი მწვანე.
 მინდორზე სამი მუხაა მხოლოდ,
 იმ მუხებს შორის მალე იპოვა
 თუჯის კარი და ასწია ზევით.
 ხვეული კიბით ჩავიდა დაბლა
 და იქაც თუჯის კარი იხილა,
 რომელსაც ედო ბოქლომი მძიმე.
 უეცრად რაშმა დაიჭიხვინა,
 დაიჭიხვინა ისე ხმამალა,
 რომ ჩამოგლიჯა კარი ანჯამას
 და დაანარცხა მიწას ზრიალით.

(დასასრული იმეხბა)





აგონე მეზგაველი

საპარტოვლოს ალკა ცენტრალური
კომიტეტის მეორე მდივანი.

ოქტომბრის უპილოები

პარტიის ცენტრალური კომიტეტის თაოსნობით 1918 წლის 29 ოქტომბერს ქალაქ მოსკოვში მოწვეულ იქნა რუსეთის მუშა და გლეხი ახალგაზრდობის კავშირების პირველი ყრილობა, რომელმაც მსოფლიოს ამცნო საბჭოთა რესპუბლიკის პროგრესულად — კომუნისტურად მოაზროვნე ჭაბუკებისა და ქალიშვილების ერთ იდეურ და ორგანიზაციულ გაერთიანებად ჩამოყალიბება.

პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდობის კავშირების შექმნას დასაბამი მიეცა ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე. შრომისა და ცხოვრების აუტანელი პირობები ბიძგს აძლევდა ახალგაზრდობას ექსპლოატატორთა კლასის წინააღმდეგ გაერთიანებისაკენ.

მძიმე და უსიხარულო ცხოვრება, უუფლებობა და სიბეჩავე იყო მილიონობით ჭაბუკისა და ქალიშვილის ცხოვრების თანამგზავრი მეფის ხელისუფლების დროს. მცირეწლოვანთა შრომის დაუნდობელი ექსპლოატაცია მოზარდი ახალგაზრდობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მომაკვდინებელ გავლენას ახდენდა.

სიდუხჭირე და უუფლებობა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრებ-

და ახალგაზრდობას, იზრდებოდა ბრძოლის სურვილი, დვივდებოდა რევოლუციური განწყობილება.

ბოლშევიკური პარტია და მისი ბელადი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი სწორად აფასებდნენ ახალგაზრდობის ძალისა და ენერჯის პოტენციას, მიუთითებდნენ, რომ ახალგაზრდობას დიდი როლის შესრულება შეუძლია მოახლოვებულ რევოლუციასა და სოციალისტურ მშენებლობაში. ამიტომ ამხავილებდნენ ისინი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას რევოლუციურ მოძრაობაში ახალგაზრდობის ჩამისა და პარტიის იდეური ხელმძღვანელობით ახალგაზრდობის დამოუკიდებელი, ნამდვილად სოციალისტური, კომუნისტური ორგანიზაციების შექმნის აუცილებლობაზე.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-ან წლებში გამოჩნდა ახალგაზრდობა მუშათა არალეგალურ წრეებში. ამ წრეებში ისინი იღებენ პირველ მარქსისტულ წრთობას. მუშათა მოძრაობის ფართო აღმავლობამ თავისი გამოძახილი ჰპოვა ახალგაზრდობაში. მუშა ახალგაზრდობის გვერდით ვითარდებოდა გლეხი ახალგაზრდობის მოძრაობაც. რევოლუ-

ციური ტალღა ედებოდა სტუდენტებს და მოსწავლე ახალგაზრდობას.

1905 წლის რევოლუციამდე გამოჩნდნენ ახალგაზრდობის ერთგული არალეგალური ორგანიზაციები. მაგრამ ისინი გარკვეული ხნის არსებობის შემდეგ იშლებოდნენ ან ავსებდნენ პარტიის რიგებს.

ვ. ი. ლენინის მითითებამ ახალგაზრდობის ორგანიზაციების შექმნის აუცილებლობის შესახებ თავისი ნაყოფი გამოიღო: ბოლშევიკური კომიტეტების ხელმძღვანელობითა და დახმარებით ზედინზედ იქმნებოდა ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაციები რუსეთის მსხვილ სამრეწველო ცენტრებში, უკრაინაში, ამიერკავკასიაში და მთელ რიგ სხვა ოლქებში.

ახალგაზრდობისადმი ბოლშევიკური პარტიის ღრმა რწმენის მკაფიო გამოხატულებაა ვ. ი. ლენინის სიტყვები:

„საჭიროა ახალგაზრდა ძალები... საჭიროა, მხოლოდ უფრო ფართოდ და გაბედულად, უფრო გაბედულად და ფართოდ, ერთხელ კიდევ უფრო ფართოდ და ერთხელ კიდევ უფრო გაბედულად მოვიზიდოთ ახალგაზრდობა, არ შეგვეშინდეს მისი. ომიანობის დროა, ახლა ახალგაზრდობა გადაწყვეტს მთელი ბრძოლის ბედს“.

ახალგაზრდობის პროლეტარული ორგანიზაციები მუშა-ახალგაზრდობის დამოუკიდებელ კავშირებად რუსეთში ჩამოყალიბდნენ მხოლოდ 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ. ცარიზმის დამხობამ შექმნა ლეგალური მუშაობის პირობები და ახალგაზრდობაც ცდილობდა მის გამოყენებას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და მისი გამარჯვების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორც იყო „პეტროგრადის მუშა-ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირი“, „მოსკოვის მუშა ახალგაზრდობის კავშირი“, ივანოვო ვოზნესენსკის, დონის როსტოვის, ეკატერინებურ-

გის, პერმის, ხარკოვის და სხვა სამრეწველო ცენტრების მუშა-ახალგაზრდობის ორგანიზაციები (კავშირები).

ახალგაზრდობის ორგანიზაციების შექმნას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები, რევოლუციონერები. ახალგაზრდობის ორგანიზაციებად ჩამოყალიბებასა და მათ პოლიტიკურ აღზრდაში დიდი როლი შეასრულა ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ გაზეთმა „პრავდამ“, რომელსაც იმჟამად ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობდა. „პრავდა“ თანმიმდევრულად იბრძოდა ახალგაზრდობის პოლიტიკური უფლებების აღიარებისათვის.

ახლადშექმნილი ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაციები ბოლშევიკური პარტიის პლატფორმაში ხელდავდნენ თავიანთი კლასობრივი ინტერესების გამოხატულებას, მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობის დამხობის პროგრამას და ამიტომაც მათი მიმართულება ბოლშევიკური იყო.

უდიდესი მოვლენა იყო ახალგაზრდობის კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში რსდმპ (ბ) VI ყრილობა, რომელმაც ვ. ი. ლენინის წინადადებით მიიღო რევოლუცია ახალგაზრდობის კავშირების შექმნის შესახებ.

სწორედ პარტიის VI ყრილობის შემდეგ დაიწყო მშრომელი ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაციების მასიური შექმნა რუსეთის იმპერიის თითქმის ყველა კუთხეში. ახალგაზრდობა აშკარად გრძნობდა მოახლოებულ ქარიშხალს და ემზადებოდა მშრომელთა საერთო მტრის — ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის, მჭიდროდ ირახმებოდა ბოლშევიკური პარტიის გარშემო.

ახალგაზრდობამ გაამართლა ბოლშევიკური პარტიის ნდობა. ოქტომბრის რევოლუციის ქარცეცხლიან დღეებში, პეტროგრადის, მოსკოვის და სხვა სამრეწველო ცენტრების ახალგაზრდა მუშები თავიანთ მამებთან, დედებთან, უფ-

როს ძმებსა და დებთან ერთად იარაღით ხელში აღსდგნენ მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად და უმაგალითო გმირობის ფურცლები ჩაწერეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის უკვდავ მატრიანეში.

მშრომელი ახალგაზრდობის ინტერესებს ითვალისწინებდა საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტები. მუშებისა და გლეხების შვილებმა მიიღეს პოლიტიკური და სოციალური უფლებები. ერთ დროს უქონელი, უფლებგო კლასი და მისი შთამომავლობა სახელმწიფოს გამგებელი, მატერიალური და სულიერი სიმდიდრის მემკვიდრე გახდა. ფართო ასპარეზი გაიშალა ახალგაზრდობის წინაშე შემოქმედებითი შრომისათვის. თუმცა რევოლუციის, მუშებისა და გლეხების მოსისხლე მტრები არ ცხრებოდნენ, მათ არ შეეძლოთ მშვიდად ეცქირათ ძველი საზოგადოების ნგრევისა და ახლის შენებისათვის. ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულმა მათმა მახვილმა მატერიალური და მორალური მხარდაჭერა კპოვა უცხოელი იმპერიალისტების: ამერიკელი, ინგლისელი, ფრანგი და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების მმართველ წრეებში. სწორედ ამ უკანასკნელთა წყალობით მომზადდა ბარბაროსული თავდასხმა საბჭოთა სახელმწიფოზე.

აი ასეთ მეტად რთულსა და მძიმე პირობებში 1918 წლის 29 ოქტომბერს მუშა და გლეხი ახალგაზრდობის სრულიად რუსეთის პირველმა ყრილობამ გამოაცხადა ახალგაზრდული მოძრაობის ძირითადი ამოცანები, რომლებშიც ხაზგასმული იყო, რომ ახალგაზრდობის კავშირი მიზნად ისახავს მარქსისტული, კომუნისმის იდეების გავრცელებას და მუშა და გლეხი ახალგაზრდობის ჩაბმას საბჭოთა რუსეთის აქტიურ მშენებლობაში. იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც პარტიის ხელმძღვანელობით მუშაობს და მას ეწოდება — რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი. აქედან მოყოლებული ახალგაზრდობის კომუნისტური კავ-

შირი გადაიქცა საბჭოთა ქვეყნის ქაბკეებისა და ქალიშვილების ავანგარდით, რომლის საშუალებითაც ბოლშევიკური პარტია წარმართავდა ახალგაზრდობის კომუნისმის სულისკვეთებით აღზრდას.

ჩვენი ახალგაზრდობის, კომკავშირის სიცოცხლისა და ბრძოლისუნარიანობის, ბოლშევიკური პარტიის დიდი საქმისადმი ერთგულების უმკაცრესი გამოცდა იყო სამოქალაქო ომის ქარცეცხლი, სადაც მშვიერი, შიშველი და განაწამები მშრომელი ახალგაზრდობა კომკავშირის ხელმძღვანელობით მკერდით აღიმართა რევოლუციის მონაპოვრის დასაცავად. ათეულ ათასობით ახალგაზრდამ დაამტკიცა სიცოცხლის შეწირვით ერთგულება ბოლშევიკური პარტიისადმი, ლენინის იდეებისადმი.

1919-1920 წლებში კომკავშირმა ითავა სამი სრულიად რუსეთის მობილიზაციის ჩატარება და დიდი წვლილი შეიტანა ამერიკელი, ინგლისელი, ფრანგი, გერმანელი, იაპონელი ინტერვენტების, თეთროლონელების ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაში.

როდესაც პარტიამ წამოაყენა ლოზუნგი „ყველანი დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად!“ კომკავშირის კომიტეტების კარებზე ჩნდებოდა წარწერები: „რაიკომი დაკეტილია. ყველანი ფრონტზე წავიდნენ“.

მუშა ახალგაზრდობის პეტროგრადის კავშირი მოუწოდებდა ახალგაზრდებს: „ყველა, როგორც ერთი, ჩაეწერეთ ახალგაზრდათა მებრძოლ რაზმებში, ყველა, როგორც ერთი, დადექით საბჭოების წითელი დროშის ქვეშ რევოლუციის დასაცავად...“

სამოქალაქო ომის მძვინვარე გამოცდა კომკავშირმა წარმატებით ჩააბარა და დაამტკიცა, რომ საბჭოთა რესპუბლიკას ეზრდება მაღალი სულიერი მისწრაფებების, დიდი ნებისყოფისა და ენერგიის მქონე, თავის ძალებში დარწმუნებული ახალი თაობა, რომელიც მზადაა სისხლით დაიცვას მოპოვებული ბედნიერება.

გმირობისა და ვაჟკაცობისათვის, ნე-

ბისყოფის სიმტკიცისა და შეუდრეკელობისათვის, იმ დიდი დამსახურებისათვის, რაც კომკავშირის სამოქალაქო ომში მიუძღოდა, პარტიამ 1928 წელს იგი დააჯილდოვა საბრძოლო წითელი დროშის ორდენით.

როდესაც პეტროგრადსა და მოსკოვში რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ქარცეცხლი მძვინვარებდა, ამიერკავკასიაში ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაციები იჭედებოდა.

პირველი კომკავშირული ორგანიზაციები საქართველოში, ისევე როგორც რუსეთის სამრეწველო ცენტრებში, წარმოიშვნენ მუშა და გლეხი ახალგაზრდობის კავშირებისაგან, რომელთა შექმნა დაიწყო თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის მარტიდან.

ქართველ მშრომელ ახალგაზრდობაზე დიდი გავლენა იქონია გაზეთმა „პრავდამ“. პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული მუშაობა ჩაატარეს ახალგაზრდათა რევოლუციური ორგანიზაციების შესაქმნელად.

1917 წლის აგვისტოში პარტიის თბილისის კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა ე. წ. „საინიციატივო ჯგუფი“, რომელსაც დაევალი თბილისის რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობის შეკრება და შეკავშირება.

1917 წლის 3 სექტემბერს ავლაბარში შეიკრიბა ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაციის „სპარტაკი“ დამფუძნებელი კრება, რომელიც პირველი სერიოზული ცდა იყო საქართველოს რევოლუციური ახალგაზრდობის ორგანიზაციების გაერთიანებისა. კრებას მუშა-ახალგაზრდობის, აგრეთვე სტუდენტთა და მოსწავლეთა 200-მდე წარმომადგენელი დაესწრო. აღნიშნული კრების გადაწყვეტილებით ორგანიზაციამ მიიღო სახელწოდება: „ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერ-

ნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკი“.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამ საქართველოს მუშა და გლეხი ახალგაზრდობის ახალი რევოლუციური აღმავლობა გამოიწვია. 1917 წლის ნოემბერში ნაძალადევში ჩატარებულმა მუშა-ახალგაზრდობის კრებამ, რომლის ორგანიზატორი საქართველოს კომკავშირის დამაარსებელი ბორის ძნელაძე იყო (ბორის ძნელაძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო 3 სექტემბერს ავლაბრის კრების მუშაობაშიც), საბჭოთა რუსეთისადმი სოლიდარობა გამოაცხადა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საქართველოში მასობრივად იქმნება „სპარტაკელთა“ ორგანიზაციები. მძლავრი რევოლუციური ორგანიზაციები შეიქმნა ქუთაისში, ხონში, ოზურგეთში, აბაშაში, სიღნაღში, ლეჩხუმში და სხვა კუთხეებში. დასავლეთ საქართველოს პროგრესულმა ახალგაზრდობამ 1918 წლის 26 მაისს ჩაატარა კონფერენცია, რომელმაც მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად გადაწყვიტა, რომ სახელწოდება „ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკი“ შეეცვალათ „ახალგაზრდა კომუნისტთა ორგანიზაცია „სპარტაკით“.

ქუთაისის საგუბერნიო ბიურომ კონფერენციის გადაწყვეტილებების საფუძველზე შეიმუშავა ორგანიზაციის ახალი წესდება, ხოლო 23 დეკემბერს გამოსცა საკუთარი ბეჭდვითი ორგანო — გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“. რომელიც ხელისუფლებამ მხსუთე ნომრის შემდეგ აკრძალა.

პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით 1918 წლის ბოლოს და 1919 წლის პირველი ნახევრისათვის „სპარტაკის“ ორგანიზაციები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში შეიქმნა, თუმცა ამ ორგანიზაციებს შორის ჯერ კიდევ არ იყო მჭიდრო ურთიერთკავშირი და ერთიანი ხელმძღვანელობის ცენტრი. ამასთან დაკავ-

შირებით დღის წესრიგში დადგა საკითხი „სპარტაკის“ ყველა ორგანიზაციის ერთ კომუნისტურ ორგანიზაციად გაერთიანებისა. ამ ამოცანის შესრულება უნდა ეყისრა „სპარტაკის“ ორგანიზაციების სრულიად საქართველოს ყრილობას.

1919 წლის 31 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში მოიწვიეს ახალგაზრდობის „სპარტაკის“ ორგანიზაციების თბილისის პირველი საერთო-საქალაქო კონფერენცია. ეს შეკრება არალეგალურად მიმდინარეობდა ქალაქის „სპარტაკის“ ორგანიზაციების 150 წევრი წარმოდგენილი იყო 50 დელეგატი.

კონფერენციის გადაწყვეტილებით ახალგაზრდობის რევოლუციურ ორგანიზაციებს ეწოდა ახალი სახელი: „ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაცია „სპარტაკი“.

თბილისის პირველი საქალაქო კონფერენცია მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში. ამ დღიდან ჩაეყარა საფუძველი კომკავშირის თბილისის ორგანიზაციას. ეს პირველი საქალაქო კონფერენცია აღიარებული იქნა როგორც საქართველოს კომკავშირის დამფუძნებელი ყრილობა.

საქართველოს კომკავშირმა დიდი დახმარება გაუწია პარტიას მენშევიკების განდევნასა და რევოლუციური ხელისუფლების განმტკიცებაში. საქართველოში კომკავშირის საქმიანობას წარმართავდა პარტია. ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირების მუშაობას სისტემატურად ხელმძღვანელობდნენ და წარმართავდნენ ჩვენი პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები სერგო ორჯონიკიძე, სერგეი კიროვი, მიხა ცხაკაია და სხვები.

ქართველი ახალგაზრდობა მოწიწებით ინახავს საქართველოს კომკავშირის დამაარსებლის, შესანიშნავი ბოლშევიკი ორგანიზატორის, ბორის ძნელაძის სახელს. გაიოზ დეგდარიანი, დავით კაჭარავა, იაშა ოქოევი, ამასი ამირბეგოვი — აი აღამიანები, რომელთა ცხოვრების ნათელი მაგალითები დღესაც

აღაფრთოვანებს ჩვენს ახალგაზრდობას.

საქართველოს კომკავშირი კვეთდას ძლიერი რაზმი გახდა, აარუტუნდს მის ყოველგვარ დავალებას, მისგან სწავლობდა მუშაობას და მენშევიკების პარაზის პერიოდში საბრძოლოდ აღაფრთოვანებდა ახალგაზრდა მუშებისა და გლეხების რაზმს. იგი სრულ სოლიდარობას და ძმურ პატივისცემას უტყუებდა რუსეთის ახალგაზრდობას, რომელიც სამოქალაქო ომის ფრონტებზე თავგანწირულად იბრძოდა. სამოქალაქო ომმა კომკავშირელთა წინაშე დააყენა უპირველესი ამოცანა — მთელი ძალები გადაესროლათ გამძვინვარებული ინტერვენციის წინააღმდეგ საბრძოლველად, დამდგარიყვნენ მოწინავე პოზიციებზე, სადაც წყდებოდა ახალგაზრდა სოციალისტური სამშობლოს ბედი. პარტიის მოწოდებაზე 25 ათასზე მეტი კომკავშირელი აღსდგა. ისინი გმირული შემართებით ებრძოდნენ რევოლუციის მტრებს და ზურგიდან ვერაგულად შემოპარულ კონტრრევოლუციურ ბანდებს. ახალგაზრდები არ უშინდებოდნენ არავითარ სიძნელეებს, მხარში უდგნენ უფროსებს, კომკავშირულ ბილეთებთან ერთად იღებდნენ საბრძოლო შაშხანებს და ვაზნებს. გამარჯვების მისაღწევად არ ზოგავდნენ ძალასა და ენერჯიას. ლენინურმა კომკავშირმა ბრწყინვალედ ჩააბარა პირველი საბრძოლო გამოცდა და მის მკერდზე აკიაფდა დიდი ჯილდო — წითელი ვარსკვლავის ორდენი. უკვე ყველასათვის ნათელი გახდა, რომ მოდიოდა ახალი მორალური თვისებების, მაღალი მისწრაფებებისა და დიდი მიზნების მქონე ახალგაზრდობა.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ მეტად მწვავე მდგომარეობა შეიქმნა. ქვეყნად მძვინვარებდა შიმშილი. არ იყო სათბობი, პირველი მოხმარების საგნები, არ მუშაობდა დანგრეული ფაბრიკები და ქარხნები. დაეცა სოფლის მეურნეობა. კომუნისტებთან ერთად კომკავშირლებიც წავიდნენ განადგურებული სახალხო მეურნეობის აღსადგენად. ჭაბუკები და ქალიშვილები

ბი შრომობდნენ ყველა უბანზე, ამავე დროს ეუფლებოდნენ ცოდნას საქარხნო-საფაბრიკო სკოლებში, იძენდნენ სპეციალობებს და დაუყოვნებლივ მიემართებოდნენ მშენებლობებზე, ქარხნებში, მადარობებში. ქვეყანას სჭირდებოდა მძლავრი ინდუსტრია, მექანიზირებული სოფლის მეურნეობა და კომკავშირიც მთელ თავის ძალებს მიმართავდა დიდი ლენინის მიერ შემუშავებული გეგმების განსახორციელებლად.

კომკავშირის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა 1920 წელს ჩატარებული მისი 111 ყრილობა. ეს იყო სამოქალაქო ომის გრიგალგამოვლილი კომკავშირელების პირველი შეხვედრა. ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა დიდი ლენინი. თავის ისტორიულ სიტყვაში მან გენიალური სიღრმითა და სიზუსტით ჩამოაყალიბა კომკავშირის როლი სოციალისტურ მშენებლობაში, დასახა ახალგაზრდობის პრაქტიკული მოღვაწეობის, ცოდნის შექმნის, მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლების ამოცანები. დიდი ბელადის მითითებებმა აღაფრთოვანა ახალგაზრდობა. ლენინის სიტყვები რქვა მომავლის გზის მანათობელ ჩირაღდნად. ვ. ი. ლენინის მიერ წამოჭრილი უპირველესი ამოცანა — კომუნისმის მშენებლობის პრაქტიკული საქმიანობით ახალგაზრდობის აღზრდა — კომკავშირის მთელი შემდგომი მუშაობის ღერძად და დედააზრად გადაიქცა.

საბჭოთა ახალგაზრდობამ ღრმა მწუხარებით განიცადა ერთგული მეგობრისა და მასწავლებლის — დიდი ლენინის უდროოდ გარდაცვალება. კომკავშირის VI ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება — პარტიის მებრძოლ თანაშემწეს, ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირს მინიჭებოდა ვ. ი. ლენინის სახელი. იმ მძიმე დღეებში კომკავშირი უფრო მტკიცედ დაირაზმა კომუნისტური პარტიის გარშემო. კომუნისტურმა პარტიამ უაღრესად ფართო გეგმებით შეაიარაღა კომკავშირი.

როცა ახალგაზრდა კომუნისტურმა კავშირმა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელი დაირქვა, მან იკისრა დიდძალი ხისმგებლობა — ლენინის აზრები, რჩევები, ოცნებები გადაექცია თავისი ყოველდღიური საქმიანობის მუდმივ კრიტერიუმად, ჩაენერგა თითოეული ახალგაზრდისათვის ლენინიზმის საფუძვლიანი შესწავლის მისწრაფება.

კომკავშირელები იყენენ სოფლად პარტიის ხაზის გამტარებლები, კოლექტივიზაციისათვის აქტიური მებრძოლები. 1929 წელს კოლმეურნეობებში 93% წარმოადგენდნენ სოფლის კომკავშირელები. 1930/34 წლებში კოლმეურნეობებში მონაგარიშეებად გაიგზავნა 20 ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი, აღმრიცხველებად კი — ასი ათასი.

ახალგაზრდები თავდადებული შრომით იბრძოდნენ სამამულო ინდუსტრიის განვითარებისათვის. პარტიის გენერალური ხაზი კომკავშირის გენერალური ხაზიც იყო. ლენინური კომკავშირი გახდა სოციალისტური შეჯიბრების წამოწყებები, შრომის დამკვრელების მოძრაობის საფუძვლის ჩამყრელი. 1926 წლის აპრილში შეიქმნა პირველი ახალგაზრდულ-დამკვრელური ბრიგადა, 1929 წელს კი კომკავშირმა გამოაცხადა ლაშქრობა ახალ მშენებლობებზე. 66 ათასი ახალგაზრდა პატრიოტი დაუყოვნებლივ გაეშურა ურალსა და ციმბირში, 36 ათასი — დონბასის მადარობებში, 20 ათასი — ტყის დამზადებაზე, 7 ათასზე მეტი — ვოლგოგრადის სატრაქტორო ქარხნის ასაშენებლად, ამავე დროს კომკავშირმა აიღო შეფობა საყოველთაო დაწყებითი სწავლების ლენინური გეგმის განხორციელებაზე. 350 ათასზე მეტი ახალგაზრდა გაეშურა სოფლად უცოდინრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. წარმატებით გვირგვინდებოდა სწავლების ლენინური იდეები; პირველი ხუთწლედების შედეგად ქვეყანამ განსაკვიფრებელ წარმატებებს მიაღწია, გაიზარდა მშრომელი ხალხის მატერიალური და სულიერი სიმდიდრე, მაგრამ მოულოდნელად დაიქუხა სამამულო ომ-

მა და უფროს თაობასთან ერთად ახალგაზრდობაც აღსდგა სოციალისტური სამშობლოს დასაცავად. პირველ დღეებშივე 900 ათასი მოხალისე კომკავშირელი წავიდა მოწინავე პოზიციებზე.

ომის მრისხანე დღეებში მთელი სიცხადით გამოვლინდა ახალგაზრდობის საუკეთესო თვისებები. მან მთელ მსოფლიოს დაანახვა გმირობისა და სამშობლოს ერთგულების უსაზღვრო მაგალითები, რომლის მსგავსიც არ ახსოვს არც ერთი ქვეყნისა და არც ერთი დროის ისტორიას. მატროსოვი და გამცემლიძე, კოსმოდემიანსკაია და რუხაძე, ვასტელო და კოშევი, ინაური და მეხთი ჰუსეინ-ზადე, სტეპანიანი და ადამია, ჩაიკინა და მელნიკაიტე — ამ გვარების თუნდაც უბრალო დასახელებით თვალწინ წარმოგვიდგება შეუპოვარი ბრძოლის ეპიზოდები, ის უდიდესი თავგანწირვა და ერთგულება, რაც გამოავლინეს ჩვენმა სახელოვანმა ახალგაზრდებმა.

დიდი სამამულო ომის პერიოდში კომკავშირული ორგანიზაცია 10 მილიონით გაიზარდა. 3,5 მილიონი კომკავშირელი დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით, საბჭოთა კავშირის 11 ათასი გმირიდან 7 ათას კომკავშირელსა და კომკავშირის აღზრდილს მიენიჭა ეს მაღალი წოდება.

ომის მიერ მიყენებული უდიდესი მატერიალური ზარალის აღდგენისათვის ბრძოლაშიც პირველ რიგში იმყოფებოდა კომკავშირი. მისი უშუალო მონაწილეობით შესრულდა უზარმაზარი აღდგენითი სამუშაოები; დაიწყო ბრძოლა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1954 წლის თებერვლისა და მარტის პლენუმების დადგენილებით იერიში მიიტანეს ყამირ და ნასსვენ მიწებზე. ყამირი მიწების რაიონში დასახლდა 350 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი. ასეულ ათასობით ახალგაზრდამ ყოველგვარ პირად ინტერესებზე მალა დააყენა საზოგადოების

ინტერესები. ახალგაზრდობის გულმოდგინე შრომის შედეგად ოთხეული განმავლობაში ათვისებულ იქნა 36 მილიონი ჰექტარი მიწა, მთლიანად კი — 42 მილიონი.

1956 წლის მაისში კომუნისტური პარტიის მოწოდებისთანავე ჩვენი ქვეყნის სამხრეთ და აღმოსავლეთ რაიონებში სამუშაოდ წასვლის სურვილი განაცხადა მილიონმა ახალგაზრდამ.

ახალგაზრდობის ლენინურმა კავშირმა გამართლა დიდი ლენინის ანდერძი, რომ იგი ყოფილიყო დამკვრელი ჯგუფი და ახალ წამოწყებათა მოთავე. ასეთი წამოწყება იყო, მაგალითად, სოციალისტური შეჯიბრების უმაღლესი ფორმა — კომუნისტური შრომის სახელისათვის ბრძოლა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1958 წლის ნოემბერში. ეს მოძრაობა მალე გადაიქცა ნამდვილ მასობრივ, საერთო სახალხო საქმედ. კომუნისტური შრომისა და ყოფის გაძლიერებასთან ერთად კომკავშირმა შეფობა აიღო დიდად მნიშვნელოვან ობიექტებზე. 1958 წელს 7 საკავშირო კომკავშირულ-დამკვრელური მშენებლობა იყო. ახალგაზრდობის პატრიოტული თაოსნობა ყოველდღიურად ძლიერდებოდა. 1962 წელს კომკავშირი უკვე შეფობდა 168 მსხვილ საწარმოო ობიექტს.

რევოლუციის პირველი დღეებიდანვე დაწყებულმა ლაშქრობამ განათლებისათვის კარგი შედეგი გამოიღო. ამჟამად ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი საშუალო და უმაღლესი განათლებითაა. დიდი ლენინის ანდერძი ასრულდა — უცოდინარობა ახალგაზრდობაში მთლიანად და საბოლოოდ ლიკვიდირებულია.

ახალგაზრდობა ხალხით მონაწილეობს ყველა ახალ წამოწყებაში. მისი დახმარებით მალალ შედეგებს აღწევს კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული ორგანიზაციები. 1958-1962 წლებში ახალგაზრდებმა საბჭოთა კავშირში 12 ათასი კლუბი ააშენეს და 16 ათასი კინოდანადგარი დადგეს. ახალგაზრდობას მტკიცედ აქვს შეგნებული.

რომ მომავლის მშენებელი ადამიანი გონებრივად და ფიზიკურად ჰარმონიულად უნდა იყოს განვითარებული. ამჟამად ფიზკულტურელია 29 მილიონი ჰაბუკი და ქალიშვილი, 10 ათასმა ახალგაზრდამ სპორტის ოსტატის ნორმა შესარულა.

კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში განსაკუთრებული აღმავლობა იგრძნობა 1964 წლის ოქტომბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შემდგომ, რომელმაც აღადგინა პარტიული და სახელმწიფო მუშაობის ლენინური ნორმები.

ბევრი სასახლო ფურცელი ჩაწერა კომკავშირის ისტორიაში საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდობამაც, რომელიც საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის მონოლითური კოლექტივის ერთ-ერთი მოწინავე რაზმია. იგი თავდადებული შრომით ამტკიცებდა და ამტკიცებს კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ღრმა გაგებას. არ ყოფილა არცერთი დიდი თუ პატარა საქმე, ქართველ ჰაბუკებსა და ქალიშვილებს ღირსეული წვლილი რომ არ შეეტანათ.

ჩვენ ვაპყობთ ჩვენი ახალგაზრდა მოწინავე მშრომელებით: მეჩაიეებითა და მეფოლადეებით, მევენახეებითა და მეავტომობილეებით, ვაპყობთ ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციით: მხატვრებითა და კომპოზიტორებით, მწერლებითა და არქიტექტორებით.

პარტიის XXIII ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებს. როცა ხაზი გაუსვა პარტიის, კომკავშირისა და ყველა სხვა ორგანიზაციის პასუხისმგებლობას ამ უმნიშვნელოვანესი საქმისათვის. დღეს კომკავშირელები, საბჭოთა ქალი-

შვილები და ჰაბუკები ამ ისტორიული ყრილობის გადაწყვეტილებების შესრულებას დაჰპირდნენ, როგორც თავიანთი საქმიანობის საბრძოლო პროგრამას. ისინი ამაყოფენ, რომ პარტიას სწამს ახალგაზრდობის ძალა და ნდობით აღფრთოვანებულნი ყოველთვის და ყველაფერში კომუნისტურ პარტიას მიჰყვებიან.


თანამედროვე ახალგაზრდა თაობა იდეურად მტკიცე, შრომისმოყვარე, შეუპოვარი ადამიანების, ჭეშმარიტი საბჭოთა პატრიოტების თაობაა. ყველა საუკეთესო, რაც დამახასიათებელია ჩვენი დედებისა და მამებისათვის, კომუნისტებისათვის: მამაცობა, სიმტკიცე, კომუნისტური იდეალებისადმი ერთგულება — ყოველივე ამას ისინი გულუხვად გადასცემენ თავიანთ ახალგაზრდა ცვლას.

სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი მძლავრი, ბრძოლისუნარიანი ორგანიზაციაა კომკავშირის ბრძოლისუნარიანობა და საქმიანობა განსაზღვრავს მის ავტორიტეტს ახალგაზრდობის თვალში. კომკავშირელთა წინაშე ახალი ამოცანები და სახა საკავშირო კომკავშირის XV ყრილობამ, რომელიც მიმდინარე წლის მაისში ჩატარდა.

ლენინური კომკავშირი დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს სახელოვანი გამარჯვებებით ხვდება.

ახალგაზრდობაზე, ჩვენს ქალიშვილებსა და ჰაბუკებზე და მოკიდებული მომავლის ბედი. კომუნისტური პარტიის ყოველდღიური მხარდაჭერა და მზრუნველობა ახალი საგმირო საქმეებისკენ მოუწოდებს ახალგაზრდობას, რადგან ჩვენი მიზანი კომუნისმის გამარჯვებაა მთელს დედამიწაზე. ხოლო „კომუნისმი ეს მსოფლიოს სიჰაბუკია და იგი ახალგაზრდობამ უნდა აავსოს“.





ივანე ივანიშვილი.

ფილოლოგიურ მიცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.

რუსთველოლოგიის კვირვასი შენახენი

რუსთაველის დღეებში გამოვიდა აკადემიკოს აკაკი შანიძის ახალი წიგნი „ვეფხისტყაოსნის საკითხები“, რომელიც ავტორის თხზულებათა მეორე ტომს წარმოადგენს (რედაქტორია დოც. ლ. კიკნაძე).

ა. შანიძის საყვარელ საკვლევ საგანს ყოველთვის წარმოადგენდა ქართული ლიტერატურის სწორუპოვარი შედევრი „ვეფხისტყაოსანი“. იგი დიდი ხანია, რაც პოემის სხვადასხვა საკითხზე ინტენსიურად მუშაობს. დიდი მეცნიერი თბილისის უნივერსიტეტში წლების განმავლობაში კითხულობდა სპეციალურ კურსებს: „ვეფხისტყაოსნის“ ენა“, „რუსთველოლოგია“ და სხვ. თავიდანვე არის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის აქტიური წევრი და ერთ-ერთი თავმჯდომარე (1935-1937 წ.წ.), პოემის რამდენიმე გამოცემის რედაქტორთაგანი (1951, 1957, 1966 წ.წ.). ამ სიყვარულისა და ჩაღრმავებული მუშაობის შედეგად „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო ორმოცზე მეტი შრომა აქვს გამოქვეყნებული. ამიტომ ბუნებრივია, სპეციალისტები და მკითხველები მის ახალ წიგნს მოუთმენლად მოელოდნენ.

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს „ვეფხისტყაოსანზე“ ავტორის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის შედეგს.

შრომაში განხილული 33 საკითხიდან 26 ადრე (სხვადასხვა დროს) იყო გამოქვეყნებული, ხოლო დანარჩენი 7 პირველად აქ ნახულობს მზის სინათლეს. ეს საკითხებია: 1. ერთი ქსოვილის სახელი „ვეფხისტყაოსანში“ (გვ. 197-204), 2. მუხლთ მოყრა და თითით ხვეწნა (205-208), 3. კმუნვა და ჩმუნვა „ვეფხისტყაოსანში“ (209-213), 4. ამარი (247-249), 5. სამგვარი მზრახველობა (250-255), 6. ქარქაში თუ კაპარქი (256-259), 7. რუსთაველი თუ რუსთველი (260-268), იგივე რუსულადაც, მოკლედ (282-283).

სარეცენზიო წიგნში არ არის შესული „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი, რომელიც ავტორმა 1957 წლის გამოცემას დაურთო, და ზოგი სხვა (კოლექტიური) ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ.

ა. შანიძის ამ წიგნში წამოჭრილი და განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ მრავალი მნიშვნელოვანი და საკვირბოროტო საკითხი, რომელთაც გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ პოემის კარდინალური პრობლემების საბოლოოდ გადასაჭრელად. ერთ-ერთი ასეთი საკითხია ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ (1712 წ.) აღდგენა და გამოცემა, რომელიც ავტორმა 1937 წელს შეასრულა. ამ კოლოსალური მეცნიერული შრომით ა. შა-

ნიქემ ფასდაუდებელი სამსახური გაუწია პოემის შემდგომი კვლევა-ძიების საქმეს. ამიერიდან ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“, რომელზედაც მანამდე ფრიად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ მის მკვლევრებს, ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა, გამოცემის ტექსტი დადგენილ იქნა ზუსტი მეცნიერული აპარატით, გაიწმინდა ტექნიკური და სხვა უნებლიე შეცდომებისაგან, რომლებიც გამოცემებს ბლომად მოსვლოდათ, ტექსტი აღდგა პირვანდელი სახით, როგორც ვახტანგს ჰქონდა ჩაფიქრებული.

მაგრამ ა. შანიძის მიერ აღდგენილ გამოცემას ჰქონდა კიდევ ერთი სხვა უდიდესი მნიშვნელობა: ა. შანიძემ ვახტანგის მიერ გამოცემული პოემის ტექსტისა და თვით ვახტანგის „თარგმანის“ ღრმა ანალიზის საფუძველზე გასაოცარი სინათლით დაამტკიცა, რომ ვახტანგის მიერ დაბეჭდილი ტექსტი არის არა რომელიღაც ძველი ხელნაწერის უცვლელი, ხელუხლებელი გამეორება, როგორც პ. ინგვროყვა ფიქრობდა, არამედ ერთ-ერთი ვრცელი ხელნაწერის ხელოვნურად შემოკლებული კრიტიკული რედაქციაა. ამ დიდმნიშვნელოვანმა დასკვნამ საბოლოოდ მოუღო ბოლო ცილობას იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს რედაქციულად ვახტანგის გამოცემა. ეს დასკვნა მეცნიერებაში უყოყმანოდ იქნა გაზიარებული.

ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ აღდგენა-გამოცემასთან დაკავშირებით მრავალი სხვა საკითხიც იყო აღძრული და გადაწყვეტილი, რომელთაც მკითხველი იპოვის წინამდებარე წიგნის 3-76 გვერდებზე. ა. შანიძის ეს შრომა იყო დიდი მეცნიერული საჩუქარი, მიძღვნილი „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავის იუბილისადმი (1937). მას ამჟამადაც, შოთა რუსთველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეს ღროსაც, დიდი მნიშვნელობა აქვს.

რიგი გამოკვლევები ეხება „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლისა და ტექსტის დადგენის ისტორიას, მათ დღევანდელ

ვითარებას („დღევანდელი ვითარება ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის საქმეში“, გვ. 214-246 და სხვა).

წიგნში მთავარი ყურადღება მაინც ტექსტის მეცნიერული დადგენის პრობლემას აქვს მიპყრობილი. ეს ბუნებრივია: სანამ პოემის ტექსტი მეცნიერულად არაა დადგენილი და შიგ საეჭვო წაკითხვებს ჯერ კიდევ არა აქვთ ფეხი ამოკვეთილი, მანამდე პოემის ძირითადი საკითხების სწორ მეცნიერულ გადაჭრაზე არ შეიძლება ლაპარაკი. ამიტომ პირველი და თავიდათავი საზრუნავი საგანია თვით ტექსტის მეცნიერული დადგენა. ამ მიზანს ემსახურება სარეცენზიო წიგნში შეტანილი შრომა ავტორისა „ვეფხისტყაოსნის მეცნიერული გამოცემისათვის“ (გვ. 85-119), რომელიც შესავლად ჰქონდა წამძღვარებული 1956 წელს გამოსულ „ვეფხისტყაოსნის სიმფონიას“ (გვ. 014-037) და შემდეგ ოდნავი შემოკლებით დაიბეჭდა „მნათობში“ (1956, № 7, გვ. 136-145). აქ ავტორს მოცემული აქვს სხვადასხვა სახის 200-მდე შესწორება მანამდე მიღებულ (1951 წ. გამოც.) ტექსტში. ეს შესწორებები ზოგან ვრცლად, ზოგან მოკლედ და გაკვრით არის დასაბუთებული. უმეტესი ნაწილი ამ შესწორებებშია დღეს საყოველთაოდ არის სხვა მეცნიერთა მიერ გაზიარებული და მიღებული. აი რამდენიმე მათგანი სანამუშაოდ:

208,1: უმცროსსა ძმასა მივეცით,

უფროსნი დავეზიდენით.

(და არა: უფროსთა, როგორც იყო მანამდე და გაუგებრობას იწვევდა).

274,3: ვის ძალ-უც პოვნა კაცისა

(და არა: ძალ-აქვს, რაც არაა „ვეფხისტყაოსნის“ ფორმა. ნ. კიდევ 1317,1).

306,3: ღმერთმან ერთი ვით აცხოვნოს,
თუ მეორე არ წაწყმიდოს

¹ სტროფების სათვალავი ნაჩვენები ვაჟკეს 1957 წლის გამოცემის მიხედვით.

- (და არა: რით აცხოვნოს, რაც, ცვლის ტექსტის აზრს).
- 458,3: ხელთა მომცნეს სიმაგრენი (და არა: მომცეს).
- 486,1: აწ თუშცა გმართებს შემოსა (და არა: შემოსვა. ამ ზმნას ავთემის ნიშანი არ უნდოდა, უთემისნიშნოდ იხმარებოდა).
- 547,3: ჭირი ბევრჯელ ვაათასი, ლხინი ჩემი ვაერთხელი (და არა: ვაათასე).
- 557,3: კარავსა შევე, იგი ყმა ვითა წვა, ზარ-მაც თქმად ენით (და არა: ზარმცა. ზარ-მაც „მეზარებას“ ნიშნავს, ხოლო ზარმცა აქ სრულიად უშინაარსო და გაუგებარი ფორმა).
- 677,2-3: შენუღნივე რიდენი ებურნეს, ტურფად ჰშვენოდეს. დაეარ მოსთქმიდა სიტყვათა, რომელნი არა მსმენოდეს (და არა: შენუღნივე, მოსთქმიდა, სიტყვითა).
- 587,3: შმაგი უფრო გა-ვე-ვშმაგდი (და არა: გავეშმაგდი, რაც უაზრო სიტყვაა).
- 708,3: დღე სიცოცხლისა ჩემისა დღესითგან ჩანს ნასამალი (და არა: დღისითღა, რომელიც აქ სრულიად ცვლის ტექსტის აზრს და გაუგებრობას იწვევს).
- 742,1: ქრთამი შენ გქონდეს შენია! (და არა: ქრთამი შენ გქონდეს, შენია! ტექსტში ლაპარაკია „შენს ქრთამზე“ და არა სხვის ქრთამზე. ზედმეტი მძიმის დასმა სრულიად ცვლის ტექსტის აზრს).
- 753,4: მართალ ხართ, მომკლათ, რა გესმას ამბავი გაკვირვებული (და არა: მომკალთ).
- 881,4: აწ მივსწურვივარ სიკვდილსა, დრო მომეახლა ლხენისა (და არა: მივსწურვილვარ).
- 1031,4: არ ლარნი გვქონან ნაჭარნი (და არა: გვაჭან).
- 1069,3: უტურფესთა სეფედ დასხმენ (და არა: უტურფესსა. „დასხმა“

ზმნა პირდაპირი დამატების მოვლობითის ფორმას ითხოვს, მხოლოდობითის სიტყვას — უტურფესსა — „დასდებენ“ შეეფერებოდა).

- 1218,3: არცა რა ვიცით, ვინ ვინ ვართ, ანუ სით მოვიარენით (და არა: არც არა ვიცით).
- 1262,4: მაქვს პატრონობა მრავლისა საჭურჭლე-ზარადხანისა (და არა: მრავალი. „მრავალი პატრონობა“ არ ითქმის, „მრავალი საჭურჭლე-ზარადხანა“ — კი).
- 1270,4: ბროლო და ლალო, ოროვე კვლა ერთგან შენათხზენაო (და არა: ორივე, ორივე სახელობითია, ტექსტი კი მოითხოვს წოდებითს. შდრ. ბროლო, ლალო, შენათხზენაო).
- 1311,2: წამ-ერთ მიხდა ფატმანისსა (და არა: ფატმანისას, რაც ულტრაახალი ფორმაა და არ შეეფერება რუსთველის ენას).
- 1324,3: შესთვალა ზეპირ, რაცა ხმდა (და არა: რაც ხამდა).
- 1376,4: სადაცა ნახნის, დახოცნის ლომ-ვეფხნი მოშამზარენი (და არა: ნახის, დახოცის, როგორც იკითხებოდა მანამდე).
- 1376,2: გამოემართვის საომრად, ველთა სისხლითა დაღებად (და არა: სისხლისა) და ბევრი სხვა.

იმავე (ტექსტის დადგენის) მიზანს ემსახურება აგრეთვე ამა თუ იმ საკითხისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოკვლევები, რომლებშიც უფრო გამოწვევლივით არის საკითხი განხილული და ამის საფუძველზე გასწორებულია ტექსტის დამახინჯებული ადგილები. ასეთი გამოკვლევაა, მაგალითად, „არა მგამა“ (გვ. 77-84), რომლის დასკვნების ნიადაგზედაც შესაძლებელი გახდა ტექსტის მთელი რიგი წარყვნილი ადგილების გასწორება და თავდაპირველი ფორმების აღდგენა (ნ. სტროფები: 1088,2; 124,4 და სხვ.).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ გა-

მოკვლევებზე მუშაობისას (1956 წ.) ავტორმა დაუშვა თეორიულად აღდგენილი ფორმა **განწვალს**, რომელსაც უნდა მოეცა მგამა და სხვა მსგავსი ფორმები. ეს თეორიული ვარაუდი ბრწყინვალედ გამართლდა სულ მოკლე დროში: წელს ჩემ მიერ გამოცემულ „ეპიფანე კვიპრელის ცხოვრების“ ტექსტში სწორედ ა. შანიძის მიერ ნაგვარაუდები ფორმისა და შინაარსის ზმნა იკითხება: „უკუეთუ აღურაცხელ არიან, რომელ ერთ-თულანი ვლენან ქუეყანასა ზედა, ესე რაა **განწვალს** ევდემონს ამისთვს“ (საკითხავი წიგნი, II, 1966, 113,3). აქ **განწვალს** იქნება „ენაღვლება“; სწორედ ასეა „ვეფხისტყაოსანშიც“: **მგამა** არის „ენაღვლება“, **ჰგავა** — „ენაღვლება“ და სხვა.

გამოკვლევაში „ასული და ჩემი ძეო“ (გვ. 180-183) კარგად არის ნაჩვენები, რომ „ძე“ საშუალ ქართულში, კერძოდ, „ვეფხისტყაოსანში“ ორი მნიშვნელობით იხმარება: ერთია „ვაჟიშვილი“, ხოლო მეორე — „მემკვიდრე“. სწორედ ამ მეორე გაგებით იხმარება სიტყვა **ძე** „ვეფხისტყაოსანს“ შემდეგს ადგილებში:

ა) ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ,
ვისგან მზე საწუხნელია (36,4).

ამას ამბობს მეფე როსტევენი, რომელსაც თინათინის გარდა სხვა შვილი არ ჰყოლია. მასხადაძე, აშკარაა, რომ აქ **ძე** სწორედ მემკვიდრეს ნიშნავს და როსტევენის სიტყვები ასე უნდა გავიგოთ: ჩემი მემკვიდრე (თინათინი) დავსვათ ხელმწიფედო.

ბ) მეფე ბრძანებს: მართალ იყო
ასული და ჩემი ძეო (118,1).

ამ სიტყვებსაც როსტევენი ამბობს. ამიტომ „ასული და ჩემი ძეო“ აქ ასე უნდა გავიგოთ:

მართალი იყო (თინათინი), (რომელიც

¹ ძე რომ „მემკვიდრეს“ აღნიშნავს, ეს პირველად გამოიკვლია და დასაბუთა პროფ. ვ. ლენდუა. იხ. მისი Терминологическая особенность в лексике Руставели: «Исследования по истории народов Востока» (Сборник в честь академика И. А. Орбели), М.—Л., 1960.

არის) ჩემი ასული და (ჩემი) მემკვიდრეო.

ძე სიტყვის ამ მეორე მნიშვნელობის არცოდნის გამო იყო, რომ საგონებელში ვარდებოდნენ „ვეფხისტყაოსნის“ გადაწერლები, მისი კომენტატორები და მთარგმნელები. ზემოთ მოყვანილი ერთი ადგილი, მაგალითად, აღნიშნული გაუგებრობის გამო, ასე გადაუქეთებიათ ზოგიერთ ხელნაწერში.

ჩემი **მზე** დავსვათ ხელმწიფედ.

ზოგს კი ასე:

თინათინ დავსვათ ხელმწიფედ.

ამ საკითხთან დაკავშირებით ა. შანიძემ აღნიშნულ გამოკვლევაში თვალნათლივ გვაჩვენა ზესიძის (ზედსიძის) ეტიმოლოგია: თურმე ეს ყოფილა წარმოშობით **ძე სიძე**, ე. ი. მემკვიდრე სიძე, რომელიც მოყვანილია პატარძლის ოჯახში (სადაც ჩვეულებრივ არა ჰყავთ ვაჟი — მემკვიდრე), რომ ამ ოჯახის მემკვიდრე იყოს. სწორედ ამ შინაარსისაა დღეს ზესიძე (→ ზედსიძე).

ა. შანიძის ეს გამოკვლევა ზოგადი ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც არის ფრიად მნიშვნელოვანი: აქ ერთ ფოკუსში თავს იყრის: სიტყვის პოლისემია, ზოგი მნიშვნელობის დაბნელება, ფონეტიკური ცვლა (**ძე სიძე** → **ზე სიძე** — სუბსტიტუცია), რეინტერპრეტაცია (**ზე სიძე** → **ზედსიძე**)...

მშვენიერი გამოკვლევაა აგრეთვე „ბიძა და ბიძაშვილი თუ ბიძაშვილები“ (147-151). ეს გამოკვლევა ხსნის პოემის ცნობილი ტერმინის „ბიძა-ძენი“-ს წარმოშობის ისტორიას და დამარწმუნებლად აზუსტებს სადავო ადგილის შინაარსს.

რას ნიშნავს „ბიძა-ძენი“, რომელიც ებრძვიან მულღაზანზარის მფლობელს? ვინ ებრძოდა ფრიდონს? რამდენი პირი ებრძოდა ფრიდონს? ამ კითხვებზე „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემელთა, მკვლევართა და მთარგმნელთა შორის სრული შეუთანხმებლობაა. ზოგის აზრით, ფრიდონს ებრძოდა თვით ბიძა და ერთი ბიძაშვილი, ზოგის მიხედვით, — ბიძა და ორი ბიძაშვილი და სხვა. ა. შანიძემ ნათ-



ლად დაგვანახვა, რომ აღნიშნულ ბრძოლებში ფრიდონის წინააღმდეგ დგანან არა ბიძა და მისი შვილები, არამედ მხოლოდ 2 ბიძაშვილი, ბიძა აქ არ მონაწილეობს, ის ალბათ მკვდარიაო. მეცნიერის აზრით, ტერმინი „ბიძა-ძენი“ ბიძას და ბიძის შვილებს არ აღნიშნავს, ის მიღებულია „ბიძას ძენი“-საგან (უფრო ადრე „ბიძაჲს-ძენი“ იქნებოდა) და, აშკარაა, მხოლოდ ბიძაშვილებს ნიშნავს. საყურადღებოა, რომ ზოგ ხელნაწერში მართლაც ძველებური წაკითხვა ბიძას ძენი არის დადასტურებული. „ბიძას ძენი“ და „ბიძის ძენი“ ყოფილა დაცული მარჯორი უორდრობისეულ ხელნაწერშიც. ალბათ სწორედ ამიტომაც, რომ უორდრობის ინგლისურ თარგმანში ხსენებული ბრძოლების პერიპეტეიების გადმოცემისას მხოლოდ 2 ბიძაშვილზეა ლაპარაკი და ბიძის ხსენებაც არ ისმის (ასევე მხოლოდ 2 ბიძაშვილს ახსენებს აგრეთვე კ. ბალმონტიც, რომელიც უშუალოდ უორდრობის თარგმანს ეყრდნობოდა).

ასე რომ, ჩვენი დიდი მეცნიერის სრულიად სწორი დასკვნები აქაც ხელნაწერებშია დაადასტურეს. და სამწუხაროა, რომ პოემის ზოგიერთი გამოცემა ამ დასკვნას ანგარიშს არ უწევს. ტექსტში ისევ „ბიძა-ძენის“ დატოვება სადავო კომპოზიტი ბიძასაც ვარაუდობს (შდრ. ცოლ-ქმარნი, და-ძმანი, მამა-დედანი...), რაც, როგორც ვნახეთ, არ შეეფერება საქმის ნამდვილ ვითარებას.

გამოკვლევაში „გულ-მზიარული ვიხარებ“ სტროფის მეოთხე ტაეპის გამართვისათვის“ (გვ. 153-163) აღძრულია სამი საკითხი:

- ა) „დავიდგნას“ უნდა იყოს თუ „დავიდგნეს“? ბ) „გაგილბილდების“, თუ „გაგიცვილდების“? გ) „არ თურე“ თუ „არ თუ ვერ“?

ტაეპის ტრადიციული წაკითხვა ასეთია: **არ თურე კაცმან დაგიდგნას, ვეჰე, კლდეცა გაგილბილდების** (1321,4),

ხოლო მეცნიერის გასწორების შემდეგ ტაეპს ასეთი სახე აქვს:

არ თუ ვერ კაცმან დაგიდგნეს, ვეჰე, კლდეცა გაგიცვილდების.

სამივე გასწორება ჩვენ საესტეტიკო და მატერებლად გვეჩვენება. თითოეული მათგანი, განსაკუთრებით, მეორე, დიდძალი მნიშვნელოვანი ფაქტებით არის დასაბუთებული. და სამწუხაროა, რომ თვით ავტორის თანარედაქტორობით (ალ. ბარამიძესთან ერთად) ახლახან გამოცემულ „ვეფხისტყაოსანში“ გამოკვლევის მიხედვით დადგენილი სამი შესწორებიდან მხოლოდ ორია შეტანილი (არ თუ ვერ კაცმან დაგიდგნეს), ხოლო ერთი — არა (ვეჰე, კლდეცა გაგიცვილდების). „გაგიცვილდების“ არაფრით არ ჩამოუვარდება ტექსტში დატოვებულ ფორმას „გაგილბილდების“, ჩვენი აზრით, სჯობს კიდეც შინაარსითაც და პოეტიკის მხრივაც: „გაგილბილდების“ („კლდეცა გაგილბილდების“) უბრალოდ, პროზაულად აღნიშნავს სათქმელს, ხოლო „გაგიცვილდების“ სწორედ ლამაზი რუსთველური მეტაფორაა და ზედმიწევნით ცხოვლად და ექსპრესიულად გადმოსცემს ტექსტის აზრს (არა თუ კაცი ვერ გაგიძლებს, ვფიქრობ, კლდეც ცვილად გაგიხდებო). მეორე მხრივ, „გაგიცვილდების“ ფორმას (რომელიც სარიტმო სიტყვაა) კატრენის ერთ-ერთ რითმასთან („არ ავცილდების“) საერთო საყრდენი ბგერა ც აქვს:

არ ავცილდების — გაგიცვილდების, რასაც ვერ ვიტყვით ტექსტში დატოვებულ „გაგილბილდების“ ფორმაზე, რითმის მსგავსი საყრდენი ბგერების შერჩევას კი რუსთველი დიდ ყურადღებას აქცევდა. ამიტომ, ჩვენი აზრით, აჯობებდა, ტექსტში „გაგიცვილდების“ ყოფილიყო შეტანილი.

ჩვენ მართებულად მიგვაჩნია აგრეთვე 691-ე სტროფის III ტაეპის შანიძისეული კონიექტურა, რომელშიც ვადისა ბევრად უფრო ბუნებრივად ჩანს, ვიდრე ვარდისა (ემა ქება ვადისა ხელით მძლედ დანამჭირისა). ავტორის დასაბუთება აქ გასაზიარებელია.

ფრიად საყურადღებო გამოკვლევებია აგრეთვე „სახლთუხუცესი თუ ზღვათა

ვაზირი“ (გვ. 176-179), „ესეგვარი“ (გვ. 188-191), „ერთი ქსოვილის სახელა
„ვეფხისტყაოსანში“ (გვ. 197-204), „ამა-
რი“ (გვ. 247-249) და სხვანი, რომელთაც
დიდი წვლილი შეაქვთ რუსთველოლო-
გიაში.

ა. შანიძის ამ წიგნს ჩვენს დამწერლო-
ბაში შემოაქვს კიდევ ერთი სიახლე: მას-
ში ცდის სახით გატარებულია მთავრუ-
ლი ასოების გამოყენება სათაურებში,
აბზაცებში, წერტილის შემდეგ, საკუ-
თარ (აღამიანთა და გეოგრაფიულ) სახე-
ლებში. მთავრულ ასოებად გამოყენებუ-
ლია ჩვენი ძველი მრგლოვანი ანბანი,
რომელსაც წინათ ამავე დანიშნულებით
ხმარობდნენ ნუსხურად და მხედრულად
დაწერილ წიგნებში. ამ ცდის თეორიუ-
ლი დასაბუთება ავტორმა მოგვცა

ერთ მეტად საინტერესო გამოკვლევაში.
(„დაფარული საუნჯე“: ჟურნ. „საბჭოთა
ხელოვნება“, № 9, 1962), ხოლო პრაქ-
ტიკულ განხორციელებას ეს წიგნი წარ-
მოადგენს. ჩვენ ერთსულოვნად დაგუ-
კერდით მხარს ამ წამოწყების პრაქტი-
კაში დანერგვას (ჯერჯერობით ზოგი სა-
ხის პრესაში მაინც).

აკაკი შანიძის ამ წიგნში სხვაც ბევრია
ახალი და მნიშვნელოვანი, მაგრამ აქ
ყველა ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვან-
და. მეცნიერის ამ შრომას სიყვარულით
მიიღებს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია
„ვეფხისტყაოსანი“ და ზრუნვა ჩვენი
ერის ამ საუნჯის უკეთ შესასწავლად.
აკაკი შანიძის „ვეფხისტყაოსნის საკით-
ხები“ ძვირფასი შენაძენია რუსთველო-
ლოგიისათვის.



გიორგი პიჭაძე, რომან მიმინოშვილი

„ვეფხისტყაოსანი“ და თაგარის დრო

პლატონ იოსელიანის სიტყვით რომ ვთქვათ, „რუსთაველი ქართულ ლიტერატურაში არის არა პოეტის სახელი, არამედ პოეზიისა“. შოთა რუსთაველმა, როგორც ჭეშმარიტმა ხელოვანმა, ასახა არა მხოლოდ თავისი ეპოქის მისწრაფებანი, არამედ დიდად გაუსწრო თავის ხანას, ევროპულ რენესანსამდე გაცილებით ადრე უმღერა პიროვნების თავისუფლებას, ხალხთა ძმობას და მეგობრობას, ამქვეყნიურ წმინდა სიყვარულს, ძმადნაფიცობას, პატრიოტიზმს. რუსთაველმა შუასაუკუნეების პირობებში ბედნიერებისა და სიკეთის წყაროდ სცნო მიწიერი ცხოვრება, უმღერა მაღალ საკაცობრიო იდეალებს. როგორც გენიალური პოეტი, დიდი ჰუმანისტი და სწორუპოვარი მხატვარი, დღესაც ისეთივე ძალით ხიბლავს მკითხველს, როგორც ხიბლავდა მას თითქმის რვა საუკუნის მანძილზე.

მაგრამ მაინც, როცა ვსწავლობთ პოეტურ ნაწარმოებს, თუნდაც იგი თავისი იდეური მიზანდასახულებით და მხატვრობით ვერ თავსდებოდეს ერთი ეპოქისა და ერთი ხალხის ჩარჩოებში, ჩვენ ვერ ჩავთვლით მას დროისაგან და სივრცისგან მოწყვეტილ ფენომენად, — ყოველი ჭეშმარიტი ძეგლი გამოხატავს ამავე დროს შემოქმედის ეპოქისა და

ხალხისათვის დამახასიათებელ სულიერ ტკივილებს, ისტორიულად გამართლებულ მოთხოვნილებებს. ასევე შეიქმნა ჰომეროსის საგმირო პოემები, დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, შექსპირის ტრაგედიები თუ ლევ ტოლსტოის რომანები. ხალხის ინტერესებიდან და ეპოქის სულიკვეთებიდან მოწყვეტილი ლიტერატურა თუმცა არსებობდა, იგი მაინც რჩებოდა ეპიგონურ მწერლობად, მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენდა საკაცობრიობის მხატვრული აზროვნების განვითარებაზე.

ასევე არ შეიძლება განვიხილოთ „ვეფხისტყაოსანი“ ეპოქიდან მოწყვეტილად, პოემა უთუოდ ემსახურებოდა თავისი დროის საჭირობოროტო სოციალურ-პოლიტიკურ მიზნებსაც.

„ვეფხისტყაოსანში“ მხატვრულად აისახა თამარის ეპოქის ქართული სინამდვილე. მოქმედების გადატანა არაბეთში, ინდოეთსა თუ გამოწვრთნის ქვეყნებში (მულღანზანზარი, გულანზარო, ქაჯეთის სამეფო) მხატვრული ხერხი იყო, რაც საშუალებას აძლევდა პოეტს უფრო სრულად აესახა გმირთა გაცდებები, მიმზიდველი თავგადასავალი, დაბრკოლებათა მამაცურად გადალახვა, „ჭირთა თმენა“, ბოროტზე კეთილის საბოლოო გამარჯვება. „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს

წინ ეღობებოდა არა მხოლოდ ადამიან-
თა რთული ურთიერთობით, ინტერესთა
სხვადასხვაობით გამოწვეული დაბრკო-
ლებანი, არამედ მოქმედების ვრცელი
არე, რაც გარკვეულ დროსა და ხასიათთა
გამოცდას მოითხოვდა. გმირთა საასპა-
რეზოდ ესოდენ ვრცელი არის არჩევას
ნაწარმოების შინაგანი ლოგიკა მოით-
ხოვდა.

სამწუხაროდ, ძველ რუსთველოლო-
გებს ეს ყოველთვის სწორად არ ესმო-
დათ. მათი აზრით, პოემაში თითქოს მარ-
თლაც აღწერილი იყო უცხო ამბავი
„უცხოთა ხელმწიფეთანი“. შემდგომში
დამაჯრებლად იქნა დამტკიცებული
„ვეფხისტყაოსნის“ ანტისპარსული ტენ-
დენცია, რაც თავისთავად გამორიცხავდა
პოემის სპარსულ წყაროს და რუსთვე-
ლოლოგია თანდათანობით მივიდა იმ
დასკვნამდე, რომ რუსთაველის ნათქვამი
„ესე ამბავი სპარსული“ ემსახურებოდა
პოეტის მიზანს, რათა „შეფარვით“ ეთქ-
ვა დიდი თამარის ქება.

არ შეიძლებოდა რაიმე შედეგი მოჰ-
ყოლოდა „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული
წყაროს ძიებასაც. მკვლევარებმა ყურა-
დღება მიაქციეს პროლოგის მეშვიდე
სტროფს და დაასკვნეს, თითქოს აქ პოე-
ტი გულისხმობდა რაღაც პროზაულ ნა-
წარმოებს („აქამდის ამბად ნათქვამი“),
რომელიც მან პოემად გადააკეთა, წყო-
ბილი სიტყვით გადმოსცა („აწ მარგალი-
ტი წყობილი“). უეჭველია, „აქამდის
ამბად ნათქვამი“ ნიშნავს რეალურად
მომხდარ ისტორიულ ფაქტებს, ნამდვილ
ამბავს, რომელზედაც ხალხი ლაპარა-
კობს (და თუ ისინი ვინმეს აღუწერია,
მხოლოდ მემატიანეებს). ამ შემთხვევა-
ში მხატვრული პროზა არ იგულისხმება.
რუსთაველი გვაუწყებს, რომ მან მარ-
გალიტად ააწყო ნამდვილი ამბავი, მის
საფუძველზე შექმნა მხატვრული ნაწარ-
მოები. რუსთაველმა შესანიშნავად იცო-
და, თუ რას ნიშნავდა მხატვრული გარ-
დასახვა. ეს იყო არა ამბის თანმიმდევ-
რული, უცვლელი გადატანა წყობილსი-
ტყვიერად, არამედ შემოქმედებითი ლო-

გიკისათვის, ნაწარმოების საერთო მი-
ზანდასახულებისათვის დამორჩილებ-
რეალური ფაქტებისა, მათი ^{განხილვის} ~~განხილვის~~
დება. ეს კი ფაქტების თანმიმდევრობის
შეცვლასთან ერთად პოეტური ფანტა-
ზიის უხვად გამოყენებასაც მოითხოვ-
და. რუსთაველი არ იყო ეამთაღმწერე-
ლი, რომ მორჩილად გაჰყოლოდა ისტო-
რიულ ფაქტებს და ეთქვა მხოლოდ ის,
რის საშუალებასაც რეალურად მომხ-
დარი ამბები აძლევდა. გენიალურ პო-
ეტს უფრო დიდი მიზნები ჰქონდა, იგი
ვერ ჩაიკეტებოდა თუნდაც დიდებული
თამარის ეპოქის ჩარჩოებში. მის არსე-
ბაში გამჭდარი იყო ზოგად-ადამიანური,
ყოველი დროისა და ხალხისათვის ახ-
ლობელი იდეალები და პოეტს არ სურ-
და მათი დათრგუნვა. სწორედ ამიტომ
გენიალური შემოქმედი არ მოექცა ფაქ-
ტების ტყვეობაში, თვით დაიმორჩილა
ისინი და გამოიყენა დიადი მიზნისთვის.
სწორედ აქ არის განსხვავება „ამბად ნა-
თქვამ“ რეალობასა და დიდი ხელოვანის
მიერ მარგალიტად აწყობილ სინამდვი-
ლეს შორის.

ჩვენ შორის ვართ იმ მოსაზრებიდან,
რომ „ვეფხისტყაოსანში“ ვეძიოთ ის-
ტორიული სინამდვილის ზუსტი ანალო-
გია, რუსთველოლოგიაში არაერთი ცდა
ყოფილა იმის დამტკიცებისა, რომ „ვეფ-
ხისტყაოსანი“ მიეჩნიათ ალევორიულ
ნაწარმოებად. მეტნაკლებად ამ თვალ-
საზრისს იზიარებდნენ — მ. ბროსე, დ.
ჩუბინაშვილი, დ. ბაქრაძე, მ. ჯანაშვი-
ლი და სხვები. ზოგიერთი მკვლევარი
ცდილობდა პოემაში ეპოვა თვით ავტო-
რის, როგორც მოქმედი პირის, სახე და
ამის საფუძველზე პოეტის ბიოგრაფიაც
კი დაედგინა.

როცა ვლაპარაკობთ „ვეფხისტყაოს-
ნის“ ისტორიულ ქარგაზე, ასეთ ანალო-
გიებს არ ვგულისხმობთ. მიუხედავად
ამისა „ჩვენთვის უდავოა, რომ რუსთ-
ველის პოემაში გარკვეული ასოციაციე-
ბით ნამდვილად აღბეჭდილია მე-12 სა-
უკუნის საქართველოს სწორედ კონკრე-
ტულ-ისტორიული სინამდვილის ნიშან-

დობლივი მოვლენები და ცალკეული ფაქტებიც“ (ალ. ბარამიძე, „შოთა რუსთველი და მისი პოემა“, თბილისი, 1966, გვ. 74). ჩვენი მიზანია, განვიხილოთ სწორედ ეს ნიშანდობლივი მოვლენები, რომელთაც გარკვეული გავლენა მოახდინეს თვით პოემის შექმნის იდეაზე. ამასთან დაკავშირებით ზოგჯერ მოგვიხდება განმეორება რუსთველოლოგიაში უკვე დამტკიცებული დებულებებისა, მაგრამ მოგვიწევს ფაქტების ერთმანეთთან ახლებურად შეპირისპირება თუ დაკავშირება, რაც დაგვეხმარება პოემის ზოგი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხის შესწავლაში.

„ვეფხისტყაოსნის“ შესავალში ჩანს, რომ პოემა მიძღვნილია თამარ მეფისადმი („თამარს ვაქებდეთ მეფესა“ და სხვა) და მისი მეუღლის დავით სოსლანისადმი („ვის შეენის, — ლომსა, — ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა, — მეფისა, მზის თამარისა“ და სხვა). ავტორი გვამცნობს, რომ თამარის სახე „შეფარვით“ იქნება გადმოცემული თვით პოემაში („მისი სახელი შეფარვით ქვემოთ მითქვამს, მიქია“).

პროლოგიდან ის თუ არა ჩანს, რომ პოემა ვისიმე, თუნდაც თამარის შეკვეთით იყო შექმნილი („ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს ლალმან და ლამაზუნები“, „მიბრძანეს მათად საქებრად...“), ყოველ შემთხვევაში, უნდა დაწერილიყო პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით და, თუმცა პოეტი უფრო დიად, ზოგად საკაცობრიო მიზნებს ისახავდა, პოემა ერთგვარად მიმართული უნდა ყოფილიყო პოლიტიკური მტრების წინააღმდეგაც. უნდა გავითვალისწინოთ, რომ შოთა პირველ რიგში იყო დიდი პოეტი, მაგრამ ამავე დროს დიდი საზოგადო მოღვაწეც.

ერთი სიტყვით, „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის ერთ-ერთი მიზეზი უნდა ყოფილიყო ბრძოლა თამარის სამეფოს პოლიტიკური მტრების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში პოეტს მხარს უჭერდა და ამხნევებდა თვით მეფე თამარი. შოთას

მიზნად დაუსახავს შეექმნა „გულისგასამირი“ სიტყვა.

რა ფაქტები ვიცით საქართველოს ისტორიიდან თამარის ეპოქის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის შესახებ, რომ ამ დასკვნამდე მივიდეთ?

დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების დროს (დემეტრე I, გიორგი III) სულ უფრო და უფრო გამწვავდა ბრძოლა სამეფო ხელისუფლებასა და დიდგვაროვან აზნაურთა შორის. ამ ბრძოლას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ცენტრალიზებული ხელისუფლების ძლიერებაზე (ივ. ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია“, ტ. II, ნაკვ. II, გვ. 137-138). დიდებულნი ხან ცალ-ცალკე, ხან კი ერთობლივად ილაშქრებდნენ ცენტრალიზებული ხელისუფლების, მათთვის არახელსაყრელი მეფის წინააღმდეგ, ისინი ახერხებდნენ ხან ტახტის მემკვიდრის ამხედრებას, ხან ბოიკოტს უცხადებდნენ მეფეს, წამოაყენებდნენ ხოლმე პოლიტიკურ მოთხოვნებს, ზოგჯერ კი თავგამოდებით იცავდნენ არსებულ წესებს, ხოლო მეფეს ბრალს სდებდნენ მათს დარღვევაში („საქართველოს ისტორია“, ტ. I, თბილისი, 1958 წ. გვ. 188).

1177 წელს გიორგი მესამის წინააღმდეგ დიდგვაროვანთა ხელმძღვანელობით დიდი აჯანყება დაიწყო. ამ მოძრაობას სათავეში ედგა გიორგის ძმისწული დემნა ბატონიშვილი. დემნას განსაკუთრებით მხარს უჭერდა მისი გამზრდელი და სიმამრი ივანე ორბელი, რომელიც საქართველოს ლაშქრის მხედართმთავრად ითვლებოდა (იქვე, გვ. 191—193).

ამავე დროს დიდგვაროვან აზნაურთა თაოსნობით ამოქმედდნენ ეკლესიის მესვეურნიც. მათ საეკლესიო კრება მოიწვიეს და როდესაც გიორგი მესამე დემნას აჯანყების ჩაქრობის შემდეგ უკან დაბრუნდა, მეფეს ეკლესიის შეუვალობის აღდგენა (საეკლესიო ქონების სამეფო გადასახადებიდან განთავისუფლება) მოსთხოვეს. გიორგი მეფე იძულებული გახდა დაეთმო. ასეთ გართულებულ პი-

რობებში გიორგი მესამე, რომელსაც ვაჟი არ ჰყავდა („სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასული“), ითვალისწინებდა იმას, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ძალზე გაძნელებოდა სამეფო ტახტის ერთადერთი მემკვიდრის — თამარის გამეფება. ამიტომ დემნას აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, 1178 წელს, გიორგი მესამემ თავისი ასული დიდი ზემოთ აიყვანა სამეფო ტახტზე. მამა-შვილის ერთობლივმა მეფობამ 1184 წლამდე გასტანა. უკმაყოფილო დიდგვაროვანმა აზნაურებმა თუმცა იმ ხანად დღემდე ამჯობინეს, გიორგი მესამის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტზე თამარის უფლებებში კვლავ ეჭვი შეიტანეს. საბოლოოდ დარბაზი თამარის გამეფებაზე დათანხმდა, მაგრამ საჭიროდ ჩასთვალეს მისი მეორედ კურთხევა, რაც 1184 წელს დიდი ზემოთ განხორციელდა კიდეც. ეს ფაქტი ადასტურებს ცენტრალიზებული სამეფო ხელისუფლების საკმაოდ ძალას, თუმცა ამავე დროს ცხადყოფს სამეფო კარზე გარკვეული მოწინააღმდეგე ბანაკის არსებობასაც. ამ ბანაკს ამჯერადაც არ გაუმართლდა, მაგრამ მეფის ხელისუფლების შესასუსტებლად მზად იყო ყოველი ხელსაყრელი შემთხვევა გამოეყენებინა. დიდებულებმა სცადეს თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ თამარის მეორედ კურთხევის აქტიც. აკად. ნ. ბერძენიშვილის სიტყვით, „მეფის კურთხევის ცერემონია ისეთი წესით შეასრულეს, რომ ძველი დიდგვარიანი საზღების განსაკუთრებული მნიშვნელობა ტახტის მემკვიდრის სამეფო უფლებით აღჭურვის საქმეში საგანგებოდ იყო ხაზგასმული“ („საქართველოს ისტორია“, ტ. I, თბ. 1958, გვ. 196).

საქმე ამით არ ამოწურულა. დიდგვარიანები სულ ახალ-ახალ შეტევებს ახორციელებდნენ: მიქაელ კათალიკოსმა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობა წაართვა თამარის ერთგულ ანტონ გლონისთავის-ძეს და ამით ყველაზე გავლენიანი ვაზირი გახდა სამე-

ფო კარზე. დიდგვაროვანმა აზნაურებმა მოითხოვეს თანამდებობათა ჩამორთმევა უგვარო დიდმოხელეებისათვის. მელნიც თავის დროზე გიორგი მესამემ დააწინაურა. აქვე უნდა გავიხსენოთ 1185 წლის ფრიად მნიშვნელოვანი პოლიტიკური გამოსვლა ყუთლუ-არსლანი-სა, რომელიც მეფის ხელისუფლების შეზღუდვას ისახავდა მიზნად (ივ. ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია“, ტ. II, ნაკვ. II, გვ. 181).

ერთი სიტყვით, თამარის მეფობა მეტად რთულ პოლიტიკურ პირობებში დაიწყო. დემნა ბატონიშვილის შეთქმულების შემდეგაც ბრძოლა სამეფო ხელისუფლებისათვის, ყოველ შემთხვევაში, მისი შეზღუდვისათვის, არ დამცხრალა. თამარი მამასთან — გიორგი მესამესთან ერთად ეჭვის წელი მეფობდა (1178-1184), მაგრამ მას ხელმეორედ მოუხდა თავისი უფლებების განმტკიცება. ჯერ კიდევ გიორგი მესამე ანგარიშს უწყევდა რეაქციული ძალების საკმაოდ ძლიერ ბანაკს და რაკი ერთადერთი მემკვიდრე სამეფო ტახტისა ქალი იყო, იმთავითვე შეუდგა მისი მომავალი პოზიციების გამაგრებას. ეჭვის წლის თანამეფობის მანძილზე გიორგი მეფე ცდილობდა თავისი ასულისათვის შეეჭმნა მყარი დასაყრდენი. როგორც ეტყობა, მან ეს მხოლოდ ნაწილობრივ შესძლო. დიდებულები ძალაუვნებურად შეეგუენ მეფე-ქალს, მაგრამ მწვავედ დასვეს საკითხი სამეფო ტახტის მომავალი მემკვიდრისა. ცხადია, თამარის დაქორწინების საქმე, საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეობის უზრუნველყოფის საქმე, ნორმალურ პირობებში არ მიმდინარეობდა. იგი დაკავშირებული იყო საქართველოს იმდროინდელი სოციალური და პოლიტიკური ხასიათის პროცესებთან.

როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, თამარის საქმროს შესარჩევად არა ერთი თათბირი მოწვეულა. კანდიდატთა შორის ყოფილან „ოვსთა მეფეთა შვილები“, „ბერძენთა მეფის ძმისწული

ალექსი“ და სხვანი. დიდებულების გარკვეულმა წრემ ანგარიში არ გაუწია თამარ მეფის სურვილს და საკუთარი ინტერესების შესაფერისი კანდიდატურა დაამტკიცებინა საეკლესიო კრებას. რუსი უფლისწულის კანდიდატურა, რომელიც თბილისის ამირას აბულაშანს წამოუყენებია, უთუოდ აკმაყოფილებდა ამ წრის მოთხოვნილებას.

რუსი უფლისწული იური ვლადიმირ-სუზდალის რუსეთის დიდი მთავრის ანდრია ბოგოლუბსკის შვილი იყო. წარმოშობით იური ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ სამეფო საგვარეულოს ეკუთვნოდა. ამას კი თამარის საქმროს შერჩევის საქმეში, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა (თუმცა, გიორგი რუსი როდი იყო ამ მხრივ გამონაკლისი). მაგრამ ქართველ დიდებულთა წრე, რომელმაც შეძლო ვაეტანა იურის კანდიდატურა, მხოლოდ ამ ფაქტით როდი ხელმძღვანელობდა. საქმე ის არის, რომ იურის მამა — ანდრია ბოგოლუბსკი შეთქმულმა ბოიარებმა მოჰკლეს 1174 წელს, ხოლო იური, რომელიც მამის გავლენით იმხანად ნოვგოროდში მთავრობდა, 1175 წელს თავისი სამთავროდან გააძევეს. 1175-1177 წლებიდან ანდრიას სამფლობელო მისმა ძმამ ვსევოლოდმა დაიპყრო და ძმისწულები, მათ შორის იურიც, თავის სამთავროში აღარ გააჰაჰანა, ასე რომ იურის რუსეთში აღარავითარი დასაყრდენი აღარ ჰქონდა და თავი ყვიჩალებს შეაფარა. იურის ექსორიაში ყოფნა კი ყველაზე უფრო მიმზიდველი იყო დიდებულთა იმ ნაწილისათვის, რომელიც თამარის ქორწინების საკითხის გადაწყვეტას თავისი ინტერესების განსახორციელებლად ლაშობდა, ამით ისინი კიდევ უფრო გააძლიერებდნენ თავიანთ პოლიტიკურ გავლენას სამეფო კარზე (თამარ მეფისა და გიორგი რუსის ქორწინების საკითხი დეტალურად არის გაშუქებული პროფესორ ი. ცინცაძის მონოგრაფიაში „ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“. X-XVI სს., თბილისი 1956, გვ. 67-170).

ამრიგად, თამარ მეფის პირველი ქორწინებაც ერთ-ერთი მაგალითია სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში დიდგვარიანი აზნაურების წარმატებისა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში, მიუხედავად იმისა, რომ თამარის ორივე ისტორიკოსი („ისტორიათა და აზმათა“ ავტორი და ბასილი ეზოსმოძღვარი), აშკარად მტრულად არიან განწყობილი თამარის პირველი ქორწინების მომწყობი წრისადმი, მაინც ივრძნობა, რომ ქორწინების აქტი თამარს თავს მოახვეის. მაგალითად, ბასილი ეზოსმოძღვარი ასე გადმოსცემს თამარ მეფის სიტყვას თათბირზე, რომელზედაც გადაწყდა მისი დაქორწინება:

„კაცნო, ვითარ ღირს [არს] შეუტყუებელი ესე ქმნად? არა ვიცით კაცისა ამის უცხოთა ქცევა და საქმე, არცა მხედრობისა, არცა ბუნებისა და არცა ქცევისა. მაცალეთ, ვიდრემდის განიცადოთ ყოველთა სიკეთე, გინა სიდრკუე მისი“ („ქართლის ცხოვრება“, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბილისი, 1959. გვ. 120).

ეტყობა, იმდენად ძლიერი იყო ძალდატანება, რომ მეფე-ქალს არავინ აცალა საქმროს „სიკეთის, გინა სიდრკუის“ შეტყობა: „ხოლო იგინი წინააღმდეგობოდეს, უშვილოებასა მოახსენებდეს, სახლისა მისისა უნაყოფოებასა დრტვინვიდეს“ (იქვე).

თამარ მეფე ცდილობდა დრო მოეგო, თითქოს კანდიდატურის შესასწავლად, მაგრამ მისი არგუმენტი დიდებულებმა საკმარისად არ მიიჩნიეს, სამაგიეროდ გაიტანეს თავიანთი საბუთი, რომ სამეფოსათვის ასე საჩქარო იყო მემკვიდრის გაჩენა, მათ „თვინიერ ნებისა მისისა ყვეს ქორწილი“, — განაგრძობს ისტორიკოსი და გულისტკივილით შენიშნავს: „ესეოდენ მძიმესა საქმესა სუბუქად შეხებოდესო“. ამ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით შესანიშნავ ისტორიკოსს, დიდებულებმა ეს ნაბიჯი „სუბუქად“ როდი გადადგეს; მათ კარგად ჰქონდათ აწონ-დაწონილი თავიანთი საქმე, და,

ალბათ, სწორედ ეს აშინებდა ყველაზე უფრო თამარს.

1185 წელი, მეორე წელი თამარის დამოუკიდებელი მეფობისა, მეფე-ქალისათვის მძიმე გამოცდა გამოდგა. ამ წელს მოხდა ყუთლუ-არსლანის ცნობილი გამოსვლა, ამავე წელს თამარი „თვინიერ ნებისა მისისა“ დააქორწინეს.

გიორგი რუსი საქართველოში ორ წელიწადს იმყოფებოდა. რაკილა მისი აღზევება თამარის მოწინააღმდეგეთა თაოსნობით მოხდა, იგი არა თუ მათს გავლენას განიცდიდა, არამედ ფაქტიურად მათს ბანაკში იყო და თავის კეთილმყოფელთა ინტერესებს ემსახურებოდა. იური ანდრიას ძე, რომელიც წინათ ნოვგოროდში მთავრობდა და ვეჩეხ მთავრის ხელისუფლების დამოკიდებულების ამბები კარგად ჰქონდა შეთვისებული, იქნებ ერთგვარ პარალელს ხედავდა საქართველოში შექმნილ მდგომარეობასთან. მით უმეტეს, რომ სანამ თამარს დააქორწინებდნენ, დიდგვარიანმა აზნაურებმა მიაღწიეს მეფის ხელისუფლების ერთგვარ შეზღუდვასაც: ამ ხანებში თამარი მბრძანებლობდა „თანადგომითა და ერთნებობითა დიდებულთა“.

ეტყობა, გიორგი რუსი დიდ იმედებს ამყარებდა იმ დასზე, რომელმაც იგი საქართველოში ჩამოიყვანა, მით უმეტეს, რომ ამ ბანაკში შედიოდა თვით მიქაელიც — კათალიკოსი და სამეფო კარის პირველი ვაზირი. ამის გამო გიორგი თამარის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. ასეთ ვითარებაში ვასაგებია, რა ურთიერთობა უნდა დამყარებულყო პირადად თამარსა და გიორგის შორის!

საბოლოოდ, დიდი ბრძოლის შედეგად, თამარ მეფემ და მისმა მომხრეებმა სძლიეს მოწინააღმდეგეებს. 1187 წელს გიორგი რუსი აიძულეს თამარს გაჰყოლოდა და საქართველო დაეტოვებინა. ი. ცინცაძის დაკვირვებით, თამარ მეფის ყოფილი მეუღლე, „სათანადო ქონებით, ისე, რომ სამეფო სახლი არ შერცხვენელიყო“, კონსტანტინეპოლს გადასახლეს. „წყაიროებიდან არ ჩანს, — წერს

ი. ცინცაძე, — თვით „ექსორიაქმნილმა“ აირჩია კონსტანტინეპოლი თუ თამარის განკარგულებით მოხდა მისი საბერძნეთში გაგზავნა. სხვა მასალები თითქოს იმას უნდა გვიჩვენებდეს, რომ შესაძლებელია თამარმა აირჩია საბერძნეთი „მეფეყოფილისათვის“ (ი. ცინცაძის დასახ. ნაშრომი, გვ. 115).

იმ დროს ქმართან გაცილება, მით უმეტეს, მეფე-ქმრის ქვეყნიდან გაძევება იოლი როდი იყო. საზოგადოების წინაშე ამ აქტს ვარკვეული დასაბუთება სჭირდებოდა, რაც ვაკეთდა კიდევც. თამარ მეფის ისტორიკოსთა ცნობების მიხედვით გიორგი დახასიათებულია როგორც ლოთი, უზნეო, თამარის ურჩი და, რაც მთავარია, ყველა ამ ნაკლისაგან უკურნებელი. უთუოდ ანგარიშვასაწევი ის გარემოება, რომ ასეთი დახასიათება თამარის მომხრეთ ეკუთვნით. ამას ადასტურებენ თხზულებები იმ ისტორიკოსებისა, რომელნიც მიზნად ისახავდნენ თამარის მოღვაწეობის გამართლებას, მეფე-ქალის პიროვნების გაღმერთებას და მის მოწინააღმდეგეთა განქიქებასა და დამდაბლებას.

1189 წელს თამარმა მეორედ იქორწინა. არჩევანი შეჩერდა დავით სოსლანზე. ამჯერად თამარს არ მოუთხოვია კანდიდატურის გამოცდა, მისთვის დავით სოსლანის „სიკეთე გინა სიდრკუე“ ცნობილი უნდა ყოფილიყო. იმ დროს „ჩერქეზ-ოსები თუ ღურბუკ-ლუნძები სულ უფრო და უფრო ორგანულად მონაწილეობდნენ კავკასიის ერთიანი დიდი ფეოდალური სამყაროს წარმოქმნაში და, ბუნებრივია, ისინი ვერ დარჩებოდნენ იმ სამყაროს გარეთ, რომელიც ხსენებული პროცესის შედეგად საქართველოს მოთავეობით წარმოიქმნა“ („საქართველოს ისტორია“, 1958, გვ. 204-205). უფრო მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ დავით სოსლანი, ოსეთის მეფისწული, ბაგრატიონთა შთამომავალი იყო, აღზრდილი თამარის მამიდის — რუსუდანის მიერ. უნდა ვიფიქროთ, და ამ ვარაუდს ამართლებს დავითისა და თამარის შემდგომი ურთი-

ერთობა, რომ არჩევანის შეჩერება დავით სოსლანზე იყო თამარის მომხრეთა ბანაკის გამარჯვება, მაგრამ არა საბოლოო.

გავიდა კიდევ ორი წელი და საქართველოს სამეფო ტახტს კვლავ არ ჰყავდა მემკვიდრე. ეს ერთგვარად ხელს უწყობდა რეაქციულ ბანაკს. სამეფოს მომავალი ბედი თითქოს კვლავ გაურკვეველი რჩებოდა. და აი, 1191 წელს თამარის მოწინააღმდეგე დიდგვარიანმა აზნაურებმა კონსტანტინეპოლიდან ჩამოიყვანეს გიორგი რუსი და თამარისა და დავით სოსლანის წინააღმდეგ დიდი აჯანყება მოაწყვეს. განსაკუთრებით მოწადინებულნი იყვნენ ვარდან დადიანი. გუზან ტაოელი, ბოცო სამცხის სპასალარი. აჯანყებულებმა შეძლეს იმერეთში გიორგის მოყვანა და გეგუთში სამეფო ტახტზე მისი დასმა.

აჯანყებულთა ცდა თბილისზე იერიშის მიტანისა სასტიკი მარცხით დამთავრდა. თამარის ლაშქარმა აჯანყებულთა რაზმებს სძლია როგორც ჯავახეთში, ასევე შიდა ქართლში. აჯანყების მოთავეები და მათ მიერ არჩეული მეფე გამარჯვებულთ დანებდნენ, მაგრამ მათდამი შესაფერისი სიმკაცრე მაინც არ გამოუჩენიათ, გიორგი რუსი კვლავ გააძევეს, ცხადია, ნაკლები პატივით, ვიდრე პირველად, სხვებს კი დანაშაული აბატიეს, თუმცა ძვირად კი დაუჯდათ ეს შეწყალება: მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობები დაათმობინეს და მათს ადგილზე თამარის მომხრე მოხელეები დააყენეს („საქართველოს ისტორია“, I, გვ. 200). ამ დამარცხებამ თამარის მოწინააღმდეგენი ისე გაწყვიტა წელში, რომ 1193 წელს, როცა გიორგი რუსმა ერთხელ კიდევ სცადა სამხედრო თავდასხმა საქართველოზე, მას ქვეყნის შიგნით მომხრეები აღარ აღმოაჩნდა და უმაღლვე იძულებული გახდა საბოლოოდ აეღო ხელი საქართველოს სამეფო ტახტზე.

1193 წელსვე, დავით სოსლანთან შეუღლების ოთხი წლისთავზე, თამარს შე-

ეძინა მემკვიდრე — გიორგი ^{ლაშა} ^{სოსლანი} ^{წელი} ¹¹⁹⁴ ^{წელს} ^{არუსუდანი}. ამის შემდეგ თამარის ტახტის ხელყოფა იმ საბაბით, რომ საქართველოს ტახტის მემკვიდრე არ ჰყავდა, აღარ განმეორებულა.

თამარის დამოუკიდებელი მეფობის პირველი ათწლეული აღსავსეა შინაგანი ბრძოლით, სამეფო კარზე დატრიალებული ინტრიგებით, მეფის უფლებათა შეზღუდვის ცდებით. თამარის მომხრეებს 1184 წლიდან 1193 წლამდე, მემკვიდრის გაჩენამდე, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა ჰქონდათ. რვა წლის მანძილზე თამარ მეფეს შვილი არ ჰყოლია, ეს კი მეტად ართულებდა როგორც მის, ასევე შემდგომში დავით სოსლანის მდგომარეობას. 1191 წლის აჯანყების ხასიათი მნიშვნელოვნად განაპირობა იმ გარემოებამაც, რომ თამარის მოწინააღმდეგეებს ამ მხრივ ერთგვარად უმართლებდათ. თამარის ისტორიკოსთა შრომებში ნათლად ჩანს, თუ რაოდენ მტკივნეული იყო ეს საკითხი სამეფო კარზე („უშვილოებასა მოახსენებდეს, სახლისა მისისა უნაყოფოებასა დრტივნიდეს...“) „ისტორიათა და აზმათა“ ავტორის მიერ გადმოცემულ თამარის სიტყვაში იგონობა: მეფე-ქალი თითქოს ჰპირდება თავის სამეფოს, რომ გადადგამს აუცილებელ ნაბიჯს, იქორწინებს და მისცემს ქვეყანას ტახტის მემკვიდრეს, რომელსაც თვითონაც მოუთმენლად მოელის („ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 47).

თამარის მომხრენი აღფრთოვანებით შეხვდნენ მემკვიდრის გაჩენას, რადგან ამაში ხედავდნენ საწინდარს შინაური შფოთვის დაწყნარებისა. „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი ლაშა-გიორგის დაბადებას ქრისტეს შობას ადარებს: „ვინათგან ჰყოფს წყალობათა „დამრეკელთა განღებისასა, და მოხოველთა ნიჭებისასა, და მეძიებელთა პოვნისასა“ (შდრ. მათე, 7.7-8), ვითარ იქმნა სარას ზე, გინა თუ რაქაელისსა, ანუ თუ ელისაბედისსა და უფროსლა ანნასსა და, ვიკადრო, მარიამისსა... ტაბახმელისა ბეთ-

ლემ-მყოფელ მან მუნ შვა ძე,
სწორი ძისა ღმრთისა...“ (ს.
ყაუხჩიშვილის გამოც. გვ. 56). გიორ-
გის ზედწოდება „ლაშა“ კარგად ესაბე-
ბა ამ განწყობილებას. სულხან-საბა ორ-
ბელიანის მოწმობით ლაშა ნიშნავს
„ქვეყნის მანათობელს“. აღფრთოვანე-
ბით გადმოსცემს ისტორიკოსი ლაშას
დაბადებასთან დაკავშირებულ ზეიმს და
სიხარულს. თამარმა ჯერ კიდევ 13 წლის
ყმაწვილი ლაშა-გიორგი ტახტზე აიყვანა
1206 წელს, დავით სოსლანის გარდაცვა-
ლების შემდეგ, და ამით ერთხელ კიდევ
განამტკიცა ტახტი.

თუკი „ვეფხისტყაოსანში“ მხატვრუ-
ლად აისახა თამარის დროის საქართვე-
ლოს სინამდვილე, მოსალოდნელია, რომ
მასში გამოსჭვივოდეს საქართველოს სა-
მეფო ტახტის მემკვიდრეობასთან და-
კავშირებული ვნებათაღელვა. ჩვენი
ფიქრით, ეს ასეც არის. გავიხსენოთ პო-
ემის ზოგი ეპიზოდი.

რუსთაველოლოგიაში არაერთგზის აღ-
ნიშნულა, რომ თინათინის გამეფება
არაბეთში მოგვაგონებს თამარის ტახტზე
აყვანას გიორგი მესამის მიერ. მოხუცი
როსტევეანი სწუხს, რომ ახლოვდება მი-
სი აღსასრულის უამი და წინადადებას
იძლევა სამეფო ტახტზე აკურთხონ თი-
ნათინი: „ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფე-
დო“. ვაზირები უწონებენ მეფეს ამ ნა-
ბიჯს. „თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ
ღმრთისა დანაბადია, არ გათნევეთ, იცის
მეფობა...“

ეს არის თვით ავტორის, რუსთაველის
თვალსაზრისი. თინათინის გამეფების
ზეიმმა მაინც ვერ დაჩრდილა ჭმუნვა
როსტევეანისა. როსტევეანმა იცის, რომ
მის ქალს მეფობა შეუძლია, მაგრამ სა-
ხელმწიფოს წინაშე დგას საკითხი მისთ-
ვის ღირსეული თანამემწის, მეგობარი
მამაკაცის არჩევისა, ამიტომ ამბობს
როსტევეანი:

სიბერე მახლავს, დავლიენ
სიყმაწვილისა დღენია,
კაცი არ არის, სითვანცა
საბრძანებელი ჩვენია,

რომე მას ჩემგან ესწავლენს
სამამაციონ ზენნია.

ერთი მიზის ასული,
ნაზარდი სათუთობითა,
ღმერთმან არ მომცა ყმა-შვილი,
ვარ საწუთროსა თმობითა...



როსტევეანი სწუხს ვაჟიშვილის უყო-
ლობას, რადგან იცის, რომ მეფე-ქალს
მარტო გაუჭირდება სახელმწიფოს გაძ-
ღოლა. სწორედ ამიტომ, მას შემდეგ,
როცა მეფე დარწმუნდება, რომ ავთან-
დილი შესანიშნავი რაინდია, იგი არ ეწი-
ნააღმდეგება ქალ-ვაჟის ტრფობას, უხა-
რია, რომ მისსავე საბრძანებელში აღმო-
ჩნდა რაინდი, რომელსაც სრულად შეუ-
თვისებია „სამამაციონ“ ზენნი და შეუძ-
ლია ღირსეულად ამოუდგეს მხარში თა-
ვის რჩეულს. ისევე როგორც როსტე-
ვეანს, ალბათ, გიორგი მესამესაც იბყრობ-
და ჭმუნვა, როცა ფიქრობდა თამარის
საქმროზე.

როცა როსტევეანი გაიგებს, რომ თინა-
თინს ეტრფის ავთანდილი, მისი სამე-
ფოს საუკეთესო რაინდი, იგი არა თუ
წინააღმდეგება მათს შეუღლებას, არამედ
ამაყად აცხადებს — უკეთეს სასიძოს
ვერც ვინატრებდიო, მაგრამ იქვე დას-
ძენს, თინათინისა და ავთანდილის შეუ-
ღლება არ ნიშნავს მათს უფლებრივ თა-
ნასწორობას, მეფედ რჩება კვლავ თინა-
თინი, ავთანდილი კი, იგულისხმება, მისი
თანამემწეა: „მე სიძესა ავთანდილის
უკეთესსა ვპოვებ ვერა; თვით მეფობა
ქალსა ჩემსა მივეც, აქვს და მას ეფე-
რა“.

საქართველოსაც ერთად განაგებდნენ
თამარი და მისი მეუღლე დავით სოს-
ლანი, მაგრამ მეფედ თამარი ითვლებო-
და. დავითი იმდენად იწოდებოდა „მე-
ფედ“, რამდენადაც მეფის მეუღლე იყო.
ისტორიულ წყაროებში თუმცა ზოგჯერ
დავითიც იხსენიება მეფედ, მაგრამ არ
იგულისხმება იგი თუნდაც თანამმართვე-
ლად, თანა-მეფედ თამარისა, მით
უმეტეს, ერთმმართველად. ერთმმართვე-
ლი მეფე საქართველოსი იყო თამარი,
რომელსაც თვით გიორგი მესამემ უბოძა
თავისი ტახტი და მეფობა, სიკვდილამდე

პელოზდა მას და ამ პატივს შესანიშნავად იფერებდა.

ამ შემთხვევაშიც „ვეფხისტყაოსნის“ მონაცემები საქართველოს ისტორიული სინამდვილის ანარეკლს წარმოადგენს. სამართლიანად აღნიშნავს აკადემიკოსი ალ. ბარამიძე, რომ თინათინის გამეფების ამბები „რუსთველს“ შთააგონა XII საუკუნის საქართველოს კონკრეტულმა ისტორიულმა სინამდვილემ“ (ალ. ბარამიძე „შოთა რუსთველი და მისი პოემა“, თბილისი, 1966, გვ. 178).

ქართული ისტორიული სინამდვილე მხატვრულად აისახა ინდოეთის სამეფო ტახტის მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ ამბებშიც. ტარიელი ინდოეთის სამეფო გვარეულობას ენათესავებოდა (ისევე როგორც დავით სოსლანი ბაგრატიონთა საგვარეულოს). ტარიელის მამამ ნებაყოფლობით შეუერთა თავისი სამფლობელო ინდოეთის მეფის ფარსადანის სამეფოს, „ვეფხისტყაოსნის“ ინდოეთიც, როგორც ისტორიული საქართველო, შვიდი სამფლობელოსაგან შედგებოდა, შვიდ სამეფოდ იწოდებოდა. უშვილო ფარსადანმა ტარიელი იშვილა, რათა მემკვიდრედ გაეზარდა და ამით გაამართლა თავისი მოქმედება: „შვილად გაეზარდი, თვით ჩე მი ვე გვარი არსა“. ტარიელი მოუთხორობს ავთანდილს: „მეფემან და დედოფალმან მიმიყვანეს შვილად მათად, საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად“.

შემდგომში, ნესტანის—ტახტის უშუალო მემკვიდრის, გაჩენის შემდეგ, ფარსადანმა აზრი შეიცვალა, ტარიელი მშობლებს დაუბრუნა და მოიწადინა არა თავისი ასულის გამეფება, არამედ ზედსიძედ ზვარაზმშას ვაჟის მიყვანა და ინდოეთის ტახტის მისთვის გადაცემა. ტარიელი, როგორც ამირბარი, ესწრებოდა თათბირს, სადაც მეფემ გადაწყვიტა ასეთი არაგონიერული ნაბიჯის გადადგმა, რაც ლახვარს სცემდა ნესტანი-სა და ტარიელის არა მხოლოდ ადამიანურ ღირსებას, მათს სიყვარულს, ფეხ-

ქვეშ თელავდა მათს უფლებებსაც ინდოეთის სამეფო ტახტზე და ქვეყნის მმართველობას უტახოელს უგადაცხადებელთ. ფარსადანმა საგანგებოდ იხმო ტარიელი ამ თათბირზე. ფარსადანს ფიქრადაც არ მოსვლია ნესტანის გამეფება, იგი ვაჟიშვილის უყოლობას უჩიოდა და მის სანაცვლოს ხედავდა არა ნესტანში, არამედ მის საქმროში, ამიტომ იქვე განაცხადა:

აჲ ქალისა ჩვენისათვის
ქმარი გვიდა, სა დ მო ვ ნ ა ხ თ,
რო მე მი ვ ს ც ე თ ტ ა ხ ტ ი ჩ ე ვ ნ ი,
ს ა ხ ე დ ჩ ე ვ ნ ა დ გა მ ო ვ ს ა ხ თ,
ს ა მ ე ფ ო ს ა ვ ა პ ა ტ რ ო ნ თ,
ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო შ ე ვ ა ნ ა ხ თ,
არ ა მ ო ვ წ ა დ ე თ, მ ტ რ თ ა ჩ ე ვ ნ თ ა
ხ რ მ ა ლ ი ჩ ე ვ ნ თ ვ ი ს არ ვ ა მ ა ხ თ.

მეფესა და დედოფალს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ სასიძოდ ზვარაზმშას შვილი მოეწვიათ, ისინი შეთქმულებით ერთმანეთს გადახედავდნენ ხოლმე, როცა ტარიელს ვითომც რჩევას ეკითხებოდნენ.

მეფემ და დედოფალმა ტარიელი თითქმის ფაქტის წინაშე დააყენეს, ნესტანის გათხოვებაზე დასტურით მას ინდოეთის სამეფო ტახტზე ფაქტიურად უარიც ათქმევინეს. ტარიელს არ შეეძლო გამოსტყდომოდა მეფეს მისი ასულის სიყვარულში; არ შეეძლო ეთქვა, ზვარაზმშას შვილი კი არა, მე უნდა ვიყო ნესტანის ქმარი. ფარსადანმა კარგად იცოდა რომ ტარიელს, მის ყმადნაფიცს და ზრდილ რაინდს, არ შეეძლო გაემყლავებინა თავისი გრძნობები (მდრ. ალ. ბარამიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 136). რაც შეეხება ინდოეთის ტახტს, მისი დასაყუთრების უფლება ტარიელს მაშინ ექნებოდა, თუ ტახტის უშუალო მემკვიდრეზე იქორწინებდა. ტარიელს სჭირდებოდა ნესტანის მხარდაჭერა, მხოლოდ ნესტანს შეეძლო მისგან მოეთხოვა მეტოქის ჩამოცილება და ამით, გარდა მათი სიყვარულის გამარჯვებისა, დადგებოდა ინდოეთის ტახტზე კანონიერი პრეტენზიის განცხადების დროც. იმ გარემოებამ, რომ ფარსადანი ზვა-

რაზმშას შვილის სასიძოდ მოწვევას პირველად დაეთათბირა არა ნესტანს, არამედ ტარიელს, გამოიწვია უდანაშაულო სასიძოს მოკვლა. როცა ტარიელმა ჩამოიცილა უცხოელი უფლისწული, მან მტიციედ განუცხადა მეფეს თავისი პრეტენზიები არა ნესტანზე, არამედ ინდოეთის ტახტზე:

შენი ქალი არად მინდა,
გათხოვე, გამარიდე!
ინდოეთი ჩემი არის,
არვის მივსცემ ჩემგან კიდე.

ასეთი პოლიტიკური მოთხოვნა ტარიელს თვით ნესტანმა ჩააგონა, როცა უთხრა:

ჩემი ყოლა ნურა გინდა
სიყვარული, ნუცა ნღობა,
ამით უფრო მოგეცემის
სამართლისა შენ მოხდობა.

ფარსადანის წინდაუხედაობას მოჰყვა ნესტანის გადახვეწა ქაჯთა სამეფოში. ნესტანი მისმა გამზრდელმა მამიდამ, დავარმა გასწირა. ერთგვარი ანალოგია აქაც გვაქვს საქართველოს ისტორიულ სინამდვილესთან. როგორც დავით სოსლანის გამზრდელი იყო თამარის მამიდა რუსუდანი, ნესტანსაც მამიდა დავარი ზრდიდა. აქ შეცვლილია აღსაზრდელები, მაგრამ უფრო ახლო ანალოგიას ვერც მოვთხოვთ ავტორს. დავარი ხომ უარყოფითი გმირია და რუსთაველს არ შეეძლო იგი წარმოეჩინა თამარის მამიდის, დავით სოსლანის აღმზრდელის სახედ.

როგორც ვხედავთ, სამეფო ტახტის მემკვიდრეობის საკითხში როსტევეანისა და ფარსადანის თვალსაზრისი ერთმანეთს უპირისპირდება. ორივე ერთგვარ მდგომარეობაში ჩაუყენებია ავტორს: არც ერთს, არც მეორეს არ ჰყავს მემკვიდრე — ვაჟი, თინათინიც და ნესტანიც უყვართ იმავე სახელმწიფოთა რჩეულ რაინდებს სპასპეტ ავთანდილს და ამირბარს ტარიელს, რომელიც ამავე დროს სამეფო გვარულობის წარმომადგენელია. როსტევეანს სამეფო ტახტზე აჰყავს ასული და თანახმაა ავთან-

დილთან მისი დაქორწინებისა, ხოლო ფარსადანი მეფედ იწვევს უცხოელს და დედოფლად აძლევს თავის ასულს.

ამ ორი თვალსაზრისის დაპირისპირებით აშკარად იგრძნობა ავტორის კონცეფცია. რუსთაველს უნდა აჩვენოს, რამდენად გონივრულია როსტევეანის ნაბიჯი და რამდენად უაზრო — ფარსადანის გადაწყვეტილება, რომელიც ანგრევს ქალ-ვაჟის ბუნებრივ, წმინდათაწმინდა მისწრაფებას, ძირს უთხრის ინდოეთის სამეფოს ძლიერებას, არღვევს კანონიერ უფლებებს ინდოეთის სამეფო ტახტზე. იგივე გადაწყვეტილება საფუძველი ხდება იმ ტრაგედიისა თუ ბოროტებისა, რომლის დათრგუნვასაც დასჭირდა სიკეთის ძალების დიდი დამბვა, პოემის გმირთა ხანგრძლივი ძიება და ბრძოლა, რათა ბოლოს „მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“.

პროფესორ დ. ბენაშვილის დაკვირვებით, რუსთაველმა არაბეთისა და ინდოეთის სახით დაგვიხატა ორი ისეთი სახელმწიფო, სადაც ორ განსხვავებულ კონცეფციაზე არის დამყარებული სამეფო ტახტის მართვის საკითხი. მკვლევარი ფიქრობს, რომ ეს ორი თვალსაზრისი შესაძლებელია წარმოვიდგინოთ ერთ სახელმწიფოში: „არაბული და ინდური წესრიგი ერთ სახელმწიფოში ნიშნავს ამ სახელმწიფოში ძალების ორ ბანაკად გაყოფას და ურთიერთშორის ბრძოლას ორი პრინციპულად განსხვავებული კონცეფციის საფუძველზე“ (დ. ბენაშვილი, „სახისა და ხასიათის პრობლემა ვეფხისტყაოსანში“, თბილისი, 1954, გვ. 232—233).

თუ გავიხსენებთ ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილ ისტორიულ ფაქტებს, 1184—1193 წლების ამბებს, დავინახავთ: სახელმწიფო, სადაც მოქმედი ძალები ორ ბანაკად იყო გაყოფილი და ურთიერთშორის იბრძოდა, სადაც ორი პრინციპულად განსხვავებული თვალსაზრისი არსებობდა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის საკითხზე, იყო საქართველო. აი, ორ სახელმწიფოს შორის როგორ დანა-

წევრდა ქართული სინამდვილიდან აღებული ფაქტები და გარდაისახა პოემაში:

1. გიორგი მესამემ თავის სიცოცხლეშივე ტახტზე აიყვანა თამარი, ასევე მოიქცა როსტევანი. ეს იყო სწორი გადაწყვეტილება, რადგან „ლეკვი ლომისა სწორია, ძე იყოს, თუნდა ხვადია“.

2. თამარის არც პირველი, არც მეორე ქორწინება არ ნიშნავდა ერთმეფობის დათმობას, თამარი ყოველთვის რჩებოდა საქართველოს მეფედ, ერთმმართველად. ასევე თინათინიც ავთანდილს კი არ უყოფდა ტახტს, ქალის რჩეული მის გვერდით იჯდა არა როგორც უფლებრივად თანასწორი, არამედ ერთგული მეგობარი. თინათინი მეფე იყო, ხოლო ავთანდილი — მეფის ქმარი: „მეფე საქმართუთ პატივი ჰქონდა ინდოთა ქალისა“, — წერს პოეტი. ასეთი იყო თამარისათვის დავით სოსლანიც.

3. ტარიელი შვილია ინდოთა შვიდი სამეფოს ერთ-ერთი ნაწილის მფლობელისა, იგი მეფე ფარსადანის გვარისა იყო („თვით ჩემივე გვარი არსა“), ასევე დავით სოსლანი, შვიდ სამეფოდ ცნობილი საქართველოს ყმადნაფიცი სამფლობელოს უფლისწული იყო და ბავრათიონებს ენათესავებოდა.

4. ტარიელი სამეფო კარზე იზრდებოდა, ხოლო დავით სოსლანს ზრდიდა გიორგი მესამის და — რუსუდანს.

5. ფარსადანის და იყო ნესტანის გამზრდელი, მისი მამიდა, ხოლო გიორგი მესამის და იყო დავით სოსლანის გამზრდელი, თამარის მამიდა. ბავშვობაში ერთად იზრდებოდნენ თამარი და დავითი, ნესტანი და ტარიელი.

ეს ანალოგიები ადრეც აღინიშნა, მაგრამ მკვლევარები უფრო შორს მიდიოდნენ და ეძებდნენ „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა პროტოტიპებს, ზოგს მიაჩნდა, რომ ნესტანი იგივე თამარია, ტარიელი — დავით სოსლანი ან თვით რუსთაველი. ხვარაზმშას ძე მიაჩნდათ ხვარაზმელ უფლისწულად, რომელიც მოხსენიებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც თამარის ხელის ერთ-

ერთი მძიებელი. ასეთი მიდგომა სავსებითხადმი, ბუნებრივია, არ იყო სწორი. იმიტომაც გამოსდიოდათ მკვლევარებს დავით სოსლანი ხან ავთანდილის, ხან ტარიელის როლში, თამარი ხან ნესტანის, ხან თინათინის როლში. ავტორს კი ასე მარტივად არ განუზრახავს თამარის სახის გამოძერწვა, მას არც უფიქრია მოქმედ პირად თამარი ან დავით სოსლანი გამოეყვანა. სწორედ ამიტომაც ორ სხვადასხვა სახელმწიფოში დაანაწილა ისტორიული ფაქტები და, შესაძლოა, მისთვის ნაცნობ პიროვნებათა ნიშანთვისებანი.

„ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი ამბავი, ძირითადი კონფლიქტი, ღერძი, რომლის გარშემო ტრიალებს პოემის სხვა ეპიზოდები, არის ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის ამბავი. საინტერესოა, რად დასჭირდა რუსთაველს ინდოეთის სამეფო ტახტის მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხების გადმოცემასთან ერთად ეჩვენებინა ანალოგიური სიტუაცია და პრინციპულად განსხვავებული შედეგი არაბეთში? განა რა აუცილებელი იყო იმისათვის, რომ ავთანდილი ტარიელის მეგობარი გამხდარიყო და ეშველა მისთვის, მასაც მეფის ერთადერთი ასული ჰყვარებოდა, რომელიც მეფემ გონივრულად აიყვანა ტახტზე? განა ფრიდონი არ იყო ტარიელის მეგობარი, თუმცა მას არავინ ჰყვარებია? ნუთუ რუსთაველს არ ეყო ფანტაზია იმისათვის, რომ სხვაგვარად გადმოეცა ავთანდილის მიჯნურობის ამბავი? რა თქმა უნდა, ეს ერთგვარი განმეორება სიტუაციისა გამოწვეული იყო არა ფანტაზიის სიღარიბით, არამედ თვალსაზრისთა დაპირისპირების სურვილით. რუსთაველს უნდოდა ეჩვენებინა, თუ რამდენად სწორი იყო როსტევანი და რა უბედურება შეიძლებოდა მოჰყოლოდა ფარსადანის გადაწყვეტილებას. „ვეფხისტყაოსანში“ აშკარად იგრძნობა, რომ რუსთაველი თამარის ქორწინებასთან დაკავშირებულ ამბებში მთლიანად დავით სოსლანის მხარეზე იდგა, იგი გა-

უმართლებელ წინდაუხედაობად თვლიდა უცხოელი უფლისწულის მოყვანას თამარის ქმრად.

„ვეფხისტყაოსანში“ ასე მწვავედ დასმული, ერთმანეთთან შეპირისპირებული ორი ამბავი სამეფო ტახტის მემკვიდრის ქორწინებისა ნათელს ხდის იმ გარემოებას, რომ რუსთაველი მომხრე იყო თამარის საქმროს საკითხი ადრევე გადაჭრილიყო დავით სოსლანის სასარგებლოდ. ამ მხრივ საინტერესოა „ვეფხისტყაოსანში“ ხვარაზმშას შვილის ეპიზოდი. რუსთაველი, დიდი ჰუმანისტი პოეტი, არავითარ უხერხულობას არ გრძნობს უდანაშაულო სასიძოს მოკვლის აღწერით, რადგან ეს არის ერთადერთი გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან. ნესტანი თვითონ ავალებს ტარიელს სასიძოს მოკვლას, მაგრამ აფრთხილებს, რომ თავიდან აიცილოს დიდი სისხლისღვრა:

დიდსა სისხლსა ვერ შევაქნევ.
ვერ ვიქმნები შუა კედლად:
რა მოვიდეს სიძე, მოკალ
მისთა სპათა აუწყებულად.

თუმცა გადაჭარბებულად მიგვაჩნია პროტოტიპების ძიება „ვეფხისტყაოსანში“, უნდა ვაღიაროთ, რომ ისტორიული რეალიების შეჭრა პოემაში, უპირველეს ყოვლისა, განაპირობა თამარის ქორწინებასთან დაკავშირებულმა ბრძოლამ. თამარის პოზიციების განმტკიცებას ერთგვარად ემსახურებოდა რუსთაველის „გულის გასაგმირე“ სიტყვა. ამიტომაც უთქვამს პოეტს „მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისაო“. ეს არ არის უბრალო ვალის მოხდა კარის პოეტისა თავის ხელისუფალთა წინაშე, ეს არის აღსარება პოეტის და ამავე დროს საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწისა, მამულიშვილური ვალის მოხდა. რუსთაველი ისევე მტკივნეულად განიცდიდა მისი დროის სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს, როგორც თამარის ისტორიკოსები, რომელთაც თავიანთ თხზულებებში კარგად გვაგრძნობინეს თავიანთი მოქალაქეობ-

რივი შეგნება (შდრ. ვ. დონდუა, ბასრაი, თამარ მეფის ისტორიკოსი, „რუსთაველის ეპოქის ძეგლები“, ლეხინგრაფი, 1938 წ.).

ვიმეორებთ, რუსთაველის გენიამ ეს საკითხი ისეთ ზოგადადამიანურ სიმაღლეზე აიყვანა, რომ დღეს ძნელია პოვნა იმ პირველი ბიძგისა, რომელმაც პოეტს, შესაძლოა, თავისი უკვდავი პოემის დაწერა შთააგონა.

აღნიშნულ საკითხებთან არის დაკავშირებული ერთი მეტად საყურადღებო გარემოებაც. 1960 წელს პალესტინაში, ჯვარის მონასტერში ი. აბაშიძის, ა. შანიძისა და გ. წერეთლის ექსპედიციის შემდეგ უდავოდ დადასტურდა შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი დეტალი. შოთა რუსთაველი ყოფილა თამარ მეფის ვაზირი, მეჭურჭლეთუხუცესი (ფინანსთა მინისტრი). ჩვენ ვიცით, რომ თამარის გამეფების დროს მეჭურჭლეთუხუცესად იყო ყუთლუ-არსლანი. 1185 წელს, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური გამოსვლის ჩაქრობის შემდეგ, ამ თანამდებობაზე დაუნიშნავთ კახაბერ ვარდანის ძე, ხოლო შემდეგ თბილისის ამირა აბულასანი აღზევებულა. აკადემიკოსმა ე. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა ანდრია მოციქულის ხატის ერთი წარწერა, რომელშიც ვკითხულობთ: „შეიწირე მცირედი ესე მსახურება ჩემგან ერისთავთ-ერისთავისა და მეჭურჭლეთ-უხუცესისა აბულასანი-საგან იობის ძისა“ (ე. თაყაიშვილი, „არქეოლოგიური ექსკურსიები“, 1905 წ. რუსულ ენაზე). თუმცა წარწერა დაუთარიღებელია, აბულასანის აღზევება ალბათ უნდა მომხდარიყო გიორგი რუსის ხელშეწყობით, მაშასადამე, 1187 წლამდე (ი. ცინცაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 100-103). აბულასანი ვერ შელევია თავის პირველ კანდიდატურას და, როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, აქტიური მონაწილეობა მიუღია გიორგი რუსის 1191 წლის ლაშქრობაში. „ისტორიანი და აზმანი“ გვამცნობს, რომ გიორგი რუსს იმ ხანებში კარნუ-ქალაქში

შეხვედრია მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალის და მოლაპარაკება გაუმართავს მასთან:

„მას ქამსა ნაცვალის მეჭურჭლეთუხუცესისა, სჯულითა ბარბაროზი და ქცევითა ტარტაროზი, კეთილთა და ჰამოთა პატრონთაგან სრულწყლიანი, საქმის მოციქულად წარავლინა საქმისა რასათვისმე, და მას კარნუქ-ქალაქსა მისვლასა შინა შეიყარნეს რუსი და იგი ერთად. [მიუ]დგეს იმიერნი, რათა [რუსი] სასახლესა შინა [შეყვანილ]ყონ; მისისა სარგებლისა მოწადინენი შეეხუფნენ ამას დიდსა [მოციქულსა], რომელი აქით მისრულ იყო“ („ქართლის ცხოვრება“, II ს. ყაუხჩიშვილის გამოც. გვ., 48. აღდგენილი ადგილები ეკუთვნის გამომცემელს). მართალია, არ ჩანს, ვინ იყო ეს „ნაცვალის“ მეჭურჭლეთუხუცესისა ან ვის ცვლიდა იგი, მაგრამ დაახლოებული პირი და თანამოაზრე უნდა ყოფილიყო აბულასანისა.

მეჭურჭლეთუხუცესის სახელო თამარის კარზე იყო ერთ-ერთი ყველაზე მერყევი პოსტი, რომელიც წლების მანძილზე თამარის მოწინააღმდეგეებს ეკავათ. ამავე თანამდებობაზე ვხედავთ ჩვენ შოთა რუსთაველს. რუსთაველი 1191 წლამდე ვერ იქნებოდა ამ ადგილზე, რადგან 1185 წლამდე მეჭურჭლეთუხუცესი იყო ყუთლუ-არსლანი, შემდეგ მცირე ხნით კახაბერ ვარდანისძე, შემდეგ 1187 წლამდე დანიშნული აბულასანი, რომელიც ალბათ ამ სახელოს ფლობდა 1191 წლამდე. ხოლო გიორგი რუსის დამარცხების შემდეგ ალბათ დასაჯეს აბულასანი, დაათმობინეს ადგილი და მეჭურჭლეთუხუცესად დანიშნეს რუსთაველი. ყოველ შემთხვევაში, უეჭველია, რომ შოთა იყო იმ ხანებში აქტიური პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე (პოეტის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული სარგის ცაიშვილის ნაშრომში „შოთა რუსთაველი“, ჟურნალი „მნათობი“, 1966, № 2, გვ. 132—146). მით უმეტეს, გასაგებია, რომ ბრძოლა,

რომელიც თამარის ტახტის გარშემო მიმდინარეობდა, უნდა ასახულიყო „ვეფხისტყაოსანში“. შოთა რუსთაველიც ეტყობა, საქმიანად მონაწილეობდა ამ ბრძოლაში და თავისი ჯადოსნური სიტყვაც გამოუყენებია „გულის გასაგმირედ“. ამითვე უნდა აიხსნას ავტორის სურვილი პოემის სიუჟეტის გაუცხოურებისა („ევე ამბავი სპარსული“). რუსთაველს რომ ქართული ამბავი დაუფარავად აეწერა, ჯერ-ერთი, თანამედროვეთა წინაშე სურვილისამებრ ვერ შეცვლიდა ისტორიულ ფაქტებს და ამიტომ ვერც იტყოდა სათქმელს მთლიანად, იძულებული გახდებოდა მხოლოდ ვიწრო მიზნებს გასდევნებოდა. გარდა ამისა, „სპარსული“ ამბავი კარგი მაგალითი უნდა ყოფილიყო მათთვის, ვინც ანალოგიურ ქართულ სინამდვილეს ხედავდა. „შენიღვის საჭიროებას ალბათ იწვევდა „ვეფხისტყაოსანში“ ასახული ამბის გამჭვირვალე ისტორიული ასოციაციები და პოემაში გატარებული სოციალურ-პოლიტიკური და სარწმუნოებრივ-ფილოსოფიურ შეხედულებათა რადიკალიზმი“ (ალ. ბარამიძე, დასახ. წიგნი, გვ. 70).

ამასთან დაკავშირებით ისმის „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის თარიღის საკითხიც, რომლის კვლევასაც ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ: მეცნიერების უკანასკნელი მონაცემების საფუძველზე „ვეფხისტყაოსნის“ თარიღად მიჩნეულია 1189-1207 წლები. დადგენილია, რომ რუსთაველი იცნობდა ნიზამი განჯელის „ლეილ-მაჯნუნისან“, რომელიც 1188 წელს არის დაწერილი. გარდა ამისა, არ შეიძლება „ვეფხისტყაოსანი“ შექმნილიყო თამარისა და დავით სოსლანის შეუღლებამდე (1189წ.) და დავით სოსლანის გარდაცვალების შემდეგ. ვფიქრობთ, შესაძლებელია ამ თარიღის დაზუსტებაც.

თუ გავითვალისწინებთ პოემის ისტორიულ რეალიებს, აგრეთვე რუსთაველის, როგორც პოლიტიკური მოღვაწის, ინტერესებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ


პოემა შექმნილია იმ დროს, როცა თამარის მემკვიდრეობის საკითხს, სამეფო ტახტის შეუვალობას ბედისმადიებელთაგან დაცვა სჭირდებოდა. 1189-1190 წლები ამ მხრივ შედარებით მშვიდობიანი იყო. თამარს ჰყავდა მეუღლე და ძნელი იყო უკმაყოფილო ელემენტების ამოძრავება, ვიდრე არ დაიბადებოდა ეჭვი სამეფო სახლის კვლავ უმემკვიდრედ დარჩენისა.

1190 წლიდან, როცა თამარს ჯერ კიდევ არ შეეძინა შვილი, მოწინააღმდეგეთა იმედი გაღვივდა, ფარული ბრძოლა კვლავ გაჩაღდა და გადაიზარდა 1191 წლის აჯანყებაში. 1193 წელს თამარის მოწინააღმდეგეებს გამოეცალათ ერთადერთი საბაბი, რაც მათს ბრძოლას ერთგვარ გამართლებას აძლევდა: დაიბადა ლაშა-გიორგი. ეს იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო იმ დროს, რომ არ შეიძლებოდა მას უკვალოდ ჩაეველო ქართულ პოეზიაში, ისტორიოგრაფიაში კი ეს ფაქტი განსაკუთრებულად აღინიშნა. მემკვიდრის დაბადება, მით უმეტეს, როცა მას 8 წელიწადს ელოდნენ, ფეოდალურ სახელმწიფოში მეტად

ღირსშესანიშნავი ფაქტი იყო. ვფიქრობთ, გიორგი ლაშა შოთას პრემიის შექმნის დროს რომ დაბადებულიყო, ეს ფაქტი როგორმე თავს იჩენდა „ვეფხისტყაოსანში“, ალბათ პროლოგში იქნებოდა ნახსენები თამარისა და დავითის პირმშოც (შდრ. ჯ. ამირანაშვილი, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 8, 1960 წ.).

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ შექმნილი უნდა იყოს 1191—1193 წლებში, ყოველ შემთხვევაში, ავტორს მუშაობა პოემაზე ამ დროს უნდა დაეწყო. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ დროს რუსთაველს, როგორც თამარის უერთგულეს მოღვაწეს და პოეტს, ახლახან უნდა ჰქონოდა გადატანილი ის დიდი საფრთხე, 1191 წლის აჯანყებით რომ შეუქმნეს განდგომილმა დიდებულებმა გაერთიანებულ სამეფოს. რუსთაველი გმობდა უზურპაციას, იგი ხვარაზმშას შვილის მაგალითზე მტრის ფიზიკურ განადგურებასაც კი მოითხოვდა და ამავე დროს ცდილობდა მხატვრული სიტყვით ნათელყო თამარის სიმართლე.





აკაკი ბაქაძე

«საქართველოს მოსახვევი»

გურამ გეგეშიძის მოთხრობის „ეშმაკის მოსახვევი“ („მნათობი“ № 2, 1966 წ.) იდეური კონცეფცია ნასესხები: „ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხნეთ, რამეთუ რომლითა განიკითხვითა განიკითხვიდეთ, განიკითხნეთ, და რომლითა საწყაულითა მიუწყათ, მოგეწყოს თქვენ“.

რა თქმა უნდა, ძველი სიბრძნე ახალ დროშიც შეიძლება გაიმეორო კაცმა. ეს არ არის საძრახისი. მაგრამ აქ ორი რამ არის საკითხავი: პირველი, მართალია თუ არა როგორც ძველი, ისე ახალი ავტორის კონცეფცია და, მეორე, რამდენად არის ეს აზრი იმ მხატვრული სინამდვილის შედეგი, რომელიც მწერალმა აღწერა. ერთი შეხედვით, პირველი კითხვა გამორიცხავს მეორეს, მაგრამ ლიტერატურამ იცის ფაქტები, როცა, ლოგიკური თვალსაზრისით არამართალი, ემოციურად მართალიც არის, დამაჯერებელიცა და აუცილებელიც. მაგალითად, მხოლოდ ლოგიკური თვალსაზრისით თუ მივუდგებით, ვიქტორ ჰიუგოს ეპისკოპოსის მირიელის აბსოლუტურმა სიკეთემ არ შეიძლება არ დაგაეჭვოთ. მართ-

ლაც, მირიელის ხასიათი და საქციელი ლოგიკურ ანალიზს ვერ უძლებს. მაგრამ მწერალმა ეპისკოპოსის აბსოლუტური სიკეთე მკითხველის შინაგან მოთხოვნილებად აქცია და ამდენად მხატვრულ აუცილებლობად გახადა. რაკი ეპისკოპოს მირიელის ყოველი საქციელი მკითხველის შინაგან მოთხოვნილებას უბასუსხებს, ლოგიკის სექტიკური განწყობილება ემოციის მიერ უყურადღებოდ არის დატოვებული. ასე რომ, რაც ლოგიკას ეეჭვება, ის ემოციამ შეიძლება დაიჯეროს. ეს თეორიულად დასაშვებია. პრაქტიკულად კი ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის მხატვრულად სრულყოფილი ესა თუ ის ნაწარმოები. გ. გეგეშიძის რწმენა — არაკეთილი ფიქრიც კი არ დარჩება დაუსჯელი — არ შეიძლება თანაგრძნობას არ იმსახურებდეს, მაგრამ არ გჯერათ. რადგან მოთხრობაში „ეშმაკის მოსახვევი“ ის მხატვრული სინამდვილე არ არის, რომლის ანალიზი დაადასტურებს ავტორის აზრს.

ახლა კი დავასაბუთოთ მწერლის მიმართ წაყენებული პრეტენზიები.

ჩემი აზრით, ამ მოთხრობაში ერთმანეთისაგან განსხვავებული არ არის ორი რადიკალურად სხვადასხვა საკითხი: ბოროტებისადმი დამოკიდებულება და სხვის შენედეულებათა მიმართ ტოლერანტული განწყობილება. ეს ორი პრობლემა ერთ სიბრტყეშია განხილული, რამაც განაპირობა ავტორის შეცდომა.

მოთხრობის ორი პერსონაჟი — კოჩია და ასტამური ერთმანეთისაგან მარტო შენედეულებებით კი არ განსხვავდებიან, არამედ ხასიათის ბუნებითა და შინაარსით. ავტორმა ერთი (კოჩია) ავკაცობად წარმოგვიდგინა და მეორე (ასტამური) კეთილკაცობად. გავეცნოთ ორივე მათგანს.

აი როგორია კოჩია. შეყვარებული მიატოვა და მამის გარიგებით სხვა ქალი შეირთო (გვ. 114). ეს ქალი უკეთური და აშარი ხასიათის დედაკაცი გამოდგა. ოჯახში გამუდმებული უსიამოვნება ჰქონდათ. კოჩიამ ვერაფერი გააწყო ვერც ცოლთან და ვერც მამასთან, რის გამოც ცოლის მონა გახდა და მამის მორჩილი. კოჩია ეგოისტი იყო: „...სხვისი გულისათვის თითს არ გაანძრევდა, არავითარი საქმით არ დაინტერესდებოდა, თუ ამას მისთვის სარგებლობა არ მოჰქონდა“ (გვ. 114). სხვა რომ პატივსა სცემდა, ეს უყვარდა, მაგრამ ამის დაფასება არ იცოდა. „იმ წელიწადს ასტამურს მამა მოუკვდა და აბა თუ მოაგონდა კოჩიას ასტამურის პატივისცემა, როცა მას უჭირდა? არ მოაგონდა. ერთი კაპიკითაც კი არ დახმარებია, თუმცა მაშინ კარგად შოულობდა ფულს, ასტამური კი — ვალეზში იყო“ (გვ. 115). კოჩია სხვისი უბედურებითაც სარგებლობდა. ერთხელ ავარიის გამო ასტამური ციხეში ჩასვეს. კოჩიამ ამით ისარგებლა და გააჩანავა ასტამურის ოჯახი. „როცა ციხიდან გამოვიდა, გაპარტახებული დახვდა სახლ-კარი. ეზო გავერანებული, ვენახი გაუსხლავი, ყანა დაუშუშავებელი. ზამთრისათვის მომარაგებული შეშა განახევრებული“ (გვ. 115).

ერთი სიტყვით, კოჩიას სახის შინაარსი ავკაცობაა. მართალია, ზემოთ მოტა-

ნილი დახასიათება კოჩიას ასტამურს ეკუთვნის, მაგრამ მკითხველს საბუთი არა აქვს ასტამურს ტენდენციურობა დასწამოს. ჯერ ერთი იმიტომ რომ, ავტორი ამბობს, ასტამურს კოჩია ყოველთვის ძალიან უყვარდა და ბავშვობაში (კოჩია ათი წლით იყო ასტამურზე უფროსი) თავისი ოცნების გმირადაც სახავდაო. მეორეც იმიტომ რომ, სხვა კოჩია ავტორმა მკითხველს არ გააცნო და მოთხრობაში მისი ეს ერთადერთი დახასიათებაა აღწერილი. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ავტორს ასტამურთან სადაო არა აქვს რა და მთლიანად ეთანხმება მას კოჩიას პიროვნების შეფასებაში. აქედან გამომდინარე, ასტამური კოჩიას მხოლოდ ისეთად ხედავს, როგორც ის არის და ამიტომ მისი ფიქრი ბოროტების ელემენტს არ შეიცავს.

ასტამური კი კოჩიას ამბოლუტური ანტიპოდი. იგი მხოლოდ სიკეთესა და კეთილკაცობას ემსახურება. როცა კოჩია ჯარში წაიყვანეს, ასტამური პატარა იყო, მაგრამ ძალ-ღონეს არ ზოგავდა და საკუთარ ოჯახსაც უვლიდა და კოჩიას მშობლებსაც (გვ. 113). როცა კოჩია საავადმყოფოში იწვა, ასტამური ექვსი თვე არჩენდა კოჩიას ოჯახს (გვ. 115). საერთოდ ასტამურს კოჩიასთვის არაფერი ენანებოდა: „კოჩიას ძროხა ასტამურის ეზოში ბალახობდა, კოჩიას ქათმები კვლავ ასტამურის ბოსტანს ქეჭავდნენ. შარშანდელი ჩალა ასტამურმა კოჩიას მისცა, თუმცა შეეძლო კარგ ფასად გაეყიდა ბაზარში, მაგრამ ამას როგორ იკადრებდა ასტამური“ (გვ. 115).

როგორც ვხედავთ, ავტორმა ეს ორი პერსონაჟი ორი საწყისის — ავკაცობისა და კეთილკაცობის — დასაპირისპირებლად გამოიყენა. ამის შემდეგ რიტორიკული კითხვა დასვა — შეუძლია თუ არა ასტამურს (ე. ი. კეთილკაცობას) განიკითხოს და მსჯავრი დასდოს კოჩიას (ე. ი. ავკაცობას). ამ კითხვას მწერალმა უარყოფითად უპასუხა, რადგან ფიქრობს, რომ ერთ კაცს არა აქვს უფლება თავისი ცხოვრების წესი მეორე კაცს მოახვიოს თავზე. ავტორს აქაც ეთანხ-

მება ასტამური და მწარედ ფიქრობს: „რატომ არის, რომ ყველა ადამიანს თავისი შეხედულება ცხოვრებაზე მიაჩნია ერთადერთ ყველაზე სწორ და ყოვლის-მომცველ შეხედულებად? ყველას თავისი თავი მოსწონს და უნდა, რომ დანარჩენებიც ისეთივენი იყვნენ, როგორც თვითონ არის. რატომ ვერ ვიტანთ ჩვენ წინააღმდეგობას და განსხვავებას აზრებში? პრინციპში ყველა აზრი სინამდვილეს ასახავს, მისი ნაწილია. მრავალფეროვან სინამდვილეს შეიძლება მილიონი სხვადასხვა კუთხით უტკირო და თავისი ინდივიდუალური პოზიციიდან ყველა ეს თვალსაზრისი სწორი იქნება: ამიტომ ყველანი უნდა შევეუთანხმდეთ ერთმანეთს, დავებმართ ერთმანეთს და ვებრძოლოთ მხოლოდ იმას, რასაც საყოველთაო ბოროტება და სიკვდილი მოაქვს“ (გვ. 117). საინტერესო მსჯელობაა, თუმცა შინაგანი წინააღმდეგობებით სავსე. ჭერ ერთი, ეს არ არის შოფრის ფიქრი (ასტამური შოფერია) არც შინაარსით, არც ფორმით და არც ენობრივი ქსოვილით. აქ თვითონ გურამ გეგეშიძეა შოფრის ტანსაცმელში გამოწყობილი. მაგრამ ეს არ არის არსებითი შენიშვნა. ასეთ ხერხს ძველად იყენებდნენ. მეორეც, წამოჭრილია საკითხი საყოველთაო შეთანხმებისა („...ყველანი უნდა შევეუთანხმდეთ ერთმანეთს“), მაგრამ ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ საკუთარი აზრი სხვას მოახვიო თავს, მაშინ, როცა ავტორი ამისი წინააღმდეგია. მესამეც, ავტორი თვითონაც კარგად გრძნობს, რომ შეთანხმება წვრილმან საკითხებშია შესაძლებელი, საყოველთაო ბოროტებისა და სიკვდილის წინააღმდეგ კი ბრძოლას მოითხოვს („...ვებრძოლოთ მხოლოდ იმას, რასაც საყოველთაო ბოროტება და სიკვდილი მოაქვს“), ე. ი. ადამიანის არსებითი თვისება ავკაცობასთან შერიგება კი არ არის, არამედ ბრძოლა! თუ ეს ასეა (და ეს ასეა!) აღარ დარჩა ადგილი ლოზუნვისათვის — ნუ განიკითხავთ.

აქ ბუნებრივად წამოიჭრება საკითხი — როგორი ავკაცობაა კოჩია? შეიძლება

მასთან შერიგება-შეგუება, თუ ბრძოლა მის წინააღმდეგ საჭირო? შეიძლება დაუფიქრებლად ვუპასუხოთ, რომ კოჩია, რომელიც გ. გეგეშიძემ დახატა, ბოროტებაა, რომლის წინააღმდეგაც ბრძოლა აუცილებელია.

ხელოვნებისათვის ადამიანი არის ის, რასაც იგი აკეთებს, რასაც იგი ფიქრობს, რასაც იგი განიცდის და არა ანატომიურ ნიშანთა თუ საგანთა ერთობლიობა. მკითხველმა არ იცის, რას ფიქრობს ან რას განიცდის კოჩია, რადგან ავტორს არ აუწყრია არც ფიქრები და არც განცდანი კოჩიასი. ვიცით მხოლოდ ის, რაც უკეთებია კოჩიას (ესეც ასტამურის მეშვეობით). საქმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უნდა დავასკვნათ, რომ კოჩია ყოველგვარ ღირსებას მოკლებული ადამიანია: ლაჩარი, მატყუარა, ეგოისტი, ძუნწი, მიმტაცებელი. ასეთი ადამიანი იწვევს ერთადერთ გრძნობას — ზიზღს. მაგრამ ასტამურს კოჩია მაინც ეცოდება და სადღაც მას ეკვი ეპარება, მართალია თუ არა მისი დამოკიდებულება კოჩიასადმი? ასტამური (უფრო სწორად მოთბრობის ავტორი) კოჩიას გამართლებას იწყებს: „ასტამურს არ მოსწონდა კოჩია, მაგრამ კაცმა რომ თქვას ვინ ეკითხებოდა ასტამურს?! ან რას უშავეებდა მას კოჩია? კოჩია თავისთვის იყო? დაე, ყოფილიყო!“

აქ ავტორს, მეტი რომ არ ვთქვათ, ავიწყდება კოჩიას დანაშაულებანი, რომელიც მან თვითონვე აღწერა. კოჩიამ მოატყუა და მიატოვა აფხაზი ქალი, რომელიც მას უყვარდა (ე. ი. კოჩიამ დანაშაული ჩაიდინა როგორც ქალის, ისე თავისთავის წინაშე). კოჩია უხვად სარგებლობს ასტამურის კეთილკაცობით, ხოლო ასტამურისათვის თავად არასოდეს არ გაუწყვდია დახმარების ხელი. არც თავის ოჯახში და თავისთავში ჩაკეტილი კაცია კოჩია. იგი სხვისი ქონების მიმთვისებელიც არის: „დაფნაც (ასტამურის დაფნაზეა ლაპარაკი — ა. ბ.) გაუყავია კოჩიას, ფული? ფული დაიხარჯა, ხომ უნდოდა ასტამურის სახლკარს პატრონობა? ჰმ, რა პატრონობა ეტყობოდა

აქაურობას, მაგრამ ახლაც მოითმინა ასტამურმა, არაფერი არ თქვა“ (გვ. 115). კოჩია ასტამურის ეზო-კარითაც სარგებლობს: „კოჩიას ძროხა ასტამურის ეზოში ბალახობდა, კოჩიას ქათმები კვლავ ასტამურის ბოსტანს ქექავდნენ“ (გვ. 115).

ასე რომ კოჩია არ არის უწყინარი კაცი, იგი შეძლებისდაგვარად აქტიური ბოროტებაა. ამიტომ სიბრალულის გრძობა კოჩიას მიმართ, რომელიც ასტამურში იღვიძებს, მკითხველის სათანადო ემოციას არ იწვევს. მკითხველი ყრუა ასტამურის შეძახილის მიმართ — ვავა, კოჩია, ვავა, შე უბედურო“ (გვ. 118). ეს მოხდა იმიტომ, რომ კოჩია რთული, წინააღმდეგობების შემცველი სახე კი არ არის, არამედ ერთბაშად სქემაა, რომელიც შინაგანად მხოლოდ ბოროტების შინაარსის მატარებელია. მართალია, ერთგან გ. გეგეშიძე ცდილობს კოჩიას მდგომარეობასა და მის თვისებებს უკან დამალული მოვლენები დაინახოს, მაგრამ სათანადო შედეგს ვერ აღწევს. მწერლის ეს ცდა უშედეგოდ დარჩა იმიტომ, რომ მან გააიგივა თავისი მდგომარეობა და პოზიცია ასტამურის მდგომარეობასა და პოზიციასთან. ასეთ შემთხვევაში მკითხველისათვის ბევრი რამ გაუგებარი რჩება და აქედან არის ემოციური გულგრილობაც.

ასტამური კოჩიაზე ფიქრობს: „იქნებ იმ კაცს სხვანაირად არ ეხერხებოდა ცხოვრება, რა მისი ბრალი იყო ასეთი სუსტი, რბილი, უნებისყოფო რომ დაიბადა, რა მისი ბრალი იყო, რომ ბევრ რამ არ ესმოდა, რომ მალე ავიწყდებოდა სიკეთეც და სივეც? ის არ იყო გულგამყოლი კაცი. იქნებ მასაც უნდოდა სხვანაირი ყოფილიყო, მაგრამ ცხოვრება არ აძლევდა ამის საშუალებას“ (გვ. 117). ასტამურისათვის შეიძლება ეს თავსატეხი კითხვავა. მაგრამ არც მწერლისა და არც მკითხველისათვის ეს გაურკვეველი არ უნდა იყოს. სხვანაირად ვერ გავარკვევთ კოჩიასადმი დამოკიდებულების საკითხს. თუ კოჩიას ხანიათი, ბუნება, თვისებები ჩამოყა-

ლიბდა გარკვეული სინამდვილის შედეგად, მაშინ ეს სინამდვილე უნდა იყოს მოთხრობაში დახატული, მაშინ შეიძლება მკითხველს გაუჩნდეს თანაგრძნობა კოჩიასადმი, როგორც ბოროტი სინამდვილის მსხვერპლისადმი. ამჟამად კი გარემო, რომელსაც შექმლო წარმოეშვა კოჩია, მოთხრობაში არ არის. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ავკაცობის ჭურჭელი თავად კოჩიაა. ამას ავტორიც ადასტურებს: „კოჩია იძახდა: რაც შემეძლო გვაკეთე, სად მცალია სხვისი ოჯახის მოსავლელად, ჩემი საქმე ცოტა მაქვსო? სწორედ ამაშია უბედურება, სხვის ინტერესებს რომ არაფრად ავდებენ. სამწუხაროდ, საკუთარ სიამოვნებას ყველაფერზე მაღლა აყენებენ ამ ცხოვრებაში ზოგიერთები. არც სიყვარულს, არც მეგობრობას, არც პატივისცემას, არც სულგრძელობას, არც კეთილშობილურ სიამაყეს მათთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ეს სულიერი თვისებებია, მათთვის კი არ არსებობს სული, მათ არა სწამთ სული“... (გვ. 115). ამის შემდეგ ძნელია დაეთანხმოთ მწერალს, რომელიც, მიუხედავად ყველაფრისა, კოჩიასადმი თანაგრძნობას მოითხოვს და პატიების იდეას ქადაგებს. აქ ურიგო არ იქნება მწერალს თუ შევახსენებთ, რომ მას, ვისაც იგი მოთხრობის დედააზრს დაესესხა, ესეც უთქვამს: „არა მოვედ მოფენად მშვიდობისა, არამედ მახვილისა“.

სასჯელის მახვილი გ. გეგეშიძის მოთხრობაშიც მოქმედებს. მაგრამ უცნაური ის არის, რომ ერთნაირად ისჯება ავკაცობაცა და კეთილკაცობაც: ასტამურიც თავისი მანქანით იქ გადაიჩენება და დაიღუპება, სადაც ერთი დღის წინათ გადაიჩენა და დაიღუპა კოჩია. ჩემი აზრით, სიკეთისა და ბოროტების თანაბარი დასჯა შემთხვევით გამოვიდა. ეს ფინალი ავტორს სჭირდებოდა სხვა ფორმულის საილუსტრაციოდ: „...რომლითა განკითხვითა განიკითხვიდეთ, განიკითხნეთ, და რომლითა საწყაულითა მიუწყათ, მოგეწყოს თქვენ“. რა ბრძნულიც არ უნდა იყოს ესა თუ ის ფორმულა, არ შეიძლე-

ბა ცხოვრება მის ილუსტრაციად გადა-
აქციოთ. ეს იწვევს სინამდვილის გადა-
რიბებას. ამასთანავე მხატვრულად დამა-
ჯერებელია მხოლოდ ის, რაც რეალური
ცხოვრების ობიექტური ანალოზის შე-
დეგად იბადება. ეს ერთი. მეორეც, ის-
მის კითხვა: განიკითხა კი ასტამურმა კო-
ჩიამ? ერთადერთხელ მიაყენა ასტამურმა
კოჩიას შეურაცხყოფა (გვ. 115-116):
ერთხელ ასტამური შინ მთვრალი დაბ-
რუნდა. ორი ამხანაგიც ახლდა. ასტამურ-
მა ეზოში პატარა სუფრა გაშალა სტუმ-
რების პატივსაცემად და კოჩიასაც დაუ-
ძახა (აქ ავტორი წერს: „რა თქმა უნდა,
გახარებელი მოვარდა კოჩია, მუქთა
პურმარილი საერთოდ უყვარდა. თვი-
თონ, რა თქმა უნდა, არასოდეს არ დაგ-
პატიყებდა ღვინოზე, მაგრამ ასტამურს
არ შეეძლო მისთვის არ დაეძახა“.). კარ-
გა ლაზათიანად იქეიფეს და სტუმრები
წავიდნენ. ამის შემდეგ ასტამურმა „პა-
პიროსი სთხოვა კოჩიას. ის საერთოდ არ
ეწეოდა, მაგრამ ახლა მოუნდა.

— არა მაქვს, — უთხრა კოჩიამ ნახევ-
რად ხუმრობით, ნახევრად სერიოზუ-
ლად.

— მომეცი, ბიჭო, ერთი ცალი, მომ-
წვენიე.

— არ ეწევი და რათ გინდა?

— ახლა მომეცი და ხვალ ერთ კო-
ლოფს გიყიდი...

— მაღაზიაში საესეა პაპიროსი, წადი
და იყიდე; — და კოჩიამ უხალისოდ წაი-
ლო ჯიბისაკენ ხელი, მაგრამ ამ დროს
ასტამურმა სახეში შეაფურთხა და მია-
ძახა:

— თფუ, შენი კაცობა შეგარცხვინე!“

ეს კოჩიას ოჯახის თვალწინ მოხდა. ას-
ტამურს გარტყმაც უნდოდა კოჩიასთვის,
ხელიც მოიქნია, მაგრამ არ გააბრტყა.
მართალია, აქ უკიდურესად დამცირდა
კოჩია, მაგრამ ასტამურის რეაქცია ბუ-
ნებრივი პასუხი იყო კოჩიას საქციელ-
სა. ამ სცენაში ასტამურმა გააკეთა ის,
რასაც მოიმოქმედებდა ყოველი ნორმა-
ლური ადამიანი. აკი დაწერილა: „ყო-
ველმან ხემან რომელმან არა გამოიღოს
ნაყოფი კეთილი, მოეკუთნოს და ცეცხლ-

სა დაედგას“. და ესეც იქ წერია, სადაც
ავტორმა „ნუ განიკითხავთო“ ამოიკით-
ხა. ე. ი. როგორც ძველი, ისე ახალი მხატ-
ვრობი აღიარებენ, რომ არის ცხოვრება-
ში მომენტები, როცა განიკითხვა უფრო
დიდი სამართლიანობაა, ვიდრე განუკით-
ხაობა, რადგან განუკითხაობა ბოროტე-
ბის გამრავლების საშუალებას იძლევა.
მიუხედავად იმისა, რომ ასტამურს ყო-
ველგვარი მორალური უფლება აქვს გან-
იკითხოს კოჩია, იგი ამას არ სჩადის.

ყოველ შემთხვევაში, გ. გეგეშიძეს ასე-
თი რამ თავისი მოთხრობის ფურცლებზე
არ აუწერია. პირიქით, ასტამურს ეცო-
დება კოჩია და იცავს მას. როცა მთვრ-
ალმა შოფრებმა კოჩიას ღვინო ჩაასხეს
კისერში და უსაზღვროდ დაამცირეს
(გვ. 116), ასტამურმა გააფრთხილა ბიჭე-
ბი, მეორედ ასეთი რამ აღარ გაბედოთო.
თავად კოჩიას კი ოდნავი პროტესტიც არ
გამოუთქვამს. პირიქით, შეურაცხყოფა
ხუმრობაში გაატარა. კოჩიას ლაჩხობის
მიუხედავად, ასტამური მისადმი ზიზღის
ან უპირატესობის გრძნობით არ გამ-
სჭვალულა. საერთოდ, არც ერთ კონკ-
რეტულ შემთხვევაში, არც ერთი კონკ-
რეტული საქციელით ასტამურს არც კო-
ჩიასათვის უგრძობინებია—შენზე უკე-
თესი ვარო და არც მკითხველს დაუნა-
ხავს არსად ეს. ამიტომ მოულოდნელი
და უცნაურია ავტორის განცხადება: „ას-
ტამურს უნდოდა კოჩიაც ზუსტად ისე-
თივე გამხდარიყო, როგორც თვითონ
იყო, მაინცდამაინც ისე მოქცეულიყო,
როგორც ასტამური იქცეოდა, კეთილ-
შობილურად, სულგრძელად, — ასტა-
მურის აზრით, მაგრამ კოჩიას არ შეეძ-
ლო ეს, ასტამური კი სწორედ ამას მო-
ითხოვდა მისგან. დაე ეცხოვრა საწყალ
კოჩიას თავისთვის“ (გვ. 118).

ჯერ ერთი, თუ ეს სწორია, ასეთი
დასკვნა ავტორს კი არ უნდა შეეთავა-
ზებინა მკითხველისათვის, არამედ მკით-
ხველს თავად უნდა გამოეტანა იგი კო-
ჩია-ასტამურის ურთიერთობიდან. მაგ-
რამ, როგორც ვთქვით, ასეთი დასკვნის
გამოტანა მოთხრობაში აღწერილი ურ-
თიერთობიდან არ ხერხდება.



მეორეც, როგორც ჩანს, აქ ლაბარაკია ასტამურის სულის მეორე პლანზე, რომელსაც, სამწუხაროდ, მკითხველი არ იცნობს, რაკი იგი მოთხრობაში არ არის აღწერილი და ამიტომ უჭირს დაიჯეროს ავტორის სიტყვების ჭეშმარიტება.

მესამე, ასტამურის საქციელი რომ კეთილშობილური და სულგრძელია, ამას მარტო ასტამური კი არ ფიქრობს, არამედ ავტორიცა და მკითხველიც, რადგან ასტამურის სხვა საქციელი და თვისება მწერალს არ აუწერია.

მეოთხეც, კოჩია მარტო თავისთვის არ ცხოვრობს. იგი სხვების წინააღმდეგ ცხოვრობს. ამის დამადასტურებელი მაგალითები ზემოთ მოვიტანეთ.

ამიტომ საყვედური („ასტამურს უნდოდა კოჩიაც ზუსტად ისეთივე გამხდარიყო, როგორიც თვითონ იყო...“) წაყენებული ასტამურის მიმართ უსამართლოა ისევე, როგორი უსამართლობაც არის ასტამურისა და კოჩიას ერთნაირი დასჯა. ბედისწერა შეიძლება იყოს ბრმა და უსამართლო, მაგრამ მწერლის პოზიცია არ უნდა ეთანხმებოდეს მას (ბედისწერას). აქ ლაბარაკია მოვლენისადმი სხვადასხვანაირი ემოციურ დამოკიდებულებაზე. გ. გეგეშიძე კი ცდილობს მკითხველს ერთნაირი დამოკიდებულება ჰქონდეს როგორც კოჩიას, ისე ასტამურის დაღუპვისადმი. ცდილობს დაახლოებით ისევე გაგვაოგნოს, როგორც მოთხრობის ფინალში გააოგნა უფროსი მეჯოგე.

„...როგორ შეიძლება, პატონი, ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ადგილას, ორი მანქანა გადავარდეს ზედიზედ?

— ვითომ რატომ?“ (გვ. 119).

იქნებ ეს შეიძლება. მაგრამ ნამდვილად არ შეიძლება ავკაცობაცა და კეთილკაცობაც თანაბრად და ერთნაირად დაისაჯოს. მაშინ ყველაფერი გაუფასურ-

დება. ადამიანის საქციელი ყოველგვარ ღირებულებას დაკარგავს. დაგვეკარგება კრიტერიუმები ერთმანეთისადმი დამოკიდებულებისა და მოვლენების აღქმისა. მაგრამ, საბედნიეროდ, ეს რომ შეუძლებელია, იცის ძველმა ავტორმაც და ახალმაც. ძველი გვასწავლის: „ყოველმან ხემან რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკუთნოს და ცეცხლსა დაედვას.“ ახალი გვეუბნება: „...ყველანი უნდა შევუთანხმდეთ ერთმანეთს, დავვხმართ ერთმანეთს და ვებრძოლოთ მხოლოდ იმას, რასაც საყოველთაო ბოროტება და სიკვდილი მოაქვს“.

მაშ რამ გამოიწვია შეცდომა? ხელოვნურობამ, რაც გაპირობებულია საპიელემენტით.

პირველი: გ. გეგეშიძემ ძველ სიბრძნეს („ნუ განიკითხავთ“, და „...რომლითა საწყაულითა მიუწყით, მოგვეყოს თქვენ“) დოგმატის მნიშვნელობა მიანიჭა. დოგმატებით აზროვნება კი მხატვრულ ლიტერატურაში შეუძლებელია.

მეორე: დოგმატის გასამართლებლად პერსონაჟების ურთიერთობა ორი ცოცხალი ადამიანის ურთიერთობად კი არ წარმოიდგინა, არამედ ორი აბსტრაქტული საწყისის — ავკაცობისა და კეთილკაცობის — პერსონიფიცირებულ ურთიერთდამოკიდებულებად. ამით პერსონაჟებს ფერ-ხორცი და სიცოცხლე დაეკარგათ. ისინი დოგმატის ილუსტრაციად იქცნენ.

მესამე: მოთხრობის ავტორისეული კონცეფცია მასში აღწერილი სინამდვილის ანალიზის შედეგად კი არ იბადება, არამედ წინასწარ მოფიქრებული სქემის საშუალებით ცდილობს მწერალი გაამართლოს დოგმატიცა და მისგან გამომდინარე საკუთარი აზრიც.

როგორც ცნობილია, ცხოვრების დოგმატებში ჩატევა არ ხერხდება. არ მოხერხდა ეს არც „ეშმაკის მოსახვევში“.



Handwritten signature or text in the top center of the page.

პეიკომ ანჯაუარიძე:

პრემას, შთაბრძნებული პრემას!

— თეატრის მომავლისათვის რა მნიშვნელობას ანიჭებთ ტრადიციას?

— ძალიან დიდ მნიშვნელობას. ჩვენი ხალხის ნიჭიერება თეატრშიც გამოვლინდა. ქართველმა მსახიობებმა დაგვიტოვეს შესანიშნავი ტრადიცია მსახიობის ოსტატობისა. ახალ თაობებს, რომლებმაც თეატრში მოიტანეს თანამედროვეობის ცოცხალი სული, მაღალი იდეები და ახალი ეპოქის მაჯისცემა — მაინცდამაინც დიდი ზრუნვა არ დასჭირვებიათ მსახიობის ოსტატობის შექმნისათვის.

თეატრი სინთეტური ხელოვნებაა: — „წარმოდგენა — დღესასწაული“... თეატრის უდიდესი დანიშნულებაა ახსნას ჩვენი დროის ადამიანების სულისკვეთება, უმღეროს ჰიმნი ადამიანის გონებას და მისცეს მას შთაბრძნება შემდგომი წინსვლისათვის. ყოველივე ეს კოტე მარჯანიშვილმა შემოიტანა ახალ ქართულ საბჭოთა თეატრში: უკვე შეიქმნა ამის ტრადიცია და იგი უნდა შერჩეს ქართულ თეატრს.

— ამჟამად ხშირად კამათობენ, როგორი უნდა იყოს თანამედროვე თეატრი. ვინ არის მისი მთავარი შემოქმედი — რეჟისორი თუ მსახიობი. როგორია თქვენი აზრი?

— ვფიქრობ, კარგი მსახიობის გარეშე თეატრი ვერ იცოცხლებს, ხოლო კარგი რეჟისორის გარეშე ვერ შეიქმნება მაღალი შემოქმედების თეატრი.

— რას იტყვით თეატრის კრიზისის შესახებ?

— მე მგონია, თეატრში კრიზისი არ არის. არის მრავალი სიძნელე და ერთგვარი უკანდახევა—თეატრი უკან მისდევს ცხოვრებას, უნდა იყოს პირიქით. მიზეზი მრავალია, ყველას ჩამოთვლას, რა თქმა უნდა, არ შეეუძლები; მაგრამ, ვფიქრობ, შენელდა პასუხისმგებლობის ვრძნობა. ესე იგი, თეატრის მაღალი დანიშნულება სადღაც მივიწყებულია. გარდა ამისა, თეატრი გზაჯვარედინზე დგას, იგი ეძიებს და ამ ძიებაში შემოქმედება ხშირად იკარგება. თავი იჩინა ერთგვარმა თვითკმაყოფილებამაც. წინა პლანზე წამოიწია პირადი „მე“, სცენას ავსებენ სუსტი ნაწარმოებები. რა თქმა უნდა, კარგიც არსებობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ნაკლებად. ვის დაეუმალო: დაიკარვა მომთხროვნელობა. ცოტა უკეთ, ცოტა უარესად — ამის გარჩევა აღარ არის. ცოტას ზრუნავენ პროფესიონალიზმზე. ეს ეხება როგორც შემოქმედებას, ისე სცენის ტექნიკას. მოიკოჭლებს სცენური

მეტყველება, მსახიობის ენერჯია იფანტება მრავალი საქმიანობით, ხოლო სცენა, სპექტაკლი მოითხოვს შემოქმედის მთელ ძალას, ენერჯიას, ფიქრს, სიცოცხლეს... კიდევ შეიძლება გაგრძელდეს ამაზე ლაპარაკი.

სცენა
ენერჯია
სიცოცხლე
განმარტობა

— ბოლო დროს თეატრს მოაკლდა მაცურებელი. რას თვლით ამის მიზეზად?

— ხალხი მაშინ დადის თეატრში, როცა სცენაზე მოქმედებენ დიდსულოვანი ადამიანები, რომლებიც იბრძვიან მაღალი იდეებისათვის და ამ ადამიანებს მსახიობები წარმოსახვენ მაღალი ოსტატობით. ასეთ სპექტაკლებს მუდამ ჰყავს მაცურებელი. მაგრამ თუ მაცურებელს არაფერი აღელვებს, თუ მის სულსა და გულს არ წვდება ის, რაზედაც მოგვითხრობს წარმოდგენა, იგი თეატრში აღარ მიდის.

— ბოლო დროს სპექტაკლში განსაკუთრებული სიძლიერით შეიჭრა ბალეტი, კინო, ხომ არ უშლის ეს ხელს თეატრს?

— კინო და ბალეტი დიდი ხნის წინათ შემოიჭრა თეატრალურ სპექტაკლებში, მარჯანიშვილს (ჯერ რუსეთში, შემდეგ — საქართველოში) ბევრ წარმოდგენაში ჰქონდა ეს ორივე ელემენტი. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ გამოიყენებ მათ. რაღა თქმა უნდა, მათი თვითმიზნურად გამოყენება, როცა ისინი თავისთავად არსებობენ, ცუდ შთაბეჭდილებას ქმნის და ზედმეტად გეჩვენება.

— წედან თქვენ ახსენეთ, რომ თეატრში შენელდა პროფესიონალიზმის გრძნობა, იქნებ უფრო ვრცლად გვესაუბროთ ამაზე.

— პროფესიონალიზმი თეატრალური მოღვაწისათვის ისევე აუცილებელია, როგორც ნიჭიერება. პროფესიონალიზმი შეიცავს რთულ კომპლექსს, მოკლედ ამ საკითხზე ლაპარაკი ძნელია. მსახიობისათვის მთავარია უაღრესი პასუხისმგებლობის გრძნობა. იგი მოითხოვს თავდადებას, მუდმივ ძიებას, ერთუზიანობას. არაპროფესიონალისათვის ასეთი რამ უცხოა. მაგრამ უფრო ვრცლად ამის შესახებ შეიძლება ცალკე ვისაუბროთ.

— რას მოითხოვთ თანამედროვე დრამატურგიისაგან?

— მეც იმას მოვითხოვ თანამედროვე დრამატურგიისაგან, რაც ხალხს სწყურია: პიესებს დიდ საზოგადოებრივ საკითხებზე. იმაზე, რაც ჩვენი ხალხისათვის ყველაზე უმნიშვნელოვანესია, მაგრამ შექმნილს ისეთი ემოციური ძალით და მაღალი პოეზიით, ღრმა აზროვნებით და უაღრესი სიმართლით, რომ მაცურებელი ჩააფიქროს, აღელვოს, გაახაროს, ... რომ მას დიდხანს გაჰყვეს ღრმა შთაბეჭდილება, უფრო შეიყვაროს ცხოვრება. თანამედროვეობის მწვავე საკითხებს მარტო თანამედროვე დრამატურგია არ ეხება. წარსულის დიდ ნაწარმოებებში ვხვდებით უაღრესად საინტერესო, ფილოსოფიურ და საკიბორტო პრობლემებს, მაგალითისათვის დავასახელებ ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, გორკის, ბრეხტის და სხვათა დიდებულ ნაწარმოებებს. მე არ ვასახელებ შექსპირს, რომელსაც ვთვლი ყველა დროის და ყველა ეპოქის თანამედროვე დრამატურგად.

— შეიმიჩნევა, რომ თანამედროვე პიესებში დაიკარგა მონოლოგი, როგორც გმირის ხასიათის გამომსახველი კლასიკური ფორმა. რას იტყვით ამის შესახებ?

— მონოლოგი სხვადასხვა ფორმით ელინდება. თანამედროვე პიესებში არის მონოლოგები, თუ გნებავთ მიხრობელის ან წამყვანის როლებში. ნუ მოგეჩვენებათ პარადოქსად — ბრეხტის „დედა კურაჟში“ მუნჯ ქალიშვილ კატარინას, ჩემის აზრით, არა ერთი მონოლოგი აქვს, თუმცა მთელი პიესის განმავლობაში არ ამბობს არც ერთ სიტყვას. შინაგანი განცდები, რომელიც გმირს აიძულებს იმოქმედოს — იგივე მონოლოგებია.

— რომელ რეჟისორს დასახელებთ, ვისთანაც გიზიდავთ მუშაობა?

— მე ვოცნებობ ისეთ რეჟისორზე, როგორიც იყო მარჯანიშვილი. მას ცოცხლზე მეტად უყვარდა თეატრი, სადაც ყოველდღე ფერფლავდა გულს. ყოველ ნაწარმოებს იგი ახალ სიცოცხლეს აძლევდა, თავისივე სუნთქვით გამთბარს, თავისივე სისხლით ავსილს. მარჯანიშვილი კვდებოდა მსახიობში, რათა ახლად დაბადებულიყო წარმოდგენაში. მასთან მუშაობა იყო განუზომელი ბედნიერება. მის შემდეგ მე შევხვდი თეატრში სამ რეჟისორს (არ ვგულისხმობ ოხლოპკოვს, ის რუსეთში მოღვაწეობს) ყუშიტაშვილს, ჩხარტიშვილს და ტაბლიაშვილს. ყოველ მათგანში ბევრი ისეთი ძვირფასი რამ იყო, რაც ამდღერება ჩემს შემოქმედებას.

— თუ თვლით ვინმეს თქვენს უპირველეს მსაჯულად?

— ჩემი ყველაზე მკაცრი მსაჯულები ჩემი შვილებია. არაფერს მაპატიებენ, თუ არ მოსწონთ.

— როგორ გაპყვეით თეატრის გზას?

— თეატრი ჩემს ცხოვრებაში თითქოს თავისთავად შემოიჭრა. ალბათ იმიტომ, რომ დედაჩემი მესხების ოჯახს ეკუთვნოდა და მესხები ხომ თეატრისა და ლიტერატურის მოღვაწენი იყვნენ. ჩემი ბებია კი მარჯანიშვილის შტოს ეკუთვნოდა. ასე რომ, რა არის გასაკვირველი, თუ მეც მათი ტრადიცია გავაგრძელე.

— მხატვრობა თუ გიყვართ და საერთოდ, რამდენად გეხმარებათ მხატვრობა მუშაობაში?

— მხატვრობა საოცრად მიყვარს. განწყობილებისათვის, შემოქმედებისათვის იგი იძლევა მძლავრ იმპულსს. მაღალი მხატვრული ნაწარმოები თითქოს დაუსრულებელი წყაროა, საიდანაც სვამ ნექტარს და ვერ კმაყოფილდები. სამწუხაროდ თავად მე ხატვის ნიჭი არ გამაჩნია.

— რომელია თქვენი საყვარელი როლები?

— მე მიძნელებდა დავასახელო ჩემი საყვარელი როლები. ხშირად ამბობენ მსახიობები — „ის როლი მიყვარს, რომელიც არ მითამაშვნიარ“. მეც მაქვს საყვარელი, განუხორციელებელი როლები — ჯულიეტა შექსპირის „რომეო და ჯულიეტაში“, ნორა — იბსენის „ნორაში“ და სხვა. მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ნათამაშვიდან არ მიყვარს რომელიმე. ძალიან მიყვარს ივლითი „ურთელ აკოსტიდან“, ეს იყო გენიალური სპექტაკლი კოტე მარჯანიშვილისა. მიყვარს ოფელია „ჰამლეტიდან“ — მარჯანიშვილს უყვარდა ჩემი ოფელია და უშანგი ჩხეიძე შესანიშნავი ჰამლეტი იყო. ჩემი საყვარელი როლია აგრეთვე კლეოპატრა, ალბათ იმიტომ, რომ ყველაზე მეტად მას შევალე ჩემი სული, გული და ენერჯია. მიყვარს ოთარაანთ ქვრივი — თითქოს რაღაც ნათესაურს ვგრძნობ მასში. მიყვარს მარგარიტა — დიუმას „მარგარიტა გოტიედან“. ამ როლმა მრავალი შემოქმედებითი სიხარული მომიტანა. მიყვარს ბებია — კასონას პიესიდან „ხეები ზეზეურად კვდებიან“ — ის ჩემი პირველი სახასიათო მოხუცებული ქალი იყო: სიცოცხლზე მეტად უყვარდა თავისი შვილიშვილი და მეც სიცოცხლზე მეტად მიყვარს ჩემი შვილიშვილები.

— რას გრძნობთ პრემიერის შემდეგ?

— პრემიერის შემდეგ ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს სულ დავიცალე. ძილი არ მეკარება, ათასჯერ გაივლის ტვინსა და გულში ჩემი გმირის, ამაჟამად უკვე მარტო ჩემი გმირის ფიქრები და განცდები. და სულ მაწვალებს, მოსვენებას არ მაძლევს. ვგრძნობ რაღაც დავაკელი, ვერ შევძელი, კიდევ ბევრი სჭირდება, რომ მივაღწიო ჩემი გმირის სრულყოფილებას.

— სამწუხაროდ, ჩვენში ნაკლებია მხატვრული კითხვის ტრადიცია, მხედველობაში მაქვს ლიტერატურული სადამოები, რომლებიც სასურველია უფრო ხშირად ეწყობოდეს ხოლმე. პირადად თქვენ თუ გიზიდავთ ეს ჟანრი.

— მხატვრული კითხვა განსხვავებული ხელოვნებაა. მას აქვს თავისი კანონები, ამიტომ ყველა მსახიობი ვერ იქნება კარგი წამკითხველი. მე ბევრჯერ მხატვრული მიყვარს, მინდა კიდევაც მათი წაკითხვა, მაგრამ იშვიათად ვკითხულობ. იმიტომ რომ, ეს ჩემთვის ძნელია: საერთოდ კი, რა თქმა უნდა, ძალიან კარგი იქნება, თუ მხატვრული კითხვის საღამოები ხშირად მოეწყობა. ეს აუცილებელიცაა.

— დღეს აღარ არის მკვეთრი განსხვავება ქართულ თეატრებს შორის. რას იტყვით ამაზე?

— ყოველი ნამდვილი შემოქმედი არის უაღრესად თავისებური, განუმეორებელი. ასევე, ყოველ თეატრს უნდა ჰქონდეს თავისი სრულიად განსხვავებული შემოქმედებითი სახე, და ასეც იყო! განა მარჯანიშვილისა და ახმეტელის თეატრები სხვადასხვაგვარ შემოქმედებით პრინციპებზე არ იყო აგებული, განა სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს თეატრი განსხვავებული არ იყო თაიროვის, მეიერჰოლდის ან ვახტანგოვის თეატრებისაგან? ყოველ მათგანს ჰქონდა თავისებური სახე, თავისებური ფერწერა. თუმცა ყველა თეატრის ფუძე იყო სოციალისტური რეალიზმი. ძალიან ცუდია, რომ ახლა თეატრებმა დაკარგეს ყველაზე ძვირფასი შემოქმედებისათვის — თავისებურება.

— როგორ გესახებათ თეატრის მომავალი?

— რაც შეეხება თეატრის მომავალს, როგორი იქნება იგი, ამაზე ზუსტი პასუხის გაცემა დღეს არავის შეუძლია. საჭიროა დრო. თეატრი ამჟამად ძიების პროცესშია. ახალმა ეპოქამ, ტექნიკის სწრაფმა განვითარებამ ახალი მოთხოვნები წაუყენა თეატრსაც. ამის მიზეზია ის განუწყვეტელი წინააღმდეგობებიც, რაც ამჟამად თეატრშია. ხელაღებით ლაპარაკი არ შეიძლება. მე პირადად უქმედ ჩვეთვლიდი ჩემს ცხოვრებას, რომ არ მჭეროდეს, არ მწამდეს თეატრის მომავალი.

— რა მიგაჩნიათ აუცილებელ პირობად მუშაობისათვის?

— თუ გჯერა, რომ თეატრი არის უდიდესი ფაქტორი ადამიანის სულიერ ცხოვრებაში (და მე ეს მჯერა), მაშინ ამ დიდი საქმისათვის არ დაიშურებ არაფერს, მთლიანად შესწირავ შენს თავს. თეატრი ხომ უფრო ხვალისდედს დღეს ემსახურება, ვიდრე დღევანდელს: მაშასადამე, უნდა განავითარო პერსპექტივის გრძნობა. ცხოვრება წინ მიდის, ყოველ დღეს მოაქვს რაღაც სიახლე, ადამიანებიც იცვლებიან. მაშასადამე, ყოველი დღე კარგად უნდა იცოდეს. კარგად იცნობდე ადამიანებს: მაშინ შეძლებ მათი ხასიათების, ფსიქიკის, აზროვნების შეცნობას. გული და ტვინი ხელოვანის აქსესუარი. გული უნდა იტყვდეს ბევრისადმი სიყვარულს; ხოლო ტვინს სჭირდება მუდმივი ტრენაჟი. არც მოდუნებას იტანს ხელოვნება, არც დამშვიდებას. ენთუზიაზმი, თავდადება და სიყვარული! დანარჩენი, რაც სჭირდება ჩვენს პროფესიას (და ბევრი რამ სჭირდება) ამის შედეგია.

— რას იტყვით ჩვენს თეატრალურ ახალგაზრდობაზე? რას ურჩევდით მას?

— თეატრში მოვიდა ნიჭიერი, საინტერესო ახალგაზრდობა. ეს უდაოა და მე ეს ძალიან მახარებს. მაგრამ მინდა შევეკითხო მათ, იციან თუ არა, რომ ისინი მემკვიდრენი არიან შესანიშნავი წარსულისა, რომ მათ დიდი საქმე აკისრიათ, და რომ ისინი მოვალენი არიან არამც თუ შეინარჩუნონ ქართული თეატრის ტრადიცია, არამედ მაღლა ასწიონ თეატრის შემოქმედება. ცხადია, თავისთავად ეს არ მოხდება, ამისათვის საჭიროა დაძაბული, დაუღალავი შრომა. მე მჯერა, რომ ისინი არ ვაგვიცრუებენ იმედებს და რომ ჩვენი თეატრების მომავალი საიმედო ხელშია. ამიტომაც მინდა ვუთხრა მათ: ხალხი თეატრისაგან მოითხოვს მართალ სიტყვას, ამაღლებულს, პოეტურს, მძლავრსა და ზეშთაგონებულს. იმისათვის, რომ ეს საპასუხისმგებლო ამოცანა შეასრულოს, მსახიობს მოეთხოვება

უდიდესი შრომა. ხშირად გამიგონია, მთავარია მსახიობს ჰქონდეს ნიჭი, სცენისადმი მიდრეკილება, ნიჭი სწყვეტს მსახიობის ბედსო. არ არის ეს მართალი, მინახავს ნიჭიერი მსახიობი, მაგრამ იგი საშუალო დონეს არ გასცილებია. იოლი გზით არასოდეს ღირსშესანიშნავი რამ არ შექმნილა. იოლი გზით ვერსად წახვალ. ჰემშარიტი შემოქმედის გზა ძნელი და რთულია. საოცარია მსახიობის ცხოვრება. ახალგაზრდობისას სცენაზე მუშაობა თითქოს არც ისე ძნელია, ბევრ ნაკლს ახალგაზრდული მომხიბვლელობა ჰფარავს, მაგრამ სულ მალე რწმუნდები, რომ ეს არ კმარა. წლებს წლები ემატება და მსახიობის პროფესია უფრო რთული და ძნელი ხდება. იგი მოითხოვს დიდ ცოდნას, ყოველდღიურ წვრთნას, დაუღალავ ფიქრს, მთელი არსების დაძაბვას, უდიდეს შრომას, რაც უფრო მეტად ეუფლები მსახიობის ოსტატობას, მით უფრო მეტ ცოდნას იძენ, უფრო მეტად გრძნობ ცოდნის უსაზღვრობას. ამაშია მსახიობის პროფესიის სპეციფიურობა.

ორმოცდახუთი წელია თეატრში ვმუშაობ, სცენაზე მოგზუცდი და ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მრავალი რამ დამრჩა აუხსნელი და ერთი სიცოცხლე არ მეყო, რომ ბოლომდე ჩავეწვდომოდი თეატრის რთულ მოთხოვნილებებს. ჩემი სცენური ცხოვრების მანძილზე ასამდე როლი ვითამაშე. ეს ნიშნავს ასი სხვადასხვა ერის, რჯულის, ეპოქის, ბედისა და ხასიათის ადამიანს. და ყოველ მათგანს უნდა ახლოს გაეცნო, შეიყვარო, შეისისხლხორცო.

ვითამაშე ვაჟა-ფშაველას გმირი. ეს გმირი რომ ითამაშო, საკმარისი როლია გაეცნო ვაჟას თხზულებებს. საჭიროა ამოხსნა ვაჟა-ფშაველას სამყარო, მიაკვლიო მის ფიქრებს. ამ ბუმბერაზი მწერლის მსოფლმხედველობა ნათელი უნდა იყოს შენთვის. სხვანაირად არ შეიძლება, ვერ მიაგნებ მის ქვეტექსტებს, ვერ მისწვდები მის ღრმა განცდებს.

შექსპირის დრამატურგიიდან ოთხი როლი ვითამაშე. მაშასადამე მის დრამატურგიას კარგად უნდა ვიცნობდე. არა მარტო პიესების შინაარსს, არამედ მათ აგებულებას, ტექნიკას. შექსპირი ხომ გენიალური დრამატურგია. მან საოცრად იცოდა თეატრი, სცენა. გარდა ამისა, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა გაეცნო იმ ქვეყანას, იმ ერის ისტორიას, რომელსაც ეკუთვნის შენი გმირი. კლეოპატრას განსახიერების დროს აუცილებელი შეიქმნა შორეული ეგვიპტისა და რომის ისტორიის მასალების გაცნობა და შესწავლა. შენ უნდა გააცოცხლო ეგვიპტელი დედოფალი, უნდა აამოძრაო ის. უნდა იგრძნო რა მიზნები ამოქმედებდა, რა სურვილებით იყო გამსჭვალული. შეიძლება სულ დაამახინჯო სახე, თუ კარგად არ გაეცნობი მის ბუნებას. მაგრამ ეს არ კმარა, ის შენად უნდა გახადო, მასა და შენს შორის აღარ უნდა იყოს მანძილი. იგი თავდავიწყებამდე უნდა შეიყვარო. მარტო გუმანიტა და ალლოთი ეს არ ხერხდება, მეგობრებო. ამას ჰქირდება დიდი, შთაგონებული შრომა.

მასხოვს შილერის „მარიამ სტიუარტზე“ მუშაობა. მარიამის როლს ვასრულებდი. ცუდ დღეში ჩავვარდი: ისტორიული მასალა სულ სხვანაირად აშუქებდა მარიამის სახეს, შილერი — სხვანაირად. მე არ მინდა დავცილდე შილერს, მაგრამ მიხდა ვიცოდე ყველაფერი მარიამზე, რათა ვიპოვო სიმართლე. აგერ კიდევ ესპანელი ბებია—პიესიდან „ხეები ზეზეურად კვდებიან“. მასაც აქვს თავისი ერის თვისებები, ხასიათი. ამ სახესაც ხომ სჭირდება კონკრეტულობიდან განზოგადებამდე მიყვანა. ეცნობი ესპანურ ლიტერატურას, ადამიანების შინაგან სამყაროს, მათ გარეგან გამოსახულებას და სხვა. რომელი ერთი გაიამბოთ. ერთი სიტყვით, უდიდესი შრომის გარეშე ვერ გახდები მსახიობი — შემოქმედი. რამდენი უძილო ღამე და მშფოთვარე დღე მოსდევს თითოეული როლის შექმნას. ჩვენ არ გამოგვადგება არც მარტო აზროვნება, არც მარტო გრძნობა. ორივე

ერთად უნდა იყოს შერწყმული. თუ შენ არ გიყვარს შენი ქვეყანა, შენი ადამიანები, შენი დღეები, შენი აწმყო, თუ შენ ადამიანებს არ გაუხსნი მთელს გულს, ვერასოდეს ვერ იქნები კარგი მსახიობი. მე პირადად ყოველი წარმოდგენა ძვირად მიღირს, იმიტომ რომ თავის დაზოგვა სცენაზე არ შეიძლება. თქვენც ხომ კარგად ხედავთ, როცა მსახიობი ნახევარი გრძნობით, ნახევარი ტემპერამენტით, ნახევარი ენერჯით თამაშობს, მაშინ ვერ თანაუგრძნობთ მას, გულგრილად უცქერთ მისი გმირის თავგადასავალს.

იმის მაგალითიც მინდა გავიხსენო, თუ რაოდენ ენერჯიას ხარჯავს მსახიობი სცენაზე. მარგარიტა გოტიეს ვთამაშობდი. წარმოდგენის შემდეგ ჩემთან შემოვიდა ერთი ლენინგრადელი მოქალაქე, პროფესიით ფსიქოლოგი. მან მკითხა, რამდენი გაკლდებათ წონაში ამ როლის თამაშის დროსო. მე გამიკვირდა. არასოდეს არ მიფიქრია ამაზე. მთხოვა უფლება, ავეწონე სპექტაკლის დაწყებისა და დამთავრების შემდეგ. გამოირკვა, რომ როლის თამაშის მანძილზე წონაში ერთ კილოგრამს ვკარგავდი. განა ეს არ მოწმობს იმას, რომ ჩვენი პროფესია ძნელი საქმეა? მახსოვს, „ოთარაანთ ქვრივის“ გადაღება მიმდინარეობდა. იღებდნენ გიორგის გამოსვენებას. თუ სცენაზე შორს ხარ მაყურებლიდან, შეიძლება მაყურებელს გამოეპაროს ზოგი წვრილმანი, თუნდაც შენი სახის მოძრაობა ან თვალების გამომეტყველება (თუმცა სცენაზეც ყველაფერი ჩანს), ეკრანისათვის დაფარული არაფერია. იქ მსხვილი პლანი არსებობს, რომელიც აწიშვლებს ყველაფერს, ყოველი ნაკვთი სახისა ნათლად ჩანს. და თუ გულის სიღრმემდე არ ხარ მართალი, შენი განცდისა არავის სჯერა. ჩემთვის ეს სცენა ძალიან ძნელი იყო. მე უნდა მთელი არსებით მეგრძნო შვილის დაკარგვა, ტანჯვა დედისა. დღის თორმეტ საათზე დაიწყო გადაღება, მე ვიპოვე განწყობილება. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ჩემი გული სისხლისაგან დაიცალა. ფიზიკურ ტკივილსაც კი ვგრძნობდი. ასე მეგონა, დიდხანს რომ გაგრძელდეს, ვერ გავუძლებ-მეთქი. დაიწყო თუ არა გადაღება, მზე ღრუბლებს მოეფარა და მზე ხომ ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია კინო-გადაღებისათვის. გადაღება შეჩერდა. უამრავი ხალხი მონაწილეობდა გადაღებაში. ყველა დაიშალა. ატყდა ყრია-მული. აგერ გაიშალა პატარა სუფრა, წამოიწყეს სიმღერა. მე ვაჟკეავდი იმ ადგილას, სადაც ვიდექი. განძრევის მეშინოდა, რომ ასე ძნელად ნაპოვნი განწყობილება არ დამეკარგა, არ გამეფანტა. მხოლოდ საღამოს ზუთ საათზე მოხერხდა ამ სცენის გადაღება. განა შემიძლია ავისხნათ, თუ რა ძვირად დამიჯდა ეს საათები. რა ჰქვიან ამას, თუ არა უდიდესი შრომა!

ძვირფასო მეგობრებო! შექმნა ყოველთვის ძნელია. ადამიანი ხომ იმიტომ მოვიდა ამქვეყნად, რომ თავისი მოვალეობა შეასრულოს, რაიმე შეჰმატოს მშობლიური ხალხის საგანძურს. მაშინ შეუძლია თქვას მან, რომ უქმად არ გაატარა თავისი სიცოცხლე და დასტოვა კვალი ხალხის ისტორიაში.



ის მხოლოდ კოეზიით ცოცხლობდა

ჭავჭავაძის დაღმართზე ჩამოვდიოდი. (ძველ ამბავს ვყვები). წინ ერთი ახალგაზრდა კაცი შემეფეთა და გამაჩერა.

სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა იყო. უკან გადავარცხნილი ხშირი წაბლისფერი თმა ძლიერ უხდებოდა მის მეტიმეტად სანდომიან პირისახეს და ფართო შუბლს. ზომიერად მაღალი, ზომიერად ფართო მხარბეჭი... ეცვა ლურჯი სატინის ხალათი, ფართო ქაშკაშით შემოსალტული. იაფფასიანი ქსოვილისაგან შეკერილი შარვალი და თეთრი რაგოჯის ტუფლები...

გამაჩერა და მკითხა:

— მე მიცნობთ?

— თქვენ ვინ არ გიცნობთ! — ვუპასუხე მცირე სიჩუმის შემდეგ. ახალგაზრდამ გაიღიმა. საოცარი ღიმილი იყო. ის სევდას უფრო გამოხატავდა, ვიდრე იმ ვრძნობას, რომელიც საერთოდ ღიმილს იწვევს ხოლმე.

მართლაც ვინ არ იცნობდა მას! ვის არ უნახავს იგი თბილისის ქუჩებში. აედევნებოდა სამგლოვიარო პროცესიას, მიჰყვებოდა სულ უკან სხვა გამცილებელთაგან ოციოდე ნაბიჯის დაშორებით. მიჰყვებოდა განმარტოებით, მკერდზე ხელეზდაკრეფილი და დაღონე-

ბული, თითქოს მიცვალებული, რომელსაც სამარადისო განსასვენებლისაკენ მისაცემდნენ, მისი ახლობელი ყოფილიყო. მას შეეძლო ასე გაეცილებინა დღეში თუნდაც რამდენიმე ასეთი სამგლოვიარო პროცესია. თუკი სადმე წააწყდებოდა, უთუოდ ბოლომდე გაჰყვებოდა, დადგებოდა უკვე მიწით ამოვსებულ მიტოვებულ სამარესთან, ჩასცქეროდა მიწას და იტანჯებოდა.

ის იყო ნამდვილად ქუჩის შვილი. სადაც დაუღამდებოდა, იქვე გაუთენდებოდა. არსად არ მსახურობდა, არასოდეს ფული არ ჰქონდა. დილით არ იცოდა ისადილებდა თუ არა, შუადღისას არ იცოდა სად მოუხდებოდა ღამის გათევა.

თუ ფული ჩაუფარდებოდა ხელში, ოღნავ შეზარხოშდებოდა. ყოფილ ზემელთან, სადაც ახლა რუსთაველის ძეგლია აღმართული, ეტლს დაიჭირავენდა და უბრძანებდა მეეტლეს: გარეკეო. მიუახლოვდებოდა თუ არა ეტლი იმ ადგილს, სადაც ახლა წიგნის მაღაზიაა (ოპერის თეატრის პირდაპირ), ფეხზე წამოდგებოდა და მაღალი ხმით გადასახებდა იმ შეკრებილ პოეტებს: — მე ვასლავართ ტერენტი გრანელი!

ეს უბრალო და უწყინარი გამოხდომა

თითქოს არც უნდა წყენოდათ პოეტებს, მაგრამ (მე ეს მაშინაც მიკვირდა) ისინი მუშტებს მოუღერებდნენ ზოლმე გაქანებულ ეტლში მდგომ ახალგაზრდას და მიაყოლებდნენ:

— უყურეთ ამ თავხედს!

— რამდენს ბედავს!

— ვასალახავია...

მაშ ასე, ტერენტი გრანელი.

— რაო?! — შეშფოთდება რომელიმე კრიტიკოსი. როგორ თუ ტერენტი გრანელი! ის ხომ სიკვდილის მომღერალი იყო, დაცემულობის აპოლოგეტი, გამოუსწორებელი პესიმიტი... რა იდეური საზრდო უნდა მისცეს მან ჩვენს ახალგაზრდობას... მაგრამ შემძლია დავამშვიდო კრიტიკოსი. ტერენტი გრანელს თავის სიცოცხლეშიც კი, როცა ის არაჩვეულებრივად პოპულარული იყო როგორც პიროვნება და როგორც პოეტი, არ ჰყოლია მიმდევარი. მისი პესიმიზმი, დაცემულობის პოეზია არავის გადაედო, თუმცა ახალგაზრდობა ხარბად კითხულობდა მის ლექსებს, რომლებიც გამოირჩეოდნენ საბჭოთა საქართველოს პირველი წლების პროლეტარული პოეზიისაგან, სიმბოლიზმისაგან, ფუტუროზმისაგან თავისი საოცარი განდგომილობით, სიცოცხლის უარყოფით, ცრემლებითა და გლოვით. ტერენტი გრანელის პოეზიის თემა ფრიად ერთფეროვანი იყო: ცრემლი, გოდება, მარადიული მწუხარება.

ის არასოდეს დალატობდა ამ ერთფეროვნებას. შეიძლება სწორედ ამ დაუინებულ ერთფეროვნებაშია მისი ორიგინალობა.

ამასწინათ გამოვიდა ტერენტი გრანელის ლექსთა კრებული. ნურც ეს შეაშინებს კრიტიკოსს. კრებული მართალია გაიყიდა, მაგრამ მძიმედ, დროთა განმავლობაში. რიგში იდგომით არავინ დაღლილა.

მაგრამ სიტყვა ვამიგრძელდა. დავბრუნდეთ ქავკავაძის დაღმართზე, სადაც ტერენტი გრანელი შემხვდა.

— საიდან მიცნობთ? — მკითხა მან

და წინასწარვე იცოდა, რასაც ვუპასუხებდი:

— თქვენ ხომ პოეტი ტერენტი გრანელი ხართ!

— მაშ ახლა ერთი მანეთი მასესხე. — თქვა მან.

დაუყოვნებლოდ ამოვიღე ჯიბიდან ოთხად დაკეცილი მანეთიანი და გავუწოდე.

— ო, შენ გეტყობა ამის მეტი არა გაქვს.

— აიღეთ, მე არ მჭირდება.

— არა, არ ავიღებ. წამოდით ჩემთან, ფულს ახლავ ვიშოვი.

რუსთაველის პროსპექტზე, ერთ დაბაში, ვაზეთ „კომუნისტის“ გამომცემლობა იყო მოთავსებული. ტერენტი სალაროს მიადგა.

— ეურნალ „ჩირადღანში“, — მიმართა მან მოლარეს, — ზაქარია ჭიჭინაძეს ჰონორარი ივრგება. აბა ნახეთ რამდენია?

მოლარემ ქაღალდები გადაშალა და ხუთმეტი მანეთია გამოწერილიო, თქვა.

— მე ვამომგზავნა ჰონორარის მისაღებად.

— ინებეთ! — უთხრა მოლარემ, ფული გადაუთვალა და ნუსხაზე ხელი მოაწერინა.

„მივიღე გადასაცემად“. დაწერა ტერენტი. გამოსვლას რომ ვაპირებდით, ზაქარია ჭიჭინაძე შემოგვეფეთა. მონუსე შუბლზე ოფლი გადასდიოდა.

— რა ჰქენი! მოასწარი ხომ ჩემი ჰონორარის აღება! ახ, შე მუჩუჩო, შე მაწანწალავ, შენა! არა, როდემდის გინდა ასე მძარცვო!

ტერენტი ხარხარებდა, ეხვეოდა მონუსეს.

— მომშორდი, შე მუჩუჩო, მუჩუჩო! (ახლაც არ ვიცი რას ნიშნავს „მუჩუჩო.“) სალაროდან თავი გამოკყო მოლარემ.

— ბატონო ზაქარია, არ უნდა მიგვეცა?

— მაგას როდი ვამბობ. როგორ არ უნდა მიგვეცათ. მაშ შიმშილით ხომ არ უნდა ამოძვრეს სული ამ გაიძვრას. მაგრამ როდემდის! — მერე ტერენტის

მიუბრუნდა, — როდემდის, შე სასაფ-
ლაოების ყეინო, შე მუჩუჩო!

ტერენტი ისევ იცინოდა. ადვილი მი-
სახვედრი იყო, რომ ესენი ახლო მეგობ-
რები იყვნენ და თუმცა ზაქარია ლანძ-
ღავდა და ემუქრებოდა ტერენტის, მო-
ხუცის ამ მრისხანებაშიც იგრძნობოდა
დიდი სითბო და სიყვარული ახალგაზრ-
და პოეტისადმი.

მაღე ზაქარია დამშვიდდა და როცა
ქუჩაში გამოვედით, საქმიანი კილოთი
ჰკითხა ტერენტი გრანელს:

— რამდენი აილე?

— თხუთმეტი მანეთი. იღბალი გქონია
რომ დამიჭირე. აჰა, ათი შენ, მე ხუთიც
მეყოფა.

— მოიტა, მოიტა. ყვავეს რომ კაკა-
ლი გაავდებინო, ისიც ხეირია. — თქვა
ზაქარიამ და ფული გამოართვა, შემდეგ
მე მკითხა: შენ სწავლობ, შეილო?

— დიახ, საშუალო სასწავლებელს
ვაშთავრებ.

— ამასთან რა საერთო გაქვს? ამას არა-
ფერში მიბაძო, ნიჭიერია, მაგრამ ცუდ
გზაზე დგას... შენზე ვლაპარაკობ, შენზე,
სად ეშმაკისკენ იქირები, — გაუჭავრ-
და ზაქარია ტერენტის, — მე გირჩევ
კალამი სწორად იხმარო. ცრემლებში ნუ
ჭყუშპალაობ, ეს არ ახალია, ძველია.
ერთი კარგი რამეც თქვი, ასე სულით
რამ დაგაბერა ოცდარვა წლის ჰაბუკი!
წუხელ შენი ერთი ნაჯღაბნი წავიკითხე,
ის რალამ დაგაწერინა, შე უსინდისო:
მთელი ღამე ვშფოთავდი, სულ სასაფ-
ლაოები და სიკვდილი მეჩვენებოდა.
ახლა მომცილდი. შენთვის არ მცალია.
დაიცა. გაზეთ „მუშაში“ რალაც გროშე-
ბი მერვება, იმისი ალებაც ხომ არ მო-
მასწარი.

— ეგ როდი ვიცოდი! — თითქოს სი-
ნანულით უპასუხა ტერენტომ.

— ესეც ხეირია! — გაუღიმა ზაქა-
რიამ და გაგვშორდა.

— ხომ იცნობ ვინც არის? — მკითხა
ტერენტომ. — ცნობილი მწიგნობარი. და
ისტორიკოსია.

ამის შემდეგ ძალიან დამიშვიდებოდა.
ჩემგან დაფარული არაფერი ჰქონდა,

მანდობდა თავისი სულისა და გულს
საიდუმლოს. ბუნებით მეტად ამყინდა
ვის მატერიალურ გაჭირვებას არავის
შესჩივლებდა, მე კი ამასაც არ მიმა-
ლავდა. მდიდრისაგან დახმარებას არ
მიიღებდა, მასავით არას მქონეს კი შე-
მომჩივლებდა:

— ისევ მომშვივდა, თფუი, რა საძაფ-
ლობაა!

მწერალი ნიკა აგაშვილი თავის
ცოცხლად დაწერილ წიგნში „ჰაბუკები
დარჩნენ მარად“ იგონებს: „ტერენტი
გრანელს ვხვდებოდი „ახალგაზრდა კო-
მუნისტის“ რედაქციაში, სადაც ის მო-
დიოდა ხოლმე გენო ქელბაქიანთან, რო-
მელიც მას დიდ დახმარებას უწევდაო...“
ეს „დიდი“ დახმარება გამოიხატებოდა
ფრიად მკირეში: საკუთარ ლექმას ვუ-
ნაწილებდი მეგობარ პოეტს (სხვა არა-
ფერი გამაჩნდა).

ის პოეზიით ცხოვრობდა, მხოლოდ
პოეზიით. ისე არ გაიგოთ, თითქოს ცხოვ-
რობდა ლექსებში აღებულნი ჰონორა-
რით. მისი შემოსავალი პოეზიიდან კა-
პიკებს უდრიდა. გამოვიდოდა დილა-
ადრიანად, ეძებდა ყურნალ-გაზეთებს,
კითხულობდა ლექსებს (მხოლოდ ლექ-
სებს, პროზა სრულიად არ აინტერესებ-
და).

— „რა უნიჭობაა, რა სისულელეა“, —
ამბობდა იგი და უხაროდა, რომ ეს
უნიჭობა ეკუთვნოდა სხვებს და არა
მას...

კარგი ლექსები, მოხდენილი მხატვ-
რული შედარებები კი თითქოს აღონებ-
და.

ერთხელ გადმომცა რომელიღაც ყურ-
ნალი თუ გაზეთი, სადაც დაბეჭდილი
იყო ერთ-ერთი ახალგაზრდა პროლეტა-
რული პოეტის ლექსი.

— აი წაიკითხე, რა დაუწერია, —
მითხრა ტერენტომ, — მე არ მკერა რომ
ეს სტრიქონები მაგისი იყოს. ან შემთხ-
ვევით წამოსცდა, ან სადმე ამოიკითხა.

აღარ მაგონდება ის ლექსი მთლიანად,
მაგრამ მასხოვს სტრიქონები, ასე იწყე-
ბოდა ის ლექსი:

როცა ქარია ცაზე მონადირე,
ნისლის სავარძლებში სხედან მნათობები...

— „ნისლის სავარძლებში სხედან მნათობები! — გაიმეორა ტერენტიმ, — აბა წარმოიდგინე: ღრუბლები მაღალ ცაზე, მთვარე ამაყად მიეჭანება სადღაც უსასრულობისაკენ, ხოლო ვარსკვლავები იჭყიტებიან ღრუბლიდან, თითქოსდა მართლაც სავარძლებში ისხდნენ.

— კარგია, — ცთქვი მე.

— მერე ამის თქმა შეეძლო ასეთ პოეტს?

ეს ისე დადონებით და გულწრფელად თქვა, რომ სიცილი ვეღარ შევიკავე.

...დილის 8 საათიც არ იქნებოდა, ტერენტის „ბინაზე“ ვეწვიე. ეს ბინა იყო ყოფილ რეჟუტოვის (ახლა მერკვილადის) ქუჩაზე, ორსართულიანი სახლის შესასვლელში, კიბის ქვეშ.

კიბის ქვეშ მისი ცხოვრება ნურავის გაუყვირდება — მას ღამე ეკლესიის სამრეკლოზეც კი გაუთევია.

ტერენტი შინ არ დამიხვდა. ის იყო წასვლა დავაპირე, რომ ისიც შემოვიდა ახალი ჟურნალ-გაზეთებით ხელში.

— აბა, წაიკითხე! — და ხელში შემომაჩეჩა ერთ-ერთი ჟურნალი, — ამის დამწერი იტყოდა „ნისლის სავარძლებში სხედან მნათობები“?

დავხედე. ისევ იმავე პოეტის ლექსს მთავაზობდა წასაკითხად.

— რა მოგივიდა, — ვუსაყვედურე მე, — რას ჩააცივდი!

— ჯერ წაიკითხე და მერე მელაპარაკე.

ვკითხულობ ჩუმად, ჩემთვის.

— ხმამაღლა წაიკითხე!

ვკითხულობ ხმამაღლა:

„მორბის ცხოვრება, როგორც მერძევე“...

— მორბის, როგორც მერძევე! — გადაიხარხარა ტერენტიმ, ვერაფრით ეს ხარხარი ვერ შეიკავა, სულ სიცილის ცრემლები ჰყარა.

— დამაცა, წაივითხო.

— აღარ გინდა წაივითხვა. — ხარხა-

რით მეუბნება ტერენტი. — უჰ! მოვკვდი სიცილით... მორბის როგორც მერძევე!...
გინგლიძის

— რა არის აქ სასაცილო?

ასეთ შეკითხვას არ მოელოდა. უეცრად სერიოზული სახე მიიღო.

— როგორ რა არის სასაცილო! — იყვირა მან, — როგორ შეიძლება ცხოვრება მორბოდეს როგორც მერძევე. ვის უნახავს გაქცეული მერძევე! პირიქით, იგი ძლივს მიბაჯბაჯებს, რადგან რძით სასეე ჭურჭელი ჰკიდია მხრებზე.

— მე არ მომწონს ეს შედარება, — ცთქვი მე, — მაგრამ ავტორი ისეთ მერძევეს არ გულისხმობს, შენ რომ ახლა აღწერე.

— მაშ როგორს გულისხმობს?

იმ ხანებში თბილისში კოოპერატივი რძეს მოსახლეობაში ასაღებდა მეტად სასაცილო ფორმით. ორთვალა ურემში შებმული იყო ცხენი, ურემზე დამაგრებულ რძის უზარმაზარ ბაქს კი ეწერა: „რძე“. ურემის კოფოზე, ხან თვითონ ცხენზე იჯდა ხელში ბუქმომარჯვებული „მერძევე“. შემოპკრავდა იგი ცხენს მათრახს, გაქანდებოდა ცხენი, მერძევე ბუქს ჩაჰბერავდა, რკინის ბორბლები ხტუნავდნენ რუსთაველის პროსპექტზე გაფენილ ოთხკუთხა ქვებზე... ყოყინით, ბუქისა და ნაღარის ცემით მოაჭენებდა მერძევე ურიკაში შებმულ ცხენს. ეს იყო კომიკური სანახაობა.

ტერენტის ყოველთვის როდი უხაროდა, როცა რომელიმე ლექსი არ მოეწონებოდა... განთქმული მომღერლის ვანო სარაჯიშვილის ხსოვნას ბევრმა პოეტმა მიუძღვნა ლექსი. ტერენტის არც ერთი მათგანი არ მოეწონა. იგი აღშფოთებული იყო იმის გამო, რომ თითქმის ყველა პოეტმა ვანო სარაჯიშვილი ბულბულს, შაშვს, იადონს შეადარა.

სალამო ხანი იყო. ტერენტის ხელში ეჭირა გაზეთი, რომელშიც დაბეჭდილი იყო ვანო სარაჯიშვილისადმი მიძღვნილი ლექსები, მათ შორის გიორგი ქუჩიშვილის ლექსიც. უნდა ითქვას, რომ გი-



ორგი ქუჩიშვილს ტერენტი დიდ პატივ-სა სცემდა, მისი რიდი ჰქონდა, მასთან საუბარი მუდამ უხაროდა.

ახლა კი ძლიერ აღშფოთებული შემხვდა. გიორგი ქუჩიშვილის მშვენიერი ლექსი არ მოსწონებოდა.

— ასეთი ლექსებით ვანო სარაჯიშვილის შემოკობა?! — ამბობდა გაბრაზებული ტერენტი. — ტრაფარეტად, საზიზღარ შტამპად ქცეული შედარება, — ვანო — ბულბული! ვანო — იაღონი, შაშვი, თფუი! ამას გიორგის აუცილებლად ვეტყვი, არ მოვერიდები.

აი სტრიქონები სხვადასხვა ავტორების ლექსებიდან, რომლებიც ვანო სარაჯიშვილის ხსოვნას მიეძღვნა:

- „შენ საქართველოს შაშვი — ბულბული“.
- „შენ იყავი იაღონი და ბულბული მგალობელი“.
- „ვინდა გვასმინოს ბულბულის ხმები“.
- „შაშვი, ბულბული, იაღონო — სარაჯიშვილო“...

გიორგი ქუჩიშვილის ლექსი ასე იწყებოდა:

„საქართველოს მინდორ-ველებს ბულბული ჰყავთ მკვდარი“...

მშვენიერი ლექსია, მაგრამ რაკი ამ ლექსშიც ვანო სარაჯიშვილი შედარებული იყო ბულბულთან, ტერენტის არ მოეწონა. სწორედ იმ დროს დავინახეთ ჩვენკენ მომავალი გიორგი ქუჩიშვილი. შეზარხოშებული კი იყო, ოღონდ არც ისე, მას რომ უყვარდა.

გიორგი ქუჩიშვილი ჩემი საყვარელი პოეტი იყო. ჯერ კიდევ სკოლაში შევიყვარეთ მოსწავლეებმა. მისი რომელი ლექსი არ ვიცოდი ზეპირად!

აი მოგვიახლოვდა. მოგვესალმა. ტერენტი მოღრუბლული შეხვდა.

— რა ცხვირპირი ჩამოგტირის შენი ლექსებივით! — უთხრა გიორგიმ.

- გაჯავრებული ვარ შენზე..
- ადგილმამული არ ამიწერო.
- ვანო სარაჯიშვილს ჩიტს ადარებ!
- რას მიედ-მოედები! — გაცეცხლდა გიორგი.

— რა არის ეს: „ბულბული ჰყავს

მკვდარი!“ — ხმამაღლა შეესიტყვა ტერენტი გრანელი. — მაშ ჩვენც ვინაა ბულს ვასაფლავებთ? შაშვს, ბელურას. იაღონს!

— ბელურა და შაშვი რა შუაშია, შე მამაძაღლო! — იყვირა გაცეცხლებულმა გიორგიმ და ტერენტისაკენ წაიწია, — ხომ არ გინდა ერთი წამოგარტყა!

ტერენტისათვის „წამორტყმა“ არც ასე უხიფათო საქმე იყო. მაშინვე სამაგად მიიღებდა პასუხს, მაგრამ გიორგი ქუჩიშვილს კიდევ რომ ეკადრებინა, არა მგონია ტერენტის სამაგიერო მიეზღო. როგორც ზევით აღვნიშნე, მას უყვარდა გიორგი. არა, ის კი არ იფიქროთ, თითქოს, როგორც პოეტს თავისთავზე მალდა აყენებდა! თავისთავზე უფრო დიდი პოეტი მას არ ეგულებოდა. მხოლოდ გალაკტიონ ტაბიძეს თვლიდა თავის მეტოქედ, სხვას არავის.

ვინაიდან ეს შეჯახება ქუჩაში ხდებოდა (სამხატვრო გალერეის წინ), გამვლელებმა ყურადღება მოგვაქციეს. მე ვურჩიე მოჩხუბრებს ბალში შესულიყენენ.

კამათი ბალშიც გაგრძელდა. შემდეგ ტერენტი შებრუნდა და, ასე ვთქვათ, დემონსტრატულად დატოვა უმიზეზოდ შეურაცხყოფილი პოეტი.

მეც დავაპირე წასვლა, მაგრამ გიორგიმ მომაყვირა:

— შენ მოდი აქ! ნახე რა შეურაცხყოფა მომაყენა მაგ კინტომ! რა ლექსი გამიღანძღა! რას იტყვი შენ ამაზე..

საგონებელში ჩავვარდი. გამოჩენილი პოეტი დგას ჩემს წინ და მეკითხება შენ რა აზრისა ხარო. მერე რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩემს აზრს.

— ბატონო გიორგი, — გავუბედე მე, — თქვენ ნუ ღელავთ. განა ტერენტი გრანელს თქვენი ლექსი არ მოეწონა! მაგრამ ამ ოხერმა ბულბულმა გააფუჭა საქმე.

— ბულბული რა შუაშია, შე ლაწირაკო! — მიყვირა გიორგიმ.

— რატომ, ბატონო!

შევშინდი — ტერენტი გრანელის

ჯავრი ჩემზე არ იყაროს-მეთქი, მაგრამ საქმე მშვიდობიანად გათავდა.

— წადი, წადი, ბიძიკო. — მითხრა მან მშვიდად, — არაფერი გეწყინოს. იმ კინტოს კი აუცილებლად გავლახავ... ამ დღეებში... ასე გადაეცო.

სანამ ეს შემთხვევა მოხდებოდა, ტერენტიმ გადმომცა წიგნო, სადაც სხვადასხვა პოეტის ლექსები იყო მოთავსებული. ამ ლექსების უმრავლესობა პოეტთა უფროს თაობას ეკუთვნოდა.

ტერენტის ხაზი ვაგსვა მათს ლექსებში უხეირო რითმებისათვის.

აი იმ რითმების ნაწილი:

სახლი — ძაღლი,

ფაშვი — შაშვი, გამოშვი,

კრილოსანი — მანდილოსანი.

ყური — პური, პანდური.

შანთებად — გველებად, აბრაგებად.

ბუხარი — ბუ, ხარი,

შაშვივით — ბარტყვით, ლენტვივით,

შემომჩვევია — ჩემი ეჭვი, და სხვადასხვა.

ო, როგორ ბავშვივით, გულწრფელად ხარხარებდა ტერენტი, როგორ ახარებდა სხვისი მართლაც რომ სასაცილო ლექსთაწყობანი და რითმები.

თვითონ?.. თვითონ როგორღა წერდა?

ყველაფერს დავაბრალებთ ტერენტი გრანელს — ცხოვრებიდან განდგომას, უნიადაგო პესიმისს, თანამედროვეობის შეუცნობლობას, მაგრამ ლექსები მეტად სპეტაკი, ფაქიზი, პოეტური გზნებით ანთებული ჰქონდა.

იმ საღამოს ტერენტი გრანელი აღარ მინახავს. საღამოს კი მას მეტად უჩვეულო პირობებში შევხვდი.

ოპერის თეატრის წინ დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. არ მახსოვს, მგონი, ვანო სარაჯიშვილის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო ტარდებოდა. კონცერტი კარგა ხნის დაწყებული იყო, მაგრამ უბილეთო მყოფრებლები მაინც არ იშლებოდნენ.

უეცრად შენობის წინ კიბეზე აიჭრა ტერენტი გრანელი.

სიჩუმე ჩამოვარდა. ტერენტი კითხვობდა ვანო სარაჯიშვილისადმი მიძღვნილ ლექსს.

ქრუანტელის მომგვრელი კითხვა იცოდა ტერენტი გრანელმა. მისი ხმა სულისა და გულის სიღრმეში წვდებოდა ადამიანს. ეს ხმა შევნივთა მხოლოდ მისი ლექსების კილოს, ამ ხმით შეიძლებოდა მხოლოდ სევდიანი ლექსების წაკითხვა...

ნებას ვაძლევ ჩემს თავს ლექსი აქვე მთლიანად მოვიგონო:

დაეშვა ფარდა, დაბნელდა სცენა,

შესწყდა შრიალი და მისტერია.

ვანო! ასრულდა შენი სიმღერა:

„თავო ჩემო, ბედი არ გიწერია“.

და ახლა ირგვლევ გლოვის წამია,

წამია გლოვის, ცრემლების ვარდა.

ქართულ სცენაზე მძიმე დამეა,

ქართული სცენა დამგლოვიარდა.

შენ გადაფრინდი საინათლის იქით,

რომ მხოლოდ ნისლი იყოს კარავი.

და გვირგვინების მწუხარე რივი

ახლა შენს მაღალ კუბოს ფარავენ.

დღეს აღარა ხარ, ძვირფასო, მაგრამ

ჩვენთან ელვარებს შენი ნათელი.

სამწუხაროა, რომ ასე გაქრა

შენი ხმა: ცეცხლი და ქრუანტელი.

დაეშვა ფარდა, დაბნელდა სცენა.

თვალები მაინც შენ გიციქვრიან.

ვანო! ასრულდა შენი სიმღერა:

„თავო ჩემო, ბედი არ გიწერია“

გლოვის ზარივით ისმოდა ტერენტი გრანელის ხმა. დაამთავრა და სადღაც გაჰქრა, მითხრეს იქვე, ჩასახვევისკენ დაეშვა და გაუჩინარდა.

ტერენტი გრანელს შეეძლო ეცხოვრა ვანო სარაჯიშვილისადმი მიძღვნილი ლექსის წარმატებით უსმელ-უტყმელად დღეების განმავლობაში. როცა მესამე დღეს „კიბის ქვეშ“ მოვიჩახუღე, სავსებით გადახალისებული დამხვდა. შელაპარაკებოდა საოცარი გზნებით შეპყრობილი.

— როგორი იყო, ა, ხომ კარგად ვკითხულობდი... როგორ მოგეწონა: „სამწუხაროა, რომ ასე გაქრა შენი ხმა: ცეცხლი და ქრუანტელი“.. (ეს სიტყვე-

ბი ტერენტი იმ მგზნებარებით წარმო-
თქვა, როგორც იმ საღამოს ოპერის თე-
ატრის წინ.

როცა დამშვიდდა, ვკითხე, პურის ნა-
ტეხი ხომ არა გაქვს, შიმშილისაგან თა-
ვი მტკივია-მეთქი.

ტერენტი დაფიქრა.

— დაიცა. აღარ მაგონდება ამ სამი
დღის განმავლობაში საერთოდ ვჭამე
რამე თუ არა... მგონი არაფერი მიჭა-
მია, — თქვა და ვადაიხარხარა.

მისი საცხოვრებელი „ბინა“ სუფთად
დაელაგებინა იქვე ეზოში მცხოვრებ მე-
ტად ღვთისმორწმუნე ქალს. მას ტერენ-
ტი გრანელი რატომღაც ღვთისმსახური
ეგონა და პატრონობდა: უსასყიდლოდ
ურეცხავდა თეთრეულს, ულაგებდა
„ოთახს“.

რატომ ეგონა იმ დედაკაცს ტერენტი
ღვთისმსახური? თვითონ ტერენტიმ
ასე ამისხნა:

— ერთხელ გვიან ღამით ხმამალა
ვკითხულობდი ჩემს ლექსს, „სიცოცხ-
ლის გრადაციას“. დედაკაცმა შემთხვე-
ვით ყური მოჰკრა, რომ მე რაღაცას
ვბუტბუტებდი, შეჩერდა და ალბათ და-
ამახსოვრდა მხოლოდ ბოლო სტრიქო-
ნები:

„შენ, წმინდაო მაცხოვარო, ამინ“.

წმინდაო მაცხოვარო და ამინ!—სხვა
რავა იყო საჭირო, რომ მორწმუნე დე-
დაკაცს ეკლესიის მსახურად მიგვეჩინე.
გრანელის „სიცოცხლის გრადაცია“
მართლაც ლოცვას ჰგავდა და ასე იწ-
ყებოდა:

წითელი მზე აელვარდა მინებთან,
მოდია ჩუმი და ცისფერი ღამე,
უიმედო გულის ძგერა მინელდა
შენ, წმინდაო მაცხოვარო, ამინ!

გალაკტიონ ტაბიძეს უყვარდა ტერენ-
ტი გრანელი. ტაბილი საუბარი იცოდ-
ნენ. მათი საუბარი არასოდეს გასცი-
ლებია პოეზიის თემას, არასოდეს უსა-
უბრაოთ ეკონომიკის, პოლიტიკის და
მეცნიერების საკითხებზე. მხოლოდ პო-
ეზია, მხოლოდ ლექსები, სხვა არაფერი.

გალაკტიონს მოწყინდებოდა ხოლმე,
როცა ტერენტის დიდხანს ვერ ნახავ-

და. ტერენტი გრანელის ნახვა უნდა
ისე ადვილი იყო, მისამართს მაღალმალე
იცვლიდა.

გალაკტიონს ჰქონდა ბინა, მაგრამ
მასთან ტერენტი არასოდეს ყოფილა, სა-
მაგიეროდ გალაკტიონი ეძებდა, მიაგ-
ნებდა, ნახავდა, ესაუბრებოდა.

შინიდან დილაღრიან გამოვედი წი-
გნებით ხელში. ჯერ კარგად არც იყო
გათენებული. მივდიოდი ერთ ჩემ ამხა-
ნავთან, მათემატიკური ამოცანები უნ-
და შეგვემოწმებინა.

— ვახლავარ! — მომესმა ხმა. მოვიხე-
დე, დავინახე გალაკტიონი („ღამენათე-
ვი და ნამთვრალევი“).

ჩემი სახელი მუდამ ავიწყდებოდა და
„ვახლავარს“ მეძახდა.

მრავალი წლის შემდეგაც, როცა უფ-
რო დავუახლოვდი, მაინც ავიწყდებო-
და და ისევე „ვახლავარს“ მეძახდა.

— ტერენტის ვეძებ, შემოვიარე ეს
უბანი. წინათ ხომ აქეთ ცხოვრობდა, —
მითხრა გალაკტიონმა.

— თუ გნებავთ მე მიგიყვანთ ტერენ-
ტის ბინაში.

— აბა, ძამიკო, წავიდეთ!

ეს შეხვედრა მოხდა ყოფილ სასამარ-
თლოს ქუჩაზე (ახლა ათარბეგოვის ქუ-
ჩას უწოდებენ).

გადავწყვიტე აღარ წავსულიყავი ამ-
ხანავთან.

აი უკვე ტერენტი გრანელის „სასახ-
ლეში“ ვართ. ტერენტი უგუნებოდ მო-
გვესალმა. იმ ხანებში ვიღაც მოკრიტი-
კოსო პედანტმა რომელიღაც კლუბში
მოსხენება წაიკითხა პოეზიის შესახებ
და სხვათა შორის თქვა: „ტერენტი გრა-
ნელი გალაკტიონ ტაბიძის მიმბაძვე-
ლიაო“.

მერე ვიღაცამ კურნალ „ტარტაროზ-
ში“ საკმაოდ უნიჭო იუმორისტული
„ლექსიკონი“ მოათავსა. გალაკტიონს
არც ეს სულელური „იუმორი“ ჰქონდა
წაიკითხული და არც ის გაუგია, თუ რა
ილაპარაკა კლუბში მომხსენებელმა. ტე-
რენტი გრანელმა კი ეს ყველაფერი
იცოდა და რატომღაც გაჯავრებული
იყო არა იმ მომხსენებელზე, არა იმ

„იუმორისტზე“, არამედ გალაკტიონ ტაბიძეზე.

სად შეეჩერდი?

პო, ტერენტი უგუნებოდ მოგვესალმა.

— ცუდად ხომ არა ხარ? — ჰკითხა გალაკტიონმა.

ტერენტიმ პასუხი დაუგვიანა. მერე შეხედა თვალბეჭდში და უთხრა:

— თუ შენ მოხვედი ჩემთან, როგორც დიდი პოეტი პატარა პოეტის სანახავად, სასტიკად სცდები.

გალაკტიონი გაოცდა.

— რას ამბობ, რის დიდი პოეტი, მე მოვედი შენთან როგორც მეგობარ პოეტთან.

— ესეც იცოდე, — განაგრძო ტერენტიმ, — მე შენზე დიდი პოეტი ვარ.

გალაკტიონმა გაიღიმა მარტო მისთვის დამახასიათებელი, საოცარი ღიმილით.

— კი, ძამიკო, ჩემზე დიდი ხარ.

ტერენტიმ იგრძნო რომ უტაქტოდ მოიქცა, მაგრამ ამ უტაქტობის გამოსწორება რით შეეძლო!

იყო თუ არა ტერენტი გრანელი გალაკტიონის მიმბაძველი? მიმბაძველი, ეპიგონი არასოდეს არ არის პოეტი, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ტერენტი გრანელი პოეტი არ იყო!

იქნებ გალაკტიონის პოეზიის გავლენა ჰქონდა ტერენტი გრანელს?

ეს სულ სხვა საკითხია. რატომაც არ უნდა განეცადა ნიჭიერ პოეტს ისეთი ბუმბერაზი პოეტის გავლენა, როგორიც გალაკტიონ ტაბიძე იყო?

რომელიღაც მწერალი ამბობდა: მწერალს ჰირივით სძულს მეორე მწერალი, რომელსაც ის ბაძავს... ტერენტი გრანელს კი უსაზღვროდ უყვარდა გალაკტიონი, მისი ლექსები ზეპირად იცოდა. მისდამი სიყვარულზე ლაპარაკობდა იმის შემდეგაც, როცა ზოგიერთებმა თავიანთი ნალაყბევით თუ ნაჯღაბნით გული ატკინეს მეტისმეტად სათუთი გულისა და სულის პოეტს — ტერენტი გრანელს.

გალაკტიონი თავმდაბალი აღამიანი იყო. მე, ჯერ კიდევ მოსწავლეს, ისე შესაუბრებოდა, თითქოს ჩემი ტოლწლოვანი ფილიყო. ბევრჯერ უთქვამს, რომ მოსწონს ტერენტი გრანელის ლექსების სიტბო. მშვენიერი ქართული, მდიდარი რითმები.

სად ისწავლა ტერენტი გრანელმა (კვირკველიამ) ასეთი საამო ქართული? მან ხომ სოფელ წალენჯიხაში გაატარა თავისი ბავშვობის და თითქმის ჰაბუკობის ასაკიც. წალენჯიხა კი მაშინ ერთ-ერთ შორეულ სოფლად ითვლებოდა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში! ტერენტი კვირკველია ღარიბ ოჯახში დაიბადა. მეტისმეტმა მათერიალურმა სიღატაკემ მას ხელში ააღებინა ნემსი და სადგისი, ფაჩუჩების მკერავად აქცია... სკოლაში ცოტახანს სწავლობდა, მაგრამ რა არ იცოდა! ან რუსული ენა ისე მშვენივრად სადღა შეისწავლა! პოეზიის შესახებ რუსულად შეეძლო მთელი დღეობით ელაპარაკა. მისი საყვარელი რუსი პოეტები, პირველ ყოვლისა, იყვნენ პუშკინი, ბლოკი, მერე ტიუტჩევი, ფეტი, ნადსონი... მშვენივრად კითხულობდა ბლოკის ლექსებს.

ტერენტი გრანელმა წერილი მიიღო კიევიდან. ძალიან გაუკვირდა. ვის უნდა მოეწერა მისთვის წერილი კიევიდან! იქ არავის იცნობდა.

„ძვირფასო უცნობო მეგობარო ტერენტი! — სწერდა ქალი, — მე ვარ თქვენი პოეზიის ერთ-ერთი თაყვანისმცემელი. თქვენი ლექსების კითხვა ყოველდღიურ სულიერ საზრდოდ გადამექცა... ზეპირად ვიცი თქვენი ბევრი ლექსი. მე თქვენ თბილისში გხვდებოდით და საიდუმლოდ, ფრიად საიდუმლოდ მიყვარდით კიდევ... ახლა, როცა ასე შორს ვარ თბილისიდან, ქართულ ენასთან მაკავშირებს თქვენი ნაზი ლექსები“. და სხვა და სხვა. ხელს აწერდა თამარი (გვარს არ დავასახელებ).

ტერენტი, როგორც იტყვიან, მეშვი-

დე ცაზე ააფრინა ამ წერილით გამოწვეულმა სიხარულმა.

პირველ წერილზე არ უპასუხა უცნობ ასულს, მაგრამ მალე მეორე და მესამე წერილი მიიღო. მაშინ კი მისწერა თავისებური თბილი, ნაზი გრძნობებით სავსე ბარათი. ვაიმართა მიწერ-მოწერა.

თამარმა თავისი ფოტოსურათიც გამოგზავნა. ოღნავ თავდახრილ ქალს შეენათა ხშირი წამწამები, ძველებურად შუაზე გადაფარცხნილი თმები... თვალბის ფერი არ ჩანდა, მაგრამ როგორ შეიძლებოდა ასეთი მშვენიერი წამწამების ქვეშ არ ყოფილიყო გულის დამწველი თვლები! მართლაც წარმტაცი სანახაობა იყო.

ტერენტი გრანელს შეუყვარდა იგი საოცარი მგზნებარებით, ავადმყოფურად. მოთმინება აღარ ყოფნიდა სანამ შეხვდებოდა.

ტერენტი წერს ლექსს:

შენს მოლოდინში

მე შენზე ვფიქრობ და თითქოს გხედავ,
ვფიქრობ და ისევ დღეა მზიანი.
ძვირფასო, მოსვლა რად გავიმინელა,
ძვირფასო, რისთვის დაიგვიანე!

ახლა ეს გრძნობა უფრო მეტია,
ახლა ქარები არხვევენ ტირიფს,
მე შენ ვიამბობ ჩემს ტრაგედიას
და როგორც ბავშვი დავიწყებ ტირილს.

ასე ვაივლის წამება, ოხვრა,
შენ მოხვალ ჩემთან თეთრი ხელებით,
მოხვალ დალილი, მეტყვი: როგორ ხარ,
მოხვალ და ვიცი მომეფერები.

თუმცა იქნება ღამე წვალების,
ღამე სასტიკი და უღმობელი.
და ეს თვალბი, ლურჯი თვალბი,
ჩემი თვალბი ისევ მოგელის...

ვფიქრობ, პოეტმა საკმაოდ ლამაზად გამოხატა თავისი გრძნობები ამ პატარა ლექსში.

კარგახანს გაგრძელდა მათი მიწერ-მოწერა. და აი ერთ დღეს ტერენტი გრანელი დებულობს წერილს: „ჩამოვალ ამა და ამ დღეს, ამა და ამ მატარებელით, ამა და ამ საათზე... დადევით სადგურის ბაქანზე, ქალაქში გასასვლელთან და მე მოვალ თქვენთან“.

მაშ ასე. ჩამოვა უცნობი ქალი, იმე რომ შეიყვარა ტერენტი გრანელმა, ჩამოვა და ჩამოიტანს სიცოცხლისმომსახურს, ჩამოიტანს სიხარულს. ტერენტი დაწერს სულ სხვანაირ ლექსებს, უმღერებს მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულს და სიცოცხლეს.

ო, რა კარგი, რა წარმტაცი, რა ტკბილი ყოფილა სიცოცხლე! მაშ განვედ შორს გულისმომკვლელ პოეზიავ, სინათლის მომგვრელო, მოვედ შენ...

— უნდა წამოხვიდე! — მოხოვა ტერენტომ.

— რას ამბობ, მე რა საჭირო ვარ ორ შეყვარებულთან.

— ჰო, მაგრამ სანამ ის ჩამოვა, მართო ვავგიყდები მის ლოდინში.

სადგურში ადრე გავედი. როგორც იქნა, გამოჩნდა ორთქლმავალი. ჩვენ ორივენი ვიდექით დანიშნულ ადგილას — ქალაქში გასასვლელთან.

ველოდებით, მაგრამ უცნობი ქალი არსად ჩანს. უკვე დაიცალა სადგურის ბაქანი და მხოლოდ ახლა შევნიშნეთ შორს, სულ ბოლო ვაკონიდან გადმოსული მგზავრი ქალი უზარმაზარი ჩემოდნით ხელში.

ვაიმე, რამოდენა ჩემოდანი! ეს ჩემოდანი დალუპავს. ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ჩვენი უცნობი ქალი იყოს ეს ჩემოდნისანი, მდებრობითი სქესის მოქალაქე! მაგრამ, მეორეს მხრით, მაშ ვინ უნდა იყოს! ბაქანზე მის გარდა კაბისანი არავინაა.

მოგვიახლოვდა. შევხედე ტერენტის. სულმთლად გაფითრებულიყო, გამშრალიყო, გამოფიტულიყო... ის უცნობად განიკურნა უკურნებელი სიყვარულისაგან — ჩვენს წინ იდგა ჩემოდნისანი ქალი. შეიძლებოდა მისი მიმსგავსება იმ ფოტოსურათთან, ტერენტომ რომ კივიდიან მიიღო. უდავოდ სიმპათიური სახე ჰქონდა, მაგრამ ეს იყო ახალგაზრდა დედაკაცი და არა პოეტის ოცნების ნაყოფი...

ნეტა როგორი უნდა ყოფილიყო ის უცნობი ქალი ტერენტი გრანელის წარმოდგენით? ალბათ ისეთი, როგორიც

გალაქტიონის მერია ან ილიას გრძნეული ასული „თვით მადლს ტრფობისას“ რომ შურს აღუძრავდა...

დიახაც, ასეთი უნდა ყოფილიყო! მამ სხვანაირი როგორ შეიძლება იყოს საოცნებო ქალი, რომლის მოლოდინში პოეტმა მრავალი უძილო ღამე გაატარა... განა შეიძლება სხვანაირი ყოფილიყო ისეთი სათუთი სტრიქონების დამწერი, რომლებსაც პოეტი უცნობი ასულისაგან ღებულობდა!

შეგხედე ქალსაც. ის გავდა დამარცხებულ სარდალს, რომელიც უიარაღოდ, უღონოდ, უსიცოცხლოდ დგას თავისი დამპყრობის მრისხანე სახის წინ.

მას არ ეყო გამბედაობა გზა განეგრძო, არ ეყო სიამაყე თავი მადლა აედო, ეთქვა: „მე ის არ ვარ, თქვენ რომ ელოდებითო“ და გაგვცლოდა. პირიქით, ის იდგა საცოდავი და უბედური, ელოდა სასწაულს, ელოდა მოწყალეებს, შებრალებას, პატიებას...

— გამარჯობათ, ტერენტი! — ძლივს წარმოთქვა მან და ხელი გაუწოდა. ტერენტიმ მეტად გულგრილად ჩამოართვა ხელი, მაშინვე გაუშვა და მომიბრუნდა:

— ჩვენ გვაგვიანდება!

ეს თქვა და წავიდა.

რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ კვლავ მომიბრუნდა:

— არ გესმის? გვაგვიანდება!

— წადი, დაგეწევი, — ვუბასუხე მე. ტერენტი წავიდა.

ქალი იდგა უძრავად, თითქოს ეშინოდა ნაბიჯის გადადგმისა, თითქოს ერთი ნაბიჯის იქით უფსკრული ყოფილიყოს.

მერე შემომხედა და თითო წამწამზე თითო შვიდფერი ცრემლი დაეკიდა...

მე არ მინახავს უფრო ნატანჯი სახე, არ მინახავს უფრო მწუხარე თვალები...

მეც ცრემლი მომერია. ქალი ჩამოჯდა ჩემოდანზე და ქვითინი ველარ შეიკავა. ამოიკვნესა და შეიძლება მეც ისევე მეტკინა ეს კვნესა, როგორც თვითონ.

— ნება მომეცით მიგაცილოთ ეტლამდე, — ძლივს ამოვიღე ხმა.

— არა, ნუ შესწუხდებით! — ნაწყვეტად მიპასუხა ქალმა. მერე ძლია ამდენი ტანჯვა, მოულოდნელად რომ დაატყდა თავს.

ო, როგორ მომეწონა ის ქალი იმ წუთებში! ნეტა მე მიყვარდეს, ნეტა მე ვუყვარდე!

ეტლამდე ჩემოდანი მივუტანე.

დავემშვიდობე და გულმოკლული დავჯდექი გზას. ისე ვიყავი შეწუხებული, თითქოს მე თვითონ უარყო და უფსკრულისაკენ მიბიძგა საყვარელმა არსებამ...

სადგურიდან მარცხნივ წავედი, ყოფილ მალაკნების ქუჩისაკენ (ახლა ფიროსმანის ქუჩას უწოდებენ). ასიოდენ ნაბიჯიც არ მქონდა გავლილი, რომ დავინახე ტერენტი გრანელი, ბოძს მიყრდნობოდა და ქანდაკებასავით იდგა, ქანდაკებასავით თეთრი და მგლოვიარე... ერთმანეთისათვის ხმა არ გავციცია, ისე წავედით მისი ბინისაკენ. ტერენტი შევიდა თავის სამყოფელში, დაეცა საწოლზე და კარგახანს იწვა გაუნძრევლად.

სიყვარულისაგან განიკურნა, მაგრამ დასნეულდა სხვა ტკივილებით. „რატომ მწერდა ისეთ ნაზ წერილებს, რად მივწერე მე წერილები, რად დავწერე ლექსი, ასე რად მოგტყუვდი, ახ, რად მემტერება მუხთალი ბედი“, — ფიქრობდა იგი.

...და სევდა მიპყრობს, ისევ და ისევ, დაბნეულა ჩემი ოცნების მხარე, არყოფნის ღამევე, შენსკენ მოვიწევ, არყოფნის ღამევე, შენ დამიფარე.

ასე გამოიტირა პოეტმა მარცხი პირველი სიყვარულისა.

ჩემსავით სხვა მოსწავლეებიც მეგობრობდნენ ტერენტი გრანელთან. გადაწყვიტეთ გამოგვეშვა ნაბეჭდი გაზეთი, მიძღვნილი ტერენტი გრანელის შემოქმედებისადმი. გაზეთს ვუწოდეთ: „ტერენტი გრანელი“. დაიწერა წერილები. მოწინავე სტატიის მაგიერ მე დავწერე რაღაც სუბმურული, რაღაც დეკლარა-

ციის მსგავსი რამ და მხოლოდ გაზეთის გამოსვლის შემდეგ მივხვდი, რომ წერილი არაჯანსაღი ლიტერატურული ნაწარმი იყო. მასთვის ჩემი წერილი ასე მთავრდებოდა: „...ტერენტი გრანელი ქარში, ტერენტი გრანელი გრივალში, ტერენტი გრანელი ყველგან!“... გამსწორებელი, რედაქტორი, მრჩეველი არავინ გვყავდა.

ერთი რამ ვიცოდით: გაზეთი გამაგრებული უნდა ყოფილიყო გამოჩენილი მწერლების სტატიებით.

ჩვენ მივმართეთ ცნობილ მწერლებსა და მოღვაწეებს: ვასილ ბარნოვს, კონსტანტინე კაპანელს, ივანე გომართელს, დარია ახვლედიანს, ვარლამ რუხაძეს, პოლიო ირეთელს, რომლებმაც დაგვიწერეს სტატიები გაზეთისათვის და მაღალი შეფასება მისცეს ტერენტი გრანელის პოეტურ ნიჭს.

გაზეთში დაიბეჭდა ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილი მშვენიერი ლექსი დავით კობიძისა, რომელაც ტერენტის ახლო მეგობარი იყო. მის ლექსებსაც ტერენტი გრანელის პოეზიის სურნელი დაჰკრავდა, მაშინ იგი, მგონი, ცხოვრებითაც ჰგავდა ტერენტი გრანელს. დროზე უშველა თავს, თორემ ტერენტივით დაიღუპებოდა. ახლა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორია, პროფესორი, გამოჩენილი მეცნიერი.

გაზეთი გამოვიდა. იგი სწრაფად გავრცელდა და... მწერალთა გარკვეული წრის რისხვაც დაიმსახურა.

...საღამოს 6 საათი იყო. მე და ტერენტი გრანელი რუსთაველის პროსპექტზე მივდიოდით. როცა წიგნის მაღაზიას მივუახლოვდით (ოპერის თეატრის პირდაპირ), მოულოდნელად ჩვეს წინ გაჩნდა ჩვენი სახელოვანი პოეტი და დაუვიწყარი ადამიანი პაოლო იაშვილი.

პაოლომ მარცხენა ხელი სწრაფად სტაცა ტერენტი გრანელს საყელოში, მარჯვენა ხელი მომუშტა და კედლისაკენ უბიძგა მოულოდნელობისაგან გაოგნებულ ტერენტის.

— შენ უფრო დიდი პოეტი ხარ თუ

მე! — ჰკითხა მან ტერენტის და მუშტი ცხვირთან მიუტანა.

ტერენტი გრანელს მუშტით ზარბაზნითაც ვერ ათქმევინებდი, ჩემზე დიდი პოეტი ხარო (მაშინ დავრწმუნდი, რომ პოეტთა შორის მართო ტერენტი გრანელს როდი ეგონა თავი ყველაზე დიდი პოეტი).

შეკითხვაზე ტერენტიმ პასუხი არ დაუგვიანა:

— შენ მუშტით მოდიხარ პოეზიაში, მე კი გულით, მე შენზე დიდი პოეტი ვარ!

და პაოლომ გაარტყა. მაგარი გარტყმა იცოდა, მაგრამ ტერენტიმ გარტყმითვე უპასუხა.

მე შორიასლო დავდექი, რადგან ვიცოდი, რომ მათ შორის ისე გავისრისებოდი, როგორც კოხაკი ორ აქლემს შუა. ორთავე მოჩხუბარს გულშემატკივარი ახალგაზრდები გამოუჩნდნენ, ჩაერივნენ ჩხუბში და წუთის შემდეგ ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. პაოლო იაშვილს რცხვენოდა ქუჩაში ჩხუბი და ცდილობდა „ბრძოლა“ გადაეტანა შენობის შესასვლელში. ეს ვერ მოახერხა და ისეთიანად „დაუძვრა“ ჩხუბს, რომ ვერავინ შეამჩნია, საით წავიდა. პაოლო იაშვილი მაშინ არამართო მკითხველებში, არამედ მთავრობაშიც მიღებული პიროვნება იყო და, ცხადია, ეუხერხულებოდა ქუჩაში ჩხუბი, ისიც უამრავი გამვლელ-გამომვლელის თვალწინ.

ამრიგად, ერთ-ერთმა მოწინააღმდეგე მხარემ დატოვა „ბრძოლის ველი“, მაგრამ ცემა-ტყევა მაინც გრძელდებოდა. გულშემატკივრები ერთმანეთს სცემდნენ. მათ შორის ტრიალებდა ტერენტი გრანელი და თავის გულშემატკივრებს შველოდა.

უეცრად მოჩხუბრებს ჩქარი ნაბიჯით მოუახლოვდა ორი პოეტი, ერთი მათგანი იყო მაშინ უკვე საკმაოდ ცნობილი, მშვენიერი ლირიკული ლექსების ავტორი, პაოლო იაშვილის მეგობარი (დავარქმევ მას პირობითად „იქსს“), ხოლო მეორე სრულიად ახალგაზრდა პოეტი ფუტურისტი, მეტად მიმზიდველი გარე-

გნობის ყმაწვილი, ამასთან საოცრად ცელქი (არ მინდა ვთქვა თავხედი) და ცინიკოსი.

— რა ამბავია აქ! — იკითხა იქსმა.

— ტერენტი გრანელი სცემს პაოლო იაშვილს! — უბასუხა რომელიღაც ახალგაზრდამ.

როგორ შეეძლო იქსს ამის დაჯერება! ვის შეეძლო პაოლოს ცემა! მაგრამ იქსი ანგარიშმიუტევმლად მივარდა და გაარტყა ტერენტი გრანელს, რომელმაც საბასუხო დარტყმა არ დაუფვიანა და ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა. მე უკვე აღარ შეემძლო ნეიტრალიტეტის დაცვა, ჩავერიე ჩხუბში უფრო გამზავებულად, ვიდრე პარტნიორად. გვიან მივხვდი, რომ გამზავებულს უფრო მეტი ხვდება ხოლმე.

მილიციელთა გამოჩენისთანავე ახალგაზრდები გაიქცნენ. „ტყვედ“ ჩავვარდით ხუთი მებრძოლი. მათ შორის ტერენტი გრანელი, იქსი, ფუტურისტი, მე და კიდევ ერთი ახალგაზრდა, რომელმაც გაქცევა ვერ მოასწრო. ფუტურისტი გზაშივე გაიპარა. მილიციის განყოფილებაში აღმოჩნდით ოთხნი.

მილიციის განყოფილების უფროსი იყო დაწინაურებული მუშა, სრულიად გამოუცდელი და მკირემცოდნე.

— ვინ არიან ესენი! — ჰკითხა მან განყოფილების მორიგეს.

— ესენი პოეტები არიან, ამხანაგო უფროსო! — უბასუხა მორიგემ.

უფროსმა ჩაგვათვალა, მზერა შეაჩერა ტერენტიზე.

— ო, ამას ვიცნობ, — თქვა მან, — გამოუსწორებელი პოეტია. არც კი რცხვენია, თფუი!

მერე მე შემომიბღვირა. შემდეგ შეჩერდა იქსის წინ და დააკვირდა. გაუკვირდა, რომ ასე შესანიშნავად, ევროპულად ჩაცმული ინტელიგენტი ვაჟაკი „პოეტთა“ რიგში მოხვედრილიყო.

— ამას პოეტს რა უგავს! — მიუბრუნდა იგი მორიგეს.

ჩვენთვის გასაგები იყო, რა აზრით თქვა ეს უფროსმა. „პოეტს რა უგავსო“, ესე იგი „ხულიგანს რა უგავსო“.

იქსს მაინც ეწყინა, ხოლო ტერენტი გრანელმა მილიციის განყოფილების უფროსს ხმამაღლა მიიძახა: გინგალოთევა

— მართალი ხარ, უფროსო, ეგ არ არის პოეტი; გაანთავისუფლეთ, პოეტი მე ვარ...

ზაქარია ჭიჭინაძემ გაიგო თუ არა ტერენტის თავგადასავალი, მიიჭრა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მაშინდელ თავმჯდომარესთან მიხა ცხაკაიასთან, უკეთილშობილესი სულის ადამიანთან. ზაქარია ჭიჭინაძეს მასთან ძველი მეგობრობა აკავშირებდა. ზაქარიამ მიხა ცხაკაიას უსაყვედურა:

— ეს არის შენი კომუნალური მთავრობა? ამას გიკარნახებს პლუხანოვი — პოეტი ციხეში ჩასვიო? (ზაქარია ჭიჭინაძე კომუნალურსა და კომუნისტურს ერთმანეთისაგან ვერ ანსხვავებდა. კომუნისტების ბელადან კი რატომღაც პლუხანოვი მიაჩნდა).

ტერენტი მხოლოდ 7-8 დღე იჯდა საპატიმროში.

გავიდა კიდევ სულ მცირე დრო და თბილისის ქუჩებში გაჩნდა აფიშები, რომლებიც იუწყებოდნენ, რომ ამა და ამ დღეს წითელარმიელთა კლუბში (რუსთაველის თეატრის პირდაპირ) გაიმართება ტერენტი გრანელის პოეზიის საღამო.

ამ საღამოს წინასწარი გეგმა „რეჟისორულად“ მე დავაუშავე. მაშინ საშუალო სკოლის მოსწავლე ვიყავი. ტერენტი პოეზიის მწვერვალად მყავდა წარმოდგენილი, აქედან შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა იქნებოდა ჩემი „რეჟისორობით“ მოწყობილი პოეზიის საღამო.

საღამოს 8 საათზე კლუბის დარბაზი უკვე გაიჭედა დამსწრეებით, რომელთა უმრავლესობას ახალგაზრდა ქალ-ვაჟები შეადგენდნენ.

გაისმა მესამე ზარი. დარბაზში დასცენაზე სინათლე ჩაქრა. არ დარჩენილა არც ერთი განათებული წერტილი, არც ერთი კუნჭული. ფარდის გახსნაც არავის შეუძინებია, რადგან სცენაზე აბსოლუტური სიბნელე სუფევდა. დამ-

სწრენი რაღაც არაჩვეულებრივი და მისტიკური სენსის სანახავად განეწყენენ. სცენის სიღრმეში მაგიდა იდგა, რომელზედაც შანდალში ჩადგმული სანთელი ენთო, იგი სუსტად ანათებდა მაგიდასთან მჯდომი ტერენტი გრანელის სახეს. სამარისებურ სიჩუმეში გაისმა მისი ხმა. იგი კითხულობდა თავის ერთ-ერთ მინიატურას, რომელიც უნდა ყოფილიყო ამ ლიტერატურული საღამოს შესავალი. ამის შემდეგ უკვე განათებულ სცენაზე გამოვიდოდა რამდენიმე მოსწავლე. მე უნდა წამეკითხა წინასწარ დაწერილი სიტყვა. კიდევ კარგი, ამ სიტყვის წაკითხვის საშუალება არ მომეცა. მეტიმეტად გულუბრყვილო, ტენდენციური და აბდაუბდა იყო (თუმცა შესაძლოა მაშინ მსმენელთა მქუხარე ტაშიც კი დამემსახურებინა!). მერე ტერენტი გრანელი წაიკითხავდა ლექსებს თავისებური ყრუანტელის მომგვრელი ხმით...

ახლა კი მისი ხმა ისე ისმოდა, თითქოს ლოცულობდა:

„...მოგვდები ღამით გათენებისას... სიკვდილის წინ მომაგონდება თბილისის ღამეები... ვადაეცემი სიკვდილის მღუმარე ხელებს... ჩემი კუბო იქნება სადა... და პროცესია უბრალო... მე დამასაფლავებენ შუა დღის ორ საათზე თბილისის ახლო... პანაშვიდი გათავდება ქარში... ჩემს ცხედარს ნელა ჩაუშვებენ სამარეში... დაღამდება... მე შემიშინდება მარტო სასაფლაოზე ღამით... დავტოვებ კუბოს და ტანშიშველი გამოვიქცევი... და გიჟივით ვიკვლებ რომ მომეშველონ, დამიფარონ!.. არავინ იქნება ჩემი მხსნელი, ისევ დავეცემი... და კვლავ მივეცემი ძილს დაუსრულებელს...“ და ასე შემდეგ.

ჩაბნელებულ დარბაზში გაისმა კენესა და ამოოხვრა... ვიღაც ქალმა ისტერიულად იკვლა: გააჩუმეთ, გააჩუმეთ! სცენაზე შემოიჭრა კლუბის უფროსი, სამხედრო პირი.

— რა ხდება აქ! — იყვირა მან განათით!

განათდა სცენა და დარბაზი.

— ახლავე განათავისუფლებთ სცენა! ამ წუთში, დაუყოვნებლივ! — ყვიროდა კლუბის უფროსი.

დამსწრენი მოითხოვდნენ „სენსის“ გაგრძელებას. საღამო ამ მართლაც მისტიკური მინიატურის წაკითხვით ხომ არ უნდა დამთავრებულიყო...

უეცრად ვიღაცამ ქანდარიდან გადმოჰყარა ფურცლები, რომლებიც ფარფატი დაეშვენ პარტერისაკენ.

— პროკლამაცია! — შეჰყვირა სასოწარკვეთილი ხმით კლუბის უფროსმა და გადახედა პარტერს.

რა თქმა უნდა, არავითარი „პროკლამაცია“ არ იყო, ფურცლები გადმოყარა ახალგაზრდა პოეტმა ვანლერ დაისელმა (ვანიონ დარასელში ნურავინ აურევს!). მან თავისი პოეტური ბიოგრაფია მეტად თბილი ლირიკული ლექსებით დაიწყო, მაგრამ შემდეგ გადასინჯა პოეზიაზე თავისი შეხედულება... სიმბოლიზმი, ფუტურისმი, „პროლეტარიზმი“... რომელს შეუერთდეს... დავიგვიანო, გაიფიქრა, და გადაწყვიტა შეექმნა სრულიად „ახალი მიმდინარეობა პოეზიაში“.


მის მიერ ქანდარიდან გადმოყრილი ფურცლები გვაუწყებდა:

„არა სიმბოლიზმი, არა პესიმიზმი, არა ფუტურისმი ანუ აბსტრაქციონიზმი, არამედ სომნამბულიზმი!

სომნამბულიზმი! ესე იგი სიზმარეული (სიცოცხლე სიზმარია, ცხოვრება სისულელე. ვწერთ, თითქოს სიზმარში ვიყოთ)...

ახალგაზრდობას ეპატიება ცელქობა. ვანლერ დაისელიც ახალგაზრდა იყო. ამასთან მეტად ნიჭიერი. ნეტა არ დღუბულიყო, დღეს ნამდვილად გამოჩენილი პოეტი იქნებოდა!

ერთი სიტყვით, ტერენტი გრანელის პოეზიის საღამო ჩაიშალა.



აკოანრიც სიბაპი

ვეფხვი კლდით გადმოეკიდა

ხალხმა თავის საყვარელ მეფეს იაღ-ბუზის მთაზე შეადგმევეინა ფეხი; ღმერთებთან მებრძოლი ამირანი მხოლოდ მთის ძღვევამოსილებას დაემორჩილა; „მთაო, გარდმიწვი, გარდმიწვი“, — მღეროდნენ ადრე; „ა იმ მთაზედა, თოვლიანზედა“ — მღერიან ახლაც.

და რა გასაკვირია, რომ არიან ადამიანები, საოცარი ხასიათის ადამიანები, რომლებსთვისაც მთა სიცოცხლის მომნიჭებელ ანდამატად ქცეულა. მათ ისევე ესაჭიროებათ მთასთან შერკინებას ტკბილ-მწარე განცდები, როგორც ყოველ მუშაკს — შრომაში მოპოვებული გამარჯვების სიხარული. მთამსვლელები ჰქვიათ მთაზე შეყვარებულ ამ ადამიანებს.

„რა გინდათ, რა დაგრჩენიათ ამ უკარება მწვერვალზე, დაეტოვებთ მიწაზე!“ — ასეთი დარიგება თითქმის ყველა მთამსვლელს მოუსმენია.

რა უნდათ მთაში?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მთამსვლელს გაუჭირდება, გაუჭირდება იმ ბავშვივით, რომელსაც ეკითხებიან: დედა რატომ გიყვარსო.

ეს სიყვარულია, სიკვდილის შიშის დამთრგუნავი სიყვარული. მთამსვლელს

ძნელია გაუგო ეს სიყვარული, თუ თვითონაც არ დაგიდგამს ფეხი მთაზე, არ განგიცდია გამარჯვებით გამოწვეული უჩვეულო სიმსუბუქე — მწვერვალზე ასვლის სიხარული, სიმაღლიდან რომ გადმოჰყურებ ბარს. მაგრამ მთამსვლელს სახიფათო ქარაფებისკენ მარტო სპორტული ჟინი როდი ეწევა.

ჩვენ გვინდა ვიამბოთ საბჭოთა მთამსვლელთა შორის ყველაზე თავისებურ და სანიმუშო სპორტსმენზე — მიხეილ ხერგიანზე, რომელსაც „კლდის ვეფხვი“ შეარქვეს. თვით მიხეილ ხერგიანს კი არ უყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი. ის კი არა, მისი მეგობარი ვარ და, ეს სამი ამბავი ძლივს გამოგტყუე:

ამბავი პირველი

სიმაღლა — ჩვენი გადამარჩენი

ასეა ყოველთვის: არქტიკის ყინულეთიდან გამარჯვებით დაბრუნებულ მოგზაურს, ჯუნგლებში დიდი ხნით ნამყოფ მონადირეს თუ დედამიწაზე მშვიდობით დაშვებულ კოსმონავტს მეგობრები, ოჯახი თუ საზოგადოება ზეიმით ეგებებიან. ამ ზეიმში აღარავის ახსოვს, უფრო სწორად, აღარავის სურს გაიხსენოს განსაც-

დელით დამძიმებული ის დღეები, გვირად აღიარებული ადამიანი რომ სიკვდილის პირისპირ იდგა...

ასეთი ბედი აქვთ მთამსვლელებსაც. საზეიმო შეხვედრები, პრესკონფერენციები, მეგობართა ბედნიერი ღიმილი არ აკლიათ კავკასიონის თუ პამირის მწვერვალებიდან დაბრუნებულ ვაჟაკებს. ასე შევეგებეთ მიხეილ ხერგიანს, როდესაც იგი მსოფლიოში ჯერ არნახული სიძნელის სარეკორდო ასვლიდან დაბრუნდა. ხუთ მეგობართან ერთად მან დალაშქრა უშმა, მაგრამ განა ჩვეულებრივი „გზით“, რომელიც ხერგიანსა და მის ჯგუფს უკვე გზატკეცილად ეჩვენებოდა, — 1.200 მეტრზე აღმართული ჩრდილოეთის კედლით. ამ კედლის 400-მეტრინი მონაკვეთი უკუდახრილია დედამიწის სიბრტყის მიმართ.

მე არაფერს ვუმატებ მიხეილ ხერგიანის ნაამბობს:

„ეს იყო 1965 წლის აგვისტოში. ამაბავი, რომელიც თქვენ გაინტერესებთ, შემემთხვა მაშინ, როდესაც გადავლახეთ კედლის უკუდახრილი ნაწილი და შვეული კედლის ნახევარიც დავძლიეთ.

ჩემთან ერთად იყვნენ შალვა მარგიანი, მიშა ხერგიანი (უმცროსი), ჯუმბერ კახიანი, ჯოკია გუგავა და გივი წერედიანი. ექვსივენი ერთმეტრიან ბაქანზე შევრჩით და მხოლოდ კლდის ბზარში ჩარტობილ რკინის პალოზე გამობმული თოკიდა გვიჭერდა. კარგახანს ვიყავით ასე. უკან დაბრუნება ყოველად შეუძლებელი იყო, მხოლოდ წინსვლა გვიხსნიდა. ბოლოს, გადავწყვიტე მეცადა ბედი და გამომეყენებინა მწვერვალისაკენ გზის გავრძელების ის ერთპროცენტინი შანსი, რომელიც ყოველთვის შემორჩებათ ხოლმე მთამსვლელებს.

მე ჩვეულებრივი მთამსვლელის ფეს-საკმლის ნაცვლად ინგლისური კედები ჩავიცვი. ინგლისელი მეგობრის ნაჩუქარი კედები მშრალ ამინდში დაუფასებელ სამსახურს მიწევდა. თოკები მოვსინჯეთ, შევამოწმეთ, ვიყავით თუ არა მჭიდროდ გადაბმულნი ერთმანეთზე, თოკი პალოს რკალში გავუყარე და

კლდეზე გამონაშვებების ძეხნა დავეწყე, სადაც კი შეიძლებოდა თუნდაც თითების ანდა მხოლოდ ერთი თითის დაბჯენა.

თოკი და პალო, — აი, რისი დახმარებით შეიძლება ასეთი კლდის დაძლევა. ყოფილა შემთხვევა, რომ კლდიდან მოვსხლეტილვარ და პალოზე გამობმულ თოკზე ობობასავით დავრწეულვარ პაერში. ჰოდა, თუ ამ დროს თოკმა ან პალომ გიმტყუნა, გასაგებია რაც მოხდება. ასეთი ხიფათი განსაკუთრებით საბედისწერო იქნებოდა უშმის კედლის დაძლევისას. ჩვენი იძულებითი შეჩერების ადგილიდან ვინმე რომ მოწყვეტოდა კლდეს, იგი რვაას მეტრზე იფრენდა ჰაერში.

— წავედი, ბიჭებო! — ვთქვი უაკლდის ოდნავ შესამჩნევ შვერილზე დავაბჯინე მარცხენა ხელის თითები. ათ წუთში უკვე ხუთი მეტრი მქონდა დაძლეული. მთამსვლელობაში არსებული შეურყეველი წესის თანახმად ყოველ 3-5 მეტრზე პალო უნდა ჩამაგრდეს კლდეში. კლდიდან მოსხლეტის შემთხვევაში ასეთი მანძილიდან დაქანებულ სიმძიმეს თოკი და პალო კიდევ უძლებს.

ორმოცდახუთი მეტრი ავლიე და ვერსად მოვახერხე პალოს ჩაქედება ბზარში. ამისთვის ორივე ხელი იყო საჭირო, მე კი ხან ერთი ხელით ვეკიდე და ხან მეორეთი, ხანაც მხოლოდ თითებით ვიყავი ჩამოკიდებული შვერილებზე.

უცებ საშინელმა გრუხუნმა კინაღამ ყური გამიხეთქა. ეს ზეავის ხმა არ იყო. სულ ახლოს მეხი დაეცა. წვიმამ დაუშვა, წვიმას ხოშაკალა მოჰყვა. სველდებოდა კლდე და თანდათან მატულობდა საფრთხე: მე ხომ კედები მეცვა, სველზე ფეხს ვერ დავიმაგრებდი. ეს საფრთხე ჩქარა შემადრწუნებელ სინამდვილედ იქცა: კედი დაცურდა და კლდეზე მხოლოდ ხელის თითებით ჩამოვეკიდე. ერთადერთი იმედილა შემომრჩა, — თოკი-ოღე სანტიმეტრის სიგანისა და ერთი სანტიმეტრის, ღიახ, ერთი სანტიმეტრის სიღრმის ბზარი! და ამ ბზარზე ვეკიდე

თითებით, საჩვენებელი, შუა და არა-
თითით.

როდემდე გავძლებ? — გავიფიქრე და
მეგობრებისაკენ გადმოვიხედე. ისინი
ცლარ შევამჩნიე: ჩვენს შორის კლდის
ქიმი ამოზურცულიყო, რომელიც ამ ოცი
წუთის წინათ დავძლიე. როდემდე გავ-
ძლებ? — გავიმეორე ისევ და თითებს
მთელი ძალით დავაწიე, ნიკაპიც ავა-
ცილე ბზარს, მაგრამ ჩემს ზემოთ ვერ-
სად შეენიშნე ხელის ჩამოსადები ადგი-
ლი, თავს ზემოთ კლდე სახლის ახლად-
გალესილი კედელივით იყო გალიბული.

კლდეზე თითებით დაკიდებულს ხში-
რად გამომიძლია თავი წვრთნის დროს
და ხუთ წუთამდე გამიძლია. ნუთუ რამ-
დენამე წუთის შემდეგ ყველაფერი გა-
თავდება? სასოწარკვეთის დრო აღარ
იყო. ელვის სისწრაფით გავიანგარიშე:
ორი წუთის შემდეგ მოვწყდები ბზარს,
პალომდე ორმოცდახუთი მეტრია, თოკი
დაქაჩავს პალოს, ცხადია, იგი მოწყდება
კლდეს; თოკი დაიჭიმება და ჩემთან ერ-
თად თან ჩაიტანს უფსკრულში ჩემს მე-
გობრებს — შალვას, მიშას, ჯოკიას, ჯუმ-
ბერს, გვიის...

— შეიხსენით თოკი! — ჩავძახე ქვე-
მოთ და თითებში უკანასკნელი ძალა ჩა-
ვიღვარე. — უნდა გავძლო, უნდა გავ-
ძლო, ვიდრე ბიჭები თოკს შეიხსნიან!

— რატომ შეიხსნათ? — ამომძახეს
ბიჭებმა.

— ასეა საჭირო, ნუ აყოვნებთ! — შე-
ვეცადე ეს სიტყვები მშვიდად წარმო-
მეთქვა, რომ ბიჭებს ეჭვი არ აეღოთ.

— ვიხსნით, ოღონდ ფრთხილად იყა-
ვი, არაფერი მოიწიო! — ამომძახეს ბი-
ჭებმა.

გულზე მომეშვა. ახლა კი ნამუსიანად
შეგხედავ თვალში სიკვდილს, — გავი-
ფიქრე და... უკანასკნელად შემოვძახე
ჩემი საყვარელი „ლოლე“. ეს ჩვეულებ-
ა — სიმღერა უკიდურესი გასაჭირისა
და მოახლოებული ხიფათის დროს —
ბავშვობიდან დამყვა: ცამეტი წლის ვი-
ყავი, პირველად რომ ვთხოვე მამას
მწვერვალზე გამიშვი-მეთქი. მან თხოვ-
ნის შესრულებამდე ასეთი გამოცდა მო-

მიწყო: მომცა ხანჯალი, საჭმელი, ჩამა-
ვა თბილად და დამავალა, იმ მთის ქირ-
ში გამოთხრილ გამოქვაბულში^{მისასხვალ}
და დამეს გაათევო. გავბედე, ჩამოვჯექი
გამოქვაბულის პირას, მაგრამ შუალამი-
სას, როდესაც ქვემოთ, ტყეში, ფრინ-
ველ-ნადირთა წივილ-ჭყიბინი გაისმა,
გადავწყვიტე დამეფარა ეს არასასიამოვნო
ხმები და პირველად მთელი ძალით
ვიმღერე შიშით. მას შემდეგ სამჯერ თუ
ოთხჯერ მოვასმენინე ბუნებასა და ჩემს
მეგობრებს ასეთი სიმღერა. და აი, ახ-
ლა, იგი უშშის კედლებიდან იღვრებო-
და დაბლა, ჩაშავებული უფსკრულისა-
კენ.

ვმღეროდი და ინსტიქტურად ნაწყვეტ-
ნაწყვეტად ვფიქრობდი: „ყველაზე ძნე-
ლი ალბათ ფრენა იქნება, ფრენა და-
ცემამდე“... „მიშა, — მითხრა წამოსვლი-
სას სპორტკავშირის თავმჯდომარემ, —
უკანასკნელი წლები მეტად სასტიკი ვა-
მოღვა ქართველი მთამსვლელებისათ-
ვის. მამა-შვილობას, გაფრთხილდი, არა-
ფერი შეგემთხვეს, გვეყო, რაც დავგამ-
წუხრეს ჯუმბერმა, თეიმურაზმა, ილი-
კომ, გურამმა...“ საკვირველია, ყველაზე
ნაკლებად ამ ლაშქრობის წინ ვღელავ-
დი და სწორედ აქ მიმტყუნა ალღომ...
თითები უკვე მთლიანად დამიბუჟდა...
„დედას სულ არ უხდებოდა შავები, ბე-
ბიას სიკვდილის შემდეგ ერთი სული
მქონდა, როდის გაიხდიდა...“ ლილეო,
ლილეო, ლილეო..

ქვემოდან ბიჭების გაჩქარებული ლა-
პარაკი მომესმა:

— მიშა მღერის, ბიჭებო!

— უჭირს, ძალიან უჭირს ალბათ!

— შეიბით თოკი!

— მიშა, ჰაუ, მიშა, ჩვენ თოკი შე-
ვიბით!

— ჩვენ არ მიგატოვებთ!

— თუ დაღუპვაა, ერთად, მხოლოდ
ერთად!

ელდა მეცა.

— რას ჩადიხართ, — ვიყვირე მთელი
ძალით, — გონს მოდიოთ! ვინ მოგიწო-
ნებთ მაგ სისულელეს?!

— ჩვენ უკვე შევიბით თოკი!



ბიჭები არ უნდა დაიღუბონ, უნდა იცოცხლოს ჩემმა შალვამ, მიშამ, ჯუმბერმა, ჯოკიამ, გივიმ. მაგრამ... მე ხომ თან გავიტაცებ მათ!

— მოიხსენით თოკი, მე ვვარდები! — ვიყვირე ისევ.

— ერთად, მხოლოდ ერთად! — მომესმა და უშბის ფოლადისფერ კედლებზე გრიგალივით ჩაიქროლა ხუთი მეგობრის მტკიცე გადაწყვეტილებამ...

სასოწარკვეთით ავხედე კლდეს, ნახევარგუმბათივით რომ გადმომყურებდა ზემოდან, ავხედე და თვალი დამრჩა პატარა წიბოზე, რომელიც ღრუბლებში გამოკიაფებულ მზის სხივებზე ჩრდილს ოდნავ შესამჩნევ ზოლს ქმნიდა. წვიმაში და ბურუსში ალბათ ვერ შევნიშნე იგი.

ჩქნებ ამ პატარა წიბოზე გადის ხსნის გზა? — გამიელვა უცებ და მთელი ძალით დავაწეე თითებს. ავიწიე ისე, როგორც ბავშვობაში გამიკეთებია ხოლმე ღერძზე ვარჯიშის დროს. აი, ნიკაპი თითებს ავაცილე, ავიწიე კიდეც, კიდეც, მთელი ძალა მარცხენა ხელზე გადავიტანე, უცბათ მარჯვენა გავმართე და იმ წიბოზე დავეკიდე...

გამიძლო! იმედმა ნაპერწკალივით გაკვესა გულში. ახლა მარჯვენა ხელს დავატანე ძალა, კიდეც ავზიდე ტანი და მარცხენა ხელის ადგილზე ფეხის წვერი მოვარგე. მერე უკვე კარგად აღარ მახსოვს, როგორ დავძლიე კიდეც ოციოდე მეტრი, როგორ მოვნახე საყრდენი და როგორ დავამაგრე პალო ბნარში. მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე, უახლოეს უნაგირაზე რომ შემოვდექი და თვალი გავაყოლე თოკს: შალვა, მიშა, ჯუმბერი, ჯოკია და გივი დინჯად მოჰყვებოდნენ მას.

უნაგირაზე ისევ იქუხა „ლილე“, მაგრამ მე არ ვმღეროდი. მინდოდა მესმინა, უსასრულოდ მესმინა მთების გულში დაბადებული სიმღერა, რომელმაც ასე მოულოდნელად გადაგვარჩინა.

ნურავინ დაიტრაბახებს, ბავშვობაში მეკვდრისა არ მშინებიაო. ტოლ-ამხანაგებში გულად ბიჭად მიცნობდნენ, მაგრამ ბებია რომ გარდაიცვალა და ღამისთევისას მიცვალებულთან მარტო დავრჩი, კინაღამ ჰკუთაზე შევეცი: აშკარად დავინახე, რომ ზეწარი, ბებიას რომ ეფარა, შეინძრა; მომეჩვენა, რომ სწორედ იმ ადგილზე, სადაც ბებიას ხელები ჰქონდა დაკრფილი, ზეწარი მტკაველზე აიწია და აქეთ-იქით დაიწყო ქანაობა. „არიქა, ბებია გაცოცხლდა!“ — ვიბღვილე და გრძნობა დავკარგე. გონს რომ მოვედი, ღედა მადგა თავს.

მას შემდეგ ფარული შიში დამყვა და ყოველთვის, პანაშვიდზე მისვლისას თუ სამგლოვიარო პროცესიაზე, თვალს ვარიდებ ხოლმე მიცვალებულს. მაგრამ ცხოვრება თურმე ისეთ მკაცრ გამოცდას მიწყობდა, ფიქრადაც რომ ვერასოდეს მომივიდოდა.

... გადილ-ბაშკარას შვეული კედლიდან თოკით ფრთხილად ვეშვებოდი და თან ზურგზე აკიდებულნი, ნახევრადგაყინული მთამსვლელი იური ბურუხევიჩი ჩამომყავდა. ოთხი დღის წინათ ორ ამზანაგთან ერთად იგი გადილ-ბაშკარას ტრავერსისათვის გავმართა. თურმე მწვერვალიდან დაშვებისას ერთ ადგილზე მთლიანად მიუშვეს თოკი. დაეშენენ, მაგრამ ფეხის მოსაკიდებელ ბაქნამდე ორმოცდაათ მეტრზე მეტი დარჩათ, და ასე შერჩნენ — ჰაერში დაკიდებულნი. უკან ასვლაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა, დაბლა დასაშვებად კი თოკი არ ჰყოცნიდათ. ოთხი დღე და ღამე იყვნენ ასეთითქოს განგებო, ამ ოთხ ღამეს სუსხიანი ქარი ქროდა და ყინვა ძვალ-რბილში ატანდა.

იმხანად შხელდის „სპარტაკის“ ბანაკში ვიმყოფებოდი და მოვიდა თუ არა ტრავერსის ჯგუფის გასაჭირის ამბავი, მიშა ხერგიანთან (უმცროსთან) და იოსებ კახიანთან ერთად სასწრაფოდ დავიძარი მათ საშველად. დაღამებისას ოთხას

მეტრზე მივუახლოვდით ხიფათში ჩა-
ვარდნილებს და ბანაკი მოვაწყვეთ. და-
მით ქარი ჩადგა, მაგრამ ვარაუდით ვატ-
ყობდი, რომ ყინვა ოცდაათ გრადუსს
სჭარბობდა. შუალამისას მიშა და იოსები
ზეზე წამოიჭრნენ და ხელი წამკრეს —
ხმა გვესმისო.

— ეპეი, გვიჭირს, მოგვეშველეთ, ძმე-
ბო!

— აქ ვართ, ბიჭებო, ნუ გეშინიათ! მე
იოსები ვარ, კახიანი, ხერგიანებთან ერ-
თად მოვდივარ! თავს როგორ გრძნობთ?

— გვიჭირს, იური შეუძლოდაა, ხელ-
ფეხი მოეყინა.

— გამავრდით, ბიჭებო, გარიყრაჟზე
ჩამოგხსნით! — გავძახე ქვემოდან და სა-
ძილე ტომარაში მოვთავსდით.

ირიყრაჟა თუ არა, ასვლა დავიწყეთ
და შუადღისას მივადწიეთ კიდევ ბზარ-
ში ჩასმულ ბალოს, რომელზედაც თოკი
იყო გამოხმული. თოკით დავეშვი და
ჩქარა პაერში უმწეოდ ჩამოვიდებულ
მთამსვლელებთან გავჩნდი. უნდა გენა-
ხათ მათი სიხარული: არაქათი აღარ
ჰქონდათ, მაგრამ მათმა „ვაშამ“ ქუხი-
ლით დაუარა კლდეს. მხოლოდ იური არ
იღებდა ხმას, ეგ იყო, სიხარულის ნიშ-
ნად ძლივ შესამჩნევად იღიმებოდა. მათ
თოკს ჩემიცი მივუმატე და ფეხსიმოსაკი-
დებელ ადგილამდე დავუშვი.

— მიშა, იოსებ, — მივმართე მეგობ-
რებს, — მე იურის ჩავიყვან, დანარჩე-
ნებს თქვენ მიხედეთ!

ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა.
მზე უკვე ჩასვლაზე იყო და ახლა დამის
გასათევ ადგილზე უნდა გვეფიქრა. პა-
ტარა ბაქანი გამოვქებნეთ, სამი საძილე
ტომარა ძლივს თუ გაიშლებოდა. მეტი
არც გვჭირდებოდა: ტრავერსის მონაწი-
ლეებს გაჭირვების ქამს მთელი ბარჯი
გადაეყარათ და ახლა იძულებული გავზ-
დით თითო ტომარაში ორ-ორი მოვთავ-
სებულყავით.

ვიდრე დასაძინებლად მოვეწყობო-
დით, იურის ხელ-ფეხი დავუზილე და
თერმოსით შაქრიანი წყალი დავალე-
ვინე.

— იცი, მიშო, — მიჩურჩულა იურიც,

— ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს არც-
თა ვარ მთვრალი, გულ-მკერდში მაქვს
მუცლიდან თითქოს ყველა ორგანო ამას
მაცალესო. ასე მგონია, მათ ადგილზე
მხოლოდ დიდი სიცარიელეა დარჩე-
ნილი!

ვიცოდი, ეს რასაც ნიშნავდა. იურის
მთელი ორგანიზმი ჰქონდა გაყინული,
რაც მხოლოდ სპეციალური კლინიკური
მკურნალობით რჩება ხოლმე, ისიც იშ-
ვიათად.

— დაწყნარდი, ყველაფერი მოწეს-
რიგდება! — ვუთხარი იმედიანად და იგი
ჩემს საძილე ტომარაში შევაცურე, დი-
დი წვალებით მეც მოვთავსდი ტომარა-
ში და მთელი მკერდით ჩავეკარი გაყი-
ნულ ამხანავს.

— რა თბილი ხარ, მიშო! შენ თბილი,
ნამდვილი ქართული გული გაქვს.

— ეცადე დაიძინო, იური!

— გახსოვს მესტია, დედაშენის გა-
მომცხვარი სვანური ხაჭაპური. რა ცხე-
ლი იყო და გემრიელი!

— ჰო, დაიძინე!

— თბილისში რომ ჩავალთ, ყველაზე
პირველად გოგირდის აბანოს ვეწვევით!

— ვეწვევით, იური, ახლა კი დაიძი-
ნე. თუ ცუდად იგრძნო თავი, გამადვიძე!

— ღამე ნებისა, მიშო, — ძლივს გა-
ვიგონე იურის სიტყვები, დაღლილ-და-
ქანცულს ღრმა ძილი დამეუფლა...

მოულოდნელად გამომეღვიძა. მთვა-
რეს გავხედე. მივხვდი შუალამე იყო ჩა-
მომდგარი. იური მთელი ტანით ჩამ-
ხვეოდა, ხელები ჩემს წელზე შემოეჭლო
და ისე ეძინა.

„იქნებ ჩემი ტანის სითბომ იხსნას!“ —
გავიფიქრე და უფრო მივეკარი. კარგა-
ხანს ასე ვიყავი სულგანაბული და...
უცებ გადამიქანდა გული: იურის ტუ-
ჩები ზედ ყურზე მებჯინებოდა, მაგრამ
რატომღაც ვერ ვიგრძენი ფილტვებიდან
ამონასუნთქი თბილი ჰაერის გალაცვიკე-
ბა. სუნთქვა შევიკარი და ისევ ელდა
მეცა, — იური აღარ სუნთქავდა. მისი
მაჯა მოვქებნე, მაგრამ იგი აღარ ფეთ-
ქავდა, იური ამქვეყნად აღარ იყო.

ბიჭები გავადვიძე. აფორიაქდა ჩვენი

ბანაკი, თუმცა ეს აფორიაქება გარედან შემყურესათვის შეუმჩნეველი დარჩებოდა. ტომრიდან გამოსვლა არ შეიძლებოდა, ყოველი ზედმეტი მოძრაობა სახიფათო იყო. ასე გაუნძრევლად გამოვიგლოვეთ ამხანაგი. დიდხანს გვესმოდა იურის თანამოლაშქრეების ქვეთინი; ბოლოს ისინიც დაწყნარდნენ.

სხვა გამოსავალი არ მქონდა, დილაძე ასე უნდა გამეძლო. ახლა იურის ტუჩები ზედ მარჯვენა ლოყაზე მეხებოდა, ხელები კი ისევ ტანზე მქონდა შემოსალტული. ვგრძნობდი, იურის კუნთების ვაციებასთან ერთად როგორ მჭიდროდ ვექცეოდი გაშეშებული ხელების რკალში; თითქოს უძნელდება სიცოცხლის მიტოვება და ჩემგან, როგორც ცოცხალი ქვეყნის ერთ-ერთი წარმომადგენლისაგან, მოელის ხსნასო.

და ასე, ვიწრო ტომარაში, მკვდართან ჩახუტებული ვიყავი დილაძე. ბავშვობაში ჩანერგილი შიში, რა თქმა უნდა, აღარ განმეორებულა, მაგრამ მთელი ღამე თვალი აღარ მომიხუტავს...

აღბათ ჩემგან უფრო მხიარული ამბების მოყოლას მოელოდით. შეიძლება იმასაც ფიქრობთ, რომ ასეთი ელდასევედის მომგვრელი ამბები დააფრთხობს მთამსვლელობის ახალგაზრდა მოყვარულებს, მაგრამ აბა გაიხსენეთ კინოფილმები „ჩაპაევი“, „ზოია“, „მწვერვალთა დამპყრობნი“! მათი გმირები იღუპებიან, მაგრამ ყველა ახალგაზრდა მაყურებლის ოცნებაა იცხოვროს ისე, როგორც ცხოვრობდნენ ჩაპაევი, ზოია კოსმოდემიანსკაია, თინა იოსებიძე, ალიოშა ჯაფარიძე... ისე კი, ვისაც მთები აწინებს, არცაა საჭირო მის თავზე მთამსვლელის სახარების კითხვა. მთამსვლელობა მხოლოდ მამაცთა და უსაზღვროდ დისციპლინირებულ ადამიანთა სპორტია. მამაცი ადამიანის სახელის მოპოვება კი შეუძლებელია, თუ თვალი არ გაუსწორე სიძნელეებს.

მიშა იშშუნება, ამბავი მის ერთ-ერთ უნაკლო ლაშქრობას შეეხება და მიზჩევს „ჩამოვხსნა“. უმჯობესია ჩემს რომელიმე თანამოლაშქრეს მიმართო,

ვთქვათ, ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტს, ედუარდ მთამსვლელს ზაქრო მუშკელისთან.

ამბავი მისამი ზაზვიძე, ზარო მინდიაძე

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში წელს პირველად გაიხსნა სპეციალიზაცია მთამსვლელობაში. ექვსი ბიჭი მივიღეს, ექვსივე სვანი. და იცით, ვინ იყო მოწვეული ჩვენს გამომცდელად? მიხეილ ხერგიანი, რომელზეც ლეგენდები დადის ჩვენში!

ჯერ ინსტიტუტის პირდაპირ, კუს ტბის მიდამოებში გვავარჯიშებდა, კლდის ქიმებზე გვატარებდა, თოკზე ჩამოგვკიდებდა და უფსკრულში საქანელასავით გვაქანავებდა, ერთი სიტყვით, ლეკვებით გვწვრთნიდა „კლდის ვეფხვი“. ზამთრის საგამოცდო სესიების წინ კი შეგვკრიბა და ჩვენი პირველი საბრძოლო ნათლობის ვეგმა გაგვაცნო:

— ბიჭებო, დადგა მთებთან შებრძოლების დრო. იანვარში იალბუხზე მოგვიწევს ასვლა!

ჩვენ შიშნარევი თვალებით გადავხედეთ ერთმანეთს:

— იალბუხზე ზამთარში!

ამ ორი წლის წინათ, ზამთარში, სტუმრად ჩამოსულ ნებალელ თენისინგთან ჯა მოსკოველ გიპენრეიტერთან ერთად მიხეილმა სცადა იალბუხის დაპყრობა, მაგრამ მოძალებული ქარიშხლის გამო თენისინგმა უარი განაცხადა ლაშქრობაზე. წარმოგიდგენიათ?! ჩომოლუნგმ-ს დამპყრობმა უარი განაცხადა და ჩვენ, დამწყებ მთამსვლელებს, რომლებსაც ჯერ მესამე სპორტული თანრიგით კი არ გვქონდა, უნდა გაგველო მის მიერ უარყოფილი გზა. მაგრამ ჩვენს შიშს ნაწილობრივ იმედის სხივს ჰტენდა ჩვენი მასწავლებლის გმირული საქციელი: თენისინგისა და გიპენრეიტერის უკან დაბრუნების შემდეგ, ქარიშხლიან ღამეში, მიხეილ ხერგიანმა მარტოდმარტომ წააღწია მწვერვალის მახლობელ ფერდობს და წითელი საღებავებით უზარმაზარი

ასობით დაწერა თოვლზე: „ქეთილი
ოყოს შენი მობრძანება, თენსინგ!“

„შის რამდენადმე აქარვებდა აგრე-
თვე იმ დღეებში ინსტიტუტში ყურმოკ-
რულე ლაპარაკიც:

— ხომ არ გავიჟდნენ, როგორ ბედა-
ვენ ზამთარში იალბუზზე ასვლას?

— მიშა ხერგიანს მიპყავს ჭვადი.

— ჰოო, გასაგებია!

ჩავაბარეთ თუ არა გამოცდები, იალ-
ბუზისაქენ ავიღეთ გეზი. აკლიმატიზა-
ციისათვის იალბუზის ძირას, ტერსკოლ-
ში დაგებანაკდით.

მინდა გამოვტყდე, რომ, ვიდრე ტერ-
სკოლში ჩავიდოდით, ეჭვიც კი მეპარე-
ბოდა ჩვენი წინამძღოლის ირგვლივ შე-
ქმნილი ლეგენდების სიმართლეში. მი-
ხეილი არაფრით გამოირჩეოდა ჩვენგან:
საშუალო ტანი, სუფთა, თეთრი ხელები,
მეოცნების ღრმა თვალები, თავმდაბალი
და ამხანაგური. „ნუთუ ამ ჩვეულებრივ
ადამიანში შეიძლება ერთდროულად ბუ-
დობდეს განსაცვიფრებელი ფიზიკური
ძალა, სიმამაცე, თავგანწირულება და
სიკვდილთან შებრძოლების დაუოკებე-
ლი წყურვილი“, — ვფიქრობდი გზაში
და ეს ეჭვი მიხეილ ხერგიანმა ტერ-
სკოლში დაბანაკებიდან მეორე დღესვე
გამიფანტა: დილით პირის დასაბანად
მდინარე ბაქსანის ნაპირზე ჩავედიო.
აივნის სვეტზე მიკრული თერმომეტრი
ოცდახუთ გრადუსს ყინვას უჩვენებდა.
პირზე წყალი შევისხით თუ არა, ყინვამ
კინალამ ცხვირ-პირი წაგვადრო და თავ-
ქუდმოგლეჯილი შევევადრით ბინაში.
ჩვენი ხელმძღვანელი კი იღვა მდინარის
პირზე და დინჯად იხდიდა ტანისამოსს.
ტრუსების ამარა შევიდა ბაქსანის ყი-
ნულნარევ ტალღებში და ისე ჩაწვა შიგ,
თითქოს ორთაქალის ჭრელი აბანოს
აუზში აპირებს ნებივრობასო. ათიოდე
წუთის შემდეგ ოთახში შემოვიდა:

— წყლის პროცედურები ყველამ მი-
ვიღეთ, ახლა კი წავისაუზნოთ!

იმ დღიდან იგი თანდათან ჩვენს კერ-
ბად იქცა და მზად ვიყავით გავყოლო-
დით ყველგან, სადაც კი მიგვითითებდა.

ერთი კვირის შემდეგ სალაშქროდ გა-

ვემგზავრეთ რაიონის სამაშველო ჯგუ-
ფის უფროსმა, ტროიციმ, თუ არა მცდე-
ბი, მგონი მეათედ გააფრთხილ-
ხერგიანი ხელი აეღო განზრახვაზე, ამ
დაწყვეტილ ამინდში ეს ახალგაზრდე-
კილი მთამსვლელები არსად გადაჩეხო-
მასწავლებელმა მწკრივში ჩამდგარ მო-
წაფეებს გადმოგვხედა, რა ვქნათ, დაეუ-
ჯეროთ თუ არაო, მაგრამ იალბუზის და-
მორჩილების სურვილი უკვე ისე ღრმად
გვქონდა გამჭდარი, რომ ხელმძღვანე-
ლის ბრძანების მიღებამდე დავიძარით
მწვერვალისაკენ.

ძნელია გადმოგვცეთ ყველაფერი, რა-
საც მაშინ განვიცდიდით. მაგრამ მიღე-
ბული შთაბეჭდილებებიდან ორი მომენ-
ტი მაინც განსაკუთრებით დამამახსოვრ-
და: მწვერვალამდე თითქმის სულ ქარი-
შხალსა და ბურუსში ვიარეთ. ზოგჯერ
ორ მეტრზეც არაფერი ჩანდა. რომ გვე-
გონა, აი საცაა უკან გამობრუნების ბრძა-
ნებას მივიღებთო, მიხეილ მასწავლებე-
ლი წელში გაიმართებოდა, დახუჭავდა
თვალებს, დაისველებდა თითებს, არწი-
ვივით გაშლიდა ხელებს და ორიოდ
წუთის დაფიქრების შემდეგ წამოიძა-
ხებდა:

— ოდნავ მარცხნივ უნდა გადავუხ-
ვიოთ, ბიჭებო! მომყევით, მწვერვალი
აქეთაა!

შესვენებისას ვერ მოვითმინე და ვკით-
ხე, როგორ იგნებ გზას, ორ მეტრზე არა-
ფერი ჩანს-მეთქი.

— ბევრი რამ გამოცდილებამ შემას-
წავლა, — მითხრა მიხეილმა, — ზოგიერ-
თი რამ კი ჩემთვისაც ამოუხსნელია.
ხომ წაგიკითხავთ გაზეთებში ადამიანებ-
ზე, რომლებიც ათნიშნა რიცხვებს ზე-
პირად ამრავლებენ ერთმანეთზე და რამ-
დენიმე წამში სწორ პასუხს ღებულობენ.
ამ საოცარი მოვლენის ფიზიოლოგიური
მექანიზმი ჯერ არაა ამოხსნილი და ვერც
ამ თვისებით დაჯილდოებული ადამიანი
იძლევა სწორ პასუხს — თუ საიდან აქვს
ასეთი საოცარი ნიჭი. მეც ვერ გიპასუ-
ხებ. ალღოს კი ასეთ მომენტში არასო-
დეს უღალატია, გზას ყოველთვის სწო-
რად ვიგნებ!

მწვერვალამდე კილომეტრი გვექნებოდა გასავლელი, რომ მარცხნივ, ფერდობზე, თოვლიდან ამოზიდული მწვანე მუნდირი შევნიშნეთ. ნუთუ მთამსვლე-ლია დაღუპული? ახლოს მივედით. გვერდით მეორე მუნდირი შევნიშნეთ. ერთი ჩვენთაგანი ადგილზე მიიჭრა და მუნდირი გადასწია:

— ადამიანი, მიშა-მასწავლებლო, დაღუპული მთამსვლელი!

ჩვენ გაგვაოცა მასწავლებლის აუღელ-ვებლობამ. ვიცოდით, რომ მიხეილ ხერგიანს ხშირად საკუთარი სიცოცხლე ხიფათში ჩაუვლიდა, რომ მეგობარი ეხსნა დაღუპვისაგან. ახლა რა მოუვიდა, რატომაა ასე მშვიდად?

— უკან, ბიჭებო! — დაგვიძახა მიხეილმა, — შე ყოველთვის ვცდილობ გვერდი ავუარო ხოლმე ამ ადგილს. აქ 1942 წელს ჰიტლერელი მთამსვლელების ნაწილი გაიყინა. ზაფხულში ისინი თოვლით იფარებიან. ზამთარში კი ხშირი ქარების გამო, თოვლის საფარი ეცლება და გამოჩნდებიან ხოლმე. დაიძარით, ბიჭებო, მოვცილდეთ აქაურობას!

ორ საათში მწვერვალს თავზე მოვე-

ქეცით. ექვსივენი ვეცით მიშა მასწავლებელს და უფროს ძმასავით მტრულად შევნიშნეთ!

სალამომდე თავშესაფარს ჩამოვალწიეთ, მეორე დღეს კი ისევ ტერსკოლში ვიყავით.

ხმაურით შემოგვეგებნენ მოსკოველი და ლენინგრადელი მთამსვლელები. გამარჯვება მოგვილოცეს და სინანულით დასძინეს, ხვალ დილით უკან, შინ ვბრუნდებით.

მაშინ მე მოსკოვის გუნდის ხელმძღვანელს ვკითხე:

— მართალია, საძაგელი ამინდებია, მაგრამ თქვენს გუნდში ხომ მხოლოდ ოსტატები არიან, ნუთუ გაუჭირდებათ ასვლა? ჩვენ ჯერ თანრიგიც არ გაგვაჩინია, მაგრამ ხომ ნახეთ, დავლაშქრეთ იალბუზი...

— ჩემო ბიჭიკო, — მითხრა მან ისე, რომ სხვებს არ გაეგოთ, — თქვენ წინ მიშა ხერგიანი მიგიძღოდათ. მის ხელში ყოველი მთამსვლელი, თუნდაც დამწყები იყოს იგი, შეუძლებელს შეიძლებს! — შემდეგ მხრები აიწია და დაამატა, — რა ვუყოთ, მე ჩვეულებრივი მოკვდავი ვარ და ჯერჯერობით უკან ვიხევ!



ჩინი

ს

გომართლის წამალი

„ამსა და კარგსა კაცისსა
როდი ივიწყებს სოფელი“.

კაუა.

გამოჩენილი ექიმი, პუბლიცისტი-მწერალი ივანე გომართელი დაიბადა 1876 წლის 2 (15) ოქტომბერს, ზემო იმერეთში. სოფელ გორისაში.

ივანე გომართელი მეოთხე კლასამდე თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებელში სწავლობდა. აქედან გადავიდა თბილისის მეორე გიმნაზიაში, რომელიც ოქროს მედლით დაასრულა.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ივანემ გადაწყვიტა უმაღლესი საექიმო განათლების მიღება. ღრმად სწამდა, რომ როგორც ექიმი უფრო მეტ სამსახურს გაუწევდა თავის ხალხს. ეს ის დრო იყო, როცა ჩვენში ექიმი-მკურნალი იშვიათად მოიძებნებოდა, ხალხში კი ათასნაირი ავადმყოფობა და უმეცრება სუფევდა.

გიმნაზიის დამთავრებისთანავე ივანე გომართელი გაემგზავრა მოსკოვს და საიმპერატორო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ჩაირიცხა. იგი მეტად გულმოდგინედ შეუდგა სწავლას, ხოლო თავისუფალ დროს თვითგანვითარებას ანდამებდა.

გომართელმა სტუდენტობის დროს დაიწყო აქტიური თანამშრომლობა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. სისტემატურად ათავსებდა წერილებს „ივერიაში“, „კვალში“, „მოამბეში“...

1896 წელს, ჯერ კიდევ მოსკოვის უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტმა, თბილისში ცალკე წიგნად გამოსცა მოხდენილად დაწერილი და დასურათებული საბავშვო მოთხრობა „ხტუნია ციყვუნია“.

სავალდებულო, სპეციალური სავნების შესწავლით დატვირთული, იგი მაინც პოულობს დროს მრავალმხრივი განათლების მისაღებად. 1897 წელს აქვეყნებს წიგნს — „ისტორია აღმოსავლეთისა (ძველი ეგვიპტე, მცირე აზია, ინდოეთი, საქართველო, მიდია, სპარსეთი)“.

ივანე გომართელს უნივერსიტეტის სრული კურსი დაუმთავრებია და მკურნალი ექიმის წოდება მიუღია 1899 წელს.

1900 წლის 12 თებერვალს ივანე ინიშნება ჯავახეთში, ახალქალაქის მაზრის სოფელ ბარაღეთში ქსენონის ექიმად. მან ამ სოფელში 1902 წლის 11 თებერვლამდე იმუშავა. ეს იყო მისი დახელოვნებისა და დედაყვაცების წლები.

ამ მიყრუებულ სოფელში სამსახური სრულებით არ უშლის ხელს ივ. გომართელს ნაყოფიერ ლიტერატურულ მუშაობასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. ბარაღეთში ორი წლის მუშაობის განმავლობაში მან დიდი ავტორიტეტი

და პატივისცემა მოიპოვა არა მარტო ამ სოფელში მცხოვრებთა შორის, არამედ მთელი მაზრის მშრომელებში.

ივანე გომართელი 1902 წლის 19 თებერვალს დაინიშნა სოფ. დიდი ჭიხაიშის ქსენონის ექიმად.

იგი დიდ ჭიხაიშში ჩვეული ენთუზიზმით განაგრძობს მუშაობას. მისი საქმიანობა აქ უფრო ფართო და საინტერესოა, უკვე დახელოვნებული ექიმი. ავადმყოფებს მისი სწამთ და სჯერათ. გომართელის სახელი მთელ დასავლეთ საქართველოს მოედო. ივანე გულმოდგინედ სინჯავდა თითოეულ ავადმყოფს, იგებდა მის მდგომარეობას, ღარიბს თვითონ აძლევდა წამალს. ავადმყოფისაგან არ იღებდა გასამრჯელოს და თავისი სიცოცხლის დანიშნულებას სიცოცხლისათვის ბრძოლაში ხედავდა.

დიდი ალლო და ფსიქოლოგიური შეცნობა ჰქონდა ადამიანისა. ეს იყო მკურნალ ივანე გომართელის გამარჯვებისა და პოპულარობის მთელი საიდუმლოება.

ივანე გომართელი — ეს სახელი და გვარი იქცა სიკეთის, ავადმყოფის იმედისა და ნუგეშის სინონიმად.

მალე იგი დიდი ჭიხაიშიდან ქუთაისში გადავიდა. მოსახლეობა აღფრთოვანებით შეხვდა.

1902 წლის თებერვლიდან 1907 წლის ოქტომბრამდე ივანე გომართელი ძირითადად დიდ ჭიხაიშსა და ქუთაისში იმყოფებოდა. ამ პერიოდში მას კავშირი არ გაუწყვეტია თბილისის ჟურნალ-გაზეთების რედაქციებთან. ჟურნალ „კვალში“ დაბეჭდა ვრცელი წერილები „სიტყვაკაზმული მწერლობა 1901 წელს“. „ილია ჭავჭავაძე და მისი პოეზია“, „შილერის პოეზიის ძირითადი თვისებანი“ და სხვ. ცალკე წიგნად გამოსცა „ეროვნული საკითხი“, „ჭუხუბე გარიბალდი“ და სხვ. გამოაქვეყნა ორი პიესა: „ქოხში“ და „წამხდარი სისხლი“. 1905 წელს კი „ივერიაში“ დაბეჭდა წერილები: „რა გზას უნდა დაადგეს სამღვდლოება“, „ხელოვნური ნაწარმოების კრიტიკა“, „მიწის გასაზოგადოებრიობა“, „დღევანდელი მოძრა-

ობა და სხვადასხვა კლასთა მისწრაფებანი“. „მუშათა კლასი და ხალხი“ და სხვ. გენერალ-მედიკოსი

ივ. გომართელს, აკაკი წერეთლის სიტყვებით რომ ვთქვათ, წინ ედო ცხოვრების ორკეცი გზა: ერთი — საპირადო, ია-ვარდით მოფენილი და მეორე საზოგადო, ეკლიანი და საჭირბოროტო. მან მეორე გზა აირჩია.

გომართელს სახელი გაუთქვა ხალხის მისწრაფებებით და ბედით დაინტერესებამ, პრაქტიკულმა და ლიტერატურულ-პუბლიცისტურმა მოღვაწეობამ. სწორედ ამიტომ იყო, რომ 1906 წელს იგი ქუთაისის გუბერნიამ აირჩია პირველი სახელმწიფო სათათბიროს წევრად.

ივანე გომართელი სიტყვით გამოდის სახელმწიფო სათათბიროს სხდომაზე, სადაც უაღრესად პრინციპულად, მკაცრად ამხელს მთავრობის უმსგავსო მოქმედებას საქართველოში.

როგორც ცნობილია მონარქისტულმა ხელისუფლებამ 1906 წლის 21 ივლისს სახელმწიფო სათათბირო გარეკა. მეორე დღესვე ქ. ვიბორგში, დეპუტატების თათბირზე გადაწყდა მოწოდებით მიემართათ მოსახლეობისათვის. მოწოდებას — „ხალხს ხალხის წარმომადგენლებსაგან“. ხელს აწერდა 180 დეპუტატი, მათ შორის ივანე გომართელიც.

ივ. გომართელი ამით არ დაკმაყოფილდა. იგი ელსინგფორსში წითელ-გვარდიელთა და მუშების მიტინგზე სიტყვით გამოვიდა სათათბიროს სხვა დეპუტატებთან ერთად.

1907 წლიდან ივანე გომართელი საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. სულ მოკლე ხანში მეტად პოპულარული ექიმი გახდა. ავადმყოფების მისაღებ ოთახთან დილაადრიან გრძელი რივი დგებოდა. ავადმყოფები საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოდიოდნენ. ივანე მათ თბილად, იმედიანად ხედებოდა, დაწვრილებით გამოკითხავდა ხოლმე ავადმყოფობის მიმდინარეობას, ცდილობდა ჩაწვდომოდა თითოეული მათგანის ფსიქოლოგიას, ხასიათს, რაც აუცილებ-

ლია წარმატებით მკურნალობისათვის. გომართლის წამლებსა და მკურნალობის მეთოდებზე ბევრი ლეგენდაცაა გავრცელებული ხალხში.

ექიმმა-მწერალმა ვასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მიმდინარე საუკუნის 40-იან წლებამდე წამოჭრილ მრავალ საჭირობოროტო საკითხზე გამოთქვა თავისი აზრი და შეხედულება. საკმაოდ დიდია მისი ლიტერატურული მემკვიდრეობაც.

ივანე გომართელი სამწერლო ასპარეზზე 1896 წელს გამოვიდა. თავდაპირველად იგი გვევლინება, როგორც საბავშვო მწერალი, ჟურნალების „ჯეჯილისა“ და „ნაკადულის“ უახლოესი თანამშრომელი. თემატურად მრავალფეროვანი და მიმზიდველია მისი მოთხრობები. მას ეხერხება სიყვარულითა და ალერსით გამთბარი თხრობა, მისი ენა ცოცხალია. ანტირელიგიურ თემაზე დაწერილი ივანე გომართლის მოთხრობა „ნიგვზარეთის ღვთისმშობელი“, რომელიც 1924 წელს გამოიცა. ამ მოთხრობამ თავის დროზე ცხოველი ინტერესი და გამოხმაურება ჰპოვა.

საინტერესოდ იკითხება რომანი — ქრონიკა „სამი დროება“ (ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1931 წელს).

ივანე გომართლის შინაარსით და მხატვრული თვალსაზრისით საინტერესო პატარა მოთხრობა-მინიატურები გაფანტულია პერიოდულ გამოცემებში. მან ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ფრანგულიდან თარგმნა რამდენიმე საბავშვო მოთხრობა. იგი თარგმნიდა აღმზრდელობითი ხასიათის მოთხრობებს. გარდა საბავშვო მოთხრობებისა, გომართელმა თარგმნა სერბი მწერლის იაქშიჩის ისტორიული მოთხრობა „ჩუმი დარაჯობა“, რომელიც ასახავს სერ-

ბების ბრძოლას დამპყრობლების წინააღმდეგ.


საკმაოდ დიდია ივანე გომართლის ღვაწლი ქართული თეატრის წინაშე. წლების მანძილზე იყო ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის წევრი, აქტიურად მონაწილეობდა რეპერტუარის შემმუშავებელი კომისიის მუშაობაში. მისთვის რეპერტუარი იყო ის მასალა, რომლისგან უნდა შემზადებულიყო ეროვნული სულიერი საზრდო. მისი 7 პიესიდან 6 წლების მანძილზე იდგმებოდა ქართული თეატრის სცენაზე.

ივანე გომართლის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ალექსანდრე ჭავჭავაძის, დავით კლდიაშვილის, ეგნატე ნინოშვილის, მამია გურიელის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას, გრიგოლ ორბელიანის, ვახტანგ ორბელიანის, ვარლამ რუხაძის, გიორგი ქუჩაშვილის, ალექსანდრე აბაშელის, გიორგი ჭალაღიდელის, სოლომონ თავაძის, იოსებ გრიშაშვილის და სხვების შემოქმედების იმ დროისათვის მეტად საინტერესო, ვრცელი კრიტიკული მიმოხილვა.

ივანე გომართელი ზნეობრივად მაღალი, კეთილშობილი, სპეტაკი და მისაბაძი პიროვნება იყო. დიდბუნებოვნება, თავისი საქმის ღრმა ცოდნა, დაუშრეტელი ენერჯია და ეროვნული საქმისათვის თავდადების დიდი წყურვილი, იშვიათი თავდაბლობა, მომაჯადოებელი თავაზიანობა, — აი ივანე გედევანის ძე გომართლის დამახასიათებელი თვისებები.

ივანე გომართელს საზოგადო მოღვაწეობის მანძილზე არა ერთხელ ჩაუგდია თავისი სიცოცხლე საფრთხეში. იგი ამას აკეთებდა საკუთარი სინდისის კარნახით, თავისი ცხოვრების უზენაეს აღამიანურ კანონად რომ მიიჩნდა.

გრიგოლ ნადარეიშვილი.



უიწყასი

ლენინის დროებით, ლენინის სახელით 3 გვ.

პოეზია და პროზა

რამაზ მარგინანი — ახალი ლექსები	5 გვ.
რადაკაციის მიღობვა	7 გვ.
თამაზ გომეზიშვილი — ექო (მოთხრობა)	8 გვ.
არლი თაყაიშვილი — ცრემლი მიხატა (ლექსი)	19 გვ.
მირონ ხერგინი — ცხელი იანვარი (მოთხრობა)	24 გვ.
ლიანა სტურუა — მთიულ ხვარამუს კაცი უყვარდა... (ლექსი)	41 გვ.

გზის დასაწყისი

პარლო არსენაშვილი — მწვანე ეზო (მოთხრობა)	48 გვ.
გიორგი ბაქანიძე — კური და თაფლი (მოთხრობა) *	48 გვ.
სულხან გაბუნია — რკინიგზას დღედაღამ ეღვიძა (მოთხრობა)	55 გვ.
დიმიტრი ლოგანიძე — მერცხალა (ნოველა)	60 გვ.

ახალი თარგმანები

კაულ ჰანი — კერპჯიშტა (მოთხრობა, თარგმნა ვახტანგ პაიციძემ)	68 გვ.
ხოსე მარტი — ლექსები (თარგმნა მურმან ლებანიძემ)	75 გვ.
მთარგმნელი საგან	79 გვ.
სტეფანე კურტიანი — სომხური ზარი (მოთხრობები, თარგმნა არჩილ დავითიანი)	80 გვ.
ეზოკა — არაბები (თარგმნა გიგლა სარიშვილმა)	85 გვ.

„მისიური“ გვერდები

ვასილ შუკოვსკი — ივანე ბატონიშვილი და რუსი მბელი (პოემა-ზღაპარი, თარგმნა ხუტა ბერულავამ)	88 გვ.
--	--------

ღიალი თარიღები

როინ მებრეველი — ოქტომბრის შვილები	95 გვ.
--	--------

რუსთაველის ნაქველავი

ივანე ივანიშვილი — რუსთაველი-ლოკისი ქვირფასი შენაძენი	103 გვ.
გიორგი პაიძაძე, რომან მიმიონიშვილი — „ვეფხისტყაოსანი“ და თამარის დრო	109 გვ.

საღიქსიო გრიბუნა

აბაკი ბაქრაძე — „ომბაკის მოსახვევი“	123 გვ.
---	---------

ჩვენი ახალგაზრდობის შემოგრაჟი

პერიკო ანჯაფარიძე — შრომა, შთაბრძნავალი შრომა!



შემოწმებათა ფურცლები

გენო ჯალაღანიანი — ის მხოლოდ პოეზიით ცოცხლობდა 185 გვ.

ი ს ი ლ ი

ავთანდილ ციგაქე — „ვეფხვი კლდით გადმოეჰიდა“ 148 გვ.

ჩვენი კალენდარი

გრიგოლ ნადარაიშვილი — გომართლის წამალი 156 გვ.

1

გარეკანი და ტიტული ელ. ამაშუკელიძე, ეურნალი ვაფორმეს თ. სამსონაძემ და გ. როინიშვილმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ს. გოდერძიშვილი

რედაქციური უამოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 91.

ბელაფონები: რედაქტორის — 5-08-85, პ/მმ მღივნის — 5-08-86, განყოფილებაგის: პოეზიისა და პროზის, კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 5-08-85, კულტურისა და ხელოვნების 5-08-75

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/XI-66 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7 შეკვ. № 3890. უფ. 03386. ქალაქის ზომა 70×108. ტირაჟი 11000.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ფასი 60 კპ.

0 10 / 285



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

издательство
«ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»

ИНДЕКС 76236